# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული დაიჯესტი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 46 (135) ◆ 17-23 ნოემბერი 1997 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## ხელისუფლებას პრესის ეშინია

პრესას ემუქრებიან, ზღუდავენ და უკრძალავენ: „კონფიდენციალურად აღიარებული



ინფორმაციის გამჟღავნებას, სხვათა უფლებების, პატივისა და ღირსების ხელყოფას, სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედებას“. ამ გაბუნდოვანებულ, გაორსამაზროვნებულ მუხლში, ფაქტობრივად, დევს პრესის თავისუფლებისაკენ მიმართული ნაღმი.

გვ. 3

*ჯანმრთელობას პატიმარი კი არა, ბახმაროში გაზრდილი კაციც ვერ ინარჩუნებს.*

საქართველოში ყოველდღიურად თითო პატიმარი მაინც იკლავს თავს. „რაზბორკების“ მეშვეობით „თვითმკვლელობამდე“ მიჰყავთ.

საინტერესოა, რატომ ხდებიან თვითმკვლელობისადმი მიდრეკილი პატიმრები იზოლირებულ საკანში, რატომ პოულობენ პატიმრები ბასრპირიან საგნებს, რატომ ატყობინებენ გარდაცვალების ფაქტს ჭირისუფლებს 2-3 დღის დაგვიანებით, რატომ აჩნია დაღუპულთა ტანსაცმელს სისხლის ლაქები?

გვ. 8

## ევროპაში ფანჯრიდან უნდა გადავძვრეთ

— ამჯერად აფხაზ სეპარატისტთა არამკითხე ადვოკატებად სომხები გამოვიდნენ.

— ევროპის ყველაზე ძვირ ქალაქში, ჟენევაში, ჩვენი დელეგაციის ყოფნა კვლავ რაღაცის კეთების ილუზიაა.

— რუსებისათვის უკვე წამგებიანია ენგურზე დგომა, მათ აფხაზეთში მხოლოდ ეშერისა და ბომბორას სამხედრო ობიექტები აინტერესებთ; თუ მივცემთ მათი უსაფრთხოების გარანტიას, მიატოვებენ იქაურობას.

— რუს ნაციონალისტებს ვძულვართ და მათი გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი და მათი საბოლოო „განქორწინება“ გარდუვალია.

გვ. 5 *რამაზ კლიმიაშვილი*

## შევარდნაძეს რჩეულიშვილი შეცვლის?

*მკითხველის შეკითხვა* გვ. 23

## ღარიბაშვილი „ააგდეს“



*შალვა რჩეულიშვილი*

„ოთხკედელშუა“ აღმოჩნდა საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი;

დღემდე ბატონი ქართლოსი ხელისუფლების გარკვეული წრეების ინტერესების დამცველად გვევლინებოდა. ახლა რა ხდება?

— საქმე პროვოცირებულია, გამოიკვეთა აშკარა ტენდენცია, რომ მთელი ამჟამინდელი სამართალდამცავი სისტემის მოცილება სურთ; ერთი რამ უდავოა — ღარიბაშვილი უნდა გაათავისუფლონ. ვილაცებმა წინასწარ გადაწყვიტეს მისი პატიმრობაში ყოფნა, იგი „ააგდეს“, ეგონა, არ გაწირავდნენ, მაგრამ „გამოიჭირეს“;

ნებისმიერი მოსამართლე, ვისაც სახელს უტეხდა ქართლოსი, გაათავისუფლებს მას.

გვ. 3



— შევარდნაძემ, თუ ვაჟკაცია, შუბლში ტყვია იხალოს. მისი სამშობლო რუსეთია, ხოლო საბოლოო ადგილი — ჯოჯოხეთი.

— ძრწოდეს ამხანაგი ედუარდი, ჭეშმარიტი ეროვნული ძალები სულ მალე ქუჩის მასობრივ აქციებს დავიწყებთ და კიდევ — ვიდრე საქართველოდან გაიქცევა, სჯობს, ქვეყნის ვალი — სამი მილიარდი დოლარი — გაისტუმროს.

გვ. 4

## 14 ნოემბერი. ჯავა. მორიგი შეხვედრა...

ჩიბიროვი და შევარდნაძე პირისპირ საუბრობენ. გალაზოვი დროს არ კარგავს, იძლევა ინტერვიუს და თითქმის „განსაზღვრავს“ საქართველოს ადმინისტრაციულ წყობას — საქართველო უნდა იყოს ფედერაციული სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში იქნება აფხაზეთი, აჭარა და, რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაო.

გვ. 9

EURO-AMERICAN

ტანსაცმელი იაფად, 1 კგ-ის ფასი — 1 ლარიდან 5,5 ლარამდე

თუ გსურთ სწრაფად იშოვნოთ ფული, ჩვენ გაძლევთ შესაძლებლობას. გთავაზობთ ხარისხიან ტანსაცმელს ამერიკიდან 25 კგ. ფუთებით. საწყისი თანხა შეადგენს 25 ლარიდან 137 ლარამდე

მის.: მ. „სამგორი“, სამგორის ჩიხი №4, საქბაკალეიის საწყობი ტელ: 71-77-42

## იგი ჯალათია...



ოცდაათიოდე წლის, უბრალო კოსტიუმში გამოწყობილი, ხმადაბლა და მშვიდად საუბრობს, არაფერს მალავს; იგი ნაცნობებმა გამაცნეს, რუსულად შესანიშნავად ლაპარაკობს.

მოსკოვში (და სადაც არ უნდა იყოს) გროზნოში გამოტანილი განაჩენის აღსასრულებლად ჩამოდის.

— მე ცოფიან ძაღლს ვკლავ, რომ მასში ჩაბუდებული სენი სხვებს არ გადაედოს; ამიტომ არ მებრალება შარიათმისჯილი.

გვ. 7

## საუკუნის დასასრულის კიდევ ერთი ს ა ს წ ა უ ლ ი

ბეთლემის ავტოგზის რეკონსტრუქციის დროს მუშებმა ამოთხარეს ქრისტიანული რელიკვია — ქვა, რომელზედაც დასასვენებლად ჩამომჯდარა ფეხმძიმე ქალწული მარიამი...

მეცნიერების დასტურიც მიღებულია.

ფირმა „ბერმუხა“

ყველაზე იაფად და დიდი ხნის მუშაობის გარანტიით

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, თბილისსა და სხვა ქალაქებში, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.

შევისყიდით ბიტუმს და მინაქსოვილს

მის.: წერეთლის პროსპ. №55, ბინა 53

ტელ.: 35-15-05; 63-55-77, 8-99-50-06-50

## მძღოლებო!

თეთრი ფერის მანქანით თუ დადიხართ — სნობი ხართ და ჩაკეტილი პიროვნება;

ლიმონისფერს ნუ აირჩევთ — სუსტი ნერვების ადამიანები ამჯობინებენ;

ნაცრისფერში თუ ზიხართ — ბედნიერად გრძნობთ თავს...

გვ. 19



საკვირაო ტელე-კინოაფიშა

17-23 ნოემბერი

გვ. 10

ახალი თაობა
Неделя
Частная жизнь
თაიმსი
stern
ერთი გაზეთი
За рубежом
Московские новости
შანსი
Focus
საქართველოს რესპუბლიკა
DER SPIEGEL
კრიმინალი
Newsweek
Панорама недели
Комсомольская правда
МК
საქართველო
Сегодня
Известия
Аргументы и факты
Совершенно секретно
Труд
Match
ТВ Парк
Le Figaro magazine
Лица
daily
Огонёк
Иностранец
Итоги

**გფარავდეთ წმიდა გიორგი**

# კვირიდან — კვირამდე

**ყაზახეთსა და საქართველოს შორის კავკასიის დერეფნის გახსნას,** ისტორიული მოვლენა უწოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ყაზახეთში თავისი ოფიციალური ვიზიტის შედეგებისადმი მიძღვნილ გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მისი თქმით, ვიზიტის დროს ხელმოწერილი შეთანხმება ენერგომატარებლების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა, რადგან ამით გზა ეხსნება ყაზახეთის თენგიზის ნავთობის კავკასიის დერეფნით ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზრისკენ. ყაზახეთის აქთაუს პორტის რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ, კასპიის ზღვით მოხდება ნავთობის გადაზიდვა ბაქოში, იქიდან კი, საქართველოს ნავსადგურებში.

**სააგენტო „როიტერის" ცნობით,** ირაკლი მენაღარიშვილმა მოლაპარაკება გამართა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრ ჯორჯ რობერტსონთან ლონდონში. შეხვდა ინგლისელ კოლეგას რობერტ კუკს და ლონდონის საგარეო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტში წაიკითხა ლექცია თემაზე „კავკასიის რეგიონი საქართველოს პოზიციიდან".

**ამჟამად, აფხაზებთან მიმდინარე მოლაპარაკებებში** საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ლევან ალექსიძემ განაცხადა, რუსეთს ედება ბრალი იმაში, რომ მოლაპარაკებათა პროცესი ჩიხში მოექცა. მისივე პროგნოზით, იგი არ მოელის არსებით პროგრესს 17 ნოემბერს, ჟენევაში, გაეროს ეგიდით დაწყებული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებისგან. ალექსიძე სეპარატისტთა ლიდერებს, მათ მომხრე რუს სამხედროებს და პოლიტიკოსებს ადანაშაულებს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურებაში.

**როგორც ცნობილია,** 11 ნოემბერს დანიშნული აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა მეორე ყრილობა არ შედგა. ყრილობის დელეგატებმა თათბირი გამართეს და მიიღეს რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ თათბირი ძალაში ტოვებს ლტოლვილთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებებს. დოკუმენტში გამოთქმულია უნდობლობა ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობისადმი, ასევე, მოთხოვნა მათი გადადგომის თაობაზე. თათბირმა მოითხოვა საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანა. ამასთან, თათბირმა კატეგორიულად დააყენა საკითხი, რათა ყოველგვარი მოლაპარაკება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაზე, უნდა ჩატარდეს ლტოლვილთა საკოორდინაციო საბჭოს წევრთა მონაწილეობით. გადაწყდა, რომ ლტოლვილთა მეორე ყრილობა გაიმართოს 28-29 ნოემბერს. თუმცა, თამაზ ნადარეიშვილი გამოვიდა წინადადებით, რომ ყრილობა 6 იანვარს გაიმართოს, რასაც ნეგატიური რეაქცია მოჰყვა საკოორდინაციო საბჭოს მხრიდან.

**აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა მეორე ყრილობა ჩაიშალა** შევარდნაძის გამო, რომელმაც გადაკეტა ქალაქში შემოსასვლელი ყველა გზა და ამით ხელი შეუშალა 100 ათასამდე ლტოლვილის ჩასვლას თბილისში, საქართველოს ყველა კუთხიდან, — განაცხადა ბორის კაკუბავამ. მამუკა გიორგაძის თქმით კი, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესაფერხებლად. მან მოუწოდა ყრილობის დელეგატებს ერთიანი ფრონტით ბრძოლისაკენ შევარდნაძის მთავრობის წინააღმდეგ, ოღონდ პოლიტიკური მეთოდებითო... — დასძინა მან.

**11 ნოემბერს, გალის რაიონის სოფელ „პრიმორსკოეს" დასახლებასთან მოხდა შეტაკება** სეპარატისტთა პოლიციასა და პარტიზანებს შორის. აქტიური სროლა ნახევარ საათს გაგრძელდა. ააფეთქეს სამხედრო-საინჟინრო ნაგებობა და სოფელ გუდავის ელექტროსადგური. დევნილმა აფხაზეთის ხელისუფლებამ მომხდარში მთლიანად დაადანაშაულა რუსეთის სამშვიდობო ძალები და აფხაზეთის პოლიცია, რომლებიც რეპრესიებს მიმართავენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

**„საქენერგოს" განცხადებით,** ენგურჰესის მუშაობა შეიზღუდა აფხაზური მხარის ე.წ. „ჩერნომორენერგოს" დირექტორის ხუტა ჯინჯოლიას მიერ. მიზეზად დაასახელეს დაუდგენელი პირების მიერ გალის რაიონის ქვესადგურში ძალოვანი ტრანსფორმატორის აფეთქება.

ენგურჰესში სიმძლავრის შეზღუდვის გამო, ელექტროენერგია მიეწოდება მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებს. ამ საკითხზე „საქენერგოს" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს აფხაზურ მხარესთან.

**ცხინვალიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,** რუსეთმა ცხინვალის რეგიონს აღუდგინა ელექტროენერგიის მიწოდება. ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა მოხერხდა მოსკოვში გამართული დიდი დავა-კამათის შემდეგ, რომელშიც ე.წ. სამხრეთელი ოსებისა და რუსი ენერგეტიკოსების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სარწმუნო წყაროს ცნობით, კამათი მუშტი-კრივამდე მისულა...

**საქართველოს პარლამენტმა მიიღო ისტორიული კანონი** — სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქციებმა „ლეიბორისტი" და „მაჟორიტარი საქართველოს რეგიონები". ამრიგად, დახვრეტა სამუდამო პატიმრობით შეიცვალა. შარშან და მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის მანძილზე, საქართველოში სისრულეში მოიყვანეს 50 სასიკვდილო განაჩენი.

**საქართველოს საპატრიარქომ პროტესტი გამოთქვა** იმის გამო, რომ 11 ნოემბერს, წმინდა იოანე ზარზმელის დღესასწაულზე, ადიგენის რაიონის ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ზარზმის მონასტრის ტერიტორიაზე არ შეუშვეს საქართველოს ეკლესიის ხუთი ეპისკოპოსი, სამღვდელოება და მრევლი იმ მოტივით, რომ არ მომხდარიყო შეტაკება მონასტერში მყოფ განდგომილ სასულიერო პირებთან. საპატრიარქოს შეფასებით, გარკვეული ძალები დაძაბულობის კერებს ხელოვნურად ქმნიან.

**ბათუმიდან დაბრუნებულმა ქართველ ლეიბორისტთა ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა,** შეაფასა რა, ბოლო დროს, თბილისსა და ბათუმს შორის განვითარებული არასასურველი მოვლენები, განაცხადა, ყველაფრის მიზეზი არის ის, რომ არაერთი მაფიოზური კლანი ოცნებობს ბათუმის პორტის ხელში ჩაგდებას, როგორც ეს ფოთის პორტს დამართეს თავის დროზე...

**ყაზახეთიდან თბილისისკენ მომავალმა საქართველოს პრეზიდენტმა** 12 ნოემბერს „გზად" ბაქოში შეიარა, სადაც მონაწილეობა მიიღო ახალი ნავთობსადენის ამოქმედების ცერემონიალში, რომელიც კასპიის ნავთობს გაიტანს ჩრდილოეთის მარშრუტით. საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას, შევარდნაძემ მიულოცა რუსეთს ეს ფაქტი. მიხეილ უკლებას თქმით, ამ ჟესტით პრეზიდენტმა უჩვენა მსოფლიოს, რომ ამ მარშრუტის ამოქმედება არათუ ალიზიანებს საქართველოს, არამედ ახარებს კიდეც!

**ჯავაში გამართულ შევარდნაძე-ჩიბიროვის შეხვედრას** დიდი შეფასება მისცა ალანიის პრეზიდენტმა ალსარბეკ გალაზოვმა, რომლის თქმითაც, 1998 წელს სამხრეთ ოსეთის პრობლემა საბოლოოდ დარეგულირდება და ქართველ და ოს ხალხებს შორის აღდგება მეგობრული, ნათესაური და დინასტიური(!) კავშირ-ურთიერთობები.

**10 ნოემბერს, დაუდგენელი კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა გაიტაცეს ცხინვალის პროკურორი,** 35 წლის გურამ ბოკუციძე. ნიღბაფარებულმა შეიარაღებულმა პირებმა ცხინვალის მახლობლად გააჩერეს პროკურორის მანქანა, რომელშიც მყოფი რაიონის პოლიციის უფროსი შალვა თრამაკიძე ნაცემი და გაკოჭილი დააგდეს გზაზე, პროკურორი კი წაიყვანეს.

**ვახტანგ კიკაბიძემ მოსკოვში ობოლ და ნიჭიერ ბავშვებზე შეფობა იკისრა.** მისი დახმარებით, ამ მისიას განახორციელებს მოსკოვში გახსნილი ქართული კულტურის ცენტრი „არ დაიდარდო", რომელიც შეფობას იღებს ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ობოლი ბავშვების ინტერნატ "დისქავერიზე". ინტერნატში 7-დან 13 წლამდე 50 აღსაზრდელია.

**საქართველო-თურქეთის თანამშრომლობა მრავალმხრივად ვითარდება,** განსაკუთრებით, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროებში, აღნიშნეს პრეზიდენტმა შევარდნაძემ და თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა მენიზრმა, რომელიც ვიზიტით იმყოფებოდა თბილისში. მოლაპარაკებაზე მხარეებმა დაადასტურეს მზადყოფნა, გამოაცხადონ ტენდერი ახალქალაქი-ყარსის მაგისტრალის მშენებლობაზე.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით,** საქართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში ეკონომიკური ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. წარმოების 10%-იანი კლებიდან საქართველომ 10%-იან ეკონომიკურ ზრდას მიაღწია წელიწადში, თუმცა, კვლავაც არადამაკმაყოფილებელია ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების დონე. ფონდის რეკომენდაციით, შემოსავლების ზრდის მისაღწევად აუცილებელია ნეგატიურ მოვლენებთან, უწინარესად, კორუფციასთან ბრძოლა.

ფონდს განზრახული აქვს, 1998 წელს საქართველოს გამოუყოს მორიგი, ამჯერად, 80 მილიონი დოლარის კრედიტი, თუ ქვეყანა ეკონომიკური რეფორმების გატარებასთან დაკავშირებულ ყველა ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს.

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო მრჩეველმა** სტივენ სესტანოვიჩმა თბილისში ვიზიტისას „კვირის პალიტრას" განუცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად ებმება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში და, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება 17 ნოემბერს ჟენევაში დაგეგმილ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების მორიგ რაუნდს. ამასთან, აშშ-ის კონგრესი განიხილავს აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის 5 მილიონი დოლარის გამოყოფის საკითხს, გარდა ამისა, ნავარაუდევია 70 მილიონი დოლარის გამოყოფა აფხაზეთში ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად, მაგრამ ამ თანხის გამოყოფა-არგამოყოფა უშუალოდ უკავშირდება კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. თუ ეს პრობლემა არ გადაიჭრა, აღნიშნული თანხა, დსთ-ის რომელიმე სხვა რესპუბლიკას მოხმარდება.

**„პრეზიდენტი საკმაოდ გამბედავია,** როცა ის ფრონტის წინა ხაზზე გადის და საკმაოდ რისკიანიცაა. მაგრამ მას მინიმუმამდე დაჰყავს რისკი, როდესაც საქმე ეხება ხელისუფლებისათვის სავარაუდო საფრთხეს. ამიტომ იგი არ უპირისპირდება არც ერთ მაფიას მანამ, სანამ დროთა განმავლობაში, თავად ეს მაფია არ ამოწურავს საკუთარ თავს", — განაცხადა ედპ-ის ლიდერმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ, რომელმაც დაგმო და „მიწასთან გაასწორა" საქართველოს პროკურატურის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ედპ-ის მიერ პროკურატურისთვის გადაცემული 259 აუდიოკასეტიდან, რომელიც კახა თარგამაძის დანაშაულებრივ ქმედებებს ამხელდა, მხოლოდ ერთი იქნა გაშიფრული. სწორედ ამ ერთი კასეტის მასალების საფუძველზე, პროკურატურამ არასაკმარისად მიიჩნია თარგამაძის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიების განხორციელება. მეტიც, პროკურატურის დასკვნაში ნათქვამია, რომ მთელი ეს მასალა ცილისწამებას და ჭორს წარმოადგენს. პროკურატურამ დანარჩენი 258 კასეტა არ გაშიფრა იმ მოტივით, რომ ისინი არაკანონიერი გზით არის მოპოვებული.

**სარიშვილი-ჭანტურია აღნიშნული ინფორმაციის მიმწოდებელს არ ასახელებს** და აღნიშნავს, რომ დეპუტატის უფლებებით ისარგებლებს და უახლოეს მომავალში, კახა თარგამაძის საქმეს პროკურატურის წინააღმდეგ დაწყებულ საქმესაც დაამატებს. ამ გზით იგი აიძულებს პროკურატურას, გაშიფროს 258 კასეტა, სადაც თავმოყრილი ინფორმაცია დაადასტურებს, რომ მრავალი ცნობილი პიროვნების არაკანონიერ საქმიანობას მფარველობას უწევს სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრო და... თავად მინისტრი!

**თავად მინისტრმა კი, ღირსეულად ჩაატარა პოლიციის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი** და პრეზიდენტისგან ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიიღო. ხოლო შემდეგ, სატელევიზიო პროგრამა „პროფილში" გამოსვლისას, კახა თარგამაძე არაორაზროვნად დაემუქრა მის „კეთილისმყოფლებსა და კეთილმოსურნეებს". ამ მუქარასთან დაკავშირებით, ედპ-ის ლიდერმა განაცხადა, რომ ედპ-ის მუქარა ადრეც ბევრი სმენია, მათ შორის, მაშინაც, როცა პარტიის ლიდერებთან (გიორგი ჭანტურიასთან და მასთან), სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის იგორ გიორგაძეს ჩინი მოუმატეს. ამიტომ, პრეზიდენტს მომავალში კიდევ ერთი შეცდომის აღიარება მოუწევს, მიაჩნია ირინა სარიშვილი-ჭანტურიას.

**თბილისში სატელეფონო ტერორისტთა „კაიფმა" კულმინაციას მიაღწია.** 10 ნოემბერს, გაერთიანებული ქართული ბანკის ჩუღურეთის რაიონის ფილიალის მთელი მომსახურე პერსონალი და იქ მყოფი მოქალაქეები განგაშით გამორეკეს ქუჩაში, შენობას კი ალყა შემოარტყა პოლიციამ. მთელი ამ სპექტაკლის გამართვის მიზეზი გახლდათ დაუდგენელი პირის სატელეფონო ზარი, რომ შენობაში ბომბია. დაახლოებით ორი საათის განმავლობაში სხვადასხვა სპეცსამსახურის მაძებრები და მეძებრებიც ეძებდნენ ბომბს, მაგრამ ამაოდ... ფილიალის მუშაკებმა მშვიდად განაგრძეს თავიანთი საქმიანობა.

**14 ნოემბერს, დილის 9 საათზე,** ოქროს უბანში ორსართულიანი სახლი ჩამოინგრა. ნანგრევებმა მეორე სართულზე მცხოვრები 32 წლის ნატო მელიქიძე მოიყოლა. რამდენიმე საათის განმავლობაში ქალის ბედი გაურკვეველი იყო, თუმცა, შემთხვევის ადგილას დაუყოვნებლივ გამოცხადებული პოლიციელები ხალხს ამშვიდებდნენ: სარდაფიდან ხმა შემოგვესმა, ე.ი. ნატო ცოცხალიაო.

ფიროსმანის 16 ნომერში მცხოვრებთა განმარტებით, ნატომ კედლების რყევა იგრძნო თუ არა, შვილები სკოლაში გაისტუმრა, დედამთილი გარეთ გაიყვანა და მეზობელს შესჩივლა: მგონი სახლი ინგრევაო. კედლები მართლაც ყანყალებდა. საშველად მუშები იხმეს. მუშებს ნატოც აჰყვა. შემდეგ მარტო დარჩა სამზარეულოში. ამ დროს სახლი ჩამოინგრა.

მეზობლები მომხდარს ძველი, დაბზარული სახლის პირველ სართულზე წამოწყებულ სამშენებლო სამუშაოებს უკავშირებენ. აქ კომერციული მაღაზია უნდა გახსნილიყო. შენობამ დატვირთვას ვერ გაუძლო.

საბედნიეროდ, შემთხვევა უმსხვერპლოდ დასრულდა. ნატო მელიქიძე გადარჩა. მაშველთა ჯგუფმა იგი თორმეტ საათზე ამოიყვანა სარდაფიდან.

**(ელიზი-ნიუსი)** „რუსთავის პროკურატურის გამომძიებელმა მატკავამ მუხანათურად დამაპატიმრა, — ნათქვამია მიმართვაში, რომელიც ქართლოს ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს გამოუგზავნა. ღარიბაშვილის თქმით, დაპატიმრების მიზეზი ადვოკატთა კორპორაციის საქმიანობაა, — „რეაქციულ ძალებს სურთ, დაანგრიონ ადვოკატთა კორპორაცია, რომელიც ერთი წლის წინ იყო იდეა, დღეს კი რეალობაა", — ამბობს ღარიბაშვილი და დასძენს, რომ დაპატიმრება ხელს არ შეუშლის, გააძლიეროს ბრძოლა ტოტალიტარიზმის ნარჩენების წინააღმდეგ.

ქართლოს ღარიბაშვილმა, პატიმრობიდან განთავისუფლებამდე, თავისი უფლებები ადვოკატთა დამოუკიდებელი კორპორაციის ადვოკატს, ალექსი კობაიძეს გადააბარა, რომელიც მან ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა.

**(ელიზი-ნიუსი)** ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა უკანონოდ დაპატიმრებულ ქართლოს ღარიბაშვილის დასაცავად რუსთავში ჩასული პარლამენტარის, ელენე თევდორაძის მოლაპარაკება რუსთავის პოლიციის უფროსთან, რუსთავისა და ქვემო ქართლის რეგიონულ პროკურორებთან.

ამ შეხვედრას თვითონ ქართლოს ღარიბაშვილიც ესწრებოდა. როგორც ელენე თევდორაძემ პოლიციის უფროსის კაბინეტში ორსაათიანი მოლაპარაკებიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა, პროკურორი დაპირდა, რომ ორშაბათს განიხილავენ მის შუამდგომლობა-განცხადებას, ღარიბაშვილის განთავისუფლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ დაკავებულს საქართველოს პარლამენტის პენიტენციალური ქვეკომიტეტის თავმჯდომარე თვითონ უდგება თავდებად.

# ღარიბაშვილზე განაწყენებული ნებისმიერი მოსამართლე გაათავისუფლებს მას...

ბოლო დროს, ისე შევეჩვიეთ სკანდალებს, რომ თითქოს ალარაფერს არ უნდა გაევეოცებინეთ, მაგრამ ის, რაც ხუთშაბათს, 13 ნოემბერს მოხდა რუსთავში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სრული მოულოდნელობა გამოდგა. **ეს ფაქტი, შეიძლება, მივაკუთვნოთ სუპერსკანდალურ მოვლენათა რიგს, რომლის ფინიშის პროგნოზირებაც კი, ამ ეტაპზე, შეუძლებელია. საქმე მარტო ის არ არის, რომ დაიჭირეს ქართლოს ღარიბაშვილი, ცნობილი ადვოკატი და ადვოკატთა დამოუკიდებელი კორპორაციის პრეზიდენტი. სასკანდალოა პირველ რიგში ის, რომ „ოთხკედელშუა" აღმოჩნდა ყოფილი დეპუტატი და, წინასაპრეზიდენტო არჩევნებისას საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი.** დღეს ეს ფაქტი, ჩვენ, რატომღაც გვავიწყდება და ყურადღებას არ ვაქცევთ, არადა, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავსი მოვლენა საერთოეროვნულ და სახელმწიფოებრივ რეზონანსს დაუყოვნებლივ ჰპოვებს ხოლმე. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში დაახლოებით რაღაც ამგვარი მოხდება აქაც, თუ, რა თქმა უნდა, ბატონი ქართლოსი „მაგრად გაქაჩეს". მაგრამ მისი გათავისუფლების შემთხვევაშიც არ დაესმება წერტილი საქმეს, რადგან, რამდენადაც ქართლოს ღარიბაშვილს ვიცნობთ, ახლა თავად ის შეეცდება „მავანთა" პასუხისგებაში მიცემას. მოკლედ, რომ იტყვიან, ყველაფერს დრო გვიჩვენებს, მაგრამ უკვე ამთავითვე შეიძლება ერთ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება.

ბოლო ერთი წლის მანძილზე ჩვენი საზოგადოება შეეჩვია ქართლოს ღარიბაშვილის სკანდალურ განცხადებებს, რომლებიც მიმართული იყო ან რომელიმე პიროვნების, ან ორგანიზაციისა თუ ფირმის წინააღმდეგ. ადვოკატი პირდაპირ სდებდა მათ ბრალს მექრთამეობასა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში. თვალში საცემი იყო ისიც, რომ მის განცხადებებს დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა ხოლმე მხარდაჭერა საკმაოდ მაღალი ტრიბუნებიდან, ვთქვათ, პარლამენტიდან. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს ერთი მთლიანი ჯაჭვი იყო და ერთ გარკვეულ ინტერესს ემსახურებოდა, — კერძოდ, ამა თუ იმ პიროვნებისა და მის უკან მდგარი ორგანიზაციისა თუ ადამიანთა ჯგუფის დისკრედიტირებას. ამიტომაც არ გვიკვირდა მთარული ხმებიც, რომლის თანახმადაც, ბატონი ქართლოსი ხელისუფლების გარკვეული წრეების ინტერესების დამცველად გვევლინებოდა. და უცებ, ხელისუფლება აპატიმრებს არცთუ იოლად ხელწამოსაკრავ ადვოკატსა და პიროვნებას. ჩნდება თავსატეხი, რაღაც აბსურდული კროსვორდი, რომლის ლაბირინთებში გარკვევას, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება.

და კიდევ, საყოველთაოდ ცნობილია ქართლოს ღარიბაშვილისა და შალვა რჩეულიშვილის დაპირისპირებისა და, გნებავთ, მტრობის ამბავიც. მით უფრო საინტერესო უნდა იყოს ბატონი შალვას მოსაზრებები ქართლოს ღარიბაშვილის ირგვლივ დაწყებულ ამბებთან დაკავშირებით. მანამდე კი, მოკლედ შეგახსენებთ, თუ რა მოტივით და როგორ მოხდა ქართლოს ღარიბაშვილის დაკავება.

ამას წინათ, ბატონმა ქართლოსმა საჯაროდ ბრალი დასდო ჩუღურეთის რაიონის მოსამართლე მიხეილ ოთარაშვილს, რომ მან ერთ-ერთ სასამართლო საქმეში 20.000 დოლარი ქრთამი აიღო („კვირის პალიტრისთვის" ცნობილი გახდა, რომ ღარიბაშვილი და ოთარაშვილი თანაკურსელები და წლების მანძილზე გადაბმული ძმაკაცები იყვნენ). მოსამართლემ ადვოკატს უჩივლა. 13 ნოემბერს რუსთავის პროკურატურაში გამართული ღარიბაშვილ-ოთარაშვილის ხუთსაათიანი დაპირისპირების შემდეგ, ღარიბაშვილი დააპატიმრეს. გარდა ოთარაშვილის საჩივრისა, დაპატიმრების მოტივში გამოჩნდა ღარიბაშვილის მიერ სამხედრო მოსამართლის, შალვა მთიულიშვილის ცემის ბრალდებაც, რის გამოც რამდენიმე თვის წინ, სისხლის სამართლის საქმე აღეძრავთ, მაგრამ შემდეგ შეუწყვეტიათ. ახლა კი, როგორც ჩანს, თუ საქმეს მსვლელობა მიეცა, მთიულიშვილის ცემის ფაქტიც იფიგურირებს ღარიბაშვილის წინააღმდეგ (მთიულიშვილი კი აცხადებს, რომ მომხდარი ინციდენტი მათი პირადი საქმეა) დაწყებულ კამპანიაში. მოკლედ, ასეა თუ ისე, ამას ყველაფერს გამოძიება გაარკვევს, თუმცა, არც იმის ილუზია გვაქვს, რომ იქ ყველაფერი რიგზე იქნება, რადგან ღარიბაშვილი ის კაცია, რომელსაც ასე იოლად „ვერ ქაჩრან".

ახლა კი ბატონ შალვა რჩეულიშვილს მოვუსმინოთ:

— ქართლოს ღარიბაშვილის საქმე საინტერესოა იმით, რომ იგი, პრაქტიკულად, — პროვოცირებულია! პროვოცირებულია არა იმიტომ, რომ, ვთქვათ, ღარიბაშვილს არ დაუშვია არავითარი დარღვევა, არამედ იმიტომ, რომ გარკვეულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა თვითონ შექმნეს ფონი ამგვარი დარღვევა-დანაშაულობებისათვის. წლინახევრის წინათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შეიძლება საჯაროდ მიაყენო შეურაცხყოფა მოსამართლეს, ბინძურად მოიხსენიო გამომძიებელი და პროკურორი, ვგულისხმობ, ასევე მათ მიმართ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს, მუქარას და ა. შ. სწორედ ამ წელიწადნახევარში გამოიკვეთა იმის აშკარა ტენდენციაც, რომ მთელი ამჟამინდელი სასამართლო და სამართალდამცავი სისტემის მოცილება სურთ, კერძოდ, ვინც დღეს მუშაობს, სწორედ მათი გარეკვა უნდათ სამსახურებიდან.

**— ესე იგი, დავაკონკრეტოთ, ბატონო შალვა, ვისი გარეკვა სურთ?**

— გამომძიებლების, პროკურორების, მოსამართლეების მთელი კადრებისა, რათა მათ ადგილზე თავიანთი ხალხი მოიყვანონ. ეს სერიოზულ პრობლემად იქცა, რადგან ჩვენ რომ „ოქტომბრის რევოლუციას" ვიწყებდეთ, როცა საერთოდ გარეკეს და ამოჟლიტეს ძველი კადრები და მართლმსაჯულებაში სრულიად ახალი, გაუნათლებელი და გამოუცდელი ხალხი მოიყვანეს, ეს სხვა საქმეა. დღეს კი, ამგვარი „რევოლუციური" მეთოდის დანერგვა გაუმართლებელი და დანაშაულებრივია, მით უფრო, რომ ჩვენ ქვეყნის ევოლუციურ განვითარებაზე გვაქვს ყველაფერი დამყარებული. სწორედ ასე აშკარა და შეგნებული დისკრედიტირება სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო კორპუსისა იძლევა ასეთ შედეგებს. როცა მაღალი ტრიბუნებიდან მთელი ქვეყნის გასაგონად აცხადებენ, რომ აბსოლუტურად ყველა გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე მექრთამეა (რადგან არ შეიძლება არ იყვნენ, იმდენად მიზერული ხელფასი ეძლევათ), ეს უკვე აშკარად მიუთითებს მათ გარკვეულ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე სამართალდამცავი ორგანოებისადმი. სწორედ ამგვარი ვითარების არსებობა მიმაჩნია მე ქართლოს ღარიბაშვილის დაკავების ნოყიერ საფუძვლად და არა ის, რომ მისი მხრიდან რაღაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ჰქონდა ადგილი. ამას გამოძიება გაარკვევს, მაგრამ ყველაფერი რომ ხელოვნურადაა შექმნილი, აშკარაა.

**— კონკრეტულად მომხდარი ფაქტის შესახებ რა ინფორმაცია გაქვთ? გაისმა ხმები, თითქოს თქვენ აპირებთ ღარიბაშვილის დაცვას...**

— დღეს ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი სისტემაა საქართველოში, რომ არამცთუ მე, ოფიციალურად გაფორმებულ დამცველსაც კი არ აჩვენებენ სრულ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც არის ესა თუ ის პიროვნება დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული, ქართლოსის შემთხვევაში — დაკავებული. ისეთი ვითარებაა, რომ, პრაქტიკულად, ადვოკატებმა, ძიების დამთავრებამდე, ხშირად საქმის ძირითადი ნაწილი არ იციან. სამწუხაროდ, კანონში შემოიღეს, რომ ადვოკატს რამდენიმე დოკუმენტის გაცნობის უფლება აქვს, ხოლო დანარჩენს შეუძლია გაეცნოს ძიების დამთავრების შემდეგ. ის რომ, შეიძლება კაცი 9 თვე ტყუილად და უსამართლოდ იჯდეს ციხეში, ეს არავის აფიქრებს. ამას კი, ხშირად ის შედეგი მოსდევს, რომ თუ ადამიანი უსამართლოდაა დაჭერილი, მისი უდანაშაულობის გარკვევის შემთხვევაში, გამომძიებელი საკუთარი თავის გადასარჩენად ცდილობს, გააყალბოს მასალები, რადგან თუ ბრალდება არ დადასტურდა, უკვე ის აგებს პასუხს ადამიანის დიდი ხნით დაკავების გამო...

რაც შეეხება ხმებს, დავიცავ მე ღარიბაშვილს თუ არა, ეს იქიდან არის წამოსული, რომ აქცენტი აქეთკენ გადმოიტანონ, რათა საზოგადოება ვერ გაერკვეს, თუ ვინ არის დამნაშავე ღარიბაშვილის ირგვლივ დაწყებულ ამბებში. რაშიც მართალია, ქართლოსი, ამას სხვების დაუხმარებლადაც მშვენივრად დაამტკიცებს, ხოლო თუ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები აქვს ჩადენილი, იქ ვერც რჩეულიშვილი გამოადგება. მაგრამ იქნება რჩეულიშვილი მისი დამცველი თუ არა, ერთი რამ უდაოა: ღარიბაშვილი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ. თუნდაც, რომ დაუდასტურდეს დანაშაული, მუხლი არ ითვალისწინებს მის აუცილებელ დაკავებას. ამიტომ, გამოდის, რომ ვილაცებმა წინასწარ უკვე გადაწყვიტეს ღარიბაშვილის პატიმრობაში ყოფნა. საერთოდ, მე იმასაც გამოვრიცხავ, რომ ღარიბაშვილს საპატიმრო სასჯელი მისცენ.

**— ესე იგი, გამოდის, რომ ღარიბაშვილის თავიდან მოშორება ხელისუფლებაში ხელს აძლევს ვილაცას?**

— არ ვიცი, მაგრამ ვიტყვი, რომ ღარიბაშვილი „ააგულავეს". ისეთი გარემო შექმნეს, რომ ქართლოსი რასაც მეტს იტყოდა ცუდს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებზე, მით უფრო დააახლოებულ პირად გამოჩნდებოდა იმათთან, ვისაც ძველი კადრების მოშორება აქვთ გადაწყვეტილი. ნახეთ, ფაქტობრივად, რა მოხდა? ზემოდან ყვიროდნენ, — ყველა მექრთამეაო, ქართლოსი კი იქამდე მიიყვანეს, რომ ათქმევინეს — ერთი, კონკრეტული პიროვნებაა მექრთამე და დააკავეს!

**— მაგრამ, ქართლოს ღარიბაშვილი ჭკვიანი და გამოცდილი პიროვნებაა და დავიჯეროთ, ვერ ხვდებოდა, რომ ვილაცის ხელში თოჯინა იყო?**

— ეტყობა, ქართლოსი ფიქრობდა, რომ ვის ხელშიცაა ძალაუფლება, ამათ მოსწონთ ჩემი პოზიცია, თანაც ყველას უწოდებენ იმას, რაც მე ერთის წინააღმდეგ ვთქვი და რატომ გამწირავენო? ამასთან, მსგავსი განცხადებები ქართლოსს უშიშარი და პრინციპული ადვოკატის სახელს უმკვიდრებდა და სწორედ აქ „გამოიჭირეს". დღეს კი ამბობენ, ძალიან კარგი ქენით, რომ დაიჭირეთო! შეიძლება ასე?

**— თქვენი აზრით, დაუდასტურდება ის ბრალდება ღარიბაშვილს, რის გამოც დააკავეს?**

— იცით, აქ რაღაც ეშმაკობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, ვფიქრობ, რომ დაუდასტურდება, რადგან როცა ღარიბაშვილი აცხადებდა — ოთარაშვილმა ამა და ამ საქმეში ქრთამი აიღოო, ქართლოსმა შესანიშნავად იცოდა, რომ ოთარაშვილის განხილული არ იყო ის საქმე! ეტყობა, სწორედ, რომ პოპულიზმის ფაქტორს წამოეგო ღარიბაშვილი, რათა ამ განცხადებითაც ისევ იმათ წისქვილზე დაესხა წყალი, ვინც ვიმეორებ, ძველი კადრების გარეკვას აპირებს.

**— ის, რაც ღარიბაშვილს შეემთხვა, ხომ არ არის იმის მანიშნებელი, რომ სხვებიც გაიზიარებენ მის ხვედრს, ვთქვათ, თქვენც?**

— ამ შემთხვევაში, მხოლოდ ადვოკატები არ არიან „ყურადღების" ქვეშ. საქმე ეხება მთელი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას. ისეთი გზა აირჩიეს, რომ ადვოკატთა კოლეგიის ერთიანი სისტემა დაშლილიყო, შექმნეს ადვოკატთა ცალკეული ასოციაციები. ამან კი ის მოიტანა, რომ პროკურორებს საშუალება მიეცათ, ადვოკატთა კოლეგიის გვერდის ავლით მოაშორონ ადვოკატები საქმეებს. ამიტომ აუცილებელია, შენარჩუნდეს ადვოკატთა კოლეგია. ქართლოს ღარიბაშვილი თავის კორპორაციითურთ, მისი წევრი რომ ყოფილიყო, მის საკითხს კოლეგია განიხილავდა, გააფრთხილებდა და ისიც აქამდე აღარ მოვიდოდა. დაფიქრდებოდა, რომ ამდენი ტაშისკვრით, მავანნი, რომლებსაც ქართლოსის თითოეული განცხადება დროშად ჰქონდათ ატაცებული, სისხლის სამართლის დანაშაულისკენ უბიძგებდნენ მას. ამიტომაც ვამბობ, რომ უზნეობაა მათი მხრიდან ღარიბაშვილის გაწირვა. ვიმეორებ, იმას კი არ ვამბობ, ძიება რატომ დაიწყო-მეთქი, არამედ იმას, რომ დაუშვებელია ღარიბაშვილის დაკავება. დარწმუნებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ღარიბაშვილზე განაწყენებულნი არიან მოსამართლეები, რომელთაც სახელს უტეხავდა ქართლოსი, ნებისმიერი მოსამართლე, ვისთანაც არ უნდა შეიტანონ მოთხოვნა თავისუფლებისაღმკვეთი ღონისძიების შეცვლაზე, მას შეცვლის და გაათავისუფლებს. მასთან ანგარიშსწორება დაუშვებელია. იმ ვითარებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რამაც ასეთი რამ შესაძლებელი გახადა და რაც ორი წლის წინათ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა...

**— გმადლობთ.**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ერთობლივი განცხადება

28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი – „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კატეგორიულად ვაცხადებთ, მიღებული შესწორება არის ჩვენზე ზეწოლის, დიქტატის და ცენზურის განხორციელების მცდელობა. ჩვენს მიერ შემუშავებული კონკრეტული წინადადება სამშაბათს წარედგინება პარლამენტის თავმჯდომარეს, ზურაბ ჟვანიას.

***გაზეთები:***

„ალია", „რეზონანსი", „ახალი თაობა", „7 დღე", „კავკასიონი", „დრონი", „კვირის პალიტრა", „ასავალ-დასავალი", „დილის გაზეთი", „ადვოკატი-მეოხი", „მანსი", „მერიდიანი-44", „ახალგაზრდა ივერიელი"

***რადიო-ტელევიზია:***

„რუსთავი-2", „საქართველოს ხმა", „კავკასია", მეორე არხი, რადიო-პროგრამა, „პიკის საათი"

***საინფორმაციო სააგენტოები***

„იბერია", „ბეა", „პრაიმ-ნიუსი", „იფრინდა", ბს პრესს, „ელიზი-ნიუსი", „კავკაზ-პრესი".

# საქართველოს ხელისუფლებას — პრესის ეშინია

1997 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" მასმედიის მხრიდან სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა. საქართველოს უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ ზემოაღნიშნულ კანონში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან შეუთანხმებლად ცვლილებები შეიტანა. ამ ცვლილებებით კი, ფაქტობრივად, თავისუფალი მასმედია შინაარსობრივ დატვირთვას კარგავს და, რეალურად, ფორმალურ მნიშვნელობას იძენს. თავისუფალი პრესა კი, ყველაზე მეტად ამ კანონის მეოთხე მუხლით იზღუდება, სადაც ვკითხულობთ: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება, სხვათა უფლებების, პატივისა და ღირსების ხელყოფა, სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება, იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულს ან საიდუმლოდ არის მიჩნეული სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით".



რას ნიშნავს „კონფიდენციალური ინფორმაცია"?

აღნიშნულ მუხლში გაუგებარია — რა იგულისხმება „კონფიდენციალურ ინფორმაციაში", ასევე „სასამართლოებზე პრესის მიერ ზემოქმედებასა" თუ ისეთი ინფორმაციის გავრცელებაში, რომელიც საიდუმლოდ არის მიჩნეული. ყოველივე ეს კანონში იმდენად ბუნდოვანი და ზოგადია, რომ მავანს და მავანს კონკრეტულ სიტუაციაში სრული თავისუფლება ეძლევა, პრესას ბორკილები „უსაჩუქროს".

გაუგებრობა, პრესის კანონის ცვლილებების ავტორმა რამაზ საყვარელიძემ არასამთავრობო ორგანიზაციაში „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებების დაცვისთვის", მასმედიის წარმომადგენლებს იმით აუხსნა, რომ თურმე, პრესის კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის ვადა 25 ნოემბერს იწურებოდა და ამ მიზნით გაკეთდა ეს ცვლილებები. თუმცა, პარლამენტარმა ვერ განმარტა, რა იგულისხმებოდა „კონფიდენციალურ ინფორმაციაში", „სასამართლოებზე პრესის მიერ ზემოქმედებაში" და ვერც „საიდუმლო ინფორმაციის" შინაარსი დაუკონკრეტა ჟურნალისტებს. რამაზ საყვარელიძემ აღნიშნული კანონის ნაკლოვანებები არ უარყო და ჟურნალისტებს კონკრეტული წინადადებების წარმოდგენა შესთავაზა.

აღსანიშნავია, რომ მასმედიასა და არამარტო მასმედიის წარმომადგენლებს, სერიოზული ეჭვი გაუჩნდათ იმის თაობაზე, რომ ხომ არ არის ეს ჯაბა იოსელიანის და სხვათა პროცესის მოახლოებით გამოწვეული? მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ, საზოგადოება მოუთმენლად ელის ამ გახმაურებული პროცესის დაწყებას, პარლამენტის მასმედიის კომიტეტის თავმჯდომარე რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ მას კანონის შედგენისას ეს პროცესი არც კი გახსენებია და კანონის მიღებას პროცესის დაწყებასთან არანაირი კავშირი არ აქვსო.

***მარინა მამისაშვილი***

ქაღალდი

პოლიგრაფიული მასალები

☎ 98-74-44
33-78-07

ოფსეტური №1 – უმაღლესი სითეთრის, 60 სმ სიგანის რულონებში, სიმკვრივე 60 დან 120 გრ/მ²-მდე
ცარცის (LEIKAM, ავსტრია) – ფორმატი 64X90, 70X100, სიმკვრივე 80-დან 330 გრ/მ²
ეტიკეტის (შეედეთი) – ფორმატი 70X100, სიმკვრივე 80, 90 გრ/მ²

# „ფრაქციის ნაწილს ჩემი საქციელით ვაღიზიანებ..."

პარლამენტის შენობის VI სართულზე, სადაც ელენე თევდორაძის მისაღებია, არა სასესიო კვირას უჩვეულო ხალხმრავლობაა. ათეულობით გაჭირვებული ადამიანი მისგან დახმარებას ელის და ქალბატონი ელენეც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ჩვენი კორუმპირებული სახელმწიფოსათვის, უანგაროდ ეხმარება მათ. როგორც ამბობენ, თურმე, მავანნი მისი სახელით სპეკულანტობენ კიდეც, ხოლო მავანნი — ძალოვანი სტრუქტურების ზოგიერთ ულირს წარმომადგენელს ელენე თევდორაძესთან ჩივილით ემუქრებიან. ქალბატონი ელენე კი თავის საქმეს აკეთებს...

**— მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის სხდომაზე, რომელზეც კანდიდატად სალარიძე წარადგინეს, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ თქვენი საქმიანობა შეაფასა, როგორც უპრეცედენტო მოვლენა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ასეთი ავტორიტეტის მოპოვებას, ვფიქრობ, ადამიანის შინაგანი ბუნება უწყობს ხელს, როგორ გახდით ელენე თევდორაძე?**

— ალბათ, ეს ჩემმა ხასიათმა განაპირობა. ყოველთვის ვამბობდი იმას, რასაც ვფიქრობდი. 25 წლის ვიყავი, როცა რუსთავის ქალაქკომის კომკავშირის მდივნის გაგზავნეს. სულ 7 თვე გავძელი ამ თანამდებობაზე. ცეკადან სირცხვს ვგრძნობდი — ან არაფერი უნდა გეთქვა, ან უნდა გეთქვა ტყუილი, ამიტომ ჩემი განცხადებით წამოვედი და დავბრუნდი სკოლაში. მაშინდელმა ცეკას მდივანმა ოთარ ჩერქეზიამ დამიბარა და მითხრა, — თავს ნუ დაიღუპავო, მაგრამ მაინც უარი ვთქვი უკან დაბრუნებაზე. ახლაც, როცა დეპუტატი გავხდი, ისეთ საქმეებს მოვკიდე ხელი, რომელზეც არავინ არასოდეს არ ლაპარაკობდა, თუმცა, ბევრი იყო შეხებული.



**— ადამიანის თვისებების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ბავშვობას უკავია, როგორ იზრდებოდით?**

— მძიმე ბავშვობა გავიარე. მე ვარ ის ბავშვი, რომელიც ლადოგის გზით გამოიყვანეს ლენინგრადის ბლოკადიდან. მამა არ მახსოვს, ის კადრის ოფიცერი იყო და ფინეთის ომის მერე პირდაპირ სამამულო ომში წაიყვანეს. დედაჩემი ლენინგრადელი იყო. როცა ბლოკადის დროს გზა გაიხსნა, ბაბუა თბილისიდან ჩამოვიდა და წამომიყვანა, — 2-3 წლის ვიქნებოდი. პირველად დედაჩემი რომ ვნახე, 7 წლის ვიყავი. ბებია და ბაბუა არასოდეს მიხსენებდნენ დედას, არ იცოდნენ, მკვდარი იყო თუ ცოცხალი. ერთ მშვენიერ დღეს მითხრეს, — დედა უნდა ჩამოვიდესო. შეშინებული საწოლის ქვეშ დავიმალე... ვილოდი, ვინ უნდა შემოსულიყო, ... არ ვიცი... ამ დროს ოთახში შემოდის საოცრად ლამაზი ქალი, საწოლის ქვეშიდან გამომიყვანა და ვეკითხები, — პრინცესა ხარ? ის მპასუხობს, — მე დედაშენი ვარ. მე ვუყურებდი: ასეთი ლამაზი დედა არ უნდა მყავდეს. სანამ დედაჩემი არ აჩვენეს, არ გამოვძვერი საწოლის ქვეშიდან. პრინცესის ტიტული არ იცის, რადგან ტიტი, ... დედაჩემი ხარ-მეთქი, ვუთხარი. იმ დღიდან დავმეგობრდით. დედა მთელი ცხოვრება ავადმყოფობდა, ბავშვობიდანვე მასზე მზრუნველი მე ვიყავი. სხვა არავინ გვყავდა. VIII თუ IX კლასში ვიქნებოდი, კიბო დაემართა და მე მოვაწერე ხელი, მე ავიღე პასუხისმგებლობა მის ოპერაციაზე, უფრო სწორად, შედეგზე. ყოველთვის ასე ვიზრდებოდი, თვითონ ვაგებდი ჩემს თავზე პასუხს...

**— სტუდენტობიდან სასიამოვნოს რას გაიხსენებდით?**

— ლენინგრადის უნივერსიტეტში სწავლა მაშინ დავიწყე, როცა ედიტა პიეხა ჩვენს უნივერსიტეტს ამთავრებდა. მას უკვე გუნდი ჰყავდა, აღარ მახსოვს, რა ერქვა. საკმაოდ ცნობილი იყო სსრკ-ში. მე მათ კონცერტებზე წამყვანი ვიყავი.

**— ძალიან ენერგიული ბრძანდებით, სპორტის რაიმე სახეობას ხომ არ მისდევდით?**

— ქორეოგრაფიულ სტუდიაში ვსწავლობდი. ერთხელ ბაბუაჩემი მოვიდა ვარჯიშის დროს, ამდენი გახდილი ქალი რომ დაინახა, მითხრა, — შენ აქ აღარ მოხვალო... სპორტსაც მივსდევდი, პარაშუტით ვხტებოდი, ვეძებდი იმას, რაც უფრო რთული იყო...

**— როგორ ფიქრობთ, იპოვეთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში?**

— მიზნის მისაღწევად ყოველთვის ჩემს თავზე ვიყავი დამოკიდებული, ძალიან მიყვარს ბავშვები, დავისახე მიზნად, მასწავლებელი გავმხდარიყავი — გავხდი, სკოლის დირექტორობა განვიზრახე და — გავხდი. ახლაც, როგორც დეპუტატმა, დავისახე მიზანი, ეს უნდა გავაკეთო-მეთქი. ხომ გავაკეთე? თუმცა, არ იყო ადვილი ამ სფეროში მუშაობა.

**— ომბუდსმენის კანდიდატურა პარლამენტის სხდომაზე სამჯერ დადგა, მე დროის ამ საქმის აღიარებული ავტორიტეტი ელენე თევდორაძე, თავისსავე ფრაქციამ არ წამოაყენებინა კანდიდატად. რატომ?**

— ჩემს ლიდერებს ომბუდსმენის კანდიდატად ჩემი თავი ეგონათ შესაფერი. ალბათ, პრეზიდენტთან და უარყოფითი პასუხი მიიღეს. ბატონი ედუარდი ჩემი პარტიის თავმჯდომარეა და მასთან შეუთანხმებლად ფრაქცია ვერ გადადგამდა ამ ნაბიჯს, თუმცა ფრაქციის ნაწილს ჩემი საქციელით ვაღიზიანებ.

**— ჩვენი თაობა თავის დროზე აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში, საბოლოოდ კი, ხელისუფლების მხრიდან სრული გულგრილობა დაინახა, ასეთ სიტუაციაში ესოდენ შეუძლებელი ხომ არ იქნება, ვიდრე კონკრეტული პარტიის თუ სახელმწიფო ინტერესების განხორციელება?**

— გეთანხმებით. მიუხედავად იმისა, დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ნაწილი ყველანაირად ეცდება იყოს ღირსეული ომბუდსმენი, მაინც ერთი რამ მეუფლება, — ადამიანმა, რომელიც მრავალი წელი იყო ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში, ვეღარ თქვას სახელისუფლებო ... ამ სისტემის არ ძალუძს.

**— როდის დაუბრუნდებით ქალბატონ ელენეს ომბუდსმენს?**

— პირველი დაბრუნებისას მოხდება მაშინ, როცა ბატონი დავითი, ვილიევი, ახლომდგომი ხალხი, გაჩუმებულ და ხმამაღლა არ იყოს დარღვეული.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მგონია, იმავე ძალისხმევით გააგრძელებთ თქვენს საქმიანობას.**

— ჩემს თავს არ მივცემ უფლებას, არ გავჯერდები; მეჩვაც გამხევით, უკვე ვიწყებ ჯარისკაცის უფლებებზე ფიქრს და მოქმედებას.

**— წარმატებებს გისურვებთ, დიდი მადლობა.**

*მარინა მამისაშვილი*

# „არა კაც ჰკლა"

ცივილიზებულმა მსოფლიომ კარგა ხანია, უარი თქვა სასჯელის უმაღლეს ზომაზე — სიკვდილით დასჯაზე. თანამედროვე საქართველოს არ ასვენებდა კითხვა — უნდა გაუქმდეს თუ არა სიკვდილით დასჯა?!

გამოკითხვამ სხვადასხვა შედეგი მოიტანა — ხან გაუქმების მომხრეები სჭარბობდნენ, ხანაც — პირიქით. ზოგჯერ შედეგი თანაბარი იყო.

საქართველოსთვის ეს მტკივნეული საკითხი ახალი არ არის, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, თამარის მეფობისას, სიკვდილით დასჯა სახელმწიფოებრივ დონეზე გაუქმებული იყოო, თუმცა, არავინ გამორიცხავს, რომ ეს აქტი არაოფიციალურად მაინც ხდებოდა. თამარის შემდეგ, შვიდი საუკუნე გავიდა. საქართველოს რესპუბლიკის (1918-21) მთავრობამ ეს სასჯელი კონსტიტუციით ამოიღო სასჯელთა სისტემიდან. გაიარა კიდევ 75 წელმა და საქართველოს პარლამენტი სიკვდილით დასჯის გაუქმება-არგაუქმების წინაშე დადგა.

კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს ახალმა უზენაესმა საბჭომ, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ფიქრი, ამ მტკივნეული საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. მაშინდელი კანონმდებლების ღვაწლს დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე არ ივიწყებს. 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭო თანმიმდევრულად აკეთებდა ყველაფერს, რათა ჩვენ დღევანდლამდე მოვსულიყავითო, — ბრძანებს.

„ღვთის ერთ-ერთი მცნება — „არა კაც ჰკლა" — ეს სიტყვები მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანებისადმი, ისე ცალკეული ხალხებისა და ერებისადმი", — ნათქვამია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პარლამენტისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც იგი მხარს უჭერს სასჯელის უმაღლესი ზომის გაუქმებას. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მე-15 მუხლის შესაბამისად, სიცოცხლე — ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა და მას კანონი უნდა იცავდეს.

1996 წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიმართვაში გამოცხადდა მორატორიუმი სიკვდილით დასჯის აღსრულებაზე. 1997 წლის 11 ოქტომბერს მრავალსაუკუნოვანი დავა დასრულდა — საქართველოს პარლამენტმა საქართველოში სიკვდილით დასჯა ერთხმად გააუქმა. იმედია, ეს გაუქმება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მესამე და საბოლოო იქნება.

„არავინ იფიქროს, რომ სიკვდილით გაუქმებით დამნაშავეებს ვინმე რამეს პატიობს. სასჯელის ეს ფორმა უვადო თავისუფლების აღკვეთით შეიცვალა. ეს უბრალო სასჯელი არ არის, ამგვარი პატიმრები გარესამყაროსგან იზოლირებულნი იქნებიან. მათ პაემნის უფლება არ უნდა ჰქონდეთ", — განაცხადა საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა.

კანონის ამოქმედებისთანავე, სამად-სამი ნებაყოფლობითი ჯალათი სამუშაოს დაჰკარგავს. თუმცა ისინი კარგა ხანია, უმუშევრები არიან, რადგანაც 1994 წლიდან საქართველოში არც ერთი სიკვდილით დასჯის განაჩენი არ აღსრულებულა. ამ კანონის მიღებით სახელმწიფომ უარი თქვა, ასევე ნებაყოფლობით მკვლელის იარლიყზე.

*მათე კირვალიძე*

# სასამართლო დამთავრდა, განაჩენი გამოტანილია



„მხედრიონელთა" სასამართლო პროცესს თბილისსა და ქუთაისში მთელი საქართველო ყურადღებით ადევნებდა თვალს და აი, როგორც იქნა, დასრულდა სასამართლოს ქუთაისური ნაწილი.

14 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ლენგერ ბოჭორიშვილის თავმჯდომარეობით, განაჩენი გამოუტანა „მხედრიონელთა" 13 კაციან ჯგუფს, რომელსაც ბრალად ედებოდა 1993 წლის 6-16 ნოემბერს ზუგდიდში ბანდიტობა, სოფლებში — დარჩელსა და ახალ კახათში 26 სახლის გადაწვა. განაჩენით: **ზაზა პაიჭაძეს** მიესაჯა 12 წელი, **ვაჟა ქრისტესიაშვილს** — 11 წელი, **დარეჯან გუგეშაშვილს** — 10, **კახა ჯინჭარაძეს** — 9, **გოჩა ჯინჭარაძეს** და **ნიკოლოზ კარაგეზოვს** — 8-8, **დავით წერეთელს, ივანე გორგოშიძეს, თემურ კაპანაძეს, ვარდენ ხავთასს, ტარიელ ნინილაშვილს, ჯონი კურტანიძეს** — 7-7, **გიორგი ზურაბიშვილს** — 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

*ალექსანდრე გოგებაშვილი*
*ქუთაისი*

# მკითხველი გვწერს

**პატივცემულო რედაქცია!**

**ჩემს მეუღლეს დაუჩემებია, რუსულად რომ აზრს გადმოსცემ ან რაიმეს დაახასიათებ, ქართული იმასთან ნულიაო. გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით (სხვა გაზეთს ის არ კითხულობს) მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქართული ენის ღირსების შესახებ, რომ მე ჩემი ქართულის დაცვა შემეძლოს ჩემს რუსულად გამოტვინებულ ქმართან.**

**პატივისცემით — მ ს.**

# ქართულითა ენითა...

სამწუხაროდ, ზოგი ქართველი ქართულ ენას გაუგულგრილდა, აღარც მისი სიწმინდე აინტერესებს და აღარც მოფრთხილება.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ენის შერყვნის მაგალითებს. რაღა შორს წავიდეთ, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჩვენი რჩეული დეპუტატები იმგვარი ქართულით მეტყველებენ, სირცხვილის ოფლში გაიწურები... და ლამის დაეთანხმო ერთი ჩვენი მკითხველის დაჯინებას — რუსულად უკეთ გამოითქმის ყოველგვარი აზრი, ვინემ ქართულადო(?!)...

სხვა დამპყრობთაგან განსხვავებით, რუსი, ორი საუკუნის წინ, ენის მოსპობითაც დაგვემუქრა, „მაღლის ენა" უწოდა ქართულს, მიწის მუშას და სახელმწიფო მოღვაწეს ერთნაირად დაამალა თავისი ენის შესწავლა და მოხმარება... უცხო ენის პრიორიტეტმა მეორე უბედურება გამოიწვია — გაორებული, გაყოფილი აზროვნება... ეს კი ერის განადგურების ერთ-ერთი ნიშანია.

უცხო ენაზე აღზრდილი ადამიანი ხომ ნაკლებ სამსახურს გაუწევს სამშობლოს, მისი ცნობიერება ხომ გადაჯიშებულია. სრულყოფილი ადამიანის ჩამოსაყალიბებლად მშობლიური გარემო, სამშობლოს დერეფა — ენაა საჭირო, რადგან თურმე, ჩანასახიც კი იმ ენაზე აზროვნებს, რომელზეც დედა. ასე რომ, რუსეთუმეობა უმძიმესი სენია.

დედაენის უარმყოფელი სამშობლოს უარმყოფელია, ის წუდება მუმუს, რომელმაც უნდა გამოკვებოს მისი ეროვნული ცნობიერება, თვითშეგნება...

ჩვენს ენას უცხოელები ოდითგან ტკბილხმოვანსა და ამოდსასმენს უწოდებდნენ... უფალი, მეორედ მოსვლის ჟამს ქართული ენით განსჯის კაცობრიობასო, — ასე დიდ მისიას აკისრებდა მას მე-10 საუკუნის საეკლესიო მოღვაწე და დიდი მწიგნობარი იოანე-ზოსიმე.

აკად. ნიკო მარი წერდა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რომ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა."

მსოფლიოში 3 ათასამდე ენაა, მაგრამ მხოლოდ 14-ს აქვს საკუთარი დამწერლობა, მათ შორისაა ჩვენი ანბანიც.

ქართულ ანბანზე აკად. პ. უსლარი ამბობდა, რომ იგი „სრულყოფილია არსებულ ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით."

ენა ცოცხალი ორგანიზმია — იზრდება, სუნთქავს, მალას იკრებს, ვითარდება, კნინდება, კვდება...

ენაში დალექილი და ჩაკირულია ერის ისტორია, ხასიათი, თვისებები...

უმდიდრესია ჩვენი ენა („მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა"), ქართული ზმნა სულ ცოტა, 15-ჯერ მაინც იცვლის ფორმას ისე, რომ ფუძეუცვლელი რჩება... სხვა ენათაგან განსხვავებით, ქართული ზმნა იმდენად მოქნილია, რომ მას არ სჭირდება ნაცვალსახელთა გამოყენება. მაგ. „მიყვარხარ", „ვაშენებ", „დადიხარ", „აკეთებს", „მზიანობს", „მშულს"... არსი ერთი სიტყვით მშვენივრად გადმოიცემა, ნაცვალსახელის გარეშე... განა გასაფრთხილებელი არ არის გამაოგნებლად ტევადი გამოთქმები: „თავს შემოგევლე", „ჩემო თვალის სინათლევ", „იყო და არა იყო რა", „მრავალჟამიერ", „გენაცვალე", „უჭიროდ ბრმანდებოდეთ", „ნამუსის ქუდი", „საყველპურო", „ფარხმლის დაყრა"... განა იოლია ან შესაძლებელი ამგვარი გამოთქმების სხვა ენაზე ზუსტად თარგმნა — ეს ხომ ენის სიმდიდრეზე მეტყველებს.

გავიხსენოთ ზოგიერთი სიტყვა: წვიმა — ცვარი, ნიაღი, ღვაფი, ნამი, თქორი, თქეში, ლეღმა, ფრეტი, დელგმა, ისხარი, წინწკვლა, შხაპი, ლეშხი, ქვავი, კოკისპირული...

დილა — რიბირაბო, რიჟრაჟი, დილაბნელი, ჭიატი, რიჟვი, გამთენია, აისი, ნათელი, ცისკარი, სისხამი, თენება...

ქარი — სიო, ნიავი, ბორიო, ქარიშხალი, ქარაშოტი, ქარბორბალა, გრიგალი, ქარბუქი...

ენის შერყვნა აშფოთებთ თვით უდიდესი ერების შვილებს. ფრანგებმა სახელმწიფო კანონი მიიღეს ინგლისური სიტყვების ხმარების წინააღმდეგ, გერმანელები და ინგლისელები თავგამოდებით იბრძვიან ენის დასაცავად, ერთ-ერთი არაბული სახელმწიფოს უნივერსიტეტში ფეხს ვერ შედგამ, თუ დედაენაზე დახვეწილად ვერ მეტყველებ, რუსი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ხმალამოღებული უდგანან დარაჯად მშობლიურ ენას, რუსეთში კანონით აკრძალეს უცხო ენის გამოყენება ფირნიშებსა და აბრებზე (განსხვავებით ჩვენისა!)...

დედაენის პატივისცემა, მისადმი მოწიწება ჩვენი ვალია, ენა ხომ ბურჯია ეროვნებისა...

# „ზვიადაურების" აქტიურობის კვირა

გასულ კვირას, სტუდია „აუდიენციის" გადაცემაში „პროფილი", გენერალური პროკურორის მოადგილის, ანზორ ბალუაშვილის მიერ გამსახურდიას მომხრეების მიმართ ბრალდება გაისმა, ვითომ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას კავშირი ჰქონდეს ნათაძესთან, წერეთელთან, კაკუბავასთან და ა.შ. ამავდროულად, პრეზიდენტის ქვრივს ალიანსი ჰქონია მოსკოვის რეაქციულ ძალებთან, რომელთაც საქართველოში დესტაბილიზაციის ტალღის აგორება სურთ.



ოთხშაბათის ტრადიციულ მიტინგზე, რომელიც მერაბ კოსტავას ეზოში იმართება, არჩვაძე-გამსახურდიამ ბალუაშვილის განცხადებას ცილისმწამებლური უწოდა. აქვე მას არ დაავიწყდა „ალიანსის" წევრები, რომელთაც, მისი აზრით, ზვიად გამსახურდიას სახელი მხოლოდ პირადი საქმისთვის სჭირდებოდათო.

14 ნოემბერს, მაშინ, როცა თბილისის დროით საათის ისრები 14 საათს აჩვენებდა, ხოლო ცხინვალში მოსკოვის დროით 12 საათი იყო, ჯავაში ანუ ოსურად ძაუში, აუღიარებელი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ერთმანეთს ხვდებოდნენ. ამის პარალელურად, კოლხური კოშკის ეზოში „მრგვალმა მაგიდამ" მორიგი მიტინგი ჩაატარა. ეს მიტინგი ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის 7 წლის თავს მიეძღვნა.

ორატორთა თქმით, არსებულმა ხელისუფლებამ საქართველო გააჩანაგა, — შევარდნაძე თუ ვაუკაცია, შუბლში ტყვია იხალოს, მისი სამშობლო რუსეთია, ხოლო საბოლოო ადგილი — ჯოჯოხეთი.

მომიტინგეები პრეზიდენტს დაემუქრნენ — „ძრწოდეს ამხანაგი ედუარდი, ჭეშმარიტად ეროვნული ძალები სულ მალე ქუჩის მასობრივ აქციებს დავიწყებთ". გამომსვლელთა აზრით, თუ შევარდნაძეს საქმე გასაქცევად გაუხდა, მას მეუღლეც მიატოვებს და თანაც მას ვარლამ არავიძის ბედიც მოელისო. იყვნენ ისეთებიც, ვინც პრეზიდენტის საქართველოდან წასვლას ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან მას ქვეყნის ვალი — სამი მილიარდი დოლარი ჰქონია გასასტუმრებელი.

რაღა თქმა უნდა, „ზვიადაურებმა" მოწინააღმდეგეებს სუკის აგენტები უწოდეს და იმედი გამოთქვეს, რომ სულ მალე აღდგება კანონიერი ხელისუფლება.

*ჩიტკორის უბის წიგნაკიდან*

# თუ ევროპაში კარებიდან არ შეგვიშვეს, ფანჯრიდან უნდა გადავძვრეთ...

ჩვენს რეგიონში და საერთოდ დსთ-ის სივრცეში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები, რომელშიც საქართველო სულ უფრო და უფრო აქტიურ როლს თამაშობს, როგორც ჩანს, ლოგიკურ ფინიშს უახლოვდება. ყაზახეთში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტისას, საბოლოოდ შეიკრა კიევი-თბილისი-ბაქო-ალმა-ათის მძლავრი პოლიტიკურ-ეკონომიკური ღერძი, რაც გადამწყვეტი ფაქტორია ევრაზიის დერეფნისა და ე.წ. „აბრეშუმის გზის" სრულფასოვანი ამოქმედებისათვის; ბაქოში დიდი ზარ-ზეიმით ხელებიან კასპიის ნავთობის შადრევნის „ამოფრქვევას", რაც რეალური დასაწყისია საუკუნის სანავთობო პროექტის რეალიზაციისა; ჟენევაში განახლდა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, რომელმაც, პოლიტოლოგთა აზრით, საბოლოოდ უნდა განსაზღვროს, წარუმატებლობის შემთხვევაში, თუ ვის დაეყრდნოს საქართველო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში; ჯავამი ყოველგვარი შუამავლების გარეშე ერთმანეთს შეხვდნენ შევარდნაძე და ჩიბიროვი; ამასთან, მიმდინარეობს აშკარა თუ კულისებსმიღმა პოლიტიკური თამაში: ამერიკის შეერთებული შტატები და, საერთოდ, დასავლეთი, სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმება ჩვენი რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და ყველაფერ ამის ფონზე, ერთი შეხედვით, თითქმის ყველა დონეზე, სულ უფრო ნაკლებად ფიგურირებს რუსეთის სახელი. რა არის ეს? შამბნარს შეფარებული დაჭრილ-დაღლილი ვეფხვის პოზიცია თუ ჩასაფრებული მელასი? ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოვლენების არასასურველი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, თუნდაც ისინი მოსკოვის მიერ იყოს ინსპირირებული, რუსეთს არავინ აღარაფერს სთხოვს, მით უმეტეს, აღარ „დაუჩოქებს"... რუსეთს თავად აქვს ისეთი უმწვავესი პრობლემები, რომელთა გადაუჭრელობა, სულ ცოტა, საუკუნის ბოლომდე, კატასტროფას უქადის დედამიწის ერთ მეხუთედ ნაწილზე გადაჭიმულ ამ სახელმწიფოს... წინამდებარე ინტერვიუც, რომელიც პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს** ჩამოვართვით, ამ და საქართველოსთვის სხვა აქტუალურ საკითხებს ეხება.

**— ბატონო რამაზ, დავიწყოთ ბორის ბერეზოვსკის მოულოდნელი გადაყენებით. რა იყო მისი ხელისუფლებიდან უცერემონიოდ მოშორების ძირითადი მიზეზი და როგორ ფიქრობთ, ბერეზოვსკის სახით ხომ არ „დავკარგეთ" კარგი შუამავალი თბილისსა და სოხუმს შორის?**

— ბერეზოვსკის მოხსნა ელცინის მიერ, ძალიან სწორი საკადრო გადაწყვეტილება გახლავთ, რადგან ამით ხელისუფლებას მოაცილეს რუსული კაპიტალიზმისათვის უაღრესად ნეგატიური იმიჯის შემქმნელი ფიგურა, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთიც სწორედ ასე აღიქვამდა მას, რაც (პირველად!) დაემთხვა რუსი კომუნისტების პოზიციასაც... ხოლო, რაც შეეხება ბერეზოვსკის გახშირებულ ვიზიტებს აფხაზეთში, ყველა მონაცემი გვაძლევს იმის უფლებას, რომ ეჭვი შევიტანოთ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში ბერეზოვსკის ფიგურის რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობაში. მისი მიმოსვლა მოსკოვი-თბილისი-სოხუმი და პირიქით, ძირითადად, მისი საკუთარი ბიზნესის ინტერესებით იყო განპირობებული, ხოლო კონფლიქტის რეალური მოგვარება მასზე არასოდეს ყოფილა დამოკიდებული და არც არავის მიუნდვია...

**— მიგაჩნიათ თუ არა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოუგვარებლობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის გარემოება, რომ არავითარი ახალი იდეა და რაციონალური წინადადება არ განიხილება მხარეებს შორის და მთელ ამ სამშვიდობო პროცესში ძირითადი აქცენტი კვლავ და კვლავ რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში ყოფნა-არყოფნაზეა გადატანილი? ან რას უნდა ველოდოთ ჟენევის მოლაპარაკებიდან, რომელიც უკვე დაიწყო?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. მეტიც, არასწორია, როცა ამბობენ, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია მოქცეულიო. სინამდვილეში კი, ჩიხში აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა მაშინ შევიდა, როდესაც უაზრო ომი დავიწყეთ. ახლა წარმოვიდგინოთ, — რუსებმა რომ ხვალვე აიკრან გუდა-ნაბადი და წავიდნენ ენგურიდან, რასაც, ადრე თუ გვიან, მაინც გააკეთებენ — ეს გარდაუვალია — რაიმე ოფიციალური პოლიტიკა ხომ უნდა არსებობდეს, თუ რას გავაკეთებთ რუსების წასვლის შემდეგ? ამიტომ, ვინაიდან დღეს შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში ახალი ომის დაწყება აფხაზეთში ჩვენთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება, სწორედ ამ კარტს — ოფიციალურად გამოცხადებული პოლიტიკის არქონას — ათამაშებენ ჩვენს წინააღმდეგ! საქმე ის არის, თუ საერთოდ, რას ვთავაზობთ აფხაზებს: იმას, რომ არძინბა დარჩეს ხელისუფლების სათავეში, ოღონდ დევნილები შეუშვას? ეს ხომ გამორიცხულია ელემენტარული დემოგრაფიული ბალანსიდან გამომდინარე! ამიტომ, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სერიოზული პოლიტიკური კურსი უნდა არსებობდეს, რომელსაც გაატარებდა აღმასრულებელი ხელისუფლება, მაგრამ საფუძვლიანი საჯარო განხილვა ამ საკითხისა არც კი დაწყებულა. აქედან გამომდინარე, ყველა მარჩიელობს, ხომ არ მიიღეს დახურულ კარს მიღმა ისეთი გადაწყვეტილება, რაც მიუღებელია დევნილებისა და, საერთოდ, ჩვენთვის? ამიტომაცაა, რომ წარსულის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, დღეს გაუგებარია და აღარავის ესმის, თუ რა უნდა ჩვენს დელეგაციას ევროპის ყველაზე ძვირ ქალაქში — ჟენევაში? ის ხომ არა, რომ აფხაზებთან მორიგი მსჯელობით, კვლავ რაღაცის კეთების ილუზია შექმნას? სამწუხაროდ, ეს რეალობაა და დასამშვიდებელს მე აქ ვერაფერს ვხედავ...

**— ეს, რაც შეეხება ოფიციალურ კონტაქტებსა და მოლაპარაკებებს, მაგრამ ცნობილია, რომ პერიოდულად იმართება არაოფიციალური შეხვედრებიც. თქვენ მონაწილეობდით ახლახან მოსკოვში გამართულ აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაში, რომელსაც რუსი და უცხოელი პოლიტოლოგებიც ესწრებოდნენ. რაიმე ახალი პოზიცია ხომ არ დაგიფიქსირებიათ აფხაზების მხრიდან?**

— დეტალურად ამაზე სხვა დროს მოგიყვები, აქ კი ორ ახალ მომენტს მივაქციე ყურადღება: აფხაზთა დელეგაცია უცხოელებთან საუბრისას მწარედ უჩიოდა... რუსეთს(!), მოგვატყუეს, მიგვატოვეს და შიმშილით გვკლავენო! და მეორე: აფხაზ სეპარატისტთა არამკითხე ადვოკატებად ამჟამად რუსები კი არ გამოვიდნენ, რომლებსაც უკვე აშკარად მობეზრდათ ეს უმადური („მშვიდობისმყოფლების") როლი, არამედ სომხები!

**— რატომ მობეზრდათ რუსებს აფხაზები და, სომხები რას ამბობდნენ, რა გვინდაო?**

— როცა სომხები აფხაზებს იცავენ, ისინი, პირველ რიგში, ცდილობენ ყარაბაღელ სეპარატისტთა ინტერესების დაცვას. განსაკუთრებით ეს ეხება ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს. სომხებს ძალიან აფიქრებთ და ეშინიათ ყარაბაღში აზერბაიჯანული მკვიდრი მოსახლეობის დაბრუნება. ამიტომაცაა, რომ კატეგორიულად აცხადებენ: არც აფხაზეთში არ უნდა დაბრუნდნენ ლტოლვილებიო(!). ისინი გრძნობენ, რომ როგორც გადაწყდება ერთი კონფლიქტი, ისევე მოგვარდება მეორეც, რადგან ორივე კონფლიქტს ბევრი რამ აქვს საერთო.

რაც შეეხება რუსეთს, მოგახსენებთ, რომ 1989-92 წლებში სხვა დრო იყო. რუს გენერლებს ძალიან უყვარდათ აფხაზეთის კურორტებზე არსებულ თავიანთ აგარაკებზე ნებივრობა და მუქთა სმა-ჭამა. დღეს, ეს კურორტები გაპარტახებულია და მათ აღდგენას მრავალი წელი სჭირდება. თანაც, მათ ძალიან ეშინიათ ქართველი პარტიზანებისა. მასობრივადაც აღარ ჩავლენ რუსები აფხაზეთში. ფულიანებს ესპანეთი და საბერძნეთი ურჩევნიათ, ნაკლებშეძლებულნი კი, შავი ზღვის სხვა კურორტებს ამჯობინებენ, განსაკუთრებით, მათთვის მოძმე ბულგარეთსა და ყირიმს. ასევე, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რუსებისთვის უკვე წამგებიანია ენგურზე დგომა, რადგან კონფლიქტის მოგვარება გაურკვეველი ვადით არის გადადებული და, რომ იტყვიან, „გვირაბს ბოლო არ უჩანს". ასე რომ, რუსებს დღეს აფხაზეთში მხოლოდ ეშერისა და ბომბორას სამხედრო ობიექტები აინტერესებთ და ანუხებთ. თუ მივცემდით ამ ბაზების უსაფრთხოების გარანტიებს, ისინიც მიატოვებდნენ ენგურის არასტუმართმოყვარე ნაპირებს და თავიანთ უიმედო სამშვიდობო მისიას...

**— და მაინც, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება ამ ეტაპზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოსკოვში პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებასა და მათ პოზიციაზე. რა პროცესები შეიძლება განვითარდეს ამ მხრივ?**

— ტელევიზია, ძირითადად, სულ რუსეთის პარლამენტში შექმნილ ვითარებაზე აკეთებს აქცენტს და ხალხს ექმნება მცდარი წარმოდგენა, თითქოს კომუნისტები რაიმე სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. სინამდვილეში კი, იქაც (ისევე, როგორც ჩვენთან), პარლამენტს პოლიტიკური ნება და ძალა არ გააჩნია. ასე რომ, საქართველოში ტყუილად შიშობენ კომუნისტების რევანშზე, თუმცა, ზოგი პირიქით, სულ მათი გამარჯვების იმედით ცოცხლობს, ვინაიდან ფიქრობენ — ისინი მერე ჩვენც დაგვსვამენ ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე თორმეტსართულიან შენობაშიო...

რუსეთში კი, უკვე იგრძნობა წინასაარჩევნო „მოთელვა". გამოიკვეთა აშკარა ფავორიტებიც. თუ კონსტიტუცია არ შეცვალეს, მაშინ პრეზიდენტის პოსტზე ელცინი კენჭს ველარ იყრის და მმართველი კლანი ჩერნომირდინს დაუჭერს მხარს, პროდასავლური ორიენტაციისანი კი — ნემცოვს; ნაციონალისტები — ლებედს, კომუნისტები — ზიუგანოვს. ხოლო ყველაზე მძლავრი პოლიტიკური ფიგურა ჩუბაისი, ისე ეჯავრება ყველას (ელცინის ქალიშვილის, ტატიანას გარდა), რომ მას კენჭს არც კი აყრევინებენ!

ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ რუსეთის პოლიტიკური ისთებლიშმენტის კონსერვატორი ფიგურის — ჩერნომირდინის გარდა, რომელიც დსთ-ის სივრცეში არსებულ სასაზღვრო სტატუს-კვოს უჭერს მხარს, ყველა სხვა პრეზიდენტობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით მიღებულ საზღვრებს სხვადასხვანაირად განიხილავს: ზიუგანოვი, რასაკვირველია, საბჭოთა იმპერიის აღდგენის მომხრეა, მაგრამ იგი არ არის ის ფიგურა, რომელიც შეძლებს კომუნისტური რეჟიმის აღდგენას (დღეს საამისოდ, მინიმუმ, სტალინია საჭირო!), თანაც, ზიუგანოვი კომუნისტების დიდმა ნაწილმა უკვე „შეაჩვენა" და ქუჩის ფსევდორევოლუციონერს — ანპილოვს უჭერს მხარს. ეს კი, უთუოდ შეასუსტებს კომუნისტების ერთიანი მოქმედების შესაძლებლობას.

რუსი ნაციონალისტები და მათი ლიდერი — ლებედი, ვერ იტანენ „ნაცმენებს". ამიტომაც შეპირდა იგი დამოუკიდებლობას ჩეჩნებს და არც სხვა კავკასიელების მოცილებას მოერიდება. მათ მაგალითად ჰყავთ აღებული ქემალ ათათურქი, რომელმაც თურქეთის იმპერია დაანგრია და ძლიერი ეროვნული სახელმწიფო შექმნა. რუსი ნაციონალისტები არ მალავენ ჩვენდამი სიძულვილს და, კარგია ეს თუ ცუდი (ვისაც როგორ ესმის), ნაციონალისტების გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი და მათი საბოლოო „განქორწინება" გარდაუვალია!

ყველაზე საინტერესო ფიგურა მაინც დემოკრატიული და პროდასავლური ძალების კანდიდატი ნემცოვია. იგი ჯერ ძალზე ახალგაზრდაა პრეზიდენტობისათვის და ამჯერად, ალბათ, მხოლოდ ძალებს მოსინჯავს, უფრო შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებს დაელოდება. ნემცოვისა და მისი მომხრეების მენტალიტეტი სრულიად განსხვავებულია. მათ იციან, რომ რუსეთის ფედერაცია ძალიან დიდია ევროპაში ინტეგრაციისათვის და შეიძლება, რაღაც „ბალასტიც" კი მოიშორონ...

**— და ეს „ბალასტი", შეიძლება, კავკასია, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასია გამოდგეს?**

— კავკასიას ელცინიც სიამოვნებით შეელეოდა, მაგრამ მან ერთხელ უკვე დაანგრია იმპერია და კიდევ ერთ მსგავს ნაბიჯს რუსები მას აღარ აპატიებენ. ამიტომ არის დღეს დაკონსერვებული ჩეჩნეთის პრობლემაც. ელცინმა იცის, რომ იჩქერია უკვე დამოუკიდებელია და უკან ველარაფერს დააბრუნებს, ამასთან, ძალიან უჭირს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიაროს და ეჭიდება მასხადოვ-ლებედის შეთანხმებას ამ საკითხის 5 წლით გადადების შესახებ, თუმცა, ლებედის „მორალით" მან, ფაქტობრივად, დაარღვია ამ ხელშეკრულების ფარული არსი... მაგრამ მე აქ სულ სხვა რამეს ვგულისხმობ: ორ კონტინენტზე გადაჭიმული რუსეთის ფედერაცია ძალიან დიდია და ფედერაციის 90 სუბიექტი იმის გარანტიაა, რომ იგი დიდხანს ვერ იარსებებს. მაგრამ ახალი სეპარატისტების მოლოდინში ყველას თვალი მიპყრობილი აქვს კავკასიისა და ვოლგისპირეთისაკენ. მე კი ასეთ შესაძლებლობას რუსეთის სხვა, უფრო შორეულ კოლონიაშიც ვხედავ. აქვე დავაზუსტებ, რომ ტერმინი „კოლონია" საბჭოთა პროპაგანდაში არასწორად იყო წარმოდგენილი. იგი ნიშნავს სხვა ტერიტორიაზე „დასახლებას" და არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა იქ კიდევ სხვა ეთნოსი. მაგალითად, ამერიკაში პირველი კოლონისტები იყვნენ ინგლისელები და სწორედ მათმა შთამომავლებმა დაიწყეს ბრძოლა... ინგლისისგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობისათვის, ვინაიდან კოლონისტთა ამერიკაში დაბადებულ და გაზრდილ თაობას აღარ მოსწონდა მათ შორეულ სამშობლოში არსებული წეს-წყობილება. აქვე დავძენ, რომ ბოსტონი ლონდონთან უფრო ახლოა, ვიდრე მოსკოვი — ვლადივოსტოკთან, ამ, ყველასაგან მივიწყებულ, რუსულ კოლონიასთან. ვიტყვი იმასაც, რომ არაბებს 21 სახელმწიფო აქვთ და სულაც არ აწუხებთ ეს. ძალიან ბევრია ესპანურ, ინგლისურ და ფრანგულენოვანი სახელმწიფოები და რა არის წარმოუდგენელი იმაში, რომ, ადრე თუ გვიან, გაჩნდეს კიდევ ერთი რუსულენოვანი, ან სულაც რუსული სახელმწიფო?



რუსულ კოლონიას შორეულ აღმოსავლეთში — პრიმორიეს მხარეს, დღეს საქართველოზე ბევრად უარესი ენერგეტიკული კრიზისი აქვს, ხელფასები და პენსიები დიდი ხანია, არ გაიცემა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოსკოვში ეს მხარე არავის არც ახსოვს და არც აინტერესებს მისი პრობლემები. სამაგიეროდ, პრიმორიეს ცხვირწინაა მდიდარი იაპონია და ვლადივოსტოკშიც გაცილებით მეტი იაპონური ავტომობილია, ვიდრე „ჟიგული", ტელევიზორებიც ყველას იაპონური აქვს, ოღონდ, მოსკოვის მიზეზით, დიდი ხანია, დენი არა აქვთ და ვერ უყურებენ გადაცემებს. ამიტომ, თანდათან სერიოზულად მწიფდება სეპარატიზმი. მათ შესანიშნავად იციან, რომ დამოუკიდებლობის შემთხვევაში, წარმატებით გადაჭრიან ეკონომიკურ პრობლემებს, ხოლო მათ ეროვნულობას არაფერი დაემუქრება...

**— მართლაც საინტერესო პროგნოზია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ რუსეთს უმწვავესი საშინაო პრობლემების მოუგვარებლობის შემთხვევაში, არ უნდა ჰქონდეს უკეთესი ხვალინდელი დღის იმედი... თუმცა, კვლავ ჩვენს რეგიონში გადმოვინაცვლოთ და ერთი დელიკატური ფაქტის კომენტარს გთხოვთ. ახლახან, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თურქეთიდან ჩვენი გადამღები ჯგუფის გამოძევებამ, რომლის ერთ-ერთი წევრი ცნობილი რუსი ჟურნალისტი იური როსტიც იყო. თურქეთის პრესა, სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ იური როსტი რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდა თურქეთში...**

— საერთოდ, ჟურნალისტსა და სპეცსამსახურის აგენტს საზღვარგარეთ ხშირად ერთი და იგივე ინტერესები ამოძრავებს, ოღონდ სხვადასხვა მიზეზით. ამიტომ, აბსოლუტურად გასაგებია, რომ ჟურნალისტ როსტს სეპარატისტ თუ ტერორისტ ქურთებთან ინტერვიუები აინტერესებდა. მან, ჩვენი დელეგაციის წევრებისაგან განსხვავებით, შესანიშნავად იცოდა, რომ ტაოკლარჯეთში არავითარი ოთხი მილიონი ქართველი არ ცხოვრობს (ეს ციფრი მწერალთა კავშირში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა და არავის არ დაუსვამს კითხვა — იმ ტერიტორიაზე საერთოდ დაეტევა კი ამდენი ხალხი?)

სინამდვილეში, დღეს იქ ოთხი ათას ქართველსაც კი ძნელად ვიპოვნით, ვინაიდან ტაოკლარჯეთის ტერიტორია კარგა ხანია, მთლიანად ქურთებითაა დასახლებული, ქართული წარმოშობის მოსახლეობა კი დასავლეთ ანატოლიაში გადასახლდა.

განსაცვიფრებელია სხვა რამ — როდესაც გადამღები ჯგუფი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ნებართვებისთვის მივიდა, რატომ არ აუხსნეს მათ ეს ელემენტარული გარემოება და ფაქტი თურქეთის ამ რეგიონის ეთნოდემოგრაფიის შესახებ? და, რაც მთავარია, ის, რომ თურქეთში დოკუმენტური ფილმის გადაღებისას, „საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებზე ლაპარაკი" აშკარად პროვოკაციულად გაიჟღერებდა? ელემენტარულად, წარმოვიდგინოთ, რომ თურქეთიდან ჩამოვიდეს გადამღები ჯგუფი, რათა აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთში გადაიღონ ფილმი „თურქეთის დაკარგული ტერიტორიები"(!!!), თან, მათთან ერთად ჩამოვიდეს მესამე სახელმწიფოს წარმომადგენელი მოქალაქე, რომელსაც ამ გადაღებებთან არაფერი ესაქმება და სადმე, ჯავახეთში, საიდუმლოდ შეხვდეს სეპარატისტებს, თანაც ერთი-ორი საიდუმლო სამხედრო ბაზაც „ჩააკარტიჩკოს!" რას მოიმოქმედებდა ჩვენი შესაბამისი სპეცსამსახური? ასე რომ, ეს იყო, როგორც ჩანს, გარედან დაგეგმილი პროვოკაცია, ხოლო ამ პროვოკაციის შემკვეთზე მიგვანიშნებს უბრალო ლოგიკა — ვის უნდა აძლევდეს ხელს საქართველო-თურქეთის ურთიერთობების გაფუჭება, თანაც სწორედ იმ რეგიონში, სადაც საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი იყო დაგეგმილი და ეს ამბებიც სწორედ მას დაემთხვა (როგორც პრესა იუწყებოდა, შევარდნაძე იმ დღეებში უნდა ჩასულიყო ართვინში).

**— ეს ფაქტი, ალბათ, ისეც უნდა შეფასდეს, რომ მოსკოვი უკვე აშკარად ცდილობს, ქურთების კარტი გაათამაშოს ნავთობსადენის დასავლეთის მარშრუტის პროექტის ჩასაშლელად? „კვირის პალიტრის" წინა ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ქურთმა პარტიზანმა არც კი დამიმალა, რომ მოსკოვს სწორედ ეს მიზანი ამოძრავებს...**

— მოსკოვი ყველაფერს გააკეთებს, რათა დიდმა ნავთობმა, საქართველოს მომავლის ერთადერთმა რეალურმა იმედმა, საქართველოზე არ გაიაროს. და ამას აკეთებს არა ბოროტებით, არამედ არასწორად გაგებული „ეროვნული ინტერესებით". და როდესაც ქურთები იქადიან, ამ ნავთობსადენს ავაფეთქებთო, უნდა დავაფიქსიროთ, რომ მათ სეპარატიზმს სწორედ რუსები ახალისებენ და როგორც დასავლეთის პრესა წერს, ქურთ ტერორისტებს წვრთნიან და აიარაღებენ... სომხეთში!

და ერთი საინტერესო დეტალი: როდესაც სექტემბერში სომხეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის, აზერბაიჯანს დაუბრუნოს ყარაბაღი იმ პირობით, თუ ის დიდი ნავთობსადენი (საქართველოს ნაცვლად) სომხეთზე გაივლიდა, ამჯერად... ქურთ სეპარატისტებს ხმა აღარ ამოუღიათ... საბედნიეროდ, დასავლელ პოლიტიკოსებს კვლავაც საქართველოს მარშრუტი მიაჩნიათ საუკეთესოდ ნავთობსადენისათვის, ოღონდ პრობლემა ის არის, რომ დასავლეთში ასეთი დიდი პროექტების რეალიზაციისას პოლიტიკურზე უფრო ბიზნესინტერესები გამოდის წინა პლანზე, ხოლო ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა, პოლიტიკისაგან შორს მდგარი ბიზნესმენების თვალში, საქართველოს რუსეთის სატელიტად წარმოადგენს. ამიტომ, საჭიროა, რეალიზმიდან გამომდინარე, ყოველგვარი მუშტების ქნევისა და შეურაცხმყოფელი გამოხდომების გარეშე, დაიწყოს მოლაპარაკება მოსკოვთან საქართველოდან რუსეთის ჯარების ეტაპობრივი გაყვანის შესახებ! რაც გარდაუვალია, სჯობს, დროულად გაკეთდეს. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, რუსები თვითონ წავიდნენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იმ დროისათვის უკვე ბევრი გვქონდეს დაკარგული და ყველაფერი თავიდან დასაწყები. შეიძლება ისედაც მოხდეს, რომ, როგორც დასავლეთში იტყვიან ხოლმე, „ჩვენმა მატარებელმა უკვე ჩაიაროს კიდეც"...

**— და ამ მატარებელმა რომ არ გაგვასწროს, რა უნდა გაკეთდეს უწინარესად?**

— დავაზუსტებ, რომ არავითარი პათოლოგიური რუსოფობი მე არა ვარ და არც შეიძლება ვიყო. პეტერბურგსა და მოსკოვში გატარებული ასპირანტურის წლები შესანიშნავ მოგონებებად დამრჩა, მაგრამ პოლიტიკას სანტიმენტალიზმსა და ნოსტალგიაზე ვერ ააგებ. საღი აზრი კი გვეუბნება, რომ ჩვენ ევროპის იქით გზა არა გვაქვს! ამიტომ, თუ ევროპაში კარებიდან არ შეგვიშვეს (რაც მოსალოდნელია, ოღონდ ახლა არ მინდა, დავაზუსტო), მაშინ, რომ იტყვიან — ფანჯრიდან უნდა გადავძვრეთ...

**— გმადლობთ.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

## რუსეთ-საქართველოს შეთანხმებანი

კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება, რუმინეთის მარშრუტით, კონკრეტულ სახეს ღებულობს, — განაცხადა რუმინეთის პრეზიდენტმა ემილ კონსტანტინესკუმ.

საქართველოსა და რუმინეთის ტრანსპორტის მინისტრებმა, ბუქარესტში, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ორივე მხარემ შეაფასა, როგორც „აბრეშუმის გზის აღდგენა“ და კავკასიისა და ევროპის სატრანსპორტო დერეფნებს შორის ერთგვარი ხიდი.

შეთანხმებას წინ უძღოდა მრავალთვიანი მოლაპარაკება, რომელიც ითვალისწინებდა რუმინეთის პორტ კონსტანტასა და საქართველოს საზღვაო ქალაქებს — ფოთსა და ბათუმს შორის მუდმივ კავშირს. ეს სატრანსპორტო ხაზი ნოემბრის ბოლოს ამოქმედდება. ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის უდიდესი მარაგის ტრანსპორტირებისათვის უმოკლესი გზა დაისახა, — განაცხადა რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩორბიამ. რუმინეთ-საქართველოს პროექტის რეალიზაციის შედეგად, რუმინეთი კარგ შემოსავალს მიიღებს საბაჟოდანაც და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებით. 1998 წლიდან რუმინეთსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა დაიწყება.

*იზვესტია* **№213**

## ცხინვალი „ნათლება“

მოსკოვის პრინციპულმა მოთხოვნამ, რომ აღსდგეს სამხრეთ ოსეთში ელექტროენერგიის მიწოდება, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების შეხვედრა დააჩქარა. სამხრეთ ოსეთმა რუსეთს ელექტროენერგიის მიწოდებისათვის 4 მლნ დოლარი უნდა გადაუხადოს, ეს ვალი, სამმხრივი შეთანხმების შედეგად, რესპუბლიკაში ეკონომიკის აღდგენის მიზნით საქართველოს მიეწერა. თბილისი მზად არის ამ თანხის გადასახდელად, მაგრამ ცხინვალისგან საპასუხო პოლიტიკურ დათმობებს მოითხოვს: საქართველო-ოსეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებას, რაც, პრაქტიკულად, ნიშნავს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ლიკვიდაციას. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ჯავის შეხვედრაზე პრინციპულად ახალ დოკუმენტებს ხელი არ მოეწერება და, თავისთავად, ეს შეხვედრაც ერთადერთ დათმობად ჩაითვლება ოსეთის მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერალური სათათბიროს პარლამენტთაშორისო ჯგუფის თავმჯდომარის, ალექსანდრ ძასოხოვის დაჟინებით მიეწოდა სამხრეთ ოსეთს საქართველოდან ელექტროენერგია, ცხინვალის მხრიდან წინასწარი დათმობების გარეშე. ასეთი პერსპექტივა, რა თქმა უნდა, საქართველოს არ მოეწონებოდა. თითქმის მთლიანად დანგრეულ ჯავაში შეხვედრის ადგილი ძლივს მოიძებნა. შეხვედრის მონაწილეთა უშიშროებას გარანტად რუსეთის მხარე დაუდგა.

*სეგოდნია* **№247**

## ეკლესია — სახლი სათნოებისა

ქართული მრევლი სანქტ-პეტერბურგში ოქტომბრის რევოლუციის წინა წელს შეიქმნა და ბინა დაიდო ვასილიევის კუნძულზე, სამების ეკლესიაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა ნევისპირა ქალაქში დაანგრიეს და შეურაცხყვეს ასობით ეკლესია და დევნიდნენ ღვთისმსახურებას, არსებობა შეწყვიტა ქართულმა მართლმადიდებელმა მრევლმაც. მაგრამ შეუცნობელია გზანი უფლისანი. 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილი მერის, ანატოლი სობჩაკის ბრძანებით და რუსეთის ფედერაციის კანონის, „რწმენის თავისუფლებისთვის“, შესაბამისად, სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტის იოანეს მიმართვის თანახმად, აგრეთვე, სანქტ-პეტერბურგის ეპარქიის ქართული მრევლის თხოვნით, ქართულ მრევლს უსასყიდლოდ გადაეცა შესტაკოვის ეკლესიის შენობა და ღვთისმშობლის ხატი.

მოგვითხრობს შესტაკოვის ღვთისმშობლის ეკლესიის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე, ქართველ მეფეთა შთამომავალი ბატონიშვილი არისტო ბაგრატიონი:

— რწმენა, საქმის გარეშე, მკვდარია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მართლმადიდებელი მრევლის აღდგენაში დიდი როლი ითამაშა „პეტერბურგის ქართველთა სათვისტომომ“ და მისი თავმჯდომარის ბადრი კაკაბაძის ძალისხმევამ. ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს „ივერიის“ მმართველობის წევრებმაც. ქალაქში, სადაც 25 ათასი ქართველი ცხოვრობს, ქართული ეკლესიის გახსნა დიდად მნიშვნელოვანია. ჩვენი მოღვაწეობა მიზნად ისახავს, აგრეთვე, კულტურულ-ისტორიული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენას საქართველოს რესპუბლიკას, სანქტ-პეტერბურგსა და ლენინგრადის ოლქს შორის.

ეკლესია სახლია სათნოებისა, დიდი სიკეთის აკვანი და მისგან მხოლოდ სიკეთეს მივიღებთ. ჭეშმარიტება ზეციური მადლია, ყოველი ადამიანი ამქვეყნად თავის ჭეშმარიტებას ეძებს. და თუ ადამიანებს ჭეშმარიტება სწყურიათ, ეს აღორძინებას, შემობრუნებას ნიშნავს — ეს ერის, კულტურის, სიკეთის აღორძინების მაუწყებელია. ვფიქრობ, ეს პროცესი საქართველოში უკვე დაიწყო...

შესტაკოვის ღვთისმშობლის ეკლესია სანქტ-პეტერბურგის გულში დგას, ნევის პროსპექტის სიახლოვეს.

იგი 100 წლის აშენდა არქიტექტორ ნიკოლაი ნიკონოვის პროექტითა და ხელმძღვანელობით.

1992 წლის 29 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ პეტერბურგიდან უსტარი მიიღო — სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი მორჩილად სთხოვდა საქართველოს ეკლესიის მეთაურს, შესტაკოვის ღვთისმშობლის ეკლესიაში მიევლინებინა მოძღვარი ქართული მართლმადიდებლური მრევლის მწყემსად...

მას შემდეგ, რუსეთის ჩრდილოურ დედაქალაქში ქართულ ეკლესიას უძღვება მამა გიორგი.

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*
*სანქტ-პეტერბურგი—თბილისი*

## გაუჩინარებული კომისრები

თითქოსდა სტალინური პერიოდი ამერიკელებისთვის არაფრით საინტერესო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა პრინკენტონელი ისტორიკოსების — ქოჰენისა და დიკენსისათვის. მათ სტალინური ეპოქის ფოტოსურათების გამოფენის მოწყობა გადაწყვიტეს და 35 დოლარად ღირებული 192 გვერდიანი ალბომიც გამოუშვეს. ვაშინგტონის „მეტროპოლიტენ-მუზეუმში“ გახსნილი გამოფენა ფოტოების უბრალო გამოფენა არ გახლდათ, იგი თავის სახელს — „გაუჩინარებული კომისრები“ — ჭეშმარიტად ამართლებს. ძველ ფოტოებზე კომუნისტი ბელადები და კომისრები არიან გამოსახულნი. ბევრი მათგანი რეპრესიის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ამისთვის ხომ დარჩენილი ბელადების ან კომისრების ფოტოებს არ გადააგდებდნენ და გაჩნდა სტალინური პერიოდის ფოტოები, რომლებზეც, ორიგინალებისგან განსხვავებით, რეპრესირებულნი ამოშლილნი არიან, ხოლო დარჩენილნი კი, ისეთ ერთიან ანსამბლს ქმნიან, თითქოს მათ შორის არავინ ყოფილიყო გადაღებული. ერთ-ერთ ფოტოზე რეპრესირებული აბელ ენუქიძე „ამოშალეს“ და მისი ადგილი, მის უკან მდგომი მამაკაცის ხელმა და პიჯაკის ნაწილმა „დაიკავა“. ჯგუფური პორტრეტიდან, რომელზეც სტალინთან, ორჯონიკიძესა და ყუდანოვთან ერთად, რვა ადამიანია გამოსახული — მხოლოდ ოთხი მათგანი დარჩა და ისინი ისე გამოისახნენ, რომ ოთხი „გამოკლებულის“ იქ ყოფნაც კი წარმოუდგენელია. გამოფენა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმართულად შერაცხეს იმის საჩვენებლად, თუ რა ღირს ადამიანის სიცოცხლე, როდესაც მას, არათუ ამ ქვეყნიდან, არამედ მისი არსებობის დამადასტურებელი ფოტოებიდანაც კი უკვალოდ აქრობდნენ.





← აბელ ენუქიძე

*ნიუზუიქ, 10 ნოემბერი*

## კავკასიის სახელმწიფოები ევროპის კავშირში შევლენ

1999 წელს 50 წელი შეუსრულდება ევროპის კავშირს. მისი წევრი სახელმწიფოები უკვე განიხილავენ ევროპის კავშირის გაფართოების საკითხს. დაიწერა პოლიტიკური დეკლარაციები და სახელმწიფოთა მეთაურების სამოქმედო პროგრამები, რომლის მიხედვითაც შეიქმნება ევროპის კავშირში შემავალი სახელმწიფოების ავტორიტეტული სამართლებრივი საფუძველი, ევროპის სახელმწიფოთა საზოგადოებრიობაში თანდათან გადასასვლელად. ევროპის კავშირის გაფართოების მიმართ მოსკოვი თავისებურ ინტერესს ავლენს: ერთი მხრივ, რუსეთი დაინტერესებულია, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა და ბალტიისპირეთმაც მოითხოვოს ევროკავშირში შესვლა. მაგრამ კავშირში შემავალ სახელმწიფოებში არ უნდა იყოს შინაომები და მეზობლებთან მოგვარებული უნდა ჰქონდეს ტერიტორიული საკითხი. მაგრამ შეძლებენ კი ეს სახელმწიფოები ლტოლვილთა დაბრუნებას, მიგრანტთა და არატიტულოვანი ეროვნების მოქალაქეთა პრობლემების გადაწყვეტას? კერძოდ, ეს პრობლემა ეხება საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ ევროკავშირში შესვლას. ამ სახელმწიფოების გეოგრაფიულად ევროპისთვის მიკუთვნების საკითხი კავკასიური რესპუბლიკების სასარგებლოდ გადაწყდა. გარდა ამისა, საქართველოს ესაჭიროება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგების დამადასტურებელი საბუთი. ასე უნდა იქნას განხილული ყარაბაღის საკითხიც. რუსეთის პარლამენტთაშორისო ჯგუფის თავმჯდომარის, ალექსანდრ ძასოხოვის აზრით, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა — შევარდნაძემ და ლიუდვიგ ჩიბიროვმა შეხვედრაზე წელს ხელმოწერილი მოსკოვის მემორანდუმით უნდა იხელმძღვანელონ. ძასოხოვის აზრით, საეჭვოა ბელორუსიის სტატუსის აღდგენის საკითხი. ბოლოს მან რუსეთის პოზიცია ასე გამოხატა: „ჩვენ ვხელმძღვანელობთ დსთ-ში ჩვენი როლით, ანუ კონფლიქტების მომწესრიგებლის მისიით. ჩვენი მიზანია, რომ ჩვენს საზოგადოებრიობას სოლიდური საერთაშორისო პოზიცია ჰქონდეს.“

*ნეზავისიმაია გაზეტა* **№212**

## რუსეთში ციტრუსებს შეიტანენ

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ჩერნომირდინმა ხელი მოაწერა სამთავრობო დადგენილებას, „რუსეთში ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შეტანის შესახებ“. დღეიდან რუსეთში აფხაზეთის გზით შევა მანდარინი, თხილი, ჩაი და სანელებლები. დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა დადგენილების თანახმად, სოხუმს, თბილისის უნებართვოდ, უფლება არა აქვს სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს სხვა ქალაქებთან (მოსკოვთანაც კი). სამაგიეროდ, მოსკოვმა თბილისს სთხოვა ნება, სოფლის მეურნეობის პროდუქცია მდინარე ფსოუს საზღვარზე გაეტარებინა, სანაცვლოდ, თბილისმა მოითხოვა სავაჭრო თანხის საქართველოს ბანკის გავლით მოძრაობა და იმ საბუთის წარმოდგენა, თუ რომელი ფირმები ვაჭრობენ საკუთარი პროდუქციით. ქართულ მხარესთან გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, სოხუმმა და მოსკოვმა განაცხადეს, — ამონაგები ჰუმანიტარულ მიზნებს მოხმარდებაო. რუსეთის ხელისუფლება მხოლოდ რუსი მოსახლეობის ციტრუსებით დაკმაყოფილებაზე არ ზრუნავს, ის „მხარდაჭერის საერთაშორისო ფონდის“ მეშვეობით ეხმარება აფხაზეთში მცხოვრებ თანამემამულეებს. მოკლედ, გაისად, მარტამდე რუსეთი აფხაზეთიდან 500 ტ თხილს, 2 ათას ტ ჩაის, 300 ტ დაფნის ფოთოლს, 1,5 მლნ ლ ხილის წვენს, ხილფაფას, მურაბას და 10 ტ მანდარინს გაიტანს. ეს აფხაზეთში მიღებული ციტრუსების მოსავლის 1%-ია, ამიტომ რუსეთის სამთავრობო დადგენილება აუღიარებელი რესპუბლიკის ეკონომიკაზე გადამწყვეტ მნიშვნელობას არ იქონიებს.

*ნეზავისიმაია გაზეტა* **№214**

## ქართული პრესის დაიჯესტი

### მოსამართლეებს საგამოცდო ციებ-ცხელება ეწყებათ

10 წლით არჩეულ მოსამართლეებს 2001 წელს უწყდებათ უფლებამოსილება, მაგრამ 1998 წლის 1 მაისიდან მოსამართლეთა რიგები ხელახლა უნდა დაკომპლექტდეს. მოსამართლის სკამს დაიკავებს ის, ვინც წარმატებით ჩააბარებს გამოცდებს. გამოცდები უნდა ჩატარდეს 1 მაისამდე. ამ საკითხების განხილვას მიეძღვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა კონფერენცია.

„ხელისუფლებას, ალბათ, სურს, მათი მორჩილი ვიყოთ. ამ გამოცდების ჩატარებას კი შედეგად შეიძლება ის მოჰყვეს, რომ მოსამართლეები გახდნენ ისინი, ვინც ხელისუფლებას აწყობს და დაემორჩილება. მოსამართლეები იქნებიან ყურით სატარებელი მარიონეტები ხელისუფლების ხელში, ყურმოჭრილი მონა მათი, ვინც აქ მოსვლაში დაეხმარებათ“, — მიაჩნიათ ჩვენს მოსამართლეებს.

„წვიმის დროს, სასამართლოში ვერ შევდივარ“, — განაცხადა საქართველოს სასამართლოს წევრმა თითმერიამ, — ჩვენი ხელფასი 30 ლარი, მიხეილ სააკაშვილს უფლებას აძლევს, მოხალისე მოსამართლეები ან სულაც კორუფციის ინდიკატორები გვიწოდოს.“

რეფორმამ უკეთესი მოსამართლე უნდა მოგვცეს. ასეთი მოტივით უნდა ჩააბარონ გამოცდები მოსამართლეებმა. გამოცდამ კი, რომელმაც ასაკი არ იცის, შესაძლოა, იმოქმედოს პროფესიონალების თავმოყვარეობაზე და გამოცდაზე საერთოდ არ გამოცხადდნენ, ეს გამოიწვევს არაერთი პროფესიონალის ჩამოშორებას საქმიდან. „ჯვარი მოსამართლეობაზე არავის გვაქვს დაწერილი“, — აღნიშნეს მოსამართლეებმა. კამათში ჩართულმა დავით სალარიძემ დასძინა: — „ჩვენ დღეისთვის არსებული კორპუსი უნდა შევინარჩუნოთ. ერთეული შემთხვევები მათ დაბალ კვალიფიკაციაზე არ მიუთითებს. შესაძლოა, 300 ადგილი იყოს და კონკურსგავლილი 100. 1 მაისისთვის რომ ამგვარი სურათი არ მივიღოთ, იუსტიციის საბჭომ ჩაკეტილად არ უნდა იმუშაოს“.

„დაასახელეთ ქვეყანა, სადაც კანონები არ მიღებულა და გამოცდებს ატარებენ. იქნება გვეთხოვა რომელიმე ადვოკატისთვის, გინდა შალვა რჩეულიშვილისთვის, გაგვიწიოს შუამდგომლობა“, — გაისმა დარბაზში.

მიხეილ სააკაშვილმა „გამოსაცდელები“ დაამშვიდა: „ჩვენი მიზანი გაცხრილვა არ არის, ჩვენი რეფორმების მიზანი თქვენი ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნაა. გამოცდები პირდაპირ ტელევიზიით გადაიცემა (ამას კი მართლა მოჰყვა აღშფოთება). რეფორმა ეგზეკუცია არ არის, მაგრამ მილიონების გამფლანგველს კოჭებში მარილისთვის რომ ათავისუფლებთ, ეს მართლა ეჭვს იწვევს“.

პროგრამა არ დამტკიცებულა, გამოცდები კი ახლოვდება. მზადების პერიოდში, შეიძლება ყველა მოსამართლე ერთდროულად გავიდეს შვებულებაში...

*კავკასიონი* **№195**

### ნუ გამოიგონებთ საქართველოში იარაღს

სულ ერთია, მაინც არავინ დაგიჯერებთ, რომ ამ გამოგონების ავტორი თქვენ ხართ.

. არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ საკითხს მოაგვარებდა. მანამდე კი, საქართველოში ასეთი წესი არსებობს: ახალ გამოგონებას ჯერ უნდა გაეცნოს თავდაცვის სამინისტრო, გადაწყვიტოს, საიდუმლოა თუ არა ეს გამოგონება და შემდეგ შუამდგომლობა წარადგინოს საქპატენტში.

თუმცა, საქმეში ჩახედული ხალხი ირწმუნება, რომ ასეთი რამ საქართველოში ჯერ არ მომხდარა (და კარგა ხანს არც მოხდება). საამისო არგუმენტად ასეთ მაგალითს იშველიებენ:

ერთ-ერთმა ქართველმა, რომელმაც იარაღი გამოიგონა, მყარად გადაწყვიტა თავისი გაეტანა და საავტორო უფლება მიეღო.

სხვათა შორის, ეს კაცი საქართველოს პრეზიდენტის ახლობელი იყო და დარწმუნებული, რომ დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა.

ბატონი ვარდიკო ნადიბაიძე დიდი გულისყურით მოეკიდა მის წინადადებას და... გამოგონების შესახებ წვრილ-წვრილად ჩაუკაკლა რუსეთის თავდაცვის მაშინდელ მინისტრს გრაჩოვს.

იმხანად კალაშნიკოვის იუბილეზე ჩასულ ქართველ გამომგონებელს რუსმა მინისტრმა უკან ჩამოუკაკლა ყველაფერი... საკუთარი იარაღის შესახებ.

მარტო ეს სიურპრიზიც არ აკმარეს და თბილისში ჩამოსული სამი დღით დააპატიმრეს კიდეც... ეტყობა, „რატომ კარგი გაგიკეთებიაო“...

რას იზამ, ჩვენში ყველაფერი ხდება, მით უფრო მაშინ, როდესაც საკუთარ თავდაცვის მინისტრს საკუთარი უწყება რუსეთის ფილიალად მიაჩნია და არც იმით იწუხებს თავს, ქართული საიდუმლო საქართველოდან არსაით წავიდეს.

ჰოდა, ამოდენა ბარიერების გადალახვაზე ფიქრს, უმჯობესია, არ გამოიგონოთ ახალი იარაღი. საქართველოში ეს არავის სჭირდება.

*დილის გაზეთი* **№242**

# მანდელა სნობიზმმა შეიპყრო

ამ ცოტა ხნის წინ, ბრიტანეთისადმი სიმპათიების გამოსახატავად, ნელსონ მანდელამ სამხრეთ აფრიკაში მიიწვია პრინცი ჩარლზი და მისი უფროსი ვაჟი. სამეფო ოჯახის წევრებს აქ სასიამოვნო სიურპრიზი — პოპულარული ჯგუფი — „სპაის გერლზი" დახვდა. მიღებაზე სამხრეთაფრიკელი პრეზიდენტი ყოველმხრივ განსწავლულობას ამჟღავნებდა. „სპაის გერლზის" წევრებს თანამედროვე მუსიკალურ მიმდინარეობებზე გამოცდილი მელომანივით ესაუბრებოდა, და ისიც კი ურჩია, — სჯობს, უფრო დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვათო. პრინც ჩარლზს ბრიტანულ ტრადიციონალიზმსა და ბრიტანეთში გამართულ ცხენების დერბის ბოლო პერიპეტიებზე ესაუბრა. თურმე, მანდელა თავგადაკლული გულშემატკივარია, ტოტალიზატორშიც თამაშობს და „მისი ცხენი" თითქმის ყოველთვის პირველი მიდის ხაზთან. მანდელამ არც ყმაწვილი პრინცი დატოვა უყურადღებოდ და, რადგან იცოდა, მას რაგბი უყვარდა, რაგბის საჯარიმოს დარტყმის რამდენიმე თავისუფალი ვარიაციაც უჩვენა. მოკლედ, წვეულებას ნამდვილი ინგლისური არისტოკრატიული სალამოების იერი ჰქონდა და კიდევ ერთი დასტური გახდა იმისა, რაზეც თითქმის ყველა სამხრეთაფრიკული გაზეთი თუ ჟურნალი ჭორაობს — ნელსონ მანდელა სულ უფრო მეტად ცდილობს ცნობილ ადამიანებთან მეგობრობას, მათთან ხშირ შეხვედრას და შექცევას. როგორც ჩანს, სამხრეთაფრიკელთა თავისუფლებისათვის მებრძოლი — სნობიზმს შეუპყრია.





ამასთანავე, ნელსონ მანდელა ამ ბოლო დროს უცნაურად იქცევა. მისმა ბოლო ვიზიტებმა მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა. ლიბანში მიმავალს, გზად კენიაში უნდა შეევლო. ნაირობში ჩაფრენისას პრეზიდენტს ღრმად ჩასძინებია თვითმფრინავში. თანმხლებმა პირებმა გაღვიძება ვერ გაუბედეს. კენიის ხელისუფლება გულდაგულ მომზადებულა ნელსონ მანდელას შესახვედრად. მაგრამ რად გინდა, საპატიო სტუმარმა მათ ნახვას სიზმრების ნახვა ამჯობინა. კენიის ხელისუფლებამ, ცოტა არ იყოს, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

სამაგიეროდ, ლიბანში ჩასული მანდელა მხურვალედ გადაეხვია რევოლუციონერ მუჰამედ ალ კადაფის, რამაც აშშ-ის უკმაყოფილება გამოიწვია.

ლიბანის მას-მედია კი ნელსონ მანდელას ქომაგად მოევლინა და ამერიკას დემოკრატიას ამოფარებული დიქტატორი უწოდა: „იგი ყველა ქვეყნის საშინაო საქმეებში ყოფს ცხვირს და ცდილობს, თავს მოახვიოს თავისი კურსი, თუკი ვინმე მის მითითებას არ შეასრულებს, ბავშვივით ტუქსავს".

*დასავლეთის პრესის მიხედვით*

# თეირანის მოტივები

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. პრიმაკოვის მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (ლიბანი, სირია, ისრაელი, იორდანია და ეგვიპტე) დიდ მიზნებს ისახავდა. პირველ რიგში, მას სურდა რუსეთის, როგორც შუამავლის, როლი აღედგინა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარებაში, რაც გაათანაბრებდა აშშ-ის და რუსეთის წონას ამ რეგიონში. ე. პრიმაკოვმა განაცხადა, — გავრცელებული ხმები, თითქოს რუსეთი ირანს სამხედრო დახმარებას უწევს, უსაფუძვლოაო. ისრაელი ირწმუნება, თუ ირანს თითი არ დაუქნიე, ორ-სამ წელიწადში ისეთი რაკეტები ექნება, მთელ რეგიონს მძევლად აიყვანსო.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა — რუსეთი სამშვიდობო სპონსორიაო და „ახლო აღმოსავლეთის მშვიდობისა და უშიშროების კოდექსი" გამოაქვეყნა. ეს კოდექსი, თურმე, ხელს შეუწყობს პროგრესსა და სამართლიანობას.

*ზა რუბეჟომ №45*

# ბჟეჟინსკის საჭადრაკო დაფა

ცივი ომის დასრულებამ, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიმართულებათა გადახალისებამ და ინტერესთა სფეროს გაფართოებამ, ბევრ ამერიკელ სტრატეგ-პოლიტიკოსს თავგზა აუბნია, მაგრამ არა ზბიგნევ ბჟეჟინსკის. ადამიანს, რომელიც პრეზიდენტ კარტერის მრჩეველი გახლდათ ეროვნული უშიშროების დარგში. ამის დასტურია მისი ბოლო წიგნი — „დიდი საჭადრაკო დაფა". მთავარი პოსტულატი აქ შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული დომინანტის როლის გაზრდაა, — „ის, რაც კარგია შეერთებული შტატებისათვის, კარგი უნდა იყოს მსოფლიოსათვისაც". მის წიგნში ჭადრაკის დაფა ევრაზიაა — დიდი ბრიტანეთიდან იაპონიამდე. ევროპაში, ბჟეჟინსკის აზრით, საჭიროა საფრანგეთის ფაქტორის გაძლიერება და ამ ქვეყნის გარშემო (რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების გეოსტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით) ევროპული ქვეყნების ინტეგრაციული პროცესების განვითარება. აზიაში საჭიროა იაპონიასთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარება, რაც ჩინეთის ფაქტორის გამაწონასწორებელი უნდა გახდეს. ერთადერთი „შავი ხვრელი", ბჟეზინსკისეულ საჭადრაკო დაფაზე — ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათი მეზობლები — თურქეთი და ირანია. რუსეთი, რომელმაც თავისი გავლენა დაკარგა მსოფლიო პროცესებზე — ახლო ქვეყნებზე გაბატონებას და ამით თავის იმპერიულ ამბიციათა დაკმაყოფილებას ცდილობს. ამასთან, არც თურქეთის, როგორც ოტომანთა იმპერიის მემკვიდრის, ფარული ინტერესების უგულებელყოფაა საჭირო. ამ მიმართულებით ბჟეჟინსკი შეერთებულ შტატებს, — სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის — უკრაინის, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის დახმარებას და მათ გაძლიერებაში ხელის შეწყობას სთავაზობს. „ყველაფერი ეს, ნატოს როლის გაძლიერებასთან ერთად, შეერთებული შტატების გეოპოლიტიკაა და სწორედ აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი ძალისხმევა მიმართული," — ამბობს ბჟეჟინსკი, რომელიც, როგორც ამბობენ, არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც კარგი მოჭადრაკეა.



*ნიუზუიქი, 10 ნოემბერი*

# დაბრუნდება მასხადოვი ვაშინგტონიდან?

კურორტ ანტალიაში ხანმოკლე დასვენების შემდეგ, ჩეჩნეთის ლიდერი ასლან მასხადოვი არაოფიციალური ვიზიტით ანკარაში გაემგზავრა, იქიდან კი, კარნეგის ფონდის მიწვევით ვაშინგტონში გაფრინდა.

ჩეჩნეთის პირველი ვიცე-პრემიერის, მოვლადი უდუგოვის განცხადებით, „მასხადოვს წინასწარ დაგეგმილი არ ჰქონდა აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწეებიდან ვის შეხვდებოდა. მოსკოვში კარნეგის ფონდის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ტ. დოლანმა „იზვესტიას" განუცხადა, — „მასხადოვი ამერიკაში კარნეგის ფონდის მთავარმა ოფისმა მიიწვია, მოსკოვში ამ ფონდის თანამშრომელთაგან ჩეჩნეთის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტი არავის აქვს. ჩვენ არც მასხადოვის მხარეზე ვართ და არც მის წინააღმდეგ, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევთ მისთვის ტრიბუნის მიცემას, სხვადასხვა აზრის გაზიარების საშუალებას."

თავის მხრივ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვაშინგტონში განაცხადა, — მასხადოვის ვიზიტი ამერიკაში არაოფიციალური ხასიათისაა და აშშ პატივს სცემს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიულ ერთიანობასო.

იმ დღეს, როცა მასხადოვმა ვიზიტი დაიწყო ამერიკაში, გროზნოში ევროპის საბჭოს პარლამენტის ასამბლეის დელეგაცია ჩავიდა შვეიცარიელი ერნსტ მიულემანის მეთაურობით. ჩეჩნეთის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა ჩეჩნეთის მიმართ ევროსაბჭოს დამოკიდებულებით. მოვლადი უდუგოვმა მას „უპრინციპო" უწოდა და განაცხადა, — ევროსაბჭო ხელს უწყობდა მოსკოვის ხელმძღვანელობას ჩეჩნეთის მიმართ აგრესიაშიო. ამერიკაში მყოფი მასხადოვი, ალბათ, საუბარში მ. უდუგოვზე უფრო რბილ გამოთქმებს იხმარს. უკანასკნელ ხანს, უცხოეთში მის ნათქვამსა და იმას შორის, რასაც მისი გროზნოელი თანამოსაქმეები ამბობენ, იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ ზოგიერთმა ექსპერტმა ისიც კი თქვა — მასხადოვს უცხოეთში დარჩენას შესთავაზებენ, როგორც „განდევნილ საპატიო პრეზიდენტსო". გროზნოში ეს ვერსია მაშინვე უარყვეს — ჩეჩნეთს მასხადოვზე უფრო ავტორიტეტული ლიდერი არ ჰყავსო.



*იზვესტია №214*

# რუსეთ-ჩინეთის საზღვარი



მსოფლიოს ყველაზე დიდ ტიან-ანმენის მოედანზე, საზეიმო ცერემონიალზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ძიან ძემინი წითელი ყელსახვევით მორთული შეეგება ბორის ელცინს. წითელი ფერი ჩსრ-ის დროშის ფერია. ძველად, ჩინელ იმპერატორებს წითელი ფერი ცეცხლის სიმბოლოდ მიაჩნდათ და წარმატებას, მამაკაცურ საწყისს აღნიშნავდა. არც რუსეთის პრეზიდენტი გამოიყურებოდა ურიგოდ (ფერთა შეხამებაში). მისი პალსტუხი ყვითელ-ლურჯ ფერებში იყო გადაწყვეტილი. უძველეს ჩინეთში ყვითელი ფერის ტანისამოსს მხოლოდ იმპერატორი ატარებდა; ლურჯი კი — სტაბილურობის მომტანი იყო.

ბორის ელცინს, გარდა თანმხლები პირებისა, ერთი წუთით არ სტოვებდა პრეზიდენტის მრჩეველი, პრეზიდენტის ქალიშვილი — ტატიანა დიაჩენკო. ოფიციალური გეგმა ერთობლივი განცხადებებისა და სხვადასხვა შეთანხმების ხელმოწერას ითვალისწინებდა. საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, საზღვრების გამო, მრავალწლიან კამათს ბოლო მოეღო. რუსეთ-ჩინეთის საზღვარი დადგინდა. 4204 კილომეტრზე დაყენებულია 1182 სასაზღვრო ბოძი და 24 ქერქეტელა. ზუსტად არ არის დადგენილი დარვეტის საზღვრის (50კმ) სტატუსი. ზოგიერთი კუნძული დროებით, როგორც რუსეთის, ისე ჩინეთის იურისდიქციის ქვეშ იქნება. მდინარე ამურზე ორი „საკამათო" კუნძულის სტატუსის გარკვევა მომავალი თაობისათვის მიუნდვიათ.

„მხოლოდ ამისთვის ღირდა ჩინეთში ჩამოსვლა, ეს დიდი გამარჯვებაა", — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

*კომსომოლსკაია პრავდა №207*

# ალაჰისმიერი ჯალათი

## გროზნოში გამოტანილ განაჩენს მოსკოვში აღასრულებს

ჩემს წინ შარიათის სასამართლოს განაჩენის აღმსრულებელი ზის — ჯალათი. ოცდაათიოდე წლის იქნება. უბრალო კოსტიუმი აცვია, ხმადაბლა, მშვიდად ლაპარაკობს, არაფერს მალავს. რუსული შესანიშნავად იცის. იგი ნაცნობმა ჩეჩნებმა გამაცნეს.

— **ჩეჩნეთიდან საგანგებოდ ჩემთან შესახვედრად ჩამოხვედი?**

— მე განაჩენის აღსასრულებლად ჩამოვედი, თან თქვენი თხოვნაც გადმომცეს.

— **შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთში უნდა შესრულო?**

— ჰო, შარიათის მიხედვით, ამის უფლება გვაქვს. მსჯავრდებული ჩეჩენია — განაჩენი სასიკვდილოა. ორი ქალის მკვლელი აქ ცხოვრობდა, თქვენთან. სხვათა შორის, რუსეთში ნებისმიერი განაჩენის გამო ჩამოვდივართ. მაგალითად, ჯოხით დასჯის დროსაც, ჯოხი თან ჩამოგვაქვს, ჩვენი კანონი ზუსტად მიუთითებს მის ზომას. საერთოდ, დასჯის პროცესი ზედმიწევნითაა აღწერილი შარიათში. დარტყმის ძალაც და ისიც, როგორ დაარტყა... ილლიები არ უნდა გიჩანდეს.

რუსები ამბობენ, შარიათის მართლმსაჯულება სასტიკიაო... რუსული მართლმსაჯულება როგორილაა? შარიათის სასამართლო ცუდია თუ კარგი, გარკვეულწილად, ლოგიკურია. იგი არ იცვლება იმის მიხედვით, ვის ეკუთვნის ძალაუფლება კონკრეტულ დროს. თქვენი ნებისმიერი მაფიოზი გენერალურ პროკურორზე მაღლა აყენებს თავს. ამას წინათ, შარიათის გვარდიელები ერთ ჩვენებურ მაფიოზს ესტუმრნენ — მუსულმანისათვის შეუფერებელი ცხოვრების წესი ჰქონდა. ჰოდა, ორმოცი ჯოხიც მიიღო ამისათვის.

...მთელი ჩვენი ცხოვრება ყურანს ემორჩილება, ვმარხულობთ. ყოველ წუთს მზად ვართ, შარიათის სასამართლოს განაჩენის აღსასრულებლად... შარიათის გვარდიელთაგან ბევრი უბიწოებას იცავს. საშუალო ასაკი — 25-27 წელია. ალკოჰოლსა და ნარკოტიკს არ ვეკარებით. დოგმისაგან ერთადერთ გადახვევად — სპორტი ითვლება. გვარდიელის სიკვდილის შემთხვევაში, მის მშობლებს დიდი შეღავათები ეძლევათ. შარიათის გვარდიაში სამსახური ძნელია, მაგრამ უმაღლეს პატივადაა მიჩნეული.

— **ნუთუ, შარიათის სასამართლოს ძალუძს ყველა ცოდვილის დასჯა?**

— თქვენი წარმოდგენით, შარიათის სასამართლო შუასაუკუნებრივი გადმონაშთია. უდანაშაულობის პრეზუმფცია თქვენს კანონებში ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. მუსულმანურ სამყაროში კი, ძველთაგანვე, სასამართლოს წინაშე წარმდგარი კაცი დამნაშავედ არ მიიჩნევა, სანამ დანაშაული არ დაუმტკიცდება.

— **მრუშობისათვის რა სასჯელია გათვალისწინებული?**

— ასი ჯოხი. ქურდობისათვის გაცილებით მძიმე სასჯელია — პირველად თითებს ასხეპენ. მეორედ თუ იქურდა — ხელის მტევანს ან ყურს. ომის შემდეგ, ქურდებს თითებს ან მტევანს აღარ აჭრიან, ისედაც ბევრი დასახიჩრდა. ჩვენთან უყურო კაცს რომ დაინახავ, ყველაფერი ნათელია. სწორედ ასეთები გამორბიან რუსეთში.

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ. ბევრი ციხის შენახვის საშუალება არ გვაქვს. მახსოვს, ომის დროს, ერთი მოღალატე ჩეჩენი ბერიკაცის დასჯა აჩვენეს თქვენი ტელევიზიით — მოხუცი კაცი დახვრიტესო. ჩვენ ომი უნდა მოგვეგო. ვსჯიდით რუს მფრინავებსა და მეკონტრაქტეებს. მფრინავების გადმოგდებული ბომბებით უამრავი ადამიანი დაიხოცა. მეკონტრაქტეები ხალხის ხოცვით იღებდნენ ფულს. ტყვიის ღირსიც კი არ იყვნენ — მათ თავებს ვაჭრიდით. არ უარვყოფ — საშინელი სასჯელია. ჯალათს ერთი დაკვრით უნდა წაეგდებინებინა თავი, ვინც ამას ვერ მოახერხებდა, 60 ჯოხს იღებდა.

1993 წლის შემდეგ 300-მდე განაჩენი აღსრულდა, სწორედ ჩეჩნების მიმართ. კიდევ ასი კაცი ელოდება სიკვდილს.

— **საჯაროდ რატომ აქციეთ დასჯის პროცესი?**

— საჯაროდ რუსეთის ტელევიზიამ აქცია. რომ არა ტელევიზია, მოსკოვში ყურსაც არავინ შეიბერტყავდა. საჯარო დასჯას ჩვენთვის სხვა მნიშვნელობა, სხვა არსი აქვს — დამნაშავე დაისაჯა, იგი ალაჰმა დასაჯა. ალაჰმა მისცა კაცს სიცოცხლე, იგივე — ართმევს.

— **რას გრძნობ, როცა განაჩენი სისრულეში მოგყავს?**

— ისეთს არაფერს, რაც ხელს შემიშლის, რომ კანონის მსახური ვიყო. მე ბოროტებას ვძირკვავ და მორწმუნე კაცი ვარ. ეს თქვენ, რუსებს, გერცხვინებათ ამგვარი სამუშაო. ერთთავად რალაცის უკან ამოფარებას ლამობთ. რა მაქვს დასამალი? რას უნდა ვგრძნობდე... კარგი, გეტყვი. ეს დაახლოებით იგივეა, როცა ცოფიან ძაღლს კლავ. მასში ჩაბუდებული სენი სხვაზე არ უნდა გავრცელდეს. მაშ, რატომღა უნდა მებრალებოდეს?

...ჯალათმა საათს დახედა. მისი წასვლის დროც მოსულა... წავიდა კიდეც.

თქვა ის, რისი თქმაც სურდა, რაც დაავალეს. უაზრობა და სახიფათოა მათთვის ჩვენი მორალის მიძალება. ეგეც არ იყოს, სად არის იმის გარანტია, რომ ჩვენი მორალი — უფრო ჭეშმარიტია. იგი ხომ 1944 წლის იმ ზამთარში გაიყინა, როცა ჩეჩნებს სამშობლო წაართვეს და იმპერიის შორეულ ადგილებში გადაისროლეს დასაღუპად. მათი ბრალი არაა, რომ გადარჩნენ... და ცხოვრობენ კიდეც განსაკუთრებული წეს-კანონით. გვაქვს კი უფლება, განვსაჯოთ?

... ამას წინათ, გავიგე, თათრეთის კურსანტები ჩეჩნურ შარიათის გვარდიაში გადიან, თურმე, სწავლებას.

*იბეჭდება შემოკლებით*
*ობშჩაია გაზეტა №44*

# უკანასკნელ საათს

**ჩეჩნეთის საზღვრისპირა** დაღესტნის დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობამ შექმნა პარტიზანული რაზმები. მათ დაღესტნის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები უხელმძღვანელებენ. ეს გადაწყვეტილება მახაჩყალაში გამართულ დაღესტნის უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიღეს.

**რფ პრეზიდენტმა ბორის ელცინმა** სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლად დანიშნა ადმირალი. ვ. კუროედოვი.

**ტრაგედია დატრიალდა მოსკოვის** მიმიკისა და ჟესტის თეატრში. გამოძახებულ მილიციელებს თეატრში ორი ყრუ-მუნჯი კავკასიელის გვამი დახვდათ, — თურმე, იმ სალამოს თეატრში ყრუ-მუნჯი ინვალიდებისათვის საქველმოქმედო სპექტაკლი მიდიოდა. წარმოდგენის დროს ყრუ-მუნჯ მსახიობებს ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ და ორი კავკასიელი მოუკლავთ.

**იტალიელი რეჟისორის, მარტინ სკორსეზეს** ფილმის „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნების" ტელეარხ „ნტვ"-ზე ჩვენებასთან დაკავშირებით, „ოსტანკინოსთან" დიდი მიტინგი გაიმართა. მისმა მონაწილეებმა ფილმის დემონსტრაცია მორწმუნეთა შეურაცხყოფად მიიჩნიეს.

**იტალიაში დააპატიმრეს ისრაელის მოქალაქე,** რომელიც მონაწილეობდა არისტოტელე ონასისის შვილიშვილის, ათინა რუსელის გატაცების მცდელობაში.

**ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა** ნადეჟდა მიხაილოვამ, შუა აზიასა და კავკასიაში ვიზიტის დროს, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება ბულგარეთის ნავსადგურის, ბურგასის გავლით შესთავაზა.

**პარიზის ამერიკული ჰოსპიტლის** წარმომადგენელთა ოფიციალური ცნობით, სანქტ-პეტერბურგის ექს-მერი ანატოლი სობჩაკი ამ კლინიკაში მკურნალობს. მას ოპერაცია არ სჭირდება, მაგრამ რუსეთში დაბრუნებას სობჩაკი, ჯერჯერობით, არ აპირებს.

**ცნობილმა ეგვიპტელმა იურისტმა** ნაბიჰ ალ-ვაჰშმა დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II და პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი სასამართლოს გადასცა. ალ-ვაჰში მათ ადანაშაულებს პრინცესა დისა და მისი საქმროს წინააღმდეგ შეთქმულებაში. იურისტმა შედგენილი საბუთები ეგვიპტეში დიდი ბრიტანეთის საელჩოს გადასცა. კაიროს სასამართლომ „ელისაბედ II-ის საქმის" მოსმენის დღე დანიშნა.

# თვითმკვლელობა თუ ანგარიშსწორება?..

წერილი, რომლის შინაარსსაც ახლა გაგაცნობთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი იზოლატორის კარცერში იპოვეს. მისი ავტორი პატიმარი ზურაბ პაქსაშვილია. ციხის ადმინისტრაციის მტკიცებით, პაქსაშვილმა ბარათი კარცერში მოთავსებისთანავე დაწერა, შემდეგ ჯინსის შარვლის ნაფლეთებისაგან შეკოწიწებული თოკით გისოსზე თავი ჩამოიხრჩო:

„ჩემს სიკვდილში ნურავის დაადანაშაულებთ... სრულ ჭკუაზე ვარ, მაგრამ მეტის ატანა აღარ შემიძლია... ოლეგს ვთხოვ, შვილი გამიზარდოს...“

ზურაბ პაქსაშვილს წლინახევრის ბიჭი დარჩა. თავად 28-ის იყო. დაპატიმრებამდე რუსეთში ცხოვრობდა. იქ ემალებოდა სასჯელს, რომელიც 1992 წელს ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო ელოდა. 1992-ში პაქსაშვილმა მეზობლად მცხოვრები გვარდიელი დათო მამაცაშვილი მოკლა, საბაბით: მამაცაშვილმა მისი და სიტყვიერად შეურაცხყო. ზურა უკვე ნამყოფი იყო ციხეში. მეშვიდეკლასელი მანქანის გატაცების ბრალდებით გაასამართლეს. ამნისტიამ ხუთი წლის შემდეგ მოუსწრო. მკვლელობამდე „კავკასიის ბირჟაზე“ მსახურობდა. მერე ერთბაშად გაქრა ქალაქიდან. მოგვიანებით გამოჩნდა. დააკავეს. ორ კვირაში, 1997 წლის 29 სექტემბერს, დედამ ამანათი მიუტანა. მორიგემ უარით გაისტუმრა: თქვენი შვილი კარცერში ზის და ამანათი არ ეკუთვნისო. 30-ში პაქსაშვილის გარდაცვალების ამბავი დეპეშით ამცნეს. თვითმკვლელობა ორი დღით ადრე, ე.ი. 28-ში მომხდარიყო.

ციხის ადმინისტრაციის მტკიცებით, პაქსაშვილმა თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება ჯერ კიდევ 84-ე კამერაში ყოფნისას გამოავლინა. მან ვენები გადაიჭრა, რათა სხვაგან გადაყვანის უფლება მოეპოვებინა. სხვა საკანში გადასვლას პატიმრისგან, თურმე, 84-ე კამერის ბინადარნი მოითხოვდნენ. საბაბი ძალზე დელიკატურია. მას ციხის ხელმძღვანელობა მხოლოდ პირად საუბარში ახსენებს. ოფიციალურად კი განმარტავს, რომ მორიგი საკნის გამოცვლისას, პაქსაშვილმა ზედამხედველს შეურაცხყოფა მიაყენა. ურჩი პატიმარი კარცერში გამოამწყვდიეს. სამი საათის შემდეგ მკვდარი იპოვეს.

გარდაცვლილის ახლობლები ეჭვობენ, რომ პაქსაშვილი წამებისას შემოაკვდათ, ან ჯერ სცემეს, მერე მიახრჩვეს. ეჭვის საფუძველს, თოკის წაჭერის შედეგად კისრის ცალ მხარეს გაჩენილი ზოლი და დაკბენილი ტუჩები ბადებს. კისრის მეორე მხარე დაუზიანებელია.



ზურაბ პაქსაშვილის მშობლების ვარაუდს, გარკვეულწილად, პენიტენციალური რეფორმისა და მსჯავრდებულთა საკითხების საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც იზიარებს. თევდორაძის განმარტებით, გარდაცვლილის სურათებზე გარკვევით ჩანს უცნაური ლაქები, ნაჩხვლეტები, რომლითაც მთელი სხეულია დაფარული.

ექსპერტიზა პატიმრის წამებით მოკვლის ვერსიას გამორიცხავს, რადგან დაზიანებები პაქსაშვილს თურმე კარცერში მოთავსებამდე 5-6 დღით ადრე მიაყენეს. თავისთავად, ცემის ფაქტი დადასტურებულია, უდავოა: პატიმარს მძიმე, ბლაგვი საგნით გაუსწორდნენ. დალურჯებული კანი, მოტეხილი თითი, გადატყავებული ზურგი, კოჭებთან შემჩნეული ლონულები, ჩაშავებული მუხლი სწორედ ბლაგვი საგნის ნაკვალევია. იგი, შესაძლოა, ხელკეტიც ყოფილიყო.

**ელენე თევდორაძე:** „ზოგჯერ ადმინისტრაცია პატიმრების ხელითვე უსწორდება პატიმრებს. ზოგჯერ ანგარიშსწორება ვიღაცის დავალებით ხდება“.

სხვა საკითხია, ვის უნდა სდომოდა ანგარიშსწორება: 84-ე საკნის ბინადრებს, რომლებმაც, ხელმძღვანელობის განმარტებით, ახალი პატიმარი არ მიიღეს, თუ პაქსაშვილის მიერ 1992 წელს მოკლული ახალგაზრდის ჭირისუფლებს?

**ნელი გამცემლიძე, ზურაბ პაქსაშვილის დედა:** „დათო მამაცაშვილის ძმა პოლიციელია“.

კომპეტენტური პირები თვითმკვლელობის მიზეზების დაკონკრეტებას ერიდებიან, საბაბით: ძიება ჯერ არ დასრულებულა და განსჯისათვის ანალოგიურ ფაქტებს გვთავაზობენ:

ზურაბ პაქსაშვილის სიკვდილამდე ერთი თვით ადრე, იმავე იზოლატორის იმავე კარცერში, ხანდაზმულმა პატიმარმა, გვარად ჩუბინიძემ, საკუთარი ტანსაცმლის ნახევით გისოსზე თავი ჩამოიხრჩო. დაახლოებით ერთი წლის წინათ, ათდღიანი პატიმრობის შემდეგ, იმავე მეთოდით მოიკლა თავი სულიერი აფექტის დროს იზოლირებულ საკანში ჩაკეტილმა ბათალდი გერლიანმა, რომელმაც უფრო ადრე, პაქსაშვილის მსგავსად, ვენები გადაიჭრა. გერლიანის გარდაცვალების ამბავი, კვლავ პაქსაშვილის მსგავსად, მესამე დღეს შეატყობინეს ჭირისუფლებს.

ეს უკვე ტენდენციაა.

სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, გივი ყვარელაშვილის განმარტებით, საქართველოში, ყოველდღიურად, თითო პატიმარი მაინც იკლავს თავს.

არსებობს მოსაზრება, რომ თვითმკვლელობა განსაკუთრებით ურჩი და არასასურველი პატიმრების დასჯის მეთოდია. ამ ნაბიჯამდე პიროვნება ე.წ. „რაზბორკების“ მეშვეობით მიჰყავთ. „რაზბორკის“ შედეგებს ციხის საავადმყოფოში მოთავსებულთა დიაგნოზები გვამცნობს: ქალა-ტვინის ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, ქალის ფუძის მოტეხილობა, რომელსაც 1965 წელს დაბადებული ბესიკ თოლორდავა შეეწირა.

ქსნის ტუბზონაში მყოფი მიხეილ ოგბაიძის სიკვდილის მიზეზი 100 აბის მიღების შედეგად გამოწვეული ინტოქსიკაცია აღმოჩნდა. ელენე თევდორაძის მტკიცებით, ოგბაიძის გადარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ მასზე არავინ იზრუნა.

მოწამვლითვე გარდაიცვალა ბავშვთა კოლონიის პატიმარი ზაქარია გორგიშვილი, ოღონდ მას აბები არ მიუღია. თუ ციხის ექიმებს ვერწმუნებით, შხამი თავად მოზარდის ორგანიზმმა გამოიმუშავა.

ხელმძღვანელი პირები მომხდარის გამო განსაკუთრებულ შეშფოთებას არ გამოთქვამენ.

**გივი ყვარელაშვილი:** „უთანხმოება ოჯახის შიგნითაც ხდება და რა გასაკვირია, მან დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს შორის იჩინოს თავი... საქართველოში მკაცრი რეჟიმის სამი კოლონია გვაქვს. კოლონიებში 5,6,7,12-გზის ნასამართლევი პიროვნებები იხდიან სასჯელს. ბუნებრივია, მათი ჯანმრთელობა შერყეულია. ჯანმრთელობას პატიმარი კი არა, ბახმაროში გაზრდილი კაციც ვერ ინარჩუნებს“.

გასაგებია, რომ უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მექანიზმი არ არსებობს. თვითმკვლელობა და „რაზბორკები“ ციხის ცხოვრების წესია. საინტერესოა მხოლოდ, რატომ ხვდებიან თვითმკვლელობისადმი მიდრეკილი პატიმრები იზოლირებულ საკნებში, სადაც, შესაძლოა, ბასრპირიანი საგანი, მაგალითად, კონსერვის ქილა ეგდოს; რატომ არ ამოწმებენ პატიმარს 10-15 წუთში ერთხელ, რატომ ატყობინებენ გარდაცვალების ფაქტს ჭირისუფლებს 2-3 დღის დაგვიანებით, რატომ აძლევენ სველ ტანსაცმელს, რომელსაც, საგულდაგულო გარეცხვის მიუხედავად, ალაგ-ალაგ მაინც ამჩნევია წითელი ლაქების კვალი...

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას, უპირველესად, ზურაბ პაქსაშვილის მშობლები ითხოვენ, მაგრამ გამოძიება, ჯერჯერობით, დუმს.

*შორენა ლებანიძე*

# მკვლელობა იტალიურად



გამოძიება დიდხანს გაგრძელდა. თითქმის მთელი ერთი ხელი პოლიცია ერთ ადგილს ტკეპნიდა. გუჩის იმპერიის შთამომავალი მაფიამ მოკლა თუ ყოფილ საყვარელს ემსხვერპლა? ეჭვი პარტნიორებზეც მიიტანეს. გამომძიებლებმა სულ ბოლოს მიაქციეს ყურადღება ქვრივს...

ახლობლებმა ის ლიზ ტეილორად მონათლეს — უჩვეულოდ მოიისფრო თვალებისა და მტკიცე ხასიათის გამო. გუჩის ოჯახისა და მილანის საპატიო საზოგადოებისთვის პატრიცია რეჯიანი ბოლომდე უცხოდ დარჩა... რას აბრალებდნენ მას? ამბიციურობასა და ფულის თავდავიწყებულ სიყვარულს.

დავუბრუნდეთ 1970 წლის მოვლენებს. პატრიცია რეჯიანი უმდიდრესი როდოლფო გუჩის (მორიზიოს მამა) რეზიდენციაში წვეულებაზე დაპატიჟეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეზობლად ცხოვრობდა. მთელი საღამო ქალი მორიზიოს არ მოშორებია, სულ მალე კი ახალგაზრდა გუჩიმ პატრიციას ცოლად შერთვა მოინდომა. მამა გაოგნდა, — ხომ არ შეიშალე, ვერ ხედავ, რომ მას მხოლოდ ჩვენი ქონება უნდა?! პატრიცია ირონიულად ამოიოხრავდა ხოლმე: ნამდვილი მონტეგები და კაპულეტები ვართო. მიზანდასახულმა ქალბატონმა მაინც მიაღწია საწადელს, — 1972 წელს ცოლად გაჰყვა მორიზიოს. ქორწინებამ 18 წელი გასტანა. 1990 წლამდე ისინი ბობოქარი არისტოკრატიული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჰქონდათ ბინა ნიუ-იორკში, შესანიშნავი იახტა, მდიდრულ წვეულებებს მართავდნენ. 1983 წელს მორიზიომ პაოლა ფრანჩი გაიცნო, შეუყვარდა და ახალი ცხოვრების დაწყება განიზრახა.

პატრიცია ვერაფრით ვერ შეეგუებოდა სიმდიდრის დაკარგვას. მებაღეს მოელაპარაკა და გადაწყვიტა, სენტ-მორიცის ვილის დაწვა, სადაც შეყვარებულები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

„მისი ახალი ქორწინებით მე და ჩემს ქალიშვილებს ბევრი რამ მოგვაკლდებოდა“, — მოგვიანებით თავი იმართლა პატრიციამ. სახლის დაწვის მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. ამის შემდეგ საქმეში ჩაერია ვინმე ჯუზეპინა ორიემა. 50 წლის ავანტურისტმა ქალმა ნეაპოლში მოდების სახლი მიატოვა და მილანში სამკითხაო სალონი გახსნა, რომელიც, დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. ეს მკითხავი ქალბატონი პატრიციას გულითადი მეგობარი და მრჩეველი გახდა. მანვე მიაწოდა იდეა, ქილერები დაექირავებინა და თვითონვე გააცნო მკვლელები. მოლაპარაკების შემდეგ, დაიდო კონტრაქტი 1,5 მილიონ ფრანკზე. განაჩენის აღსრულების თარიღად დაგეგმილი იყო 1995 წლის 27 მარტი. მორიზიო გუჩი შინიდან გამოვიდა და 3 წამის შემდეგ სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა.

პატრიციამ დიდი შეცდომა დაუშვა. ქმრის სიკვდილის შემდეგ ისე გაერთო წვეულებებით, რომ სულ დაავიწყდა თავისი ვალი ქილერის წინაშე. გამწარებულმა მკვლელმა ენის ტარტალი დაიწყო. ტრაგედიის ყველა მოქმედი პირი საკანში აღმოჩნდა — 2 ქილერი და მკითხავი, რომლებმაც ყველაფერი ქალბატონ პატრიცია რეჯიანის დააბრალეს.

*კალეიოდოსკოპი №45*

# მკვლელ მამას შვილმა ჩასჩურჩულა — მიყვარხარ

48 წლის ფილიპ ნეჟონს ცოლისა და 2 შვილის მოკვლისათვის 30 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. განაჩენი გამოტანილია, მაგრამ კვლავაც ისმის კითხვა: კაცი, რომელმაც ცოლშვილი დახოცა, შეიძლება თუ არა ფსიქიკურად ჯანმრთელი იყოს. მკვლელობიდან 4 დღის შემდეგ ფილიპ ნეჟონმა გამომძიებლებს უამბო: როცა ცოლი გამშორდა და ბავშვები დედასთან დარჩნენ, მივხვდი, მათ გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო და გადავწყვიტე — მათაც მოვკლავ და თავსაც მოვიკლავ-მეთქი. ცოლს რევოლვერი ვესროლე, უფროს ვაჟს თავში ჩაქუჩი ჩავარტყი, მერე ჩამოვახრჩე, პირველ სართულზე ჩავედი და უმცროს შვილს ვესროლე, მერე საძილე წამლის დიდი დოზა მივიღე, მაგრამ არ მომკლა...

ოჯახს პირველი შვილი 1981 წელს გაუჩნდა. მამამ, ფილიპ ნეჟონმა გადაწყვიტა, რომ იგი აუცილებლად გენიოსად ექცია. მერე მეორე ვაჟი და გოგონა, იზაბელა შეეძინათ. შვილების მიმართ მზრუნველი მამა იყო, გადაჭარბებულად მზრუნველიც კი, მაგალითად, იმ ოჯახების მენიუს ამოწმებდა, სადაც ბავშვებს დაბადების დღეებზე ეპატიჟებოდნენ.



ქმრის სისასტიკის მიუხედავად, ელიანს მასთან განქორწინება არ უფიქრია, თუმცა ცდილობდა, ქმრისგან თავი როგორმე შორს დაეჭირა, მორწმუნე ქალს კიდევ ჰქონდა იმის იმედი, რომ ფილიპი გონს მოეგებოდა, მაგრამ ელიანის სიცივით განრისხებულმა ფილიპმა ქალი კიბეზე დააგორა. აი, მაშინ შეიტანა ელიანმა სასამართლოში განცხადება და ეს ტრაგიკული აღსასრულიც გაყრის გადაწყვეტილებას მოჰყვა.

იმ საშინელ ღამეს მხოლოდ ქალიშვილი — იზაბელა გადარჩა, რომელიც ამბობს, — მამაჩემს ერთ დღეს პასუხს მოვთხოვო.

სიკვდილის წინ, თურმე, არმანმა მამას უთხრა, — მიყვარხარო.

*კალეიდოსკოპი №44*

# ჩარლი მენსონი — საშიში პატიმარი

ათი წელი გავიდა ლოს ანჯელესში შერონ ტეიტისა და ლენოლ ბლანკოს მკვლელობიდან. მათ მკვლელს, ჩარლი მენსონს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.



„ვერ გამიგია, რატომ ვზივარ ამდენ ხანს ციხეში, მე ხომ საკუთარი ხელით არავინ მომიკლავს“, — მიამიტად აცხადებს მენსონი.

ეს ამაზრზენი გარეგნობის ბანდიტი სიყმაწვილიდან სატუსაღოს ხშირი სტუმარია, სასჯელს იხდიდა თაღლითობისთვის, ძარცვისა და სუტენერობისთვის.

მენსონის დედა მეძავი იყო, მამა — არავინ იცის, ვინ. ზრდიდნენ მორწმუნე დეიდა და სადისტი ბიძა. ათი წლისამ ქუჩას მისცა თავი და მალე „საგმირო საქმეებით“ დიდი სახელი მოიხვეჭა...

1967 წელს თავდებით გამოუშვეს ციხიდან და მაშინვე სან-ფრანცისკოს მიაშურა, სადაც სწრაფად იქცა თავისნაირთა „ოჯახის“ სათაყვანო კერპად. თავი მოუყარა მაწანწალა გოგო-ბიჭებს და მათ ხარჯზე ცხოვრობდა.

1969 წლის 9 სექტემბერს მისი ოთხი ბანდიტი შეიჭრა კინორეჟისორ რომან პოლანსკისა და კინოვარსკვლავ შერონ ტეიტის სახლში. ოჯახის უფროსი შინ არ იყო. ცხრა თვის ფეხმძიმე შერონსა და მის ოთხ მეგობარს მკვლელებმა სასტიკი წამებით ამოხადეს სული და მათი სისხლით კედლებზე წარწერა გააკეთეს...

ორი დღის შემდეგ, მენსონის ბრძანებით, ასევე მოექცნენ ბიზნესმენ ლენოლ ბლანკოსა და მის მეუღლეს...

მენსონი თვითონ არ მონაწილეობდა მკვლელობაში, მაგრამ გვამების აბუჩად აგდება და გაუპატიურება მის კისერზეა.

ჩარლი და მისი თანამზრახველნი დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

მენსონი ორ წელიწადში ერთხელ შეწყალების თხოვნას გზავნის, მაგრამ ყოველთვის უარს იღებს.

ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე საშიში და ცნობილი პატიმარი ციხიდან არ ასვენებს საზოგადოებას.

*ია ტელოხრანიტელ №19*

# 3 მილიარდი რუბლი იზარალა

ჩვენი დროის ოსტაპ ბენდერმა, 25 წლის ლეიტენანტმა გიორგი პირუმოვმა, შინაგანი ჯარების სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, ყველაზე საზრიანმა და მოხერხებულმა აფერისტმა, მოსკოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები „გადააგდო“.

ლეიტენანტმა სამინისტროში დარეკა, თავი სამშენებლო ფირმა „რამისის“ გენერალურ დირექტორად გაასაღა და მილიციის თანამშრომლებს საკმაოდ დაბალ ფასად მოსკოვში, ერთ-ერთ მშენებარე სახლში, შესთავაზა ბინები. საინტერესოა, რისი იმედი ჰქონდა ცრუ დირექტორს. მაგრამ ის თავადაც გაკვირვებული დარჩა, როდესაც სამინისტროს თანამშრომლებმა ხალისით მოაწერეს ხელი ყალბ საბუთებს. ხელშეკრულების თანახმად, ფირმა „რამისში“ გადაირიცხა 3,2 მილიარდი რუბლი — საბიუჯეტო სახსრები, რის შემდეგაც ახალგამომცხვარი ბენდერი გაუჩინარდა.

აფერისტი მალე დააკავეს. „გენერალურ დირექტორთან“ ერთად საბრალდებო სკამზე მისი ორი თანამზრახველი აღმოჩნდა: 31 წლის, ადრე ნასამართლევი, პროკოშევი და 21 წლის მარგარიტა მაკაროვა. სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირუმოვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, პროკოშევს — 6, ხოლო მაკაროვას — 4 წელი, ქონების კონფისკაციით. გარდა ამისა, სასამართლომ დამნაშავეებს 3 მილიარდ 200 მილიონი რუბლი გადაახდევინა მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №209*

# რობინზონ არაბული სულ „კაიფშია“...

ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდი, 45 წლის რობინზონ არაბული, მოსკოვის მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს. ქუთაისის ორგანიზებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფის ხელმძღვანელი ერთ-ერთი შენობის სადარბაზოში ნარკოტიკებით „გათიშული“ აიყვანეს. ჯერ კიდევ 1995 წელს, კრიმინალური „გენერალი“ მოსკოვის ერთ-ერთი საავადმყოფოს გასტროენტეროლოგიური განყოფილებიდან წაიყვანეს. პაციენტის კარადაში ჩხრეკის დროს პრომედოლის სამი ამპულა და ორი გრამი კოკაინი იპოვეს. ასე რომ, არაბული საავადმყოფოს პალატიდან, მისთვის კარგად ცნობილ იზოლატორში „გადასახლდა“. მას მალე ნარკოტიკების უკანონო შენახვაში დაადანაშაულებენ.

*სეგოდნია №248*

# ცხინვალელი ქართველი ლტოლვილები გამორჩათ?!..

14 ნოემბერს ჯავაში მორიგი შეხვედრა შედგა, რომელიც ეხებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას.

შეხვედრაში ოთხი მხარის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს მხრიდან — პრეზიდენტი შევარდნაძე, აულიარებელი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ჩიბიროვი, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის — ალანიის პრეზიდენტი ალსარბეკ გალაზოვი, ხოლო მოსკოვის დელეგაციაში იყვნენ ევროპის საბჭოში რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების მუდმივი დელეგაციის ხელმძღვანელი ალექსანდრ ძასოხოვი, რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი პაინი, დსთ-ის ქვეყნებთან თანამშრომლობის მინისტრის მოადგილე მატიუშოვი. ევროპას საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელი ლიბალი წარმოადგენდა.

ჯავის სახელმწიფო რეზიდენციაში გამართული სამსაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ, მხარეებმა ერთობლივი განცხადება მიიღეს. თუმცა, ალსანიშნავია, რომ შევარდნაძემ და ჩიბიროვმა პირისპირ საუბარიც გამართეს, რომლის დროსაც, უსაქმოდ დარჩენილმა მოლაპარაკებების სხვა მონაწილეებმა თითქმის სათითაოდ მისცეს ყველა ჟურნალისტს ინტერვიუ.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ალანიის პრეზიდენტმა გალაზოვმა, რომელმაც რამდენიმე ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს. თავისი საუბრის დროს, გალაზოვმა თითქმის განსაზღვრა საქართველოს მომავალი და მისი ადმინისტრაციული წყობა — საქართველო უნდა იყოს ფედერაციული სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში იქნება აფხაზეთის, აჭარისა და, რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებიო, — არ დაიბნა გალაზოვი.

სანამ რუსეთის წარმომადგენლები საქართველოს მომავალს წყვეტდნენ, ჯავის სახელმწიფო რეზიდენციის ეზოში მოლაპარაკებადამთავრებული შევარდნაძე და ჩიბიროვიც გამოჩდნენ და ჟურნალისტებს გააცნეს ის განცხადება, რომელიც მათი შეთანხმების შემდეგ შედგა.

განცხადების მთავარი დედააზრია — 1998 წელი ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ ოჯახებში დაბრუნების წლად უნდა იქცეს.

ამაში ცუდი, რა თქმა უნდა, არაფერია, მაგრამ გაკვირვებას იწვევს თავად ერთობლივი განცხადების ტექსტი, სადაც არ არის ნახსენები ცხინვალიდან განდევნილი ქართველები, სამაგიეროდ, ცალკეა გამოყოფილი საქართველოს სხვა რეგიონებში ოსების დაბრუნება:

„Грузинская сторона вновь подтверждает свою готовность способствовать возвращению осетинских семей, вынужденных в свое время покинуть регионы Грузии, находящихся вне пределах зоны конфликта, в связи с применением к ним неправомерных действий".

კიდევ კარგი, საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას ხაზი გაუსვა ცხინვალში ქართველი ლტოლვილების დაბრუნებას, მაგრამ ეს მაინც ზეპირ ნათქვამად დარჩა.

როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ჯავის შეხვედრას ერთი მთავარი პრობლემა უნდა გადაეჭრა — ოსური მხარე ცდილობს, ჯერ მოხდეს ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური აღორძინება და პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა და შემდეგ ქართველ ლტოლვილების დაბრუნებაზე საუბრის დაწყება.

ქართული მხარე კი პირიქით, ცდილობს, ჯერ ლტოლვილები დააბრუნოს და შემდეგ ისაუბროს აულიარებელი სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაზე, ან უკიდურეს შემთხვევაში, ეს ორივე პროცესი პარალელურად წარმართოს.

მომავალი გვიჩვენებს, თუ ამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ორთაბრძოლაში, რომელ მხარეს გადაიხრება სასწორი, 14 მარტის ერთობლივ განცხადებაში კი, მიღწეულ იქნა რიგი შეთანხმებები;

— პირველ რიგში, უახლოეს მომავალში, თბილისში, შედგება მორიგი შეხვედრა, რომელზეც კონკრეტულად დაზუსტდება შემდგომი თანამშრომლობის გეგმა. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა შე-



ვარდნაძემ ჩიბიროვი თბილისში მოიწვია, თუმცა, ეშმაკურად დაურთო, — მე მესმის ბ-ნი ლუდვიგი ამ სტუმრობის შესახებ, ალბათ, აუცილებლად უნდა შეუთანხმდეს თავის კოლეგებსო.

— ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, მოსახლეობის დიდ ნაწილს სახელმწიფო შემნახველ ბანკებში შეტანილი დანაზოგები დაეკარგა, საჭიროა ამ თანხების დადგენა და მოსახლეობისთვის დაბრუნება.

— ლტოლვილთა საცხოვრებელ სახლებში დაბრუნებისთვის უნდა შეიქმნას ერთობლივი კომისია.

— მხარეები შეთანხმდნენ პატიმრების გაცვლის შესახებ. ე.ი. ოსი ეროვნების პატიმრებს ცხინვალში გაგზავნიან და პირიქით.

განსაკუთრებით აღინიშნა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალების ეფექტური მოქმედება. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ხაზი გაუსვა ცხინვალში დაბანაკებულ „ცისფერჩაფხუტიანების" დადებით ფაქტორს, განსხვავებით სხვა რეგიონებისა (მან, ალბათ, აფხაზეთში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალები იგულისხმა).

ამასთან, ჩიბიროვს არ დაავიწყდა საქართველოს პრეზიდენტისთვის შეეხსენებინა, რომ ცხინვალის რეგიონის სახელი ოსებისთვის დიდი ხნის გარკვეულია და ჯობს, კვლავაც სამხრეთ ოსეთად მოიხსენიონ.

ჩრდილო ოსეთის — ალანიის პრეზიდენტი სულ ცდილობდა, პირისპირ შეხვედროდა თავის ქართველ კოლეგას, მაგრამ პრეს-კონფერენციამდე ეს ვერ მოახერხა. გალაზოვს, ალბათ, საქართველო-რუსეთის საზღვარზე სპირტის გადინების პრობლემა თუ აწუხებდა.

როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, საქართველოდან ჩრდილო ოსეთში ტრანზიტით გამდინარე სპირტის გზის მოსკოვიდან გადაკეტვამ, ვლადიკავკაზის ხელმძღვანელობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო — ჩრდილო ოსეთში ძირითადი ფული სწორედ ამ ტრანზიტულ სპირტს შეჰქონდა. უფრო მეტიც, ბევრი „სპარტაკ-ალანიის" ჩაფლავებას რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატში, სწორედ სპირტის ბიზნესის ჩავარდნას უკავშირებს — თითო სპირტმზიდი თითო მსაჯის „მოთაფვლას" უდრიდაო, — ხუმრობენ ზოგიერთნი.

ჯავის შეხვედრამ უჩვენა, რომ ბრძოლა საქართველოს მთლიანობისთვის ჯერ კიდევ წინაა, ოღონდ ბრძოლა, სადაც ტანკებსა და ქვემეხებს პოლიტიკოსთა კალმები ცვლიან.

*ჯავა-თბილისი*

# არსენალი

„კვირის პალიტრის" წინა ნომერში მკითხველს შევპირდით, რომ მოვუთხრობდით МиГ-29 თვითმფრინავთან დაკავშირებულ საინტერესო ამბებს, რომელთაგან ერთი საქართველოსაც ეხება.

МиГ-29-ის პროექტირება საბჭოთა კავშირში 1972-74 წლებში დაიწყო და ის იქცა მეოთხე თაობის ერთ-ერთ პირველ თვითმფრინავად, რომლითაც მოსკოვს ნამდვილად შეეძლო, დაპირისპირებოდა დასავლეთის გამანადგურებლებს. ორძრავიანი МиГ-ის პირველი გაფრენა 1977 წლის 6 ოქტომბერს შედგა, ხოლო მისი სერიული გამოშვება მხოლოდ 5 წლის შემდეგ, 1982 წელს დაიწყო მოსკოვის ქარხანა МАПО-ში.

სულ 1996 წლამდე, მოსკოვში აიწყო 1250 МиГ-29, ხოლო ნიჟნი ნოვგოროდში 200-ზე მეტი 2 ადგილიანი МиГ-29УБ სასწავლო-სავარჯიშო თვითმფრინავი.

1997 წლის დასაწყისისთვის რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს 443 МиГ-29 ჰყავდა შეიარაღებაში, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციას კი — 35.

ამ დროისათვის ბულგარეთს ჰყავს 22 МиГ-29, უნგრეთს — 28, ინდოეთს — 80, ერაყს — 30 (თუმცა, აქედან 21 ინტერნირებულია ირანში), გერმანიას — 24, იემენს — 4, ყაზახეთს — 22, რუმინეთს — 14, სლოვაკიას — 24, ჩრდილო კორეას — 30, პოლონეთს — 30, სირიას — 40, უკრაინას — 62, ხორვატიას — 4, იუგოსლავიას — 16.

გარდა ამისა, მალაიზიამ რუსეთიდან 1996 წელს შეისყიდა 18 МиГ-29, ირანმა ერაყიდან გადმოფრენილი 21 МиГ-ის გარდა, უშუალოდ მოსკოვისგან იყიდა 14 თვითმფრინავი. რამდენიმე ასეთი გამანადგურებელი კუბასაც გააჩნია, ხოლო ბელორუსმა ზოგიერთი თავისი МиГ-29 პერუს მიჰყიდა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლუკაშენკომ მწარედ გააცურა ლიმას ხელისუფლება, რადგან ბელორუსში ნაყიდი МиГ-ები საფრენად უვარგისი აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, ჩეხეთმა 1995 წლის დეკემბერში 10 ცალი МиГ-29 პოლონეთს 11 შვეულმფრენ „სოკოლში" გაუცვალა, რითაც მთელი მსოფლიო გაამცა. მკითხველს, რომ წარმოდგენა ჰქონდეს, პოლონური შვეულმფრენი „სოკოლი" შვილობილია საბჭოთა Ми-2 შვეულმფრენისა, რომლითაც „მიმინო" გაყინულ ჰოლანდიურ ქათმებს თელავში ეზიდებოდა.

თუმცა, МиГ-29-ზე საეჭვო ბიზნესის გაკეთება მარტო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ დაწყებულა.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში, ერთ-ერთ დახურულ ზესაიდუმლო საკვლევ ინსტიტუტში საკმაოდ დიდი თანამდებობის მქონე, ვინმე შევჩენკომ დასავლეთის დაზვერვას МиГ-29-ის რადიოელექტრონული მოწყობილობებისა და რადიოლოკატორის საიდუმლოება მიჰყიდა.

КГБ-მ შევჩენკო კი დაიჭირა, მაგრამ უკვე „გახდილ" МиГ-ს რაღა ეშველებოდა. თუმცა, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ყოვლისშემძლე საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა უკვე 1984 წლისათვის, ამ გამანადგურებლის ახალი მოდიფიკაცია МиГ-29С შექმნა. სწორედ ამ მოდიფიკაციის ირანისათვის მიყიდვას წინ აღუდგა აშშ და თავად შეიძინა ახლახან კიშინიოვისგან, რადგან МиГ-29С-ს ახალი რადიოელექტრონული მოწყობილობა ჰქონდა დამონტაჟებული, საწვავის ავზების მოცულობაც გაიზარდა, რამაც დაუჯდომელი ფრენის სიშორე 2900 კილომეტრამდე, ხოლო საბრძოლო დატვირთვა — 2-დან 3 ტონამდე გაზარდა.

თუმცა, მსოფლიოს თავი МиГ-29-მ ლე ბურჟეში გააცნო. ეს იყო პირველი საბრძოლო თვითმფრინავი, რომელიც საბჭოთა კავშირმა მთელ მსოფლიოს ღია საავიაციო გამოფენაზე უჩვენა.

## გამანადგურებელი МиГ-29



ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები:

| | | | |
|---|---|---|---|
| სიგრძე: | 17.3მ. | მაქს. ასაფრენი მასა: | 18.5 ტ. |
| სიგანე: | 11.3მ. | მაქს. სიჩქარე: | 2450 კმ/სთ |
| სიმაღლე: | 4.7მ. | ფრენის მაქს. სიშორე: | 2900 კმ. |
| ფრენის ჭერი: | 17კმ. | საბრძოლო დატვირთვა: | 3 ტ. |

ლე ბურჟეშივე ახალმა МиГ-მა კიდევ ერთი საინტერესო „ტრიუკი" ჩაატარა. მფრინავ-გამომცდელი კვოჩური МиГ-29-ზე წარმოუდგენელ საჰაერო მანევრებს ასრულებდა მრავალრიცხოვანი მაყურებლის თვალწინ. მოულოდნელად, დაბალ სიმაღლეზე, ერთ-ერთი საჰაერო მარყუჟის დროს, თვითმფრინავის ძრავში ფრინველი მოხვდა, რამაც რეაქტიული ძრავის აალება გამოიწვია და მფრინავმა ბოლო მომენტშიღა მოასწრო კატაპულტირება. 80 მ-დან დაშვებისას, კვოჩურის პარაშუტმა ვერ მოასწრო მთლიანად გაშლა და მფრინავს დამტვრევა არ ასცდებოდა, მაგრამ იგი თავისმავე მართვადაკარგულმა МиГ-მა იხსნა. თვითმფრინავის მიწაზე დანარცხებისას, აფეთქების ტალღამ ბოლომდე გაშალა მფრინავის პარაშუტი და კვოჩურიც დასახიჩრებას გადაურჩა.

ყველაფერში ეჭვიანი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც „ეშმაკ რუსებს" არაფერში ენდობოდა, დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვმა სპეციალურად გაითამაშა ეს სპექტაკლი, რათა რეკლამა გაეწია მართლაც ძალზე ეფექტური K-36 კატაპულტირებადი სკამისთვის. მაგრამ თუ შევადარებთ თითქმის 30 მლნ დოლარის ღირებულების МиГ-29-ისა და კატაპულტირებადი სკამის ფასს, ეს მტკიცება სიგიჟეს დაემსგავსება.

ცოტა ხანში, МиГ-29-მ ორმაგად „გამოიჩინა" თავი, როდესაც ორმა МиГ-მა ჰაერში ერთმანეთს ფრთები გაჰკრა.

დიდ ბრიტანეთში, ფერფორდის სამხედრო ბაზაზე, 250 ათასი მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს 2 МиГ-29-ის გაბედულ საჰაერო მანევრებს. რუსი მფრინავები ისე გაერთნენ, რომ მთელი სიჩქარით ერთმანეთს ფრთებით წამოედნენ, ერთ МиГ-ს ცხვირი ნახევრად მოტყდა, მეორეს — ფრთის ნაწილი და ორივე ცეცხლწაკიდებულმა თვითმფრინავმა მრავალრიცხოვანი მაყურებლის თავზე დაიწყო ჩამოვარდნა.

15 მაყურებელი მაშინვე შოკში ჩავარდა, მაგრამ, საბედნიეროდ, თვითმფრინავის დაცემისას არავინ დაშავებულა, თუმცა ამერიკულ სატრანსპორტო „ჰერკულესს" კი კინაღამ ცეცხლი გაუჩინეს.

მაგრამ, რაც ყველაზე საოცარია, უზარმაზარი სიჩქარით შეტაკების მიუხედავად, ორივე მფრინავმა მოახერხა კატაპულტირება და მიწაზე მშვიდობით დაეშვა. „ბი-ბი-სი"-ს მიერ თვითმფრინავების შეტაკების შესახებ გადაღებული ვიდეოკადრები კი სენსაციად იქცა.

მაგრამ, რაც МиГ-29-ს საქართველოში შეემთხვა, ზემოთ ნათქვამს აშკარად ჯაბნის.

ცხაკაიაში, ამჟამინდელ სენაკში, 1992 წლამდე, ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელი საავიაციო პოლკი იდგა, რომლის შეიარაღებაშიც 36-მდე МиГ-29 თვითმფრინავი ირიცხებოდა. ეს იყო საქართველოში განლაგებული საავიაციო იარაღის ყველაზე თანამედროვე სახეობა, თუ არ ჩავთვლით გუდაუთაში ჩაყვანილ Су-27-ებს.

სენაკში დისლოცირებულ გამანადგურებულ МиГ-29-ებს ევალებოდათ საჰაერო სივრცის ჩაკეტვა თურქეთის მხრიდან, რაც მათ არ გაუჭირდებოდათ, რადგან თურქების F-16-ს ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდნენ.

1989 წლის ერთ პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად დაძაბულ ღამეს, რუს მფრინავს მოსწყინდა საბჭოთა დამყაყებული წყობა და ცხოვრების კარდინალური შეცვლა მოინდომა.

მფრინავს, კაპიტან ზბრუევს, ეკონომიკურად არ უჭირდა, თანაც სიმამრი გენერალი ჰყავდა, მაგრამ თავისუფლების სურვილმა სძლია სამსახურებრივ კარიერას.

ერთ საღამოს, მფრინავი ზბრუევი აეროდრომის სამეთაურო პუნქტში გამოცხადდა და მორიგე მფრინავ-კოლეგებს ტორტი მიართვა. ტორტზე, აბა, უარს ვინ იტყოდა და, რამდენიმე წუთში, სამორიგეო ნაწილი ძილმა მოიცვა.

ზბრუევმა თავისი საიდუმლო გეგმის განხორციელება დაიწყო. ის მორიგე, საწვავითა და რაკეტებით აღჭურვილ МиГ-29-თან მიიპარა, მაგრამ ყარაულში მდგომ შუააზიელ ჯარისკაცს ტორტი ძალიან არ ყვარებია, თანაც, სამხედრო ნაწილის წესდების პუნქტიც სცოდნია და მან ზბრუევი „კალაშნიკოვით" დაჭრა, თუმცა არც ამ უკანასკნელმა დაინდო ჯარისკაცი და „მაკაროვით" მოკლა.

დაჭრილმა ზბრუევმა მაინც მოახერხა МиГ-29-ის ასაფრენ ზოლზე გაყვანა და ჰაერში ასვლა, ისე რომ, რეაქტიული ძრავების ჰაერმიმღების ხვრელებიდან დამცავი სარქველები არც კი მოუხსნია, — დაჭრილს ამის არც დრო ჰქონდა და არც ძალა. აქ აუცილებლად უნდა განემარტოს მკითხველს, რომ ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა გამანადგურებლით ზბრუევი ვერ აფრინდებოდა, არ ჩაირთვებოდა რეაქტიული ძრავები. მაგრამ МиГ-29-ს ერთი საინტერესო ტექნიკური გადაწყვეტილება აქვს — აფრენისა და დაფრენის დროს, მისი ძრავების ჰაერმიმღები ავტომატურად იხურება, რათა შიგ უცხო საგნები არ მოხვდეს, ხოლო ჰაერი ძრავებში ფრთების ზემოთ განლაგებული დამატებითი ჰაერმიმღებებიდან შედის.

ზბრუევმა თავის ყოფილ მეთაურებს დაუმტკიცა, რომ ამაოდ უწუნებდნენ ფრენის კლასს. მან მცირე სიმაღლეზე ისე გადაკვეთა აჭარა და შეფრინდა თურქეთის ტერიტორიაზე, რომ საბჭოთა ПВО-მ ვერ აღმოაჩინა, მხოლოდ მესაზღვრეებმა აიჩეჩეს მხრები, როდესაც მათ სათვალთვალო კოშკურებს მორიგმა ამოუცნობმა მფრინავმა ობიექტმა დაბალ სიმაღლეზე გამაყრუებელი გუგუნით სწრაფად გადაუარა.

სენაკის აეროდრომზე ენით აუწერელი ამბავი ატყდა. დადევნებულმა თვითმფრინავებმა ველარაფერი აღმოაჩინეს, ხოლო დილით, მოსკოვიდან, სპეციალური თვითმფრინავით, სამხედრო გამომძიებელთა მთელი ასეული ჩამოფრინდა...

სწრაფად ამოქმედებულმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პირადად მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ, თურქეთს ორ დღეში დააბრუნებინა МиГ-29 და მასზე არსებული საავიაციო რაკეტები. ხოლო დაჭრილი ზბრუევი ისე, როგორც 70-იან წლებში, იაპონიაში МиГ-25-ის გამტაცებელი კაპიტანი ბელჩენკო, მოსკოვისთვის არავის დაუბრუნებია.

ასეთი საოცარი თავგადასავლები გაიარა МиГ-29-მ თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე.

საქართველოს პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ ახსენა ის თანამედროვე იარაღი, რომელიც მოსკოვმა საქართველოდან გაზიდა. მათ შორის, პირველ რიგში, ალბათ, სწორედ სენაკში განლაგებული 36 თანამედროვე МиГ-29 გამანადგურებელი იგულისხმებოდა. მით უმეტეს, რომ Су-25 მოიერიშე თვითმფრინავთან ერთად МиГ-29 გამანადგურებელი თვითმფრინავი ყველაზე მეტად შეესაბამება საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკის ინტერესებს.

ერთი შერეული საავიაციო პოლკი (დაახლოებით 12 МиГ-29 გამანადგურებელი და ამდენივე Су-25 მოიერიშე თვითმფრინავი) განლაგებული დასავლეთ საქართველოში (სავარაუდოა, სენაკში ან კოპიტნარში) და მეორე განთავსებული აღმოსავლეთ საქართველოში (მარნეულში, თუმცა, სჯობს, ვაზიანში), შესაძლებელს გახდიდა ოფიციალურ თბილისს უფრო ეფექტიანი სამხედრო-პოლიტიკური ბერკეტი აემოქმედებინა.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# კავკასია

**ორშაბათი**

**13.30 „ღამის შვილები"**
**(ბოევიკი, აშშ)**

ლოს-ანჯელესი, კალიფორნია. როგორც კი ქალაქში ღამის წყვდიადი ისადგურებს, პატარა ფიგურები ამოძრავდებიან. საშინელი თამაშები, სასტიკი გართობები – აი, ასეთია ბავშვთა ბანდების ცხოვრება.

რეჟისორი: ნორბერტ მისელი, როლებში: დევიდ კერედინი, კამილა ლოპესი, გრიფირ ო'ნილი.

**სამშაბათი**

**13.30 „წყნარ ჩაოსში"**
**(დეტექტივი, აშშ)**

ტრევორი წარმატებული ბიზნესმენია, სამაგიეროდ, ოჯახური ბედნიერება უცხოა მისთვის. ამიტომაც სხვა ქალთან, პეიჯთან ერთობა. ეს ქალი კი, შემოგზავნილია ტრევორის პარტნიორის მიერ, ფირმის დიდი დანახარჯების დასაფარად. სწორედ ამ დროს გამოჩნდება მშვენიერი მირანდა, ვის წინაშეც უძლურია ტრევორი. მისი ბიზნესი ინგრევა, თანაც მიტოვებული პეიჯიც არ ასვენებს. მაგრამ მალე ქალს მკვდარს იპოვნიან...

რეჟისორი: ოდორიკო მენდესი, როლებში: მაიკლ იორკი, ჯენიფერ ო'ნილი, ელიზაბეტ გრეისენი.

**ოთხშაბათი**

**13.30 „სახლში დამალული"**
**(თრილერი, აშშ)**

ოდესღაც ტომიმ დედისა და სადისტი მამის მკვლელობას შეუწყო ხელი, რის გამოც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა. ბავშვი გაიზარდა და ექიმებმა მისი გამოშვება გადაწყვიტეს. მის სახლში ახალგადმოსულ ოჯახს, სხვენში მიმალული ტომი ჯოჯოხეთურ ატმოსფეროს შეუქმნის.

რეჟისორი: მეტიუ პეტრიკი, როლებში: გარი ბიუზი, მიმი როჯერსი.

**ხუთშაბათი**

**13.30 „ტყუპი დრაკონი"**
**(კომედია, აშშ)**

ჯეკი ჩანი ერთდროულად ორ როლს თამაშობს. ორ, აბსოლუტურად განსხვავებულ ტყუპისცალ ძმას განასახიერებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბავშვობაში დააშორეს ერთმანეთს. ერთ-ერთი მათგანი – საბრძოლო ილეთების ოსტატი ხულიგანი და თავქარიანი – ოტელის ავტოფარეხში მექანიკოსად მუშაობს. ზუსტად იმ ოტელში, სადაც ჰონკონგში საგასტროლოდ ჩამოსული გამოჩენილი მუსიკოსი გაჩერდება. ისინი შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს და მაშინ დაიწყება არეულობა.

რეჟისორები: ტცუი ჰარიდა და რინგო ლემი, მთავარ როლში: ჯეკი ჩანი.

**პარასკევი**

**13.30 „დაუსრულებელი სიყვარული"**
**(მელოდრამა, აშშ)**

ფილმის გმირი რიჩარდ ფეინმანი – პერსპექტიული ახალგაზრდა ფიზიკოსია, არლინ გრინბაუმი კი – მისი ოცნების ქალიშვილი. შეყვარებულები დიდად აფასებდნენ თავიანთ ურთიერთობებს და ამაყობდნენ დამოუკიდებლობითა და უსაზღვრო სიყვარულით, რომელიც მხოლოდ მათ ეკუთვნოდა. მაგრამ უცაბედად არლინი მძიმედ დაავადდება და უშფოთველი სამყარო დაინგრევა.

რეჟისორი მეტიუ ბროდერიკი, როლებში: მეტიუ ბროდერიკი, პატრიცია არკეტი.

# 21

**ორშაბათი**
*ოთხი ქორწილი და დაკრძალვა — 22.05*

მეგობრის ქორწილში ახალგაზრდა კაცი შეხვდება ქალს, რომელიც დაამსხვრევს მის მტკიცე გადაწყვეტილებას ოჯახის შექმნის შესახებ. კომედია შესანიშნავი მსახიობების – ენდი მაკდოუელისა და ჰიუ გრანტის მონაწილეობით.

**სამშაბათი**
*კოლია — 22.10*

ეთერშია მელოდრამა. ფილმმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და „ოსკარის" მფლობელიც გახდა. ფილმში ნაჩვენებია ორი აბსოლუტურად უცნობი ადამიანის – კაცისა და 5 წლის ბიჭუნას საოცრად ამაღელვებელი ურთიერთობა.

მონაწილეობენ: ზდენეკ სვერაკი და ანდრიუშა ხალიმონი.

**ოთხშაბათი**
*ნიგნი ფიცისა — 22.30*

ოთხშაბათს ფილმის III სერიას შემოგთავაზებთ. ფილმში გაცოცხლებულია საქართველოს ისტორიული წარსულის ტრაგიკული პერიოდი. ფილმის ამ სერიაში მოთხრობილია ქეთევან დედოფლის წამების შესახებ. რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. მთავარ როლებში: ქეთევან კიკნაძე, კახი კავსაძე.

**ხუთშაბათი**
*სახის გარეშე — 22.10*



ამ საინტერესო ბოევიკში მოქმედება თანამედროვე ამერიკაში ხდება და მასში პოლიციელისა და დამნაშავეთა ურთიერთობებია აღწერილი.

რეჟისორი ჯონ ვუ. როლებში: ნიქოლას ქეიჯი და ჯონ ტრავოლტა.

**პარასკევი**
*მოჩვენებები — 22.25*

თრილერი საოცრად ლამაზი სპეცეფექტებით, საინტერესო ამბებით. ადამიანთა სულები, მოჩვენებები ერთი ახალგაზრდა კაცის არსებობის წყაროა, რაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში უშლის ხელს, იგი გაჭირვებით ართმევს თავს წამოჭრილ პრობლემებს.

როლებში: მაიქლ ჯ. ფოქსი, ტრინი ალ ვარადო.

**შაბათი**
*რევოლუცია — 22.05*

ალ პაჩინოსა და ნასტასია კინსკის გმირთა რომანი ამერიკის რევოლუციის ფონზე ვითარდება.

**კვირა**
*დედა — 22.00*

დედა-შვილის ურთიერთობა რთული და ამაღელვებელია. სრულიად შემთხვევით დანგრეული ოჯახიდან წამოსული შვილი დედასთან ბრუნდება.

მონაწილეობენ: ელიზაბეთ ბრუქსი, დები რეინოლდსი.

# VII არხი სტუდია ერა
## საკაბელო ტელევიზია

**ორშაბათი**

22.55 — ზღვარგადასული

შესაძლებელია, მოგონილი ისტორია რეალობად იქცეს, ხოლო რეალობა კი – აუტანლობად. სწორედ შექმნილი სიტუაცია უბიძგებს დანაშაულისაკენ ფილმის მთავარ გმირს, ღალატი საკმარისია იმისათვის, რათა ხელი ჩაიქნიოს ცხოვრებაზე.

მთავარ როლში: ტიმ რობინსი.

**სამშაბათი**

22.50 — ოქროს ქუჩებში

მარიო ბარმენია, მის ბარში ხშირად უბრალო მშრომელი ირლანდიელი ახალგაზრდები იყრიან თავს და ერთობიან.

მთავარ როლში: ჯეიმს ბელუში.

**ოთხშაბათი**

22.40 — დალაქი და ურჩხული

მელოდრამა. დალაქი, რომელიც გამოცდას უწყობს საკუთარ ბედს, ოდესღაც შემთხვევით ჩადენილი შეცდომის გამო, დიქტატორი შვილების აღმზრდელი ხდება.

მთავარ როლში: ტიმოთი დალტონი.

**ხუთშაბათი**

22.25 — ოსკარი

ფილმში თამაშობენ შესანიშნავი მსახიობები: სილვესტერ სტალონე და ორნელა მუტი.

**პარასკევი**

23.05 — შვიდი წელი ტიბეტში

სათავგადასავლო ჟანრის ფილმი ჰოლივუდის ვარსკვლავის ბრედ პიტის მონაწილეობით.

**შაბათი**

23.00 — ეშმაკის ადვოკატი

ქევინ ლომაქსი შესანიშნავი ადვოკატია. მან 64 საქმე მოიგო. ჯონ მილი მისი ახალი უფროსია, თანაც ძალზედ უცნაური კაცი. რისთვის სჭირდება უფროსს კარგი ადვოკატი? იქნებ, ნამდვილ დამნაშავეთა დაფარვისათვის და არა სიმართლისთვის? რა დგას ყოველივე ამის მიღმა? იქნებ, სატანა?

**კვირა**

23.05 — რამდენიმე კარგი ახალგაზრდა

მხოლოდ საკუთარი თავის დაძლევით შეიძლება მტრების განადგურება. რეჟისორ რობ რაინერის მძაფრსიუჟეტიან დეტექტივში მთავარ როლებს შესანიშნავი მსახიობები თამაშობენ.


# COMPUS Ltd

LG Electronics

ვაჟა ფშაველას 16, 1103-1105
ტელ/ფაქსი: 93-91-03, 37-87-86
E-mail: compus@iberiapac.ge
compus@mmc.net.ge

| | |
|---|---|
| Pentium133/16MB EDO RAM/1.44 FDD/1.6GB HDD/SVGA S3 64V+ PCI 1MB MPEG/ KEYBOARD CHICKONY/MOUSE GENIUS/MOUSE PAD | 590 |
| Pentium166/16MB EDO RAM/1.44 FDD/1.6GB HDD/SVGA S3 64V+ PCI 1MB MPEG/ KEYBOARD CHICKONY/MOUSE GENIUS/MOUSE PAD | 635 |
| Pentium200/16MB EDO RAM/1.44 FDD/1.6GB HDD/SVGA S3 64V+ PCI 1MB MPEG/ KEYBOARD CHICKONY/MOUSE GENIUS/MOUSE PAD | 675 |
| Pentium166 MMX/16MB EDO RAM/1.44 FDD/1.6GB HDD/SVGA S3 64V+ PCI 1MB MPEG/ KEYBOARD CHICKONY/MOUSE GENIUS/PAD | 665 |
| Pentium200 MMX/16MB EDO RAM/1.44 FDD/1.6GB HDD/SVGA S3 64V+ PCI 1MB MPEG/ KEYBOARD CHICKONY/MOUSE GENIUS/PAD | 780 |
| GoldStar 1468 14" 0.28 LR. NI | 230 |
| GoldStar 44i 14" 0.28 LR. NI | 250 |
| GoldStar 55i 15" 0.28 LR. NI | 300 |
| GoldStar 5D 15" 0.28 LR. NI | 370 |
| GoldStar 77i 17" 0.28 LR. NI | 550 |
| GoldStar 78i 17" 0.26 LR. NI | 640 |
| GoldStar 20i 20" 0.28 LR. NI CALL!!! | |
| GoldStar 21i 21" 0.28 LR. NI CALL!!! | |
| HDD 1.3 GB Quantum Fireball /Western Digital | 165 |
| HDD 1.6 GB Quantum Fireball /Western Digital | 180 |
| HDD 2.1 GB Quantum Fireball /Western Digital | 205 |
| HDD 2.5 GB Quantum Fireball /Western Digital | 240 |
| SIMM 8MB EDO | 34 |
| SIMM 16MB EDO | 67 |
| 20X CD Drive + Sound Card + Speaker | 165 |
| 33.6 Internal Data/Fax/Voice Modem w/SpeakerPhone,PnP Internet Ready,Full Duplex Speaker-Phone & voice mail fcn | 105 |
| CD-ROM 24X Pioneer Made in Japan | 110 |

- გარანტიის ვადაა 12 თვე. უფასო კონსულტაციები.
- Hot-Line ტელეფონით 93-91-03, 37-86-76.
- ტექნიკის კონფიგურაციის გაუმჯობესება (Upgrade).
- ფასები მოცემულია აშშ დოლარებში.
- უფასო ინტერნეტი 10 საათის განმავლობაში.


# რუსთავი-2

*ორშაბათი*

**21.30** მხატვრული ფილმი **„თავზე ხელაღებული"**.



რეჟისორი რ. როდრიგესი.
მთავარ როლებში: ა. ბანდერასი.

**0.20** რუსული მხატვრული ფილმი **„ხუთი საღამო"**.
რეჟისორი ნ. მიხალკოვი.
მთავარ როლებში: ლ. გურჩენკო ს. ლუბშინი.

*სამშაბათი*



**21.30** ამერიკული მხატვრული ფილმი **„ნოტრდამელი კუზიანი"**.
რეჟისორი პ. მედოკი.
მთავარ როლებში: ს. ჰაიეკი, რ. ჰარისი.

**0.05** ამერიკული მხატვრული ფილმი **„ჩიტუნა"**.
რეჟისორი ა. პარკერი.
მთავარ როლებში: ნ. ქეიჯი და მ. მოდინი.

*ოთხშაბათი*

**21.30** ამერიკული მხატვრული ფილმი **„ომსა და სიყვარულში"**.



რეჟისორი რ. ატენბოროსი.
მთავარ როლებში: ს. ბალოკი და კ. ო'დონელი

**0.25** ამერიკული მხატვრული ფილმი **„ცვილის ფიგურების მუზეუმი"**.
რეჟისორი ე. ჰიკოქსი.

*ხუთშაბათი*

**21.30** ქართული მხატვრული ფილმი **„ბრავო, ალბერ ლოლიშ!"**.
რეჟისორი მ. თავაძე.
მთავარ როლებში: ზ. ყიფშიძე, ნ. ჭანკვეტაძე.

**23.50** ამერიკული მხატვრული ფილმი **„ნაფიცი მსაჯული"**.
რეჟისორი ბ. გიბსონი
მთავარ როლებში: დ. მური და ა. ბოლდუინი.

*პარასკევი*

**21.35** ამერიკული მხატვრული ფილმი **„დღის შუქი"**.
რეჟისორი რ. კოენი.
მთავარ როლში: ს. სტალონე.

**1.35** ამერიკული მხატვრული ფილმი **„ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია"**.
რეჟისორი: ე. კაზანი.
მთავარ როლებში: ვ. ლი და მ. ბრანდო.

*შაბათი*

**21.30** მხატვრული ფილმი **„სიყვარული"**.
რეჟისორი რ. როსელინი.

**22.05** ამერიკული მხატვრული ფილმი **„რევოლუცია"**.
რეჟისორი ჰ. ჰადსონი.
მთავარ როლებში: ნ. კინსკი, ალ პაჩინო და დ. საზერლენდი.

*კვირა*

**23.10** იტალიური მხატვრული ფილმი **„თუნდაც ჩვენ"**.
რეჟისორი ს. კორბუჩი.
მთავარ როლებში: ა. ჩელენტანო.

**2.05** მხატვრული ფილმი **„მეშვიდე ბეჭედი"**.
რეჟისორი ი. ბერგმანი.

# რუსეთის ტელევიზია

**ორშაბათი**

14.10 — „სხვისი სახელი" — ტვ-6
16.30 — „კამელიებიანი ქალი" — რტრ
17.10 — „ორი საყვირის ხმა ნისლში" — ტვ-6
22.00 — „მისტერ სტიჩი" — ნტვ
23.15 — „შარვალი" — რტრ

**სამშაბათი**

14.10 — „სამი ბილეთი ჰოლივუდში" — ტვ-6
16.20 — „ჯოკერი" — რტრ
16.20 — „ბოროტი" — ნტვ
17.10 — „მკვლელობა ინგლისურად" — ტვ-6
22.00; 00.45 — „ბედის ირონია ანუ გაამოთ" — ნტვ
23.20 — „სექტემბერი" — რტრ
0.25 — „კანონიერი ქურდები" — ტვ-6
0.40 — „ერიდე ავტომობილს!" — ორტ

**ოთხშაბათი**

14.20 — „სამხედრო ძალა" — ნტვ
16.30 — „განკითხვის დღე" — რტრ
16.30 — „სხვის ზეიმზე" — ნტვ
17.15 — „ეგორ ბულიჩევი და სხვები" — ტვ-6
22.00 — „მარტოხელა" — ნტვ
23.15 — „ერთხელ, 20 წლის წინათ" — რტრ

**ხუთშაბათი**

16.20 — „წინათგრძნობა" — ნტვ
16.30 — „პირველი სიყვარული" — რტრ
17.10 — „უკანასკნელი დღე" — ტვ-6
22.00 — „ჩვეულებრივი ამბავი" — ნტვ
23.15 — „ალფრედი" — რტრ
23.40 — „თავმჯდომარე" — ორტ

**პარასკევი**

14.10 — „წითელი ცხელება" — ტვ-6
16.20 — „გზა არიზონასკენ" — ნტვ
16.30 — „ბატონი რობინი" — რტრ
17.10 — „მოწმეების გარეშე" — ტვ-6
17.20 — „პრინცესა ცერცვის მარცვალზე" — ორტ
20.20 — „ქირურგია" — ორტ
22.00 — „მილიონი საქორწინო კალათში" — ნტვ
23.25 — „რაბინ იაკობის თავგადასავალი" — ტვ-6

**შაბათი**

9.55 — „გამოსწორებულს ენდე" — ორტ
12.00 — „ზღაპრის მსგავსი არაჩვეულებრივი ამბავი" — ტვ-6
14.50 — „უკანასკნელი გაქცევა" — ორტ
21.30 — „ვენდეტა კორსიკულად" — ნტვ
22.10 — „ცეცხლი, ყინული და დინამიტი" — ტვ-6
1.25 — „ჯონ კენედი. გასროლა დალასში" — ორტ

**კვირა**

9.55 — „შეხვედრა შადრევანთან" — ორტ
15.00 — „სპილოებიც ღალატობენ" — ნტვ
16.20 — „ვიტკა,. შუშერა და ავტომობილი" — რტრ
19.50 — „ჩემი კინო" — ტვ-6
20.20 — „ვაგზალი ორისათვის" — ორტ
20.35 — „აფერისტები" — ნტვ
22.25 — „შეაწიეთ სიტყვა ჰუსარს" — ტვ-6
23.35 — „უცხოები" — ორტ
0.00 — „სახელად „მხეცი" — ნტვ

მითითებულია თბილისის დრო

## ბინები იყიდება

1-ოთახიანი არასტანდარტული სარემონტო ბინა ოისტრახის ქუჩაზე, პირველ სართ-ზე, ლოჯიით, ტელეფონით, ორი სარდაფით, ღია აივნით, მანქანის სადგომით. ფასი 8500$.$ ტელ: 38-69-42

1-ოთახიანი ბინა ბელიაშვილის ქუჩაზე, მე-3 სართულზე, ტელეფონით. ფასი 9000$. ტელ: 37-59-44

1-комнатная (переделанная в 2-х) отремонтированная квартира 5(9), с импортной мебелью, железной дверью, кондиционером. Цена 10500$, без мебели 8500$. Ад: начало плато Нуцубидзе 2,2, кв 13. Тел: 32-36-93

I სად, IV სართ, ბ. 11. ტელ: 33-19-98 ლია

2-ოთახიანი, სუფთა ბინა (ლამე გოგირდის ცხელი წყლით), ლოჯიით, ჭერი 2.60მ. ფასი 12000$. მის: ვაჟა ფშაველას გამზირი, II კვ, VII კორპ, III სართ. ტელ: 22-77-49. ჭანიშვილი ვ.

2-ოთახიანი (გადაკეთებული 3-ად) სუფთა, პრივატიზებული ბინა 4(5), იზოლირებული ლოჯიით, ჭერი 2.65, ტელეფონით, რკინის კარით. ბოლო ფასი 13000$. მის: ქავთარაძე VII კვ, XI კორპ, IV სად, ბ. 55. ტელ: 30-14-77 იზო, მერაბი; 22-72-49 მანნო ახვლედიანი

2-ოთახიანი, მშენებარე ბინა ს. ჩიქოვანის ქუჩაზე, ფართი 75 კვ.მ, საწყისი ფასი 15000$. ტელ: 30-23-36

ტი ცალ-ცალკე, „ატმორით", ტელეფონით, დიდი სამზარეულოთი, 40 კვმ მისადგმით ნუცუბიძის ქუჩაზე (ბანკთან). ფასი 35000$. ტელ: 30-85-50

3-ოთახიანი, პრივატიზებული, ჩეხური პროექტის, კუთხის ბინა 9(8), ალუმინის გარე კარ-ფანჯრებით, ტელეფონით, სამზარეულო-ტუალეტი-აბაზანა კაფელშია. სანტექნიკა, ელექტროობა გამოცვლილია. ფასი შეთანხმებით. მის: ბუდაპეშტის 3გ, I სად, VIII სართ. ტელ: 37-67-07 ლამა, ნინო (საღამოს საათებში)

ტუალეტი ცალ-ცალკე კაფელშია, შეკიდული ჭერით, მანქანის ადგილით, ლოჯიით, აივნით, დამხმარე სათავოთი. ფასი 30000$. მის: ბალანჩივაძის ქ. V კორპ, VIII სართ, ბ. 21. ტელ: 36-49-92; 38-58-95

3-ოთახიანი, ყაზლაშვილის პროექტის, იზოლირებული ბინა 13(16), რკინის კარით, ორი შემინული ლოჯიით. მის: ნუცუბიძის IV მ/რ, XIII კორპ. ფასი 8000$.

3-х комнатная квартира с ремонтом, кафелем, подвалом, гаражом. Ад: плато Нуцубидзе 2-ой м-р, 3-ий квартал, 2-ой корп, 1 эт. кв 3. С 18-21 часов.

„ყველა განცხადება ერთ გაზეთში"
ყოველ ოთხშაბათს — „კვირის პალიტრის" დამატება —
„სიტყვა და საქმე"
გაზეთი გპირდებათ სიიაფეს, განცხადებების სიმრავლესა და მრავალფეროვნებას

ტელ: 30-68-79

სასწრაფოდ! 3-ოთახიანი, კუთხის, ნათელი ბინა ლოჯიით, აბაზანა-სამზარეულო კაფელშია. ფასი 18000$. მის: ვაჟა ფშაველას პრ. III კვარტ, VIII კორპ, ბ. 4. ტელ: 32-20-84; 98-71-86

3-ოთახიანი კუთხის ბინა 4(8), კაპიტალური რემონტით, ავტოფარეხით, გოგირდის ცხელი წყლით, ტელეფონით. ფასი 27000$. მის: მ. „გოცირიძე", ვაჟა ფშაველას II კვ, II კორპ, II სად, ბ. 36 ტ: 32-89-54

ნუცუბიძის II პლატო, I კვარტ, I კორპ, ბ. 71. ნაზი

3-ოთახიანი კუთხის, აგურის ბინა ამხანაგურ სახლში მე-5 სართულზე წითელი პარტიზანების ქუჩაზე ტელეფონით, რკინის კარით, აგზით, ორი გადახურული აივნით, მუხის პარკეტით, აბაზანა-ტუალეტი კაფელშია, ახალი სანტექნიკით, სუფთა ბინა. საერთო ფართი 120 კვმ, ოთახების 70 კვმ, ჭერის სიმაღლე 3,85მ, შესაძლებელია მანსარდა-ანტრესოლი 140 კვმ. ტელ: 34-03-98

3-ოთახიანი ბინა 5-სართულიან სახლში ლოჯიით. ფასი 13000$. მის: ვაჟა ფშაველას VI კვ, XX კორპ, II სად, III სართ, ბ. 24. ტელ: 30-32-54 კოტე

4-х комнатная, чешский проект. Общая площадь 120 кв.м, потолок 2,85м, санузел раздельный, фигурный дубовый паркет, железная дверь, кафель, метлах, сушилка. Цена договорная. Ад: Плато Нуцубидзе 5 м/р, 9 корп, кв 27, 1 под.

ქ. №51ბ. ბ. 27. ნზაიძე. ტელ: 38-76-15; 38-58-28

5-ოთახიანი ბინა, საერთო ფართი 160კვმ, დოლიძეზე, VI სართ. სამი აივნით, მიშენებით. ტელ: 33-52-11

6-ოთახიანი საკუთარი სახლი 450 კვმ ეზოთი, 3 სველი წერტილით, 3 სარდაფით, მანქანის ადგილით, ეზო ხეხილით, ურემონტო. ფასი შეთანხმებით. მის: ზემო ვეძისი 103/4. თემურ წილოსანი

სასწრაფოდ და იაფად! 7-ოთახიანი ბინა. ოთახები: 30+20+14+13+14+20+25+სამზარეულო და სასადილო 20 კვმ. აქედან – 3 ძველი რემონტით (სუფთა), დანარჩენი გასალესია, ჭერი – 2.75მ, საერთო ფართით – 215 კვმ,

3-ოთახიანი, პრივატიზებული ტელეფონიანი ბინა წყნეთის ქუჩაზე. ოთახები 20+18+14კვმ, ლოჯია 17 კვმ, ჭერი 2.80მ, საერთო ფართი 97 კვმ. საწყისი ფასი 29000$. ტელ: 30-37-15; 39-00-94; 30-35-70. ვაჟა

3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა კავსაძის ქუჩაზე 4(4), საერთო ფართი 120 კვმ, სარდაფით, მანქანის ადგილით, მანსარდის პერსპექტივით. ოთახები 32,23,16+18 ლოჯია. საწყისი ფასი 60000$. ტელ: 22-51-84

სასწრაფოდ! 3-ოთახიანი ბინა, ლოჯიით, აივნით, საძინებელში, ლოჯში, ბალტიისპირეთის ავეჯია. სამზარეულო რუმინული, მაცივარით, სარდაფით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. მის: ი. ჭავჭავაძის გამზ. 75. ტელ: 23-08-21

2-ოთახიანი, არასტანდარტული იზოლირებული ბინა 7(7), საერთო ფართი 100კვმ. ჭერი 3,10მ. დაშენების პერსპექტივით, შატბერაშვილის ქუჩაზე. ფასი 38000$. ტელ: 22-64-07 (20სთ-ის შემდეგ)

3-ოთახიანი სარემონტო ბინა ლოჯიით, კარგი პარკეტით, რკინის კარით, ტელეფონით, 2 სარდაფით ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, IX სართულზე. საწყისი ფასი 25000$. ტ: 74-52-02. ანიკო; 95-65-04. მერაბი

4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა, XV სართულზე, საერთო ფართი 131 კვმ, 2 აივნით, ტელეფონით, ელგაყვანილობით, დასხმულია „სტიაჟკა", ჩასმულია ფანჯრები, ჭერი 3,20 მ. მის: ატენის ქ. №8. ტელ: 39-13-92. ნიკო, ქეთო; 67-20-28. მედეა

4-ოთახიანი, ძვირფასი მასალით გარემონტებული ბინა (29-19-17-4), ფართე ლოჯიით, სამზარეულოთი, ჰოლით, ორმხრივი აივნებით, სარდაფით, გამწვანებული ეზოთი, მანქანის ადგილით. ფასი 90000 ლარი. მის: შატბერაშვილის ქ. №2, I სად, III სართ, ბ. 8. ტელ: 23-16-35

4-ოთახიანი ბინა 3-სართულიან სახლში, მაღალ ბელეტაჟზე 140კვმ ფართი, მაღალჭერიანი, 70კვმ სარდაფით, ჭავჭავაძის გამზირზე, მყუდრო ადგილას, საკუთარი ბაღით, მუდმივი გაზით, წყლით და სინათლით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-20-88

5-ოთახიანი არასტანდარტული ბინა 5(3), ფართით 150 კვმ. ვაკეში, ირ. აბაშიძის ქუჩაზე. ფასი 75000$. ტელ: 22-40-25

5-ოთახიანი, ახალი გარემონტებული ბინა ვაკეში, 2 ტელეფონით, 3 აივნით, ფალიაშვილის ქუჩაზე. ფასი 136000$. ტელ: 22-20-29; 22-79-03

ვაკეში, რადიანის ქუჩაზე 3(3), 5-ოთახიანი, დიდი, კერძო ბინა, დიდი ლოჯიით, საცხოვრებელი ფართი 186 კვმ. იზოლირებული ეზოთი, კაპიტალური ავტოფარეხით, საქვაბით, სარდაფით. ტელ: 22-74-04

სასწრაფოდ! ვაკეში 5-ოთახიანი ბინების კარკასები ვაკეში, ახლადაშენებულ სახლში, 250 კვმ ფართით, I სართულზე აქვს ა/ფარეხი. ფასი 50000$. ტ: 22-33-39

5-ოთახიანი, ჩეხური პროექტის სუფთა ბინა ბაგებში, IX სართულზე, დიდი სათავსოებით, სარდაფით, რკინის კარით. საწყისი ფასი 38000$. ტელ: 23-58-57

2-ოთახიანი, მანსარდიანი, ტელეფონიანი, სათავსოებიანი კერძო სახლი (40 კვმ), ეზოთი – 400 კვმ, ზემო ვაკეში. ეზოს ფართი 400 კვმ. ფასი 25000$. ტელ: 22-44-91

ან ქირავდება უცხოელზე I-სართულიანი, კაპიტალური, გარემონტებული, 5-ოთახიანი სახლი, საერთო ფართით – 140 კვმ, დაშენების პერსპექტივით, 450 კვმ ეზოთი, ჭერი – 3.40მ, 2 სველი წერტილით, 2 სამზარეულოთი, ავტოფარეხით, სარდაფით, ტელეფონით, მცხეთის ქუჩაზე. ტელ: 22-42-48

ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე კერძო კაპიტალური სახლის I-II სართული, საკუთარი ეზოთი, ახალი რემონტით, შიდა კიბით, გათბობით, ფართი 140 კვმ. ფასი 53000$. ტელ: 29-06-54

3-სართულიანი, კაპიტალური, საკუთარი სახლი ვაკეში, შატბერაშვილის ქუჩასთან ახლოს. I სართ – ბეტონის ავტოფარეხი და სარდაფი, II სართ – 4-ოთახი, სამზარეულო, 2 ტუალეტი, ცალკე აბაზანა და სხვა დამხმარე სათავსოები; მე-3 სართ – 5-ოთახი. სახლის საერთო ფართი 230 კვმ, მეტლახით მოპირკეთებული 75 კვმ ეზო ხეივნით, ხეხილიანი პატარა ბაღი 40 კვმ, ლამაზი ხედით თბილისზე. ფასი 137000$. ტელ: 29-06-28 (19-23სთ)

კერძო სახლი ვაკის რაიონში, ბაგების დასაწყისში ბელეტაჟზე, სარდაფით, რკინის კარით, ტელეფონით, 3-ოთახით – 100 კვმ, ხეხილიანი ეზოთი 500 კვმ, მიშენების პერსპექტივით. ფასი 25000$. ტ: 23-59-18

სასწრაფოდ! ვაკეში, ახლადაშენებული, კერძო 4-სართულიანი სახლის კარკასი, 200 კვმ მანსარდით (ჭერი 3.50მ), IV სართულზე 5-ოთახით (250 კვმ), ოთახები (59+25+23+23+19), სამზარეულო 25 კვმ, 2 აბაზანა-ტუალეტით, ჭერი 4მ. საკუთარი სადარბაზოთი, ავტოფარეხით 3 მანქანაზე. ფასი 160000$. მის: ტ. ტაბიძის ქ. №76. ტელ: 34-35-35; 53-30-80

სასწრაფოდ! ვაკეში, ელჩების უბანში, მკვიდრად აშენებული 4-სართულიანი სახლის კარკასი+მანსარდა. საერთო ფართი 100 კვმ, ეზო 500 კვმ. ტიხრები გაკეთებულია ყველა სართულზე, ავტოფარეხით 6 მანქანაზე, კაპიტალური სადარბაზოთი. ფასი 600000$. მის: ტ. ტაბიძის ქ. №76. ტელ: 34-35-35; 53-30-80

3-ოთახიანი სუფთა დიდი ბინა, მაღალ ბელეტაჟზე 1(2), ტელეფონით, დიდი შუშაბანდით, 20 კვმ სამზარეულოთი, სარდაფით, მანქანის სადგომით. შეიძლება II სართულის გაყიდვაც (4 ოთახი). მის: მაყაშვილის ქ. №6. ტელ: 52-00-28 (18 სთ-ის შემდეგ)

ან იცვლება 2 ბინა: 1) 3-ოთახიანი სტანდარტული, ლოჯიით, სარდაფით, ტელეფონით, კუთხის ბინა ვაჟა ფშაველას IV კვ, V სართული. 2) 2-ოთახიანი (27+20), იზოლირებული, მაღალჭერიანი, ლოჯიით 12 კვმ. აივნით, ტელეფონით ბარნოვის ხიდთან. გაცვლა ვერა-ვაკის საზღვრებში. ტელ: 22-08-11. ნანა (საღამოს)

4-ოთახიანი, არასტანდარტული ბინა ზემო ვაკეში 3 აივნით, 2-სართულიანი სარდაფით, საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ს/ფ 110 კვმ. III სართ. მის: სევასტოპოლის (რჩეულიშვილის) მე-8 კორპ. ტ: 23-52-74

სარემონტო დუპლექსი (III და IV სართულები) IV სართული დასამთავრებელია. საერთო ფართი 240 კვმ, 17 კვმ ოთახი I სართულზე და სარდაფი ეზოში. ვერაზე, ფილარმონიასთან. ფასი 42000$. ტ: 93-37-50

პეტრიაშვილის ქუჩის დასაწყისში, 4-ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯიით, ტელეფონით, ეზოში კაპიტალური 30 კვმ ფართის ავტოფარეხით. საერთო ფართი 125 კვმ, ჭერი 3,5 მ. საწყისი ფასი 72000$. ტელ: 22-63-10; 33-75-90

2-სართულიანი სახლი ვერაზე. 1200 კვმ ეზოთი, ხეივნით, ხეხილით, ავტ. გათბობით, ყოველგვარი სათავსოებით, ა/ფარეხით. შეიძლება სასტუმრო, ოფისის აშენება. ტელ: 98-30-52. ციცანა

9-ოთახიანი ბინა ვერაზე. ფასი შეთანხმებით. მის: ბარნოვის ქ. №16. ტელ: 99-45-01; 98-41-63

ან ქირავდება სასწრაფოდ, იტალიურ ეზოში, 5 თვის წინასწარი გადახდით ერთი ოთახი. ოთახის ფართი 16კვმ, შუშაბანდის 5კვმ. მის: თავისუფლების მოედანი, აკოფიანის შესახვევი 4. ტელ: 98-64-95

სასწრაფოდ! ქალაქის ცენტრში, 1,5-ოთახიანი, მაღალჭერიანი, არასტანდარტული იზოლირებული ბინა ტელეფონით, მაღალ ბელეტაჟზე, საერთო ფართით 50კვმ. მის: ლერმონტოვის ქ. 11/11. ტელ: 98-14-87; 34-21-67

არასტანდარტული, 3-ოთახიანი, მაღალჭერიანი, 54კვმ ბინა II სართულზე. ტელეფონით, სარდაფით. გასარემონტებელია სამზარეულო. აბაზანა ცალკეა. საერთო ტუალეტით ერთ მეზობელთან. ფასი 14000$. მის: საათნოვას ქ. 13 ტელ: 98-91-76

4-х комнатная, изолированная приватизированная квартира, бельэтаж на ул. Лермонтова, Общ. пл. 111квм (29x21x20x13), прихожая 18квм., потолок 3,5м. кухня 11квм., подсобное помещение - 16квм., туалет, душ, 2 номера телефона, требуется ремонт, подвалы под общей площадью квартиры - 70квм. (вход в подвалы с прохожей части улицы), со стоянкой для автомашины. Тел: 98-35-85 Марина

4-ოთახიანი სუფთა ბინა, ეზოთი. აქვს სამზარეულო, ტუალეტი, აბაზანა, ღია აივანი 40კვმ. ფასი 12000$. ტელ: 33-44-21 (18 სთ-დან) გივი.

4-ოთახიანი ბინა საშუალო რემონტით, შუშაბანდით და სათავსოებით 1(2). გამოდგება როგორც საცხოვრებლად, ასევე საოფისედ ან კომერციული საქმიანობისთვის. ჭერი 3,2, სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი კაფელით, პატარა საკუთარი ბაღით (70კვმ) ფასი 33000$. მის: დავითაშვილის 26 (სოლოლაკი). ტელ: 93-57-04

მეტრო „რუსთაველთან", 2-სართულიანი სახლი. პირველ სართულზე 2 ოთახით, მეორე სართულზე 3 ოთახით, ლოჯიით, სარდაფებით, პატარა ეზოთი. ფასი 45000$. მის: ძმები კაკაბაძეების 17.

2-სართულიანი, კერძო, სარემონტო სახლი, თავისუფლების მოედანთან ახლოს, პატარა ეზოთი, ტელეფონით. საერთო ფართით 180კვმ. საწყისი ფასი 30000$. ტელ: 37-73-13; 98-57-97

მთაწმინდაზე, 3-სართულიანი, კერძო, სარემონტო სახლი, მიწის ნაკვეთით 540კვმ. აშენება-მიშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 220000$. ტელ: 93-66-04

მთაწმინდაზე 3(3), არაიზოლირებული, პრივატიზებული, ნათელი, კუთხის 2-ოთახიანი ბინა (საერთო ფართით 55კვმ.), სარდაფით და დიდი ავტოფარეხით. ფასი 13000$. მის: ინგოროყვას ქ.22. (მთავრობის სახლის უკან). ტელ: 93-53-60

თავისუფლების მოედანთან, 2 სართულიანი, კაპიტალური სახლი პატარა ეზოთი. საერთო ფართით 270კვმ, ტელეფონით, წყალი და დენი მუდმივია. ჭერის სიმაღლე 3,20სმ. ოთახების ფართი: 40+35+20+18. იგივე ფართია I სართულზე. ფასი 50000$. ტ: 93-10-19 მანანა.

в Крцанисском районе на Бетлемской ул. с большим двором, 2-х комнатная квартира, с подвалом, кухней, во дворе сарай. Живем два соседа. Цена договорная. Общая жил. площадь 50квм. Тел: 98-89-75

სასწრაფოდ! 2(2) 2-ოთახიანი (25+25) ბინა, შუშაბანდით (20კვმ), მიშენების უფლებით, მეტრო „300 არაგველთან". ფასი 8000$. მის: თბილისი, ხახანაშვილის ქ. 22. კასრაძე სვეტა.

2-ოთახიანი, არასტანდარტული, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა იტალიურ ეზოში, სარდაფით (16 კვმ), პატარა ეზოთი და ვერანდით (18 კვმ), დაშენების პერსპექტივით. წყალი და დენი მუდმივადაა. საწყისი ფასი 9000$. მის: ბალდადის ქ. 11 ტელ: 74-32-21

ორთაჭალაში, 2-ოთახიანი სუფთა ბინა 2(4), მიშენების ნებართვით, რკინის კარით, ტელეფონით, „ატმორით", დენი და წყალი მუდმივადაა. საწყისი ფასი 8500$ მის: გორგასლის 111. IV კორპ. II სად. II სართ. ბინა 20. ტელ: 72-29-23 (პურის ქარხანასთან)

სასწრაფოდ! ან იცვლება თბილისში, 2-ოთახიანი, ჩეხური ან ლევის პროექტის ბინაზე ხონის ცენტრში, 2-სართულიანი, გარემონტებული სახლი, ტელეფონით, ავტოფარეხით, 600კვმ ეზოთი, 2000კვმ გარე ნაკვეთით. საწყისი ფასი 9000$. მის: გამარჯვების II შეს №9. რეზო ან მამუკა. ტელ: თბილისში 60-57-36 (18სთ შემდეგ) მაკა

2,5 მოსკოვის პროექტის, სუფთა, სარემონტო ბინა 8(9) მეტრო „ისანის" პირდაპირ, 50 მეტრში, რკინის კარით. დენი და წყალი მუდმივადაა. საწყისი ფასი 12000$. მის: ქეთევან წამებულის გამზ. 67ა „სამხედრო ქალაქი" კორპ. „მარ". ტელ: 74-63-66

სასწრაფოდ! 3-ოთახიანი, 56კვმ, მაღალჭერიანი ბინა, ორი აივნით, გისოსებით, რკინის კარით, მანსარდის პერსპექტივით 5(5). სარდაფით, მანქანის სადგომით, მუდმივი დენით, ტელეფონით. საწყისი ფასი 30000 ლარი მის: შავი ზღვის ქუჩა 10/3, ბინა 12 („გარაჟიკში"). ტელ: 74-38-79.

სასწრაფოდ! 3-ოთახიანი, იზოლირებული, პრივატიზებული, სუფთა, ნათელი, კუთხის ბინა 4(4), ჭერი 2,75სმ, 2 აივნით, ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, დაშენების პერსპექტივით. მის: ორთაჭალის ქ. II შეს. X კორპ, I სად. ტელ: 72-44-80

3-ოთახიანი, სუფთა ბინა 1(2), 2 სამზარეულოთი, დიდი შუშაბანდით, 3 სათავსოთი, იტალიურ ეზოში. ს/ფ 90კვმ. ჭერის სიმაღლე 2,90სმ. წყალი და დენი მუდმივადაა. მ. „ავლაბართან". ფასი 10000$. მის: ფალავას ქ. 30. ტ: 74-53-74; 74-39-58 დათო

ან იცვლება 3-ოთახიანი, იზოლირებული, მაღალჭერიანი, ახლად გარემონტებული ბინა ქალაქის ცენტრში, ცალკე სათავსოთი (ბინის ფართია 65კვმ სათავსოთი 17კვმ). მის: ხანძთელის II ჩიხი №4 (ყოფ. მაისნიკოვის). ფასი 22000$. ტელ: 60-81-41 გია

კერძო სახლი, 2 ოთახი 43კვმ. დამხმარე ფართობი 106კვმ. მიშენების პერსპექტივით, შუშაბანდით, სამზარეულოთი, ტელეფონით, აბაზანით, საკუთარი გათბობით, ეზოთი, მ. „ავლაბართან". ტ: 38-96-81; 22-71-40

ანჩისხატის უბანში (ფართი 270კვმ.), სადაც დგას ძველი, ამორტიზებული, პრივატიზებული სახლი. შეიძლება აშენდეს სახლი ან სასტუმრო. საწყისი ფასი 40000$. მის: კრწანისის რაიონი, აჯლევის შეს. 9. ტელ: 98-62-90; 98-71-55 (საღამოს)

კერძო, სარემონტო სახლი, ბელეტაჟზე, რამდენიმე ნაგებობით, მთლიანი ფართით 830კვმ. მეტრო „300 არაგველთან" არის შუქი და ცხელი წყალი. საწყისი ფასი 25000$. ტელ: 33-33-60

2-სართულიანი, კაპიტალური სარემონტო სახლი. ფართით 200კვმ, ავტ. გათბობით, ეზოთი, სარდაფებით, სადარბაზო შესასვლელით. ფასი შეთანხმებით. მის: ავლაბარი, წურწუმიას ქ. 47. ტელ: 96-34-54 ინგა.

ან იცვლება მშენებარე სახლი 1200კვმ ხეხილიანი მიწის ნაკვეთით, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე. წყალი და შუქი მუდმივად. სახლი გადახურვის სტადიაშია. ფასი 28500$. მის: ორთაჭალის ქ. 106. ტ: 72-21-72; 96-05-72 (საღამოს)

1-комнатная, 3-комнатная, 4-комнатная, изолированные квартиры, место для строительства 80квм в частном доме, в центре, со всеми удобствами. Адр: ул. Чубинашвили, 19, угол ул. Марджанишвили. Тел: 96-13-81

1-ოთახიანი ბინა, ავეჯით, ოთახით 16კვმ, 7კვმ სამზარეულოთი, ჩუღურეთის რაიონში, გამგეობის უკან. ფასი 3000$. ტელ: 68-93-54

1-ოთახიანი, იზოლირებულ ბინა. საერთო ფართით 38კვმ, ჩუღურეთის რაიონში, არაგვისპირელის ქ. 39 (გორკის ძეგლთან). ტელ: 30-26-34 დიანა (საღამოს)

2-ოთახიანი, იზოლირებული (იტალიურ ეზოში), II სართულზე, პრივატიზებული, მაღალჭერიანი ბინა. ოთახების ფართი 19X18, შუშაბანდი 10კვმ, სამზარეულო 11კვმ, ტუალეტით, აბაზანით. ეზოში სათავსოთი და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 13000$. ტელ: 95-37-97 ლია.

სასწრაფოდ! 2-ოთახიანი, არასტანდარტული 2(2), მაღალჭერიანი, გარემონტებული ბინა ალმაშენებლის პროსპექტზე, ჰოლით, ტუალეტით, აბაზანით და სამზარეულოთი, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 15000$. ტელ: 36-04-88; 39-66-69

2-ოთახიანი, პრივატიზებული, იზოლირებული ბინა (25+16), ტელეფონით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, დიდი აივნით. საერთო ფართით 60კვმ. ჭერის სიმაღლე 3,5მ. მის: გოგოლის ქ. 17 (რკინიგზის სადგურთან). საწყისი ფასი 13000$. ტელ: 95-70-45

2-ოთახიანი, იზოლირებული, გარემონტებული ბინა ლოჯიით 3(3). აბაზანა-ტუალეტი, სამზარეულო კაფელით, საერთო ფართით 60კვმ. რკინის კარით, სათავსოებით, საკუჭნაოთი, ცხელი წყლით. ფასი 20000$. მის: ალმაშენებლის 197, III სად. III სართ. ბინა 24. ტელ: 35-05-57

2-ოთახიანი, 55კვმ საერთო ფართის სუფთა ბინა. მაღაზია „ფილიპსის" შენობაში 2(7), I სართულის მიერთების პერსპექტივით. ფასი 22000$. მის: ბარათაშვილის ქ. 10ა. ტელ: 99-51-10

2-ოთახიანი გარემონტებული ბინა, III სართულზე, ტელეფონით, რკინის კარით, მუდმივი გაზით. ფასი 23000$. მის: ცაბაძის ქ I კორპ ბინა 50. ტ: 35-12-24

ან იცვლება, პრივატიზებული ბინა ჩუღურეთის რაიონში, იტალიურ ეზოში (15+7), 9კვმ შუშაბანდით, ტელეფონით, სველი წერტილით, საერთო ტუალეტით. ფასი 3500$. ტელ: 33-54-46 სვეტლანა

სასწრაფოდ! ჩეხური პროექტის, გაერთიანებული, 2-ოთახიანი და 3-ოთახიანი ბინები, დამტკიცებული პროექტის 2 ავტოფარეხით, იდეალური ხედით, ჩანს მთელი თბილისი. ფასი შეთანხმებით. მის: მეუნარგიას ქ. 73. ტელ: 96-45-43.

2,5 комнатная квартира на ул. Марджанишвили 6(9), общ. пл. 68квм, жилая - 36квм, потолки - 2,75м. Туалет и ванная раздельны. С ремонтом и телефоном. Цена 25000$. Тел: 34-07-71

3-ოთახიანი ბინა (22+23+27), მეტრო „მარჯანიშვილთან", ყველა იზოლირებული სათავსოთი, ლოჯიით, საკუჭნაოებით, სარდაფით, მანქანის ადგილით, ს/ფ 130კვმ, გაფართოების საშუალებით. ტელ: 95-07-51

3-ოთახიანი იზოლირებული ბინა I(3). აბაზანა, ტუალეტი და სამზარეულო კაფელით. სანტექნიკა გამოცვლილია, ტელეფონით, კეთილმოწყობილ სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. საწყისი ფასი 9000$. მის: ჩიტაიას ქ. 7 (ყოფ. საბჭოს). ტელ: 96-52-77 დავითური

3-ოთახიანი კუთხის ბინა 3(8). ჰოლში, ლოჯიაში და სამზარეულოში ჩაშენებული კარადებით, აბაზანა და სამზარეულო კაფელით, რკინის კარით, ღია აივნებით, „ატმორით", ტელეფონით. ფასი 24000$. მის: ხეთაგუროვის 4 ტელ: 95-67-22.

3-ოთახიანი, იზოლირებული, პრივატიზებული ბინა, ბელეტაჟზე, ტელეფონით და 2 სარდაფით. ფასი 12000$. მის: მარჯანიშვილის 56. ტელ: 96-27-10 ნელი

1-ოთახიანი ბინა ავეჯით (მაცივარი, ტელევიზორი). ფასი 120$. ტელ: 33-41-20. თამრიკო

1-ოთახიანი, იზოლირებული ბინა ავეჯით, ტელეფონით, მაცივრით, აივნით. ფასი შეთანხმებით, დიღმის მასივში, კონსტუდიის შესასვლელთან, V სართ. ტელ: 38-44-36 (14 სთ-ის შემდეგ). ნანა

1-ოთახიანი, ახალგარემონტებული ბინა ავეჯით, მაცივრით და ტელევიზორით. 5-6 თვის წინასწარი გადახდით. ფასი 120$. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტის" ამოსასვლელთან". ტელ: 37-65-73

1-ოთახიანი, იზოლირებული ბინა ტელეფონით, ავეჯით, მაცივრით. ფასი 100$. წერეთლის გამზირზე „ივერთან". ტელ: 32-89-75; 62-24-97

1-ოთახიანი ბინა სტუდენტებზე. ფასი შეთანხმებით. მ. „პოლიტექნიკურთან". იყალთოს ქ. 33ა. ტ: 38-31-92

23 კვმ ფართის ბინა. სათავსოები საერთოა. ფასი 60$. კოლმეურნეობის მოედანთან, ათონელის ქ. 20. ტელ: 98-54-89

На длительный срок высококачественную квартиру высокий бельэтаж с телефоном балконом. Можно под офис и для иностранцев. Цена 350$ Адрес: Ваке ул. Кипшидзе Тел: 22-21-67

1-ოთახიანი, იზოლირებული ბინა ტელეფონით, IV სართულზე, დიდუბეში, გამოფენასთან. ფასი 100$. ტელ: 98-34-56. მარინა

1-ოთახიანი ბინა ტელეფონით, ავეჯით, ვაჟა ფშაველაზე. ტელ: 39-18-22; 23-32-92. მედიკო

1-ოთახიანი, იზოლირებული ბინა, ტელეფონით, საჭირო ავეჯით. ფასი 120$. გამსახურდიას გამზირზე, IV სართულზე. ტელ: 67-68-77

1-ოთახიანი სუფთა ბინა, ავეჯით, მაცივრით. ფასი 100 ლარი. მის: ვაჟა ფშაველას გამზ. 93, IV კვარტ. IIა კორპ. IV სად. ბინა 75. ტელ: 32-46-52

1-ოთახიანი ბინა ცხელი წყლით, ტელეფონით, საჭირო ავეჯით. მის: წყნეთის ქუჩა (ვაკის პარკთან), II კორპ. II სად. III სართ. ტელ: 96-99-60. მანანა

1-ოთახიანი, იზოლირებული ბინა, გრძელი აივნით, ტელეფონით, სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი 200 ლარი. მის: იოსებიძის 53, ბინა 24, 25. ტელ: 37-36-92; 37-28-90

1-ოთახიანი, იზოლირებული, სუფთა ბინა, აუცილებელი ავეჯით, რკინის კარით, ტელეფონით. ფასი 120$. მის: ბახტრიონის ქ. №39, IV სად. VIII სართ. ტელ: 38-51-89

1-ოთახიანი, იზოლირებული ბინა ავეჯით, ტელეფონით. ფასი 90$. დიღომში, პროსპექტზე, მეტროსთან ახლოს. ტელ: 34-37-31

18კვმ ფართის ოთახი, კერძო სახლში, მაღალ ბელეტაჟზე. ფასი შეთანხმებით (სასურველია გოგონები). მის: დოლიძეზე, ბაკურიანის ქუჩა №18. ტელ: 38-74-38. ანა

1-ოთახიანი ბინა ტელეფონით, წყალი და შუქი მუდმივადაა. ფასი შეთანხმებით. მის: ვაგზლის მოედანი, გოგოლის 54, კაფე „ია"-სთან. ტელ: 33-36-07. მანანა

2-ოთახიანი ბინა, ავეჯით, მაცივრით, ტელევიზორით, ტელეფონით. ფასი 150$. მის: ვერა, მელიქიშვილის ქ. №17. ტელ: 29-32-11 ან 29-03-05

2-ოთახიანი, გარემონტებული ბინა ლოჯიით, ტელეფონით, მაცივრით, ტელევიზორით და საჭირო ავეჯით. ფასი შეთანხმებით. მის: წერეთლის გამზ. №8, III სართ. (მეტრო „წერეთლის" გვერდით). ტელ: 34-47-03; 78-23-81

2-ოთახიანი, ტიპიური პროექტის ბინა, ავეჯით, ტელეფონით, რკინის კარით. მხოლოდ ოჯახზე. ფასი 150$. ვაჟა ფშაველას VI კვარტალში. ტელ: 39-44-16

2-ოთახიანი ბინა რკინის კარით, ტელეფონით, „ატმორით", ავეჯით, დიდი მიშენებით. ფასი 170$. დიდუბეში, ელიავას ბაზრობასთან. ტელ: 37-70-13

2-ოთახიანი ბინა ავეჯით, ტელეფონით და მუდმივი დენით. ფასი შეთანხმებით. მის: დიდუბე, მეტრო „წერეთელთან", ვედოშვილის 2/10, IV კორპ, III სართ, ბინა 9. ტელ: 35-19-91. ბიძინა

2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, ავეჯით, ტელევიზორით, მაცივრით, ვაკეში 3(5). ტელ: 29-30-61

2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით ავეჯით. ფასი 200$. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან". ტელ: 38-43-50; 37-67-66

2-ოთახიან ბინაში I ოთახი (მეორე ოთახი დაკეტილია), ავეჯით, მაცივრით, ტელეფონით, ტელევიზორით. ფასი 120$. ქავთარაძეზე, თონესთან. ტელ: 60-76-44; 62-83-05

2-ოთახიანი, სუფთა ბინა ავეჯით, ტელეფონით 6(8). ფასი 150$. მის: ბუდაპეშტის ქ. №2, III სად. ბინა 57, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან". ტელ: 38-80-94; 98-30-99

კერძო ბინის ორი ოთახი (იზოლირებული), 30კვმ ფართით, ტელეფონით, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მის: აკურის ქ. №11, სპორტის სასახლის სალაროებთან. ტელ: 53-55-41

2-ოთახიანი, კეთილმოწყობილი, იზოლირებული ბინა ავეჯით, ტელეფონით, მაცივრით, საოჯახო ნივთებით. ფასი 150$. იტალიურ ეზოში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, II სართ. ტელ: 61-16-09

2-ოთახიანი, ჩეხური პროექტის, იზოლირებული, სუფთა ბინა ლოჯიით, სათავსოთი, მზიანი მხარე. ფასი 90$. მის: ნუცუბიძის პლატო II მ/რ, II კვარტ. IV კორპ. IV სართული, ბინა 16, კაფე „შატილის" წინ. ტელ: 32-91-84. მარინა

სოფისედ, ახალგარემონტებული 2-ოთახიანი ბინა, ლოჯიით, ბელეტაჟზე, პარკეტით, ტელეფონის ერთ კვირაში დადგმით, მარჯანიშვილის თეატრთან, უმ. ჩხეიძეზე. ფასი 300$. ტელ: 37-33-22. ნანა

2-ოთახიანი ბინა (40კვმ) ქალაქის ცენტრში, შესანიშნავია კომერციული საქმიანობისთვის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-65-48

2-ოთახიანი, იზოლირებული ბინა ტელეფონით (სასურველია უცხოელზე). რუსთაველის პროსპექტზე. ტელ: 98-20-28 (საღამოს). ლიკა

2-ოთახიანი, სტანდარტული ბინა ლოჯიით, ტელეფონით. ფასი 200№. გამსახურდიას გამზირზე. ტელ: 38-45-82

2-ოთახიანი ბინა, ტელეფონით, ავეჯით, ცხელი წყლით, ვაკის პარკთან, VII სართულზე. ტელ: 29-04-86

2,5-ოთახიანი, ლოჯიიანი ბინა საჭირო ავეჯით, გაზით, მაცივრით, ტელეფონით, „ატმორით". ვაკეში, მოსაშვილის ქუჩაზე, II სართ. ვაკის პარკთან. ტელ: 23-50-33

იანვრის დასაწყისიდან, 3-ოთახიანი ბინა, ავეჯით, ტელეფონით, ა/ფარეხით. მეტრო „ახმეტელთან", 5-6 თვის წინასწარი გადახდით. ფასი 80$ ტელ: 64-78-36

3-ოთახიანი ბინა, ქალაქის ცენტრში. ხელსაყრელია ოფისისთვის. დენი და წყალი მუდმივად. საწყისი ფასი 550$. მის: კოსტავას ქუჩა, ვერის ბაზართან, ფანჯრები ცენტრალური ქუჩისკენაა, II სართ). ტელ: 99-56-63; 92-32-73. თეა

3-ოთახიანი, ახალგარემონტებული, კეთილმოწყობილი ბინა (უცხოელებზე). მუდმივი დენით, ცხელი წყლით, ბუხრით, შესანიშნავი ხედით. ფასი 500$. მის: უზნაძის ქ. 4 (ყოფილი კამოს ქ.) ტელ: 95-44-09. ლილი

3-ოთახიანი, გარემონტებული ბინა ქალაქის ცენტრში, მრგვალ ბაღთან (მხოლოდ უცხოელებზე). დიდი ლოჯიით, ორი აივნით, „ატმორით", გათბობით, რბილი ავეჯით და ყოველგვარი კომფორტით. ტელ: 22-31-48

3-ოთახიანი, გარემონტებული ბინა ავეჯით, ა/ფარეხით. ფასი 500$. ბახტრიონის ქუჩაზე, II სართ. ტელ: 38-68-22; 34-64-98

3-ოთახიანი, იზოლირებული ბინა ოფისისთვის ან კომერციული საქმიანობისთვის (შესაძლოა ნაწილობრივაც), ქალაქის ცენტრში, აღმაშენებლის გამზირზე, I სართ. ფანჯრები ქუჩის მხარეს. ტელ: 34-71-84. ზაალი

3-ოთახიანი, სუფთა ბინა, ავეჯით, „ატმორით", გაზის ბალონით, ტელეფონით 5(8), ა/მანქანის სადგომით. ფასი 250$. ხეთაგუროვის 6 (ვორონცოვზე, გამგეობასთან). ტელ: 95-44-77. ზაზა

3-ოთახიანი ბინა, მთაწმინდის რ-ში ან ვაკეში 4-ოთახიანი ბინა, ავეჯით ან უავეჯოდ, სუფთა, კომფორტული. ტელ: 95-69-63. გულლი

3-ოთახიანი ბინა ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან, ახალაშენებულ კორპუსში, 118კვმ, საუკეთესო ხედით მტკვრის სანაპიროზე, ყველა პირობით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-33-43; 98-60-15

უცხოელებზე, ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე 3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი გარემონტებული ბინა ავეჯით, ტელეფონით, ლიფტით, V სართულზე. ტელ: 22-35-07

3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი, ეზოთი, ავტოფარეხის ადგილით, ავეჯით. ფასი შეთანხმებით. მის: უზნაძის ქ. (კამოს) 68ა. ტელ: 95-02-

87; 34-81-21 (20 სთ-ის შემდეგ)

უცხოელებზე, 4-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა, IV სართულზე, კარგი ხედით, ცხელი წყლითა და ბუხრით, ვაკეში, არაყიშვილის ქუჩაზე. ტელ: 22-33-13

უცხოელებზე, 4-ოთახიანი ბინა, ფალიაშვილისა და ბახალეთის ქუჩების კუთხეში. სასურველია 2-3 წლიანი არენდა. ტელ: 22-19-48 (19 სთ-ის შემდეგ). რეზო

4-ოთახიანი სარემონტო ბინა, ავეჯით, გაგარინის მოედანზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 92-13-33. ლიკა

5-ოთახიანი გარემონტებული ბინა, ავეჯით, მაცივრით, ტელევიზორით, ტელეფონით, ავტოფარეხით. ფასი 550$. მის: ჩიქოვანის (ხილიანის) ქ. №24ა, VI სართ. ტელ: 23-29-07

5-ოთახიანი სარემონტო ბინა საოფისედ ან უცხოელებზე, ორი ტუალეტით, ფარეხით და ტელეფონით. მის: თამარ მეფის გამზ. №7. ტელ: 95-86-48

90კვმ ფართის ბინა, ავეჯით, დამატებითი ფართით. ელენერგია მუდმივადაა, სასურველია ოფისისთვის ან უცხოელებზე. ფასი შეთანხმებით. ვაკეში, კერძო სახლის I სართ. (ბელეტაჟზე). ტელ: 23-16-96

უცხოელებზე ან საოფისედ, ბინა ვაკის პარკთან, 2-სართულიანი, კერძო სახლის II სართულზე. საერთო ფართი 150კვმ ტელ: 23-34-48

2-სართულიანი, კერძო, ეზოიანი სახლის I სართულზე, 2 ოთახი, აბაზანით, ცხელი წყლით. შეიძლება ოთახების ცალ-ცალკე გაქირავებაც, 50 და 60 ლარის ფარგლებში, სტუდენტ გოგონებზე. მის: ბაგები, წყნეთის გზატკეცილი 37ა ტელ: 23-12-02

საკუთარი სახლის სართულნახევარი, 310კვმ, 8 ოთახი, აბაზანა-ტუალეტი ცალ-ცალკე ორივე სართულზე, ახალგარემონტებული. სინათლე, ცხელი წყალი, გათბობა მუდმივად, 80კვმ გადახურული ვერანდებით, მანქანის სადგომით, ჭერი 3,70მ. მის: ბროსეს ქ. №2, ოპერის უკან. ტელ: 99-61-83. ნოდარი, ნინო

უცხოელებზე, 2-სართულიანი, კეთილმოწყობილი სახლი (14X14), შიდა ხისრიკულიანი კიბით, უცხოური ავეჯით, ტელეფონით, კონდიციონერით, „ატმორით", ინდივიდუალური გათბობით, ავტოფარეხით, ღია და დახურული აივნებით, დეკორატიული ბაღით, აუზით, ბუნებრივი წყაროთი. შესაძლებელია მომსახურებაც. მის: ირაკლი გამრეკელის ქ. №37 (ნუცუბიძის მიმდებარე). ტელ: 32-91-69. ნათიძე

2-სართულიანი, კერძო, ეზოიანი სახლის I სართულზე, 2-ოთახიანი ბინა (12+20კვმ), უაბაზანო, უტელეფონო, ნაძალადევში, I სამშობიაროსთან. ტელ: 60-21-68

კერძო სახლის I სართული (ფართი 80კვმ). გარემონტებული, ავეჯით, ცხელი წყლით, ტელეფონით, ა/ფარეხით, გამოდგება საოფისედაც. გაგარინის მოედანთან. ტელ: 38-67-77

150კვმ საერთო ფართი (30+30+52), კერძო ბინის პირველ სართულზე. ნუცუბიძის პარალელურ ქუჩაზე, მეტრო „დელისთან" ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 32-00-90

250კვმ ფართობი (საოფისედ, სასაწყობო მეურნეობა) საბჭოს მოედანთან ახლოს. ტელ: 95-32-83

კერძო სახლის I და II სართული, ცალ-ცალკე (60 და 80კვმ), სათავსოებით, ტელეფონით, ბუხრით, ვერანდით, ეზოთი, აუცილებელი ავეჯით, შეიძლება ავეჯის გარეშეც. მის: საბურთალო, გურიელის ქ. №31ა, ნუცუბიძის ქუჩის საბავშვოსთან ახლოს. ტელ: 32-44-22

უცხოელებზე, წყნეთის დასაწყისში (საოფისედ) 3-სართულიანი, საკუთარი სახლი, შიდა ხის რიკულებიანი კიბით, სამივე სართულზე ღია და დახურული ვერანდებით, სველი წერტილებით, „არისტონით", ა/ფარეხით 3 მანქანისთვის. ტელ: 22-85-84 ტრისტანი

უცხოელებზე, ახალაშენებული, 2-სართულიანი კერძო სახლი 250კვმ, ნახევრადსარემონტო, დიდი სარდაფით, ა/ფარეხით. რემონტის ღირებულება გაიქვითება ქირაში. ტელ: 74-14-45 თამაზი

უცხოელებზე, 2-სართულიანი სახლი (საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს), მე-2 სართულზე, იზოლირებული ეზოთი და ა/ფარეხით. საერთო ფართით 200კვმ. მის: საბურთალო, კანდელაკის ქ. გაგარინის მოედანთან. ტელ: 37-14-15

## იცვლება

ქუთაისიდან 4-ოთახიანი ბინა ქალაქის ცენტრში, სარდაფით, ავტოფარეხით, დამხმარე სათავსოებით, თბილისში 1 ან 2-ოთახიან ბინაზე. ტელ: 33-30-75 (თბილისი). ირმა 6-33-45 (ქუთაისი). რეზო

გლდანის V მ/რ-დან, მე-19 კორპ. ბ.2, 2-ოთახიანი ბინა და ახალი ა/მ „ვაზ 2106", კერძო ბინაზე. შეიძლება მანქანის ცალკე გაყიდვაც. ტელ: 67-61-73. ელგუჯა

ან იყიდება 3-ოთახიანი, მშენებარე, ინდივიდუალური პროექტის ბინა ვაკეში (150კვმ), თანხა დაფარულია, მშენებლობის ვადა 3 წელი, კარკასი ამოყვანილი არ არის (9 სართულიანი სახლი). ტელ: 52-03-12

3-ოთახიანი, სარემონტო ბინა პრესტიჟულ სახლში, მარჯანიშვილის მოედანზე 2(5), 3-ოთახიან სუფთა ბინაზე, ასეთივე ტიპის სახლში, ქალაქის ცენტრში, ყოველგვარი ფულადი დამატების გარეშე. ტელ: 95-32-12

ან იყიდება 3,5-ოთახიანი გარემონტებული ბინა ქავთარაძის ქ. და 2,5-ოთახიან, გარემონტებულ ბინას ვაჟა ფშაველაზე. ორივე ბინა IV სართულზეა. ავტოფარეხებით, რკინის კარით და სარდაფით, ერთ 4 ან 5-ოთახიან ბინაზე. ტელ: 30-76-29 (საღამოს). ნანა

4-ოთახიანი, ჩეხური პროექტის, გარემონტებული, პრივატიზებული ბინა დ/დ III მ/რ-ს პირველსავე გაჩერებაზე, ორ ბინაზე (2+1). 2-ოთახიანი შეიძლება დ/დიღომშივე. 1-ოთახიანი ცენტრში. შეიძლება გაყიდვაც. ფასი 16000$. ტელ: 34-77-46

2,5-ოთახიანი ბინა გლდნის მასივიდან, ა მ/რ კორპ. 62-ე, მეტრო „ახმეტელთან", სარდაფით, რკინის კარით, 1,5-ოთახიან ბინაზე საბურთალოს რ-ში. სასურველია იყოს მეტროსთან ახლოს. ტელ: 37-70-52 (საღამოს)

2,5-ოთახიანი სუფთა ბინა, რკინის კარით, ტელეფონით, სარდაფებით, ცალკე კანალიზაციით, I სართულზე 2 მანქანის სადგომით. მის: მოსკოვის გამზ. 36დ, ბინა 19 ტელ: 71-18-18 ირინა, დათო

1-ოთახიან ბინაზე ქალაქის ცენტრში 3-ოთახიანი თუხარელის პროექტის ბინა მე-13 სართულზე, ვარკეთილი-3-ში. ტელ: 36-03-03; 37-18-93

ყაულაშვილის პროექტის 3-ოთახიანი სუფთა ბინა გლდნის II მ/რ-ში, 14(16) 2-ოთახიან ბინაზე, ქვედა სართულებზე, პირდაპირი გაცვლით. ტელ: 39-71-59

3,5-ოთახიანი, მოსკოვის პროექტის გარემონტებული ბინა თემქის IV მ/რ, VIII კორპ. 7(9) საბურთალოზე ან დიღუბეში 1,5 ბინაზე. ტელ: 37-78-40

ორი ბინა ერთ ბინაზე, თუხარელის, ექსპერიმენტული, 4-ოთახიანი, ლოჯიიანი ბინა, ახალი, უმაღლესი, კაპიტალური რემონტით და ამავე პროექტის 3-ოთახიან ბინა, რომელიმე ცენტრალურ რაიონში 3-ოთახიან ბინაზე. შეიძლება 4-ოთახიანის გაყიდვაც. მის: ვარკეთილი-3, IV მ/რ-ნი, 424-ე კორპ. ბინა №23, ლევან დვალი. ტელ: 63-75-65. გოგი

აგარაკი, ბახალეთის ტბიდან 10 კმ-ზე, 2-სართულიან სახლი, უჟანგავი თუნუქის სახურავით, ოცი მესედი ხეხილიანი ბაღით, თბილისში, 1-ოთახიან ბინაზე, თანახმა ვარ მასივებზე. მის: დ/დიღომი, III მ/რ, 21-ე კორპ. V სად. II სართ. ავთო

ბორჯომიდან (ერეკლე II ქ. №3) თბილისში, 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა, პატარა ეზოთი და ტელეფონით. მასივებს ნუ შემომთავაზებთ. ტ: 2-42-15. ლია

ბათუმიდან თბილისში 24 კვმ ბინა, ოთახი 15 კვმ, შუშაბანდი, პატარა სამზარეულო (ტუალეტი ორ მეზობელთან). ბინა მდებარეობს ქალაქის ცენტრში, ზღვასთან ახლოს. ტელ: 7-48-83 (ბათუმში). იზო

ბოლნისის რ-ნის სოფ. რაჭისუბნიდან, სამოსახლო (1500კვმ) და საკარმიდამო (3500კვმ) მიწის ნაკვეთები რაჭის რომელიმე სოფელში პატარა ნაკვეთიან, 3 ან 2-ოთახიან სახლზე. ტელ: 53-50-92. შოთა

კერძო ბინა მუხიანში, მაღალ ბელეტაჟზე, ორი ოთახი ლოჯიით (სარემონტო) 800კვმ ხეხილის ბაღით, სარწყავი აუზით (წყალი მუდმივად) დ/დიღომში, 4 ან 5-ოთახიან ბინაზე. ტელ: 38-31-51

## გირავდება

3-ოთახიანი ბინა მუხიანში, საჭირო ავეჯით, „ატმორით", ტელეფონით. ტელ: 71-39-46

2-სართულიანი კერძო სახლში, პირველი სართულის 4 ოთახი. დენი მუდმივადაა, აქვს ა/სადგომი. საწყისი ფასი 2000$. VIII საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია. ტელ: 61-01-98. ლია

5-ოთახიანი, რკინის სვეტებზე მდგარი კაპიტალური სახლი მანსარდით, სამი მხრიდან აივნით. ფასი 1500 ლარი. კუმისის ტბასთან მდებარე დასახლებაში, №20 ქუჩაზე, №20 ნაკვეთი, 2 წლით. ტელ: 74-52-66; 34-00-47. დინი

## დავიგირავებ

1-ოთახიან ბინას ვაჟა ფშაველას გამზირზე. ტელ: 92-34-89. მარინა

3-5-ოთახიან ბინას ავტოფარეხით, ტელეფონით. ტელ: 34-72-84; 34-38-11. აზა

## შევიძენ

1,5 ან 2-ოთახიან ბინას ან კერძო სახლს ეზოთი (მარჯანიშვილზე, ვორონცოვზე, საბჭოს მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე). ფასი 2000-3000$. ტელ: 95-98-82; 23-71-48. ლელა

## ვულოცავთ

მაკა სიმონიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს.
ამშვენიერე თვალები და მიმოიხედე, —
როგორი ცაა, ვარსკვლავი ცას ჰგავს.
იცოცხლე დიდხანს, სიხარული არ დაგლევდეს,
ჩვენო პატარა, საყვარელო, მეტად ძვირფასო მაკა.
„პალიტრელები"

მაკა გილოცავ დაბადების დღეს. „პარაზიტი"

ლეილა კოპალეიშვილ-რუხაძეს! დედას, ბებოს, დეიდას, ვულოცავთ დაბადების 70 წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხან სიცოცხლეს, ულევ სიხარულს, გკოცნით, გეხვევით — რუხაძეები, კერესელიძეები

ჩვენს პატარებს! თორნიკე თოდრიას და ლუკა ირემაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. იყავით მშობლების იმედი და სწავლაში ფრიადოსნები. ცარო ბებია და ედუარდ ბაბუა

ჩვენო სიხარულო, შვილო მარიკა! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წარმატებებს და ბედნიერებას. გკოცნით — შენი დედიკო და მამიკო

მარიკა, პატარა ქალო! ბედნიერი და სიკეთით სავსე ყოფილიყოს შენი ყველა დაბადების დღე. გკოცნით დეიდა სალომე, დეიდა ნუცა

ჩემს საყვარელ ნათლულს, გიორგი ხაჩიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 16 ნოემბერს! გიორგი! გაიზარდე და დავაჟკაცდი. შენი კაცურკაცობით ყველა გაგვეხარებინოს. გისურვებ სიკეთეს და ოცნებების ასრულებას. შენი ნათლია — კოტე ნოდია

პატარა ქალს — თამუნა ჩომახიძეს დაბადების დღეს, 22 ნოემბერს ულოცავს მთელი ოჯახი. ჩვენო სიამაყევ და მშვენებავ, გაიხარე და ჩვენც გაგვახარე, გაიზარდე და ქართველქალობა შეიფერე. დიდი სიყვარულით, პატარა ძმისშვილი ანა, მაია და გურამი, ირმა და ზურიკო ჩომახიძეები

ხათუნა სილაგაძეს. ხათო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ცხოვრების გზა გაგევლოს სიყვარულში, სიკეთით და ბედნიერებაში. დასახული მიზნები კი შეგსრულებოდეს. გახსოვდეს და პატივი ეცი იმ ადამიანებს, ვინც ცხოვრების მანძილზე გვერდით გედგება. ნოდარი და მატო

ელენე ქორთიაშვილს კეთილი სურვილებით ვულოცავთ დაბადების დღეს. მართალია, ჩვენთვის „სულ პატარა ხარ, სულ ციცქნა", მაგრამ მართლაც „დიდი" ხარ და ამიტომ... ისევ ისინი

გოგი ხიზანიშვილს!
უკვე სიბერისკენ მივალთ,
წლები ემატება წლებს,
შენი აუხდენელი ოცნება
გილოცავს დაბადების დღეს!
ეთერი

თვალადის საშუალო სკოლის დირექტორს, უშანგ ცალქალამანიძეს პედკოლექტივი ულოცავს დაბადების 60 წლისთავს და გიორგობას. უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას. კიდევ დიდხანს მდგარიყოს მომავალი თაობის აღზრდის სამსახურში

## სხვადასხვა

გაზეთ „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული სტატიის „ჰორიე ვიყავი" ავტორს ვთხოვთ, გამოგვეხმაუროს შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 96-49-94

ვარ 42 წლის ინჟინერი, ვმუშაობდი რემონტიორად, ბრიგადირად, ავტოფარეხის გამგედ, მთავარ ინჟინრად, დირექტორის მოადგილედ, დირექტორად. ვეძებ სამსახურს. ვარ ВСД კატეგორიის მძღოლი. ტელ: 33-51-05; 33-28-30. მერაბი

## მომსახურება

დავიტოვებ 4-7 წლამდე ბავშვს. სურვილის მიხედვით ვასწავლი ინგლისურს, რუსულს, მუსიკას. ტელ: 38-48-96. მანანა

იაფად და ხარისხიანად! დავამზადებთ: ლითონის კარს — 300 ლარი; „გარმოშკას", 1კვმ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვმ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვმ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დავამონტაჟებთ აივანს, 1კვმ — 200 ლარი; აბაზანაში შეკიდულ მინის ჭერს, 1კვმ — 120 ლარი, ფანჯრის მინის დაჭრა, ბინაზე მიტანით. მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ, მე-4 კორპ. ტელ: 63-67-52

დავიტოვებ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, დავეხმარები გაკვეთილების მომზადებაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-72-38, ჯული

ფსიქოლოგიური ტესტებითა და ციფრობრივი ჰოროსკოპით დავადგენ თქვენს უნარს, მომავალს. შეგიმსუბუქებთ პრობლემებს. ღირებულება 3 ლარი. სასურველია ბინაზე გამოძახება. ტელ: 74-06-44, 99-79-26

მოვუვლი ბავშვს 6 თვის ასაკიდან, როგორც ბავშვის ბინაზე, ასევე ჩემთან. ვცხოვრობ კეთილმოწყობილ ბინაში. მოზრდილებს ვასწავლი გაკვეთილებს. ვცხოვრობ მ. „წერეთელთან". ტელ: 34-51-02

1) რკინის კარის დამზადება და საკეტების შეცვლა. შეღავათიან ფასად; 2) ელექტროგაყვანილობათა მონტაჟი. ტელ: 66-26-50. ნოდარი

კერძო საბავშვო ბაღი, ინგლისური და რუსული ენის შესწავლით, დიდუბეში, მეტრო „წერეთელთან". ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-04-61

ვაკეთებ რკინის კარზე ძველი საკეტების შეცვლას ახალი საკეტებით, მუშაობის მაღალი სიზუსტით. ლიცენზია 7 1/2 431. ტელ: 78-31-68

რკინის სამჭედლო გთავაზობთ მაღალი დიზაინით შესრულებულ ხარისხიან რკინის ნაკეთობებს, კარებს, ვიტრაჟებს, ჟალუზებს, ავტოფარეხის და სხვა ნაკეთობების ბინაზე მომსახურებით. მის: საბურთალოს ქ. №43 (პური მანქანების ავტოფარეხი). ტელ: 38-52-57 (სამსახური); 38-70-09 (სახლი)

„ცხრაკლიტული", შემოწმეთ თქვენი ბინისა და ავტოფარეხის უსაფრთხოება, ხომ არ გინდათ საკეტის შეკეთება ან ახლის ჩაყენება! ტელ: 53-34-69

სამშენებლო სამმართველო იღებს შეკვეთებს საცხოვრებელი სახლების, ოფისების, ავტოფარეხების და სხვადასხვა ასაშენებელ და სარემონტო ობიექტებზე. საკუთარი მასალით, ფასები ხელმისაწვდომია. ანაზღაურება როგორც ნაღდად, ასევე გადარიცხვით. მის: ჭავჭავაძის გამზ. 39. ტელ: 23-59-04

ვიღებთ დაკვეთებს სამშენებლო-სარემონტო და სანტექნიკურ სამუშაოებზე (როგორც ინდივიდუალურს, ასევე კატალოგით), გვაქვს სანტექნიკური პროდუქცია, საბაზრო ფასებზე იაფად. ანგარიშსწორება ნებისმიერი. ტელ: 32-13-34; 61-11-65

ვაწარმოებთ ყველანაირი საოჯახო ელმოწყობილობების, მრიცხველების, ჩამრთველების, ამომრთველების, გადამყვანების, ჭაღების, გაყვანილობის, „ატმორის", აუზის მონტაჟს, შეცვლას, შეკეთებას და ნებისმიერი სახის დაზიანებების აღმოფხვრას. ტელ: 94-21-23. ალეკო ჯანგულაშვილი; 98-02-85. ირაკლი გეჯაძე

Изысканные торты на заказ: свадебные, детские и др. Юбилейные, кукла Барби, Мальвина и Буратино, шампанское в корзине, корабли. Возможно доставка на дом. Мобильный тел: 877-40-48-89; 98-56-94

## გთავაზობთ სამუშაოს

ფირმა „ელიზ 1"-ს ესაჭიროება გარე ვაჭრობის გამყიდველები. მაღალი ანაზღაურება გარანტირებულია. მის: თამარაშვილის ქ. №19. ტელ: 23-21-61

სამუშაოდ ვიწვევთ სერიოზულ ადამიანებს, რომელთაც კავშირი აქვთ სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან. იჩქარეთ! ტელ: 22-33-92. მარი

გვესაჭიროება თანამშრომლები. პროდუქციის სარეალიზაციოდ. სასურველია გქონდეთ კავშირები ბათუმთან, ქობულეთთან, ფოთთან, ქუთაისთან, განსაკუთრებით სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან. ტელ: 96-13-03 (ნებისმიერ დროს); 95-93-73 (21 სთ-მდე). ხათუნა

ამერიკული კომპანია სთავაზობს სამუშაოს საქმიან და ენერგიულ ადამიანებს. სასურველია იყოთ ექიმი. ტელ: 38-81-95 (20-24 სთ). დოდო

ახალგაზრდა გოგონებს ვთავაზობთ სამუშაოს გერმანიაში, ოჯახებში, ბავშვის მომვლელად. ტ: 33-56-40

ენერგიულ და საქმიან ადამიანებს უცხოური კომპანია გთავაზობთ სამუშაოს, შემოსავალი მუდმივად იზრდება. სასურველია იყოთ მედიცინის მუშაკი. ტელ: 32-23-39. მარიამი; 30-45-64. ნინო

გვესაჭიროება ოფისის მდივანი და ოპერატორ-ბუღალტრები. მაღალი ანაზღაურება გარანტირებულია. ფირმა „ელიზ 1". მის: თამარაშვილის ქ. №19. ტელ: 23-21-61

ვიწვევთ 18-23 წლის გოგონებს გერმანიაში სამუშაოდ. ტელ: 68-50-62

## ვმკურნალობ

სტომატოლოგიური ფირმა „უნივერსალდენტი" ასრულებს ყველა სახის სტომატოლოგიურ მომსახურებას. მის: კოსტავას ქ. №47, რესტორან „ევროპასთან". ტელ: 92-02-64

ვშველი ოფლის სპეციფიკურ სუნს. ტელ: 96-18-26. მარეხი

ვმკურნალობ მეტყველებაში მძიმე დარღვევების მქონე ბავშვებს. ტელ: 52-51-31. ჟუჟუნა

ვმკურნალობ ჭარბთმიანობას (ელფრამის ნემსით და ანესთეზიით). განკურნების სრული გარანტიით. ფასი 1 ხთ — 6 ლარი. მიღება დღის ნებისმიერ დროს, შეთანხმებით. ან შეგიძლიათ ინდივიდუალურად გასუფთავდეთ თმისგან — „ლიპუჩკა". ფასი 10 ლარი. ტელ: 37-71-66. ნინო. მის: იოსებიძის 53, I სად. I სართ. ბინა 3

ვმკურნალობ ძალიან ბევრ დაავადებას სამკურნალო მცენარეებით. ცოდნა მივიღე ჩემი წინაპრებისგან რაჭაში. ტ: 35-31-27. ნარგიზა

იმერეთში ცნობილი, ღვთისაგან გამოცხადებით სახალხო მკურნალი — ფიტოთერაპევტი, ხალხური მედიცინის ასოციაციის წევრი ელდარ დავაძე სამკურნალო მცენარეებით მკურნალობს ონკოლოგიურ დაავადებებს, თავის ტკივილებს, ასთმას, ფილტვებს, სისუსტეს, ნაღვლის ბუშტს, თირკმლებს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, გარანტიით. მის: გოგოლის ქ. №50. ტელ: 96-49-13

გთავაზობთ წონის დაკლებას ან მომატებას, ყოველგვარი დიეტის გარეშე. დარეკეთ ყოველდღე, დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ტელ: 62-36-68 თიკო

უნიკალური მეთოდებით ვუმკურნალებთ მათ, ვისაც მარილების ზეწოლის შედეგად დარღვეული აქვს ძვალსახსრის, ასევე შინაგანი ორგანოების ფუნქციონირება. გართულების შემთხვევაში, თუ ავადმყოფს აწუხებს ნერვის ანთება, რადიკულიტი, იშიაზი, გულის სხვადასხვა დაავადებები და ჰიპერტონია (მაღალი წნევა), საერთო სისუსტე, სიცივის ალერგია, უხალისობა, გასტრიტი, ქოლეცისტიტი, ცისტიტი, უნებლიე შარდვა, უძილობა, მიოზიტი, ხელ-ფეხზე სიცივის შეგრძნება და ა.შ. მკურნალობა პირველი დღიდან ეფექტური და გარანტირებულია, რაც იძლევა განკურნების იმედს. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: მ. „ვარკეთილი", III მას. კალოუბნის ქ. №16 I სართ. სამკურნალო კაბინეტი (აფთიაქის გვერდით) ნორა გოგოლაძე-კბილაშვილი. ტ: 73-11-70. საბურთალოზე 39-17-71 თინიკო

საერთაშორისო ხარისხის ექიმი — ბიოენერგოთერაპევტი, საიდენტიფიკაციო №109458963, ვმკურნალობ მორჩენის სრული გარანტიით, სხვადასხვა მეთოდით. პირველ სეანსზევე თქვენ იგრძნობთ შვებას. უმოკლეს დროში ვკურნავ: კეთილთვისებიან სიმსივნეებს (მასტოპათიას, კისტას), პოტენციის დაქვეითებას, ყოველგვარ ანთებით პროცესებს, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, სასუნთქ ორგანოებს, ღვიძლს, გულს, ელენთას, დიაბეტს, პროსტატიტს, ადენომას, თირკმლებს, ნაღვლის ბუშტს, პანკრეასს, დამბლას, უნებლიე შარდვას, ტროფიკულ წყლულს, ჰაიმორიტს, შიშს. მის: მ. „ახმეტელი," გლდანის მასივი, ა მ/რ 48-ე კორპ. ბინა 2. ტ: 62-94-10, დასვენების დღე-კვირა, დოდო კობერიძე

ჯანმრთელობის გაუმჯობესება, წონის და ფიგურის კორექცია, ბალანსირებული დამატებითი საკვები პროდუქტით. შედეგი გარანტირებულია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 33-36-09 (ყოველ დღე 19-22 სთ-მდე)

ორ თვეში დავიკელი 20 კილო. მოვიწესრიგე წნევა, ოსტეოქონდროზი, უძილობა. თქვენც შეგიძლიათ დახვეწოთ თქვენი გარეგნობა და გაიუმჯობესოთ ჯანმრთელობა. კონსულტაცია უფასოა. დარეკეთ 17-21 სთ-მდე, ტელ: 96-66-49

გაქვთ ჭარბი წონის პრობლემა ან გაწუხებთ ფსორიაზი? კონსულტაციისათვის დაგვიკავშირდით ტელ: 96-13-03, ნებისმიერ დროს, 95-93-73, 21 სთ-მდე. ხათუნა

ვამზადებ კრუნჩხვების საწინააღმდეგო წამალს „საყმაწვილოს". ტელ: 67-44-03

ვმკურნალობ: 1) ლოცვითი სეანსებით: უძილობას, აგრესიულობას, კოშმარულ სიზმრებს, უიმედობას, დეპრესიას, თვითმკვლელობის სურვილს, აკვიატებებს, ჩაკეტილ მამაკაცობას და ბედს, გაუმართლებლობას, უხარისხობას, ჯადოს მოჭრას, შინაგან დაძაბულობას. ავადმყოფს, რომელსაც არ სურს მკურნალობა, მკურნალობს ფოტოსურათით. მის: მეტრო „ვარკეთილი", აეროდრომის დასახლება, მე-7 ქუჩა, 21ა (16-19 სთ). 2) ფუტკრის პროდუქტებით: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ეროზიებს, კოლიტს, ქოლეცისტიტს, ჰეპატიტს, ელენთას, ბუასილს, თირკმლებს, შარდის ბუშტს, პირის ღრუს, წვრილ ჭიას, სასქესო ასოს თავისა და ჩუჩის ანთებას, კონქოვანებს, დაღლილობას, დამწვრობას, წითელ ქარს და კანის სხვა დაავადებებს. ხალხური მკურნალი ნანა ქიბროწაშვილი, ლიცენზია №01/12-088. მის: რუსთაველის გამზირი №28, ოპერის პირდაპირ, მე-13 პოლიკლინიკა, ოთახი - 25 (11-15 სთ. გარდა შაბათ-კვირისა). კაბინეტზე წარწერაა: ხალხური მკურნალი, დერმატოლოგი

ვმკურნალობ ალკოჰოლიზმს დაჭკრვებული მეთოდით, დროის ფაქტორის კოდირებით. პროცედურები ტარდება ამბულატორიულად, ერთ დღეში. კონსულტაციას ვუტარებთ ნევროზით, ფსიქიკის აშლილობით შეპყრობილ პაციენტებს. მის: ვაჟა ფშაველას 27. რესპ. პოლიკლინიკა. ტელ: 39-15-79; 37-16-49 ბინა

„კანის დაავადებათა და კოსმეტოლოგიის სამკურნალო" გთავაზობთ: კანის, ფრჩხილების, თმის ცვენის მკურნალობას, უმტკივნეულო ეპილაციას, სახის წმენდას სხვადასხვა მეთოდით, მეჭეჭების, ცხიმგროვების, გაფართოებული კაპილარების, „წითელი ცხვირის" მკურნალობას, ყურის ბიბილოების გახვრეტას, სქოლიოზის, უძილობის, კუჭ-ნაწლავის, უნებლიე შარდვის მკურნალობას ჩინური მეთოდით. მიღება: 11-17 სთ-მდე, კვირის გარდა მის: მელიქიშვილის 39. ტელ: 22-79-40

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, ყოველგვარი შეშუპების, გაღიზიანების გარეშე და უმოკლეს ვადაში, 100%-იანი გაქრობის გარანტიით. ვისაც იმედი გაცრუებული გაქვთ, მერწმუნეთ, თქვენი სილამაზე გარანტირებულია. ვმუშაობ საკუთარი ელექტროენერგიით. მისამართი: გლდანის მასივი, მე-6 მ/რ, 26-ე კორპ. I სად. V სართ. ტელ: 67-50-49 მარიკა

ექიმი-ფიტოთერაპევტი მკურნალობს ხალხური მეთოდებით 1) ნერვის ანთებას, რადიკულიტს, სახსრების დაავადებას (ანთება, მარილები), ოსტეოქონდროზს, პოდაგრას, სქოლიოზს, სისხლძარღვების შევიწროებას, თავბრუს, თავის ტკივილებს, ტროფიკულ წყლულს, სოკოვანს, ჩირქოვან-შეუხორცებელ ჭრილობებს. შედეგები მაქსიმალურად გარანტირებულია!!! გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა!!! მის: ნევროლოგიის ინსტიტუტი (მ.„ღრმაღელე" მე-8 საავადმყოფოსთან). მიმღები განყოფილება. ფიტოთერაპიის კაბინეტი, მიღება 10-14 სთ-მდე. ტ: 61-52-84 -სამსახურის, 61-02-97, 39-32-97

ვმკურნალობთ კარგი შედეგით: სექსუალურ სისუსტეს, შარდსადინარის, სათესლე ჯირკვლების და პროსტატის ყველა სახის დაავადებებს, უნაყოფობას, უნებლიე შარდვას. მკურნალობისას ვიყენებთ ამერიკული წარმოების მაღალეფექტურ, მცენარეულ პრეპარატებს. მის: ვაჟა ფშაველას გამზირი №27, რესპუბლიკური საკონსულტაციო-სამკურნალო ცენტრი, II სართული, კაბინეტი №27. ტელ: 99-95-33, მერაბ მანჯგალაძე

გამოცდილი ბიოენერგოკორექტორი მკურნალობს წამლების გარეშე: ნევროზს, გულს, წნევას, თირკმლებს, სასუნთქ ორგანოებს, გლანდებს, ნაღვლის ბუშტს, დიაბეტს, რადიკულიტს, მენისკს, გასტრიტს, ქალურ დაავადებებს, ანთებით პროცესებს და სხვა. მის: საბურთალო (მეტრო „ღრმაღელე"), I კორპ. IV სადარბაზო, ბინა 48. ტელ: 61-17-82 ოთარ ზარდიაშვილი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, უმტკივნეულოდ, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით. ვწმენდ სახეს, ვამზადებ ნელსაცხებლებს მშრალი და ნორმალური კანისათვის. ვმკურნალობ სახეზე ნებისმიერ გამონაყარს. მის: ქინძმარაულის შესახვევი. კორპ №4, ბინა №10. (31-ე ქარხნის №5 რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან) ტელ: 71-95-77 (საღამოს) და 71-47-86. ციალა

მხოლოდ ქალებს! ვაკეთებ ჭარბი თმის მოცილებას ბალახეული ნაწარმით, სხეულის ნებისმიერ ადგილზე, მორჩენის სრული გარანტიით. ერთი თვის შემდეგ ამოდის თმის 1/3. თქვენი სილამაზე გარანტირებულია. მერწმუნეთ, იმედს ნუ გაიცრუებთ. მის: ალმაშენებლის 115 (მილიციის უკან) ტრენაჟორების გვერდით. კაბინეტი №1 თამრიკო მაისურაძე. ტ: 61-54-27. 61-28-21

გსურთ იყოთ ჯანმრთელი და გქონდეთ მზარდი შემოსავალი? ტელ: 61-76-68 (10-13 სთ-მდე), 78-61-53 (20-23 სთ-მდე). გურამი, თენგიზი

პრტენზიულ ქალებს! მცენარეული ნაყენით ჭარბი თმის მოცილება, შექმნილი რესპუბლიკური პრემიის ლაურეატის, ფიტოთერაპევტ, დოცენტ ვიტალი ხინტკირიას მიერ, თვენახევრის შემდეგ ამოდის თმის 1/3. მის: ალმაშენებლის გამზ. № 115 (პოლიციის ეზოში), კაბინეტი №12. მიღება 12-18 სთ-მდე. კვირის გარდა.

ქრონიკული პროსტატიტის (ბაქტერიული, ქლამიდიური, ტრიქომონული) მკურნალობა ანტიბაქტერიული, ფერმენტული და იმუნოკორექციული მეთოდით, ლაზერის, ულტრაბგერის, ელექტროსტიმულაციის - ინტერფონის გამოყენებით ატარებს პროფ. რ. სალაყაია. მისამართი: მარჯანიშვილის ქუჩა №23 (მეტროსთან) VI სადარბაზო (ეზოდან), ბინა 1. მიღება 16-20 სთ-მდე, შაბათს 11-16 სთ-მდე. ტელ: 35-20-06

ნათელმხილველი და ექსტრასენსი დაგისვამთ ზუსტ დიაგნოზს, გიწინასწარმეტყველებთ მომავალს, გადაგიწყვეტთ ბევრ პრობლემას. ტელ: 33-04-64 ია

მკითხაობა ყავაზე, ბანქოზე, ტაროზე, თვალისა და ჯადოს მოხსნა. ტელ: 33-04-64 ია

ვმკურნალობ შაკიკს. ტელ: 39-49-56 (12-15 სთ). ენვერ რამიშვილი

Я похудела на 21 кг за 1 месяц! Помогу похудеть-поправиться, решить проблемы здоровья. Французская косметика вернёт молодость. Результат гарантирован. Тел: 61-75-81. Мзия

## ვასწავლი, ვამზადებ

ნებისმიერი ასაკის მსურველს, საფუძვლიანად შევასწავლი ინგლისურ ენას, სწავლებაში შედის: სასაუბრო ინგლისური, გრამატიკა, ამერიკული და ინგლისური ლიტერატურის ნიმუშების მიხედვით ენის დახვეწა. ტელ: 29-11-06 ლიკა

უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი, პიანისტი-კონცერტმეისტერი ვმეცადინებ ბინაზე, მუსიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, მაღალპროფესიულ დონეზე შეისწავლიან თანამედროვე საესტრადო სიმღერებს (ქართული, უცხოური), ფორტეპიანოზე დაკვრით და სიმღერით მუზიცირების ხერხებს. რეპერტუარი შედგება მათი სურვილის გათვალისწინებით. ტელ: 74-11-93 დილას

სასურველია ბავშვის საფუძვლიანი ინტელექტუალური განვითარება დაიწყოთ 3-4 წლიდან. პროგრამა ითვალისწინებს ცოდნის დაგროვებას, მაქსიმალურ შეთვისებას, გამოყენებას და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ერთი თვის პროგრამა ჯდება 10 ლარი. პროგრამის გაცნობა უფასოა. ტელეფონი 68-50-35 მანანა

გარკვეული გარანტიით, სწრაფი კურსით ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. პროგრამაში შედის: გრამატიკული ტესტები, თარგმანი — ლექსიკის გასამდიდრებლად, თავისუფალი თემები. ტელ: 38-31-51 მერი

მოვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკასა და ფიზიკაში, შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. ტელ: 61-53-00 ან 68-54-95. ფასი 20-25 ლარი

ვასწავლი ინგლისურს (კითხვა, თარგმნა, საუბარი, გრამატიკა). ვმეცადინებ ყველა ასაკის მსურველს. ფასი შეთანხმებით. მის: ვაჟა ფშაველას III კვ. კორპ №18, III სადარბაზო, II სართ. ბინა 29 (ვაჟას ძეგლთან) ტელ: 31-33-27, 32-33-71, 32-81-58 ნუნუ

ამერიკაში სტაჟირებული სპეციალისტი-დოცენტი, ასწავლის ინგლისურ ენას ინდივიდუალურად (ქართულად და რუსულად), მოწაფეთა მიზნების გათვალისწინებით. მეტრო „მარჯანიშვილთან". ტელ: 95-32-12

მოვამზადებ შეღავათიან ფასად ინგლისურში, რუსულსა და მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს, აგრეთვე IX კლასის ბავშვს, ნებისმიერ სასკოლო საგანში. ტ: 98-22-94 ია, 96-14-91 ეკა.

ვასწავლი 6-სიმიან გიტარაზე დაკვრას. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-58-17 თუმანიშვილი გოგი

მეფუტკრეობის სახალხო უნივერსიტეტში დაიწყო განცხადებების მიღება, ასაკის მიუხედავად. სწავლა ერთწლიანია, კვირაში ერთხელ, დღის მეორე ნახევარში. კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომებს. სწავლა უფასოა. საჭიროა უნივერსიტეტის საზოგადოებაში გაწევრიანება. მის: თამარაშვილის ქ. №15ა II სართული, ვაკე-საბურთალოს გზა. იპოდრომის გვერდზე. რექტორატი

ვასწავლი გერმანულ ენას სკოლის მოსწავლეებს. ტელ: 34-72-38. ჯული

ვამზადებ ქართულ და გერმანულ ენებში სკოლის მოსწავლეებს, შეღავათიან ფასად (15 ლარი). ტელ: 68-60-42. მაკა

მოვამზადებ ბავშვებს მათემატიკაში. ტ: 23-34-48

## იყიდება

პრივატიზებული და კეთილმოწყობილი ობიექტი „კავკასიონი", ფართით 100კვმ. მის: გოგოლის ქ. №2. ტელ: 96-35-72

ქირავდება ოფისად, მაღაზიად, აფთიაქად, საწყობად ან სხვა დანიშნულებისათვის გამოსაყენებელი 40კვმ ფართი, 3-სართულიანი შენობის 1 სართულზე და 100კვმ სარდაფი. ტელ: 96-94-08; 96-97-32 (11-16 სთ)

ქირავდება ოფისად ან სხვა დანიშნულებისთვის გამოსაყენებელი 150კვმ ფართი იოსებიძის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის I სართულზე. ტელ: 96-94-08; 96-97-32 (11-16 სთ)

1) ექოსკოპიის აპარატს SONOSKOP -ს B და M რეჟიმზე მომუშავე. 3,5 მეჰ-ის კონვექსით. ფასი შეთანხმებით; 2) სრულიად ახალ საკერავ მანქანას SINGER ასრულებს 37 ოპერაციას. ფასი შეთანხმებით. ტელ: 52-72-28; 96-13-17 (20 სთ-დან). ნანა

არამუშამდგომარეობაში, ავტობუსი „კავზ 685", ავტომტვირთავი „ტო-30", ავტომანქანა „ერაზ 762". კონკურსი ჩატარდება 18 დეკემბერს. მის: ქ. თბილისი, წერეთლის 140. ს.ს. „მაული". ტელ: 34-34-50

1) რუმინული, წითელი ხის კედელი სამეულით. ფასი 2500$, 2) ჩეხური ჭაღები. ფასი 120$ და 300$. 3) გერმანული ჩაის სერვიზი „კარალევსკი" 6 კაცზე. ფასი 250$. 4) ხალიჩები. ფასი 120$. 5) შავი ფერის კრაველის ქურქი, 46-48 ზომა. ფასი 500 ლარი. 6) საყინულე „მინსკი-118". ფასი 450$. 7) გერმანული სასადილო „მონიკა" — სერვანდი, გორკა, დესაო. ფასი 300$. ტელ: 53-51-07 მარინა

ახალი, რუმინული სასადილო „რენესანსი". ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-25-92 მანანა

რუმინული წარმოების კედელი „ტანია", მასიური ხის რუმინული წარმოების სასადილო „მაგნოლია", 2 მაცივარი „ზილ-მოსკვა" — უხმარი, სარეცხი მანქანა, ლანოლინი. ტელ: 72-06-14 ნანა

1) ფინური სამზარეულო „კაბიუსი"; 2) რუმინული სასადილო „მონა". 3) იტალიური წარმოების ორადგილიანი გასაშლელი დივანი. 4) სამეული (იმპორტული). ტელ: 96-03-27 ნანა

ყავისფერი, მოსკოვის წარმოების საწერი მაგიდა, 4 ტუმბოთი და 1 თაროთი, ძალიან კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-55-45

XVIII საუკუნის ანტიკვარული კედლის საათი მუშა მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 61-27-24

ავჭალის კარკასულ-პანელოვან რკინა-ბეტონის ქარხანაში დამზადებული 8 ცალი სიმკარი, ზომით 6X1,2მ. ფასი 86$ ტელ: 23-07-65

1) Библиотека приключений и фантастики, 29 книг _ 50 лари. 2) Русская художественная литература, 1 книга _ 1 лари (50 штук). 3) В. Гюго „Отверженные" 2 т. Цена 10 лари. 4) Дж. Стейнбек 8 книг _ 15 лари. Тел: 23-07-65

6კვმ კონტეინერი, შიგნით მოთავსებული 3-ტონიანი აუზით საწვავისთვის. ტელ: 52-57-98 ზურა

ახალი, 20-ტონიანი, მოქმედი კონტეინერი, ელიავას ბაზრობის სასურსათო უბნის I რიგში. ფასი 1500$. ტელ: 93-11-03 (18 სთ შემდეგ)

რუსეთის წარმოების ახალი, 4-კამფორიანი, პერლუმელიანი ელექტროქურა „ელექტრა 1001". ფასი 200 ლარი. ტელ: 32-80-77; 35-20-96 ალეკო

1) გერმანიიდან ჩამოტანილი მამაკაცის ტყავის ქურთუკი, ზომა — 52. ფასი 450$. 2) მამაკაცის ტყავის ჟილეტი, ზომა 52. ფასი 320$. 3) ქალის პიჯაკი, ზომა 52. ფასი 200$. ყველაფერი ახალია. ტელ: 22-53-19

იაფად! მაკარონისა და ვერმიშელის დასამზადებელი, რუსეთ-იტალიის წარმოების დანადგარი. ფასი 2700 ლარი. ჩამოტანა რუსეთიდან, შეკვეთის მიღებიდან 10 დღეში. მის: თბილისი, ქვემო ფონიჭალა, რუსთავის გზატკეცილი 257, III სად. ბინა 60 ტელ: 72-32-93 გია

2 ცალი საქსოვი მანქანა „ტოიოტა". ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-26-70

იაფად! 1) ესპანეთში სამოგზაურო 1-კვირიანი საგზური; 2) კლასიკური სტილის, მამაკაცის ტყავის ლაბადა. ტელ: 23-42-99 ვახტანგი, ელზა

ყურადღება! 100%-იანი ზვიგენის ხრტილი, სიმსივნური პროცესების სამკურნალო და პროფილაქტიკური უახლესი საშუალება ამერიკიდან. ტ: 38-81-95 დოდო

1) 3-სექციანი, ორი საკონდიტრო ღუმელი, თუჯის ფურცლებით, პასკის ფორმებით, ცომსაზელით (140ლ), 2 დეჟით; 2) 400მ ალუმინის კაბელი 55[illegible] კვეთით; 3) 2 ცალი „რუბილნიკი", 400 ამპ[illegible]. ფასი შეთანხმებით. ტ: 95-72-39; 39-51-15; 33-02-[illegible]

მოკლე, ულტრამოკლე, FM და TV სადგურები, მი[illegible]ატს-ები, ვიდეოთვალთვალის, სახანძრო, დამცავი, ინფორმაციის გაჟონვისაგან დაცვის, მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის სისტემები. ტელ: 92-21-48; 98-30-29

გთავაზობთ შესანიშნავ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, რომელიც იძლევა შესანიშნავ შედეგებს წონის დაკლების, წონის მომატების და ორგანიზმის განწმენდისა შლაკებისაგან, მავნე ნივთიერებისაგან. აგრეთვე კანისა და თმის მოვლის საშუალებას. ტელ: 71-32-39 გია

## მოსაგონარი

### ჯუმბერ შარაშიძის მონატრება!



ოთხთვენახევარი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ. 28 ივნისს სანთელივით ჩაქრა შენი სიცოცხლე. 18 ნოემბერს 63 წელი უნდა მოგვლოცა შენთვის. ბევრი კარგი მოსაგონარი დაგვიტოვე, მასთან ერთად უკურნებელი ტკივილი, ცრემლი და მწუხარება, გვაკლიხარ, ძალიან გვიჭირს უშენობა. შენ სახელს დავიწყება არ უწერია. 62 წელი ვაჟკაცური კაცის სახელით იცხოვრე ამქვეყნად, წახვედი პირნათელი და უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი, ლილი და დათო*

### ირაკლი ამირეჯიბის მოგონება



17 ნოემბერს ხუთი წელი შესრულდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, როცა გადამთიელი სნაიპერი ქალის ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა აფხაზეთის ომის გმირს, ირაკლი ამირეჯიბს.

ხუთი წელია, რაც ირაკლი წავიდა ჩვენგან, წავიდა და დაგვიტოვა სითბო, სიყვარული, ნაღველი... იბრძოდა ის, რომ მტრის პატივისცემაც დაიმსახურა. მისი დაღუპვა ერთნაირად დაიტირა აფხაზეთის ქართულმა და აფხაზურმა მოსახლეობამ.

ხუთი წელია ველით იმ გაზაფხულს, როცა ირაკლის დაღუპვის ადგილას, მის საყვარელ შროშანებს მივიტანთ. ვიცით და გვჯერა, რომ ეს დღეც მალე მოვა.

*მეგობრები*

გარდაიცვალა ყველა ნაცნობისთვის საყვარელი ადამიანი, **ვახტანგ გოგოლიშვილი.**



მოაკლდა მეუღლეს მოსიყვარულე ქმარი, შვილებს და შვილიშვილებს მზრუნველი მამა და ბაბუა, ნათესავებსა და მეგობრებს ალალი, უტყუარი და ერთგული კაცი.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი ზეციურ საქართველოში და მსუბუქი იყოს შენთვის ლიხაურის მიწა, ჩვენო საყვარელო ძმაო.

*ნელი და გურამი*

### ბადრი კუჭავას ხსოვნას!



17 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, საყვარელო მამიკო, 40 წლის გახდებოდი. ამ დღეს ყველანი ბედნიერები ვიყავით, დღეს კი თვალცრემლიანი ვხვდებით, პირველად უშენოდ. ჩვენს ოჯახში ნაადრევად ჩამოჰკრა გლოვის ზარმა, ულმობელმა სიკვდილმა წამართვა შენი თავი, მამა, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა, წამართვა შენი სითბო და ალერსი. ვაი, რომ შუა გზაზე შემომილამდა, დამტოვა ასე უიმედოდ, შენ ხომ ჩემს ბედნიერებაზე ოცნებობდი. რამდენი სურვილი დაგრჩა განუხორციელებელი. მიმძიმს, ვუყურო ბებიას და დედას, შვილის და მეუღლის დამკარგავთ, რა ვუყო ამ პატარა გულს, ასე ნაადრევად რომ მატკინე. მამიკო, გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, მე კი 17 ნოემბერს შენს სურათს ხატივით ჩავიკრავ გულში და ვილოცებ შენზე. მამიკო, ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ, ეგებ დამესიზმრო და მასწავლო, უშენობა როგორ გადავიტანო. მიყვარხარ, არასოდეს დამავიწყდები. მშვიდობით.

*დათა კუჭავა*

### ნიკუშა გურეშიძეს!



ნიკუშა, 16 ნოემბერს ორმოცი დღე სრულდება სამუდამოდ სასუფეველში შენი გადასვლიდან, ჩვენ კი, ახლობლებს გვგონია, ეს ყველაფერი სიზმარში იყო — გამოგვეღვიძება და ისევ შორს იქნები. ძალიან ძნელია გამოხატო ის ტკივილი, რაც შენს უბედურ დედ-მამას, მეუღლეს, შენს პატარა საოცნებო შვილს, გიორგის და შენს დებს მიაყ[illegible]ენე. გქონდა პატარა, ლამაზი მყუდრო ოჯახი, მაგრამ შენმა ტრაგიკულმა სიკვდილმა ყვე[illegible]ზარი დაგვეცა, 27 წელიწადი შენთვის საბედ[illegible]რო გახდა, ჩვენო ნიკუშ, სადაც კი გისწა[illegible] 61-ე სკოლაში თუ ტექნიკურ უნივერსიტ[illegible] ყველგან წარჩინებული და გამორჩეული [illegible] გული არ დაგწყდეს, ყველას ძალიან უყვარებიხ[illegible] არ, შენ ერთგულებისა და სიყვარულის დიდი ნიჭით იყავი დაჯილდოებული, ამიტომაც ყველას გვიყვარდი, გაფასებდით, ჩვენო ნიკუშ. შენს ხანმოკლე სიცოცხლეში იმდენი სასიკეთო, იმდენი სიყვარული და სითბო გქონდა გაკეთებული, სამუდამოდ გზას გაგინათებს სასუფეველში.

ნათელში იყოს შენი უკვდავი სული.

*შენი მშობლები, ცოლ-შვილი, დები*



## თარაზულად:

**5**



მსახიობი (ისტ. სამშობლო გორის რაიონის სოფ. კარბი)

**8**

სპეციალისტის რჩევა რაიმე საკითხის შესახებ

**12**

აშშ-ში: საწარმოს, დაწესებულების პატრონი, მესვეური

**13**

ვეებერთელა ბუმბერაზი, უზარმაზარი კაცი

**14**

იტალიური პროსოს ქართული სახელწოდება

**15**



კაპიტოლიუმი, კვირინალუსი, ვიმინალიუსი, ესკულინუსი, კაელინუსი, ევენტინუსი, პალტინუსი. (ქალაქი)

**16**

პიროვნება, რომლის ძეგლიც დგას მცხეთის შესასვლელში

**17**

ფარული კენჭისყრის დროს ბიულეტენების ჩასაყრელი სპეც. ყუთი

**18**




**20**

ისტერიის შეტევა

**22**

დაფაზე საწერი კირქვა

**26**



მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ

**27**




**31**

91,44სმ (ერთეული)

**32**

საეკლესიო წესების კრებული

**35**

მოძრავი ქონების დაგირავებით სესხის მომცემი საკრედიტო დაწესებულება

**37**



ონტარიოს პროვინციის დედაქალაქი

**38**



საერთო წარმოშობის მქონე ადამიანთა ისტ. ჩამოყალიბ. ჯგუფი

**40**

აზიაში: ბარგის წამლები; შავი მუშა

**41**

ინგლ. ენოვან ქვეყნებში: განსახილველად შესატანი კანონპროექტისა და ზოგ. კონსტ. აქტის სახელწოდება

**42**

რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც დიდ ზომას ან დიდ რაოდენობას მიანიშნებს

**43**

ელექტრონნაკლული ან მისი ჭარბი რაოდენობის მქონე ატომი



**44**



**45**



თანდაყოლილი ჭკუასუსტობა

**46**

მეტისმეტი გაავება, გაავთრება, ბობოქრობა

## შვეულად:

**1**



სპორტის სახეობა, რომლის სახელწოდებაც შედგება ინგლისური სიტყვებისაგან: „გართობა“ და „ფიცარი“

**2**



(სახელმწიფო)

**3**



ძველებური იშვიათი ნივთებით მოვაჭრე

**4**




აფრიკის უმაღლესი მწვერვალი

**6**




კურორტი ავსტრიაში

**7**



(მგალობელი)

**9**

ძველებური ესპანური, იტალიური, მექსიკური, არგენტინული და ბოლივიის ოქროს, ხოლო მაროკოს ვერცხლის მონეტა

**10**




რაიმე მოვლენის, ამბის ან პიროვნების განდიდება

**11**



ფაქიზად შესრულებული პატარა სურათი

**19**

განსაკუთრებული ნიჭი

**21**




ქიმიური ჭურჭელი

**22**




შეწოვა, შეკუმშვა, მუშასვლა, გამოშვება (მოქმედებათა ერთობლიობა)

**23**



(ცხოველი)

**24**

პირობითი ენა, რომელიც გასაგებია მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის

**25**

ანაბეჭდი ქაღალდზე, გადაღებული თვით მხატვრის მიერ გაკეთებული ფორმიდან

**28**



(ეროვნება)

**29**



თანაფარდობა ნაწილებს შორის

**30**



(მაამებლობა)

**33**

ელიზა დულიტლი, ჰენრი ჰიგინსი, მაიორი ......?

**34**

ადამიანი, რომელიც მიმართავს ფარულ, საძრახის ხრიკებს თავისი მიზნების მისაღწევად

**35**



მომღერალი, თავდაპირველად სიკტივკარის ფილარმონიის სოლისტი

**36**

ქვეით ჯარში — კაპიტანი, კავალერიასა და ჟანდარმერიაში — ?

**39**



სიყვარულის ღმერთი

**40**

მეფის ტიტული აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ
ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ

**„კვირის პალიტრა“№45 კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4.დირიჟაბლი; 7.ბარნოვი; 8.სტუმარი; 9.ეჟი; 14.რადიოლა; 17.აბეზარი; 18.ალიანსი; 20.გნუ; 21.თალასოთერაპია; 22.ატა; 25.არტისტი; 26.ორატორი; 27.აბაზანა; 30.ძია; 32.ონდატრა; 33.გორჟეტი; 34.ალტიმეტრი.

შვეულად: 1.რიურაჟი; 2.ციყვი; 3.ელიტა; 5.იახშიოლ; 6.ტრუიზმი; 10.საგანძური; 11.ალებასტრი; 12.„თბილისობა“; 13.ტრიატლონი; 15.რიპოსტი; 16.ინდექსი; 18.პუმა; 19იფანი; 23.ბეტმენი; 24.ბაზალტი; 28.სიმამრი; 29.ტრელი; 31.კოპრა.

გვიან ღამით მორგის ულიმღამო, პირქუში შენობის წინ შავი ლიმუზინი გაჩერდა. მანქანიდან ელეგანტურად ჩაცმული, ზორბა, ხნიერი მამაკაცი გადმოვიდა და დინჯად აუყვა კიბეს. კარი გაიღო და ზღურბლზე ფერმკრთალი კაცი გამოჩნდა. ეს მორგის თანამშრომელი, პროზექტორი ქელბრი იყო.

— გამარჯობათ, ბატონო თომსონ, — ხრინწიანი ხმით წარმოსთქვა.

— მობრძანდით, გელოდებით.

თომსონმა თავი უხმოდ დაუქნია. წინ გავიდა და სავარძელთან შედგა.

— აბა, მითხარი, ქელბრი, რა პრობლემები გაგიჩნდა, რა გაწუხებს?

თომსონი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში და ყურადღებით მიაჩერდა მასპინძელს.

— არა, რა პრობლემები შეიძლება მქონ-დეს... ისეთი, განსაკუთრებული არაფერი ხდება... — პროზექტორმა თავი მდაბლად დაუკრა, — მგონი, ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც თქვენს საქმეშია ჩახედული, არა?

თომსონს მსუქან სახეზე ძარღვი არ შეტოკებია, გამოცარიელებულ მაცივარს გახედა.

— იმის თქმა მინდოდა, რომ ჩემი იდეა — ორი გვამი ერთ საფლავში, ფული ღირს. პოლიცია მიცვალებულთა გვამებს ხევებში ეძებს, მდინარეში, ღობეებს მიღმა... თქვენი მსხვერპლნი კი მშვიდად განისვენებენ საფლავებში და... არავითარი რისკი! მართალს ვამბობ, არა? — ქელბრიმ უშნოდ ჩაიქირქილა.

— მერე, ამის სათქმელად დამიბარე?

— არა... — შეიშმუშნა პროზექტორი.

— მაშ, რატომ ბოლომდე არ ამბობ სათქმელს...

— მე... მე არ მაწყობს ის თანხა, რასაც მიხდით.

თომსონმა თავი ასწია.

— რა? ყოველი საფლავის გათხრაში ზუსტად ათას დოლარს გიხდით...

— დიახ, მართალია, მაგრამ მე რომ სხვას ვუყოფ ამ ფულს?

— უყოფ, ვის, ვის უყოფ? — იღრიალა მოულოდნელად თომსონმა და თვალებში ჩააშტერდა ქელბრის.

— ჩვენი სასაფლაოს მესაფლავეს, გოლდუინს, მითხრა, ვიცი, ვისაც მარხავთ ღამღამობით ამ საფლავებშიო.

თომსონმა დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა, მერე ღრმად ამოიოხრა.

— ათას ხუთასი გეყოფათ?

— არა, — შეიშმუშნა ქელბრი, — არ გვეყოფა...

თომსონი ჩაფიქრდა — თუ ქელბრი და გოლდუინი შანტაჟს მიწყობენ, ამით არ დაკმაყოფილდებიან, კიდევ მრავალგზის შეეცდებიან ფული გამომძალონ. უმჯობესია, ახლავე მოვუღო ამას ბოლო. ამ მიგდებულ სასაფლაოზე დიდი ხანია, ახალი სამარე არ გათხრილა. ნათესავებიც აღარ აკითხავენ თავიანთი მიცვალებულების საფლავებს. მორგიც მუდამ ცარიელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ სასაფლაოს მესაფლავეებიც არ სჭირდება და არ ჰყავს. გამოდის, რომ ქელბრი თავის თავს უწევს მაზანდას.

— ორი ათასი! — მისტერ თომსონის ხმას სიმკაცრე გაერია.

— ცოტაა! — ქელბრიმ ნერწყვი გადაყლაპა, — გამიგეთ... ამას წინათ, ტელეფონით დამირეკეს. ფულს მთხოვდნენ. ხმაზე ვერ ვიცანი, ვინ უნდა ყოფილიყო, ვიფიქრე, თქვენი ბიჭები მამოწმებენ-მეთქი. მაგრამ... ზარი განმეორდა, იმ კაცმა თავისი გვარი არ დამალა.

— მერედა, ვინ იყო ის კაცი?

ქელბრიმ ჩაახველა.

— სემ ბლეინი, — ყრუდ წარმოსთქვა.

თომსონი ზამბარასავით წამოხტა სავარძლიდან.

— ჩვენი პროკურორი? — თვალები მოწკურა, — მეხუმრები, ქელბრი, — თომსონს ყბა აუკანკალდა, — რაო, მერე, რა გითხრა?

— ფული მომთხოვა.

— რამდენი, რამდენი-მეთქი, დაგწყევლოს ღმერთმა! — თომსონს თვალები ჩაუსისხლიანდა.

— ორმოცდაათი ათასი...




— შეხედე ამ ულვაშა გარეწარს... ვერ დაიცხრო მადა... — თომსონი კბილებს ალრჭიალებდა, მერე ისევ ქელბრის მიუბრუნდა, — რა უპასუხე?

— ვუთხარი, მე ამდენი ფული სადა მაქვს-მეთქი. გარდა ამისა, თავისთან მიმიწვია.

თომსონმა მკვეთრი მოძრაობით დააძრო დანა და ყელზე მიადო საძულველ პროზექტორს, — ცრუობ, ქელბრი. ბლეინი ტელეფონით არამც და არამც არ დაიწყებდა ფულზე ლაპარაკს.

— ჰო, მაგრამ მან თავისთან დამიბარა...

— მერე, რაზე გესაუბრა?

— მითხრა, როგორ შეიძლება, ფულს რომ არ გვიყოფო, — ქელბრი თრთოდა. ყელთან მიტანილი დანა და მსხვილი ბანჯგვლიანი მუშტი მეტად აკრთობდა.

— სიმართლე მითხარი, ქელბრი! არადა, თქვენ თვითონ აღმოჩნდებით ამაღამ სამარეში.

ქელბრი აქოშინდა, შუბლი დაეცვარა, დანის ბასრმა წვერმა კანი გაუკაწრა.

— ხმა ამოიღე! — ღრიალებდა თომსონი.

— მე მას საგარანტიო წერილი დავუტოვე...

— აჰა, აი, რაში ყოფილა საქმე, მაშ, თავი დაიზღვიე, არა? თვითონ გადაწყვეტდი მასთან მისვლას... რაო, რა წერია იმ წერილში?

— მისტერ ბლეინს ვთხოვე, წერილი ჩემი უეცარი სიკვდილის შემთხვევაში გახსენით-მეთქი... ხომ უნდა მეზრუნა ჩემს თავზეც?

თომსონმა დანა დაკეცა.

— გამოდის, რომ თუ მიგასიკვდილებ, ბლეინი გახსნის შენს კონვერტს... წერილში კი სასაფლაოს გეგმა და ჩვენი საფლავები გაქვს მითითებული, არა? მიგიხვდი თუ არა?

— დიახ, — ძლივს აღმოხდა ქელბრის, თავი ჩაქინდრა.

— კი მაგრამ, ბლეინი ხომ პროკურორია, თანაც ცნობისმოყვარე — ადრევე რომ გახსნას ის შენი წერილი, ამაზე არ გიფიქრია, არა?

— დიახ, ეს ვერ გავითვალისწინე. იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი... ჩემი დღეები, ვგონებ, დათვლილია.

— მორჩი წუწუნს, საქმეზე ვილაპარაკოთ! სამ ათასს გთავაზობ. გაწყობს ეს თანხა?

— დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ ბლეინს რა ვუყო?

— ბლეინი ნუ განაღვლებს. სამ დღეში ფულს მიიღებ, — თომსონი შეტრიალდა და დაუმშვიდობებლად გავიდა მორგის შენობიდან.

სამი დღის შემდეგ თომსონის ბიჭებმა დაურეკეს, უთხრეს, როგორც ყოველთვის, ამაღამ, ღამის სამ საათზე მოვალთ და ერთ დიდებულ გვამს მოგიყვანთო.

ღამე მთვარიანი იყო. მორგის ჩაბნელებულ შენობასთან კვლავ გამოჩნდა შავი ლიმუზინი. ქელბრი უკვე მზად იყო „კლიენტის“ შესახვედრად, ურიკა გაემზადებინა. მანქანიდან ბიჭები გადმოხტნენ და მძიმე ტომარა გადმოათრიეს, ცხედარი ურიკაზე დადეს და იმ წამსვე მანქანიდან მისტერ თომსონიც გადმოვიდა.

— მეც წამოგყვებით, საფლავს დავხედავ.... — თქვა მან.

რამდენიმე მეტრი დაუბრებულებივით განვლეს.

— არ გინდა დახედო შენს კლიენტს? — წამოიძახა უცებ თომსონმა.

— არა... არ მინდა! — იუარა ქელბრიმ.

მაგრამ ერთ-ერთმა თანმხლებმა დანით გაარღვია ტომარა და მთვარის შუქზე ულვაშიანი მამაკაცის გვამი გამოჩნდა.

— მისტერ ბლეინი! — იყვირა ქელბრიმ.

— დიახ, მისტერ ბლეინია. იცანი შენი გამომძალველი? უნდა გითხრა, ფიცით თავი მოიკლა, ქელბრი არასდროს გამომიძახებიაო. თვითონ დაგირეკავს მისთვის და წერილი გადაგიცია. სამწუხაროდ, ბატონი პროკურორი ძალზე საშიში მოწმე შეიქნა და ამიტომაც გავასაღეთ. ეს გვამი შენს სინდისზეა, ქელბრი და დაიხსომე, ჩვენს მოტყუებას ვერასდროს შესძლებ.

თომსონმა ქელბრის ცხვირწინ კონვერტი აუთამაშა.

— ეს კონვერტი ბლეინთან ვიპოვეთ. როგორც ხედავთ, ჩემთან შანტაჟი არ გამოვა. — თომსონმა ხელით ანიშნა ბიჭებს, ურიკასთან მიათრიეთ მესაფლავეო, — ახლა იმ საფლავთან მიგაბრძანებთ და ერთად დაგმარხავთ. შენი საბოლოო სიტყვა რა იქნება?

— წაიკითხეთ ჩემი წერილი? — აბლუყუნდა ქელბრი, — ჩემი საბოლოო სიტყვა იქ წერია.

თომსონის ნიშანზე, ბიჭებმა რევოლვერი მოიმარჯვეს და ქელბრის ზურგში ატაკეს. ორიოდე ტყვია და... ყველაფერს წერტილი დაესმება.

თომსონმა ერთი დაიქსუტუნა და კონვერტს დააჩერდა. რაღაც არ მოეწონა ქელბრის ნათქვამში, კონვერტი გახია და მთვარის შუქზე ამოიკითხა: „ასლი. ამ წერილის ორიგინალი მოსამართლე სმითთან ინახება. პატივცემულო მისტერ ბლეინ, მე, პროზექტორი ქელბრი, დიდი ხანია, რაც ვთანამშრომლობ თქვენთვის კარგად ცნობილ თომსონთან. ჩვენ მიტოვებული სასაფლაოს ძველ სამარეებში ვმარხავთ თომსონის ბანდის მიერ დახოცილ ადამიანებს. ვიცი, თომსონს მოწმეები არ უყვარს. მეც, ალბათ, მალე მომკლავენ, მაგრამ აღარაფრის მეშინია, სუსტი გული მაქვს და ექიმებმა მსჯავრი გამომიტანეს. მაგრამ თუ მოულოდნელად მოვკვდი, იცოდეთ, მისტერ თომსონის მსხვერპლი ვიქნები. ამ წერილში სასაფლაოს გეგმაცაა დახატული. აქვეა მითითებული ყველა სამარე, სადაც ორ-ორი მიცვალებული განისვენებს. ერთში, შესაძლოა, ჩემი გვამიც აღმოაჩინოთ, ქელბრი“.

გამძვინვარებულმა თომსონმა ურიკას ხელი დაჰკრა.

— ამ ნაძირალამ ყველას გვაჯობა ჭკუით. თავი დაიზღვია, წერილი მოსამართლე სმითსაც გაუგზავნა. ახლა თუ მოვკლავთ ქელბრის, მოსამართლე მის წერილს გახსნის და... შეჩერდით! — დაიყვირა მან და სამარისკენ გაიქცა. ბიჭებს უკვე ჩაემარხათ პროკურორის გვამი, — ქელბრი სად არის?

— ურიკაზეა, — მშვიდად მიუგო ერთ-ერთმა.

— მოკალით?

— არა, მაგრამ გრძნობაზე არ არის.

მძღოლი დაიხარა და უძრავად დაგდებულ ქელბრის დააკვირდა.

— მგონი, დავიგვიანეთ, — თქვა მან ბოლოს, — აღარ სუნთქავს, ბოს! მოკვდა. ეტყობა, გული გაუსკდა...

S G S

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიცირებული ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების სრული გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან, დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის, „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

*ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 5 (ყოფილი „ლენკომბინატი“, მე-2 სართ. კაბინეტი 17-18-19. ტელ: 29-34-39 მიღება 10-19 სთ-მდე.*

"ფაზისი"

ბინების ყიდვა-გაყიდვა, შეფასება, სწრაფი გაფორმება

მის: კოსტავას ქ. №17 (ვერის ბაზართან)
98-77-96 (დღისით)
32-33-99 (საღამოს)
პეიჯერი 7924, მამუკა

30-21-70: 30-36-99 შ.პ.ს. „ჩიხურა“
877-404-279: 877-407-520

ლითონის ნაკეთობათა საამქრო

შპს «ფორმატი»

ქაღალდის სავაჭრო ცენტრი

საშემოდგომო ფასდაკლება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ქსეროქსის, DATA COPY | /შვედ/, | A4X500ფ. 80 გრ | 5,50 ლ |
| 2. ქსეროქსის, FOR COPY | /გერ/ | A4X500ფ. 75 გრ | 4,90 ლ |
| 3. ქსეროქსის, NOPA FIX | /გერ/ | A4X500ფ. 80 გრ | 6,90 ლ |
| 4. ქსეროქსის, FOR COPY | /გერ/ | A3X500ფ. 75 გრ | 11,0 ლ |
| 5. საწერი საბეჭდი, უმაღ. ხარ. | /გერ/ | A4X200ფ. 80 გრ | 2,60 ლ |
| 6. საწერი საბეჭდი, I ხარისხის | /გერ/ | A4X200ფ. 75 გრ | 2,20 ლ |
| 7. საწერი საბეჭდი, II ხარისხის | /რუს/ | A4X200ფ. 50 გრ | 1,30 ლ |
| 8. კომპიუტერი პერფორ. (АЦПУ): სიგ 24, 38, 42 სმ(1 კგ) | | | 4,30 ლ |
| 9. პრინტერის, ტელექსის რულონები, სიგანე 21 სმ. | | | 4,30 ლ |
| 10. ოფსეტი №1 (გერ) სიგანე 60,84 სმ - 60-70-80 გრ | | | 1800 ლ |
| 11. საგაზეთო (სიკტივკ) სიგ. 60,84 სმ - 48,8 გრ | | | 1150 ლ |

საყდე, საკოლოფე, ცარცის, ფაქსის ქაღალდი და საკანცელარიო საქონლის ფართო არჩევანი

საბითუმო დამკვეთთათვის ფასდაკლება 3-8%

ფასები შეიცავს დ.ღ.გ. 20%-ს 39-84-05 ვაჟა-ფშაველას პრ. №45
უნაღდო ანგარიშსწორება 38-91-64 მე-5 სართული, ოფისი 15
ადგილზე მიწოდება 8(77)40-65-05 (მ. „დელისი“, სოფშენი)

## ვინ გამოიგონა ფინანსური პირამიდები?

ცნობილია, რა ძლიერი დარტყმა განიცადა რუსეთის ქვეყნის მოსახლეობამ სხვადასხვა ფინანსური პირამიდებისგან. სპეციალისტები დაინტერესდნენ, მსოფლიოს რომელ კუთხეში იქნა აღმოჩენილი ხალხის ეს სატყუარა. გამოირკვა, რომ ფინანსური პირამიდა პირველად ოფიციალურად რეგისტრირებულ იქნა აშშ-ში, XX საუკუნის დასაწყისში. მისი ავტორი იყო იტალიელი ემიგრანტი კარლო პონზი, რომელმაც ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულეებს მილიონობით დოლარი წაგლიჯა. პონზის მიერ დამკვიდრებული ფინანსური მონსტრის მსხვერპლთა შორის მისი ოჯახის წევრებიც აღმოჩნდნენ...

***კომსომოლსკაია პრავდა №207***

## ბულგარულ სიგარეტს ბათუმში უშვებენ

ბათუმის თამბაქოს კომბინატმა დაიწყო ბულგარული სიგარეტების — „როდოპის", „ტუ-104"-ისა და „ოპალის" დამზადება. ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ აღნიშნულმა საწარმომ და ფირმა „ბოლგართამბაქომ" დადეს ხელშეკრულება. ბულგარელებს კომბინატში შემოაქვთ ნედლეული (სიგარეტის ქაღალდის გარდა), ბათუმელები კი აწვდიან მზა პროდუქციას. მის რეალიზაციას მხოლოდ ფირმა ეწევა.

— პარტნიორთა პირველი შეკვეთა 5 მილიონი კოლოფია და გათვალისწინებულია სამი თვის მუშაობისათვის, — თქვა კომბინატის დირექტორმა თამაზ ბოლქვაძემ. — იმაზე, თუ როგორ შევასრულებთ მას, დამოკიდებული იქნება კონტრაქტის გაგრძელება. მთლიანად კი ბულგარული სიგარეტების გამოშვებამ შესაძლებლობა მოგვცა, უზრუნველგვეყო მუშაკები შედარებით კარგად ანაზღაურებადი სამუშაოთი (80-85 ლარი თვეში).

***საქართველოს რესპუბლიკა №285***

## „აუქციონების კვირეული" ამ კვირაში იხსნება

ქვეყნიერების ყველა კუთხიდან ელის ჟენევა სტუმრებს ტრადიციულ საშემოდგომო „აუქციონების კვირეულზე". საიუველირო ხელოვნების დამფასებლებსა და მგზნებარე კოლექციონერებს გასაოცარი ნივთები ელით. ფირმებმა „ქრისტიმ", „სოთბიმ", „ფილიპსმა" და „ანტიკვორუმმა" ძალ-ღონე არ დაიშურეს, რომ დაეკმაყოფილებინათ ყველაზე მომთხოვნი კლიენტების გემოვნება. წარმატების შემთხვევაში, ჟენევის „ბრილიანტების წვიმამ" მათ დაახლოებით 160 მილიონი შვეიცარიული ფრანკი (114 მილიონ დოლარზე მეტი) უნდა მოუტანოს. ვაჭრობაზე წარმოდგენილი იქნება 4917 ლოტი.

განა დარჩება გულგრილი ვინმე „სოთბიზე" წარმოდგენილი ბრილიანტებითა და ლალით მოოჭვილი ბეჭდისადმი, რომელიც თითქმის 2 მილიონ დოლარად არის შეფასებული, ანდა 640 ათას დოლარიანი ბრილიანტის საყურისადმი?. სიძველის მოყვარულთა ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს ორი ვერცხლის თასი, რომლებიც, შესაბამისად, 100 ათასი და 200 ათასი დოლარი ღირს, აგრეთვე, ძვირფასი თვლებით შემკული 165 ათას დოლარიანი ოქროს სათუთუნე. „სოთბი" აპირებს თავისი 1482 ლოტით 50 მილიონი დოლარი მოიგოს.

„ქრისტის" კიდევ უფრო ფართო გეგმები აქვს. მისი 2315 ლოტი დაახლოებით 53 მილიონი დოლარი ღირს. „სეზონის მშვენება" უთუოდ იქნება 26,14 კარატიანი ბრილიანტი „რაჯა". იგი, ექსპერტების აზრით, დაახლოებით 1,4 მილიონ დოლარად უნდა გაიყიდოს. 5,15 კარატიანი ცისფერი ბრილიანტი კი 725 ათას დოლარად არის შეფასებული. გულის ფორმის კიდევ ერთი ბრილიანტი — 400 ათასი დოლარი ღირს.

ჟენევაში ახალ მფლობელებს ელიან ძვირფასი ღვინოები და სიგარეტები, საათები, ზარდახშები თუ ქანდაკებები. მეტად საყურადღებო ნივთებს წარმოადგენს წლევანდელ აუქციონზე ფირმა „ანტიკვორუმი" — საქმე ეხება ძველებურ მექანიკურ „სათამაშოებს", რომლებიც ეროტიკულ სცენებს გამოსახავენ. ამგვარ პროდუქციას იუველირები და მესაათეები უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეში ამზადებდნენ. ერთ-ერთ მუსიკალურ სათუთუნეზე, მაგალითად, გამოსახულია წყვილი ბუდუარში. მიჩუმდება მუსიკა და წყვილი სასიყვარულო განცხრომას მიეცემა. ეს პატარა ყუთი 100 ათასი დოლარი ღირს.

***ნიუ ზუიქ, 10 ნოემბერი***

## რა უნდა იცოდეს საზღვარგარეთ საქმეზე მიმავალმა მეწარმემ

**სამხრეთ კორეა**

**სახელმწიფო წყობილება — რესპუბლიკური**

**ენა: კორეული**

**ვალუტა: ვონი**

**დედაქალაქი: სეული**




საქმიანი მგზავრებისათვის ყველაზე კარგი დროა თებერვალ-ივნისი. შობა-ახალი წლის გარდა, კორეაში იანვრის დამლევს ჩინურ ახალ წელსაც ზეიმობენ. ნორმალური სამუშაო დღე დილის 8 საათზე იწყება და საღამოს ექვსამდე გრძელდება, შაბათობით კი, 9-დან 1 საათამდე მუშაობენ. კორეელები ერთმანეთს ძალიან თავაზიანად, თავდაკვრით, წელში მოხრილები ესალმებიან, ხელს ყოველთვის არ ართმევენ. ქალისთვის ხელის ჩამორთმევა ან ლოყაზე კოცნა დიდ უზრდელობად ითვლება. ქალებს განსაკუთრებული მოწიწებით ესალმებიან.

კორეაში სავიზიტო ბარათზე აღნიშნულ ტიტულს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, კორეელმა ზუსტად უნდა იცოდეს, რა სოციალური მდგომარეობა უჭირავს, რა ევალება და რა უფლებამოსილებითაა აღჭურვილი თავის დაწესებულებაში თუ საწარმოში ადამიანი, რომელიც მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. შეხვედრაზე აუცილებლად საუკეთესო კოსტიუმითა და გაპრიალებული ფეხსაცმლით ცხადდებიან, ჰალსტუხიც სავალდებულო ატრიბუტია. კორეელები შენობაში, როგორც წესი, ფეხსაცმელს იხდიან.

საქმიანი მოლაპარაკების დროს, კორეელები პარტნიორს თვალებში შესცქერიან, მაგრამ გაცილებით შორი-შორს დგანან, ვიდრე ევროპაში. ჟესტიკულაციას იშვიათად იყენებენ, მაგრამ ტაშის დაკვრა უყვართ.

მოლაპარაკების წინ, კარგი იქნება, ვთქვათ, შუაკაცმა წარგადგინოთ. ეს იმიტომაცაა აუცილებელი, რომ კორეელი დარწმუნებული უნდა იყოს თქვენს უფლებამოსილებაში. მოლაპარაკება სავიზიტო ბარათების გაცვლა-გამოცვლით იწყება. ბარათი მარჯვენა ხელით უნდა მიაწოდოთ და ასევე მარჯვენათი ჩამოართვათ. კორეელი ბიზნესმენები ძალიან მოქნილად ატარებენ მოლაპარაკებებს. ისინი გულახდილი, გაბედული, საქმის მცოდნე, თავაზიანი და მომთმენი ხალხია. რთულ გადაწყვეტილებას მხოლოდ საწარმოს თავკაცი ღებულობს, თუკი გადაწყვეტილება მიიღეს, მას არაფრით აღარ შეცვლიან. სამხრეთ კორეელ საქმოსანთა უმეტესობა ინგლისურად ლაპარაკობს.

კორეელებს ძალიან უყვართ საჩუქრები, მაგრამ ზოგჯერ ძნელი გასაგები ხდება საჩუქარს გთავაზობენ თუ ქრთამს, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. საჩუქრებს აუცილებლად მარჯვენა ხელით გაწვდიან და მარჯვენითვე იღებენ. კორეელები უცხოელებს შინ იშვიათად ეპატიჟებიან, რადგან მათი საცხოვრებელი პირობები, ევროპულთან შედარებით, გაცილებით პრიმიტიულია. თუ მაინც დაგპატიჟეს, აუცილებლად წაუღეთ საჩუქარი, მაგრამ არა ყვავილები. შინ შესვლისას ფეხსაცმელი გაიხადეთ. სადილის დროს საუბარი, პოლიტიკისა და რელიგიის გარდა, ყველაფერზე შეიძლება. თუმცა, იაპონიის ხსენებაც სასურველი არ არის. კორეელებს იუმორის გრძნობა კი აქვთ, მაგრამ ქალების თანდასწრებით ანეკდოტების მოყოლას ნუ მოინდომებთ.

სუფრასთან კარგი ქცევის ნიშნად მიიჩნევენ ჩხირებით ჭამას. თუ სტუმრებს ვაშლი ან ერთი ჭიქა ღვინო მიართვეს, ეს სადილობის დამთავრების ნიშანია. სუფრასთან სადღეგრძელოებს წარმოთქვამენ, სახლის პატრონი იწყებს, მერე სხვებსაც ეძლევათ ამის ნება. სტუმარმა ჭიქა აუცილებლად ორი ხელით უნდა ასწიოს და გვერდზე მჯდომს მიუჭახუნოს. სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ ყველანი, მათ შორის სადღეგრძელოს ავტორიც, ტაშს უკრავს. მეორე დღეს მადლობის გადახდა (როგორც ეს სხვა ქვეყნებშია მიღებული, ჩვენ ვწერდით ამის შესახებ) საჭირო არ არის. კორეაში ძალიან ცოტა ქალს უჭირავს მაღალი პოსტი, სამაგიეროდ, სახლში ყველაფრის გამგებელი ქალია. კორეელები ძალიან ჭკვიანი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე ხალხია.

***კალეიდოსკოპი №44***

ს/ს კომერციული ბანკი „ოლიმპი"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №2
ტელ: 94-07-60; 94-07-61; ტელ/ფაქსი: 95-09-19

ბათუმი
ფარნაოზ მეფის ქ. 2
ტელეფონი: 7-50-26
ტელ/ფაქსი: 7-51-87

ბანკ „ოლიმპში" შეგიძლიათ განათავსოთ თქვენი დანაზოგები:
— შეიძინოთ ჩვეულებრივი 25 ლარიანი აქციები, ხმის უფლებით.
— მოათავსოთ ანაბარზე თქვენთვის სასურველი დროით და ხელსაყრელი პირობებით.
ჩვენ დაგიბრუნებთ ბანკებისადმი დაკარგულ რწმენას

სამტრედია
შოთა რუსთაველის ქუჩა №2
ტელეფონი: 2-50-17

## კითხვა-პასუხი



**ოჯახში ვცხოვრობთ სამი სული. ოჯახის უფროსი ვარ პენსიონერი, სამამულო ომის მონაწილე. ჩემი მეუღლე არის საკოლმეურნეო შრომის პენსიონერი, გვყავს ბავშვობიდან II ჯგუფის ინვალიდი შვილი. სოფლის საკრებულომ დამაწერა მიწის გადასახადი. მეკუთვნის თუ არა ამ გადასახადის გადახდა?**

***ცაგერის რაიონი, სოფ. უსახელო, გივი გოლეთიანი***

არსებული კანონმდებლობა მიწის ნაკვეთის გადასახადისაგან ათავისუფლებს იმ საკომლე მეურნეობებს, სადაც მხოლოდ პენსიონერები ან ინვალიდები ცხოვრობენ. ამდენად, თქვენი ოჯახი თავისუფლდება მიწის გადასახადისაგან.

***საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო***

**სახლში გაჩნდა რაღაც ჭია, რომელიც ფქვავს და ანადგურებს ხის მასალას, როგორ მოვუაროთ ამ პრობლემას?**

***ვ. გოგინაშვილი***

როგორც გაირკვა, საქართველოში, ჯერჯერობით, არ არსებობს ასეთ მწერებთან ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ რესპუბლიკის სადეზინფექციო ცენტრი მაინც გირჩევთ, რომ მიბრძანდეთ ლესელიძის ქუჩის №18-ში, სადაც სპეციალურ მაღაზიაში შეგიძლიათ, შეიძინოთ მწერებთან ბრძოლის ახალი საშუალებები — „კენეზ-ალფა", „კარატე", „აგრომეტრინი" და სხვ. ამ საშუალებებს თან აქვს დართული ანოტაციები, რომლის მიხედვითაც დაადგენთ კონცენტრაციებს და ამოავსებთ იმ ადგილებს, სადაც ბუდობს მავნე მწერი.

**ჩემი ბიჭი ცაციაა. როგორ გადავაჩვიო, ან იქნებ არ ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება?**

***მარიკა ტ.***

რომელი ხელია ბავშვისთვის წამყვანი (მუშა)? — ეს თავის ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებს შორის რთული ფიზიოლოგიური სტრუქტურების განაწილებაზეა დამოკიდებული. ასე რომ, ეს ბავშვის ახირება არ არის. თუ მოვინდომებთ, ჩავერიოთ და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გადავაჩვიოთ მარცხენა ხელით საქმიანობას, ეს გამოიწვევს ტვინის მუშაობის გადაწყობას. ბავშვი ამ დროს ძალაუნებურად აღიგზნება და ნერვიულდება. შეეშვით... დატოვეთ ყველაფერი თავის ადგილზე, მითუმეტეს, არცთუ ისე „უბრალო" ადამიანები იყვნენ ეს ცაციები! გაიხსენეთ მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, პუშკინი, სხვანი და სხვანი.

***ფსიქოლოგი თინა ცხომელიძე***

**ვარ 24 წლის, მყავს 11 თვის შვილი. გთხოვთ, გამარკვიოთ, ვთავისუფლდები თუ არა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან, თუ არა, რატომ?**

***ვ.ო.***

ახალი კანონმდებლობა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ათავისუფლებს იმ პირებს, რომლებიც უკვე ელოდებიან ბავშვის დაბადებას ან ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები.

**გთხოვთ, განმიმარტოთ, წვევამდელი, რომელსაც ცალი ფეხი 2 სმ-ით მოკლე აქვს, თავისუფლდება თუ არა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან?**

***ზ. მეტრეველი***

თუ თქვენ წარმოადგენთ შესაბამის სამედიცინო დასკვნას, მაშინ გათავისუფლდებით სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან.

***საქართველოს სამხედრო კომისრის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ ქემოკლიძე***

იაფად და ხარისხიანად!
დაგიმზადებთ:
ლითონის კარებს – 300 ლარი; „გარმოშკას", 1კვ.მ – 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ – 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ – 50 ლარი, აგრეთვე ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ – 200 ლარი, აბაზანაში – შეკიდულ მინის ჭერს, 1კვ.მ – 120 ლარი, ფანჯრის მინის დაჭრა ბინაზე მომსახურებით.
მის: მუხიანი, მე-4 მ/რ მე-4 კორპ. ტელ: 63-67-52

პირველად საქართველოში
იხსნება **მდივან-რეფერენტთა და ბიზნეს-რეფერენტთა**
(მენეჯერის თანაშემწე) 6 თვიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტი.
თუ გსურთ, გახდეთ პრესტიჟული ფირმის მენეჯერის მაღალხელფასიანი თანაშემწე, უახლესი მეთოდიკით შეისწავლით კომპიუტერს, საქმის წარმოებას, ინგლისურს, ფინანსურ მენეჯმენტს და სხვ. პრაქტიკა - ოფისებში, საქმიანი თამაშები, შეიპინგი და სხვ.
ძირითადი დიპლომის გარდა, გაიცემა ბუღალტერ-მოლარის, საქმეთა მმართველის, თარჯიმნის, კომპიუტერის, ტელე-დიქტორის დიპლომები. წარჩინებული მსმენელები განაწილდებიან ფირმების მოთხოვნით.
93-22-88, 98-78-78

რკინის კარები,
გისოსები, ჟალუზები
ავტოფარეხები
ნებისმიერი
ანგარიშგებით
38-83-87
37-07-78
37-46-55





„ვიატკა"
შეგიკეთებთ და დაგიმონტაჟებთ „ვიატკას" და „ვიატკის" ტიპის უცხოურ სარეცხ მანქანებს.
გარანტიით,
შეღავათიან ფასებში
გამოძახება და კონსულტაცია უფასოა
პეიჯერი 30-69, 67-74 ტ. 98-50-52, 30-84-41

# წმინდა სისხლი



ვერავინ იტყვის, ჩემს ძარღვებში წმინდა სისხლი ჩქეფსო.

დედოფალი კლეოპატრა ეგვიპტელი კი არა, ბერძენი იყო. ემილ ზოლა — ნახევრად იტალიელი და ნახევრად ბერძენი, ალექსანდრე დიუმას ბებია — ზანგი. შოპენი პოლონელად მიაჩნდათ (დედის გამო), მისი მამა კი ფრანგი იყო. პოლონელები — ადამ მიცკევიჩი და იოზეფ პილსუდსკი წარმოშობით ძველი ლიტვური საგვარეულოდან იყვნენ. ბერძნული სისხლი ჰქონდა მხატვარ კუინჯის. ჩაიკოვსკის პაპა ფრანგი იყო. ნახევრად ფრანგი იყო სტანისლავსკის დედა, ასევე დალისა, მამით დალი დანიელი იყო. პოლონელები იყვნენ ნეკრასოვის, კოროლენკოს, ანდრეევის, ცვეტაევას დედები.

ერთხელ, ალექსანდრე III-ს ბარსკისთვის უკითხავს (რომელმაც შესანიშნავად იცოდა XVIII საუკუნის რუსეთის ისტორიის ყველა დეტალი), — ვისი შვილი იყო პავლე პირველიო? გრაფ სალტიკოვისა! — უპასუხია ბარსკის.

— მადლობა ღმერთს, ჩემს ძარღვებში ცოტა რუსული სისხლი მაინც ყოფილაო, — უთქვამს იმპერატორს.

რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი კი, მეცნიერების გამოთვლებით, მხოლოდ 1/126-ით იყო რუსი.

*ია ტელოხრანიტელ №19*

# ცხოვრებისეულ საკითხებში ადვილად ვტყუვდები, პროფესიულში — არა

ცხოვრებაში ანდრეი რაზბაში სულაც არ გამოიყურება ისე ელეგანტურად, როგორც მაშინ, როცა „ჩას პიკი" მიჰყავს. ტელეკომპანია „ვიდის" გენერალურ პროდიუსერს დამთავრებული აქვს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი. ტელევიზიაში მისვლამდე შჩოლკოვის საჰაერო-გამომთვლელ პუნქტში ლაზერული ლოკაციის პრობლემებზე მუშაობდა, თვითმფრინავის მართვის უფლებაც აქვს, თუმცა უკანასკნელ ხანს, ამისი დრო პრაქტიკულად არცა აქვს. სამაგიეროდ, ახლახან მოტოციკლი შეიძინა და იმას დააქროლებს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს ნაწყვეტს.

**— როგორ ირჩევთ „პიკის საათის" სტუმარს? მე, მაგალითად, ძალიან მესიმპათიურება თქვენი კოლეგა ლიუბიმოვის ნათქვამი: — მხოლოდ გიჟს შეუძლია დაადანაშაულოს ჟურნალისტი პირად დაინტერესებაში. თუ ეს ასეა თქვენ, მაგალითად, რაღად მიიწვიეთ კობზონი მისი იუბილესა და დუმაში არჩევის წინ? გამოდის, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში მიიღეთ მონაწილეობა და ამაში რაღაც მიიღეთ.**



— ბევრს ეგონა, რომ რაღაც მივიღე, მაგრამ არაფერი მიმიღია, კი ბატონო, ეგონოთ ასე. კობზონი მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით მოვიწვიე. მე პატივს ვცემ ამ კაცს, რომელიც ებრძვის საზოგადოებრივ აზრს (კობზონს, ხომ, ლამის, მაფიის ნათლიად მიიჩნევენ). პატივს ვცემ, აგრეთვე, როგორც სიტყვის კაცს, ჩვენს დროში ასეთს ბევრს ვერ შეხვდები. რაც შეეხება არჩევნებს, კობზონი გამოჩნდებოდა თუ არ გამოჩნდებოდა ეკრანზე, ის მაინც მიიღებდა ხმების 95%, რაც მოხდა კიდეც.

ისე, რა თქმა უნდა, ხდება ხოლმე, როცა არხი მთხოვს, ამა თუ იმ სტუმრის მოწვევას, თუმცა არის ხალხი, რომელთა მოწვევა არ ღირს — რადგან კადრში უნებურად უარყოფით ეფექტს იწვევენ. მაგალითად, „ჩას პიკის" სტუმრობაზე უარი ვუთხარი „გაზპრომის" თანამშრომელს, რომელიც ტულაში უნდა აერჩიათ, ამისთვის მერე მადლობაც კი მითხრეს, იმიტომ, რომ მოწვევის შემთხვევაში, დარწმუნებული ვიყავი, ამომრჩევლებს მომატების ნაცვლად, დაკარგავდა.

**— ვითომ „პირდაპირ ეთერში" მაყურებელთა სატელეფონო ზარზე უარის თქმას ხომ არ აპირებთ? მონტაჟის ვირტუოზულობის მიუხედავად, იგრძნობა, რომ გადაცემა ყოველთვის პირდაპირი არ არის და არც სატელეფონო ზარია ნამდვილი.**

— ათიდან ცხრა გადაცემა მართლა პირდაპირ ეთერში გადის, იგივე შემიძლია ვთქვა სატელეფონო ზარზეც.

**— კი მაგრამ, ყველა ასე კარგად როგორ მეტყველებს?**

— შეკითხვას, ვიდრე პროგრამამდე მოვიდოდეს, რედაქტორი ფირზე იწერს, უმეტეს შემთხვევაში ასეა, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ საკუთარი თავი და მაყურებელი სკანდალისგან დავიცვათ — ვინ იცის, ვის რა კითხვა მოადგება პირზე? თუმცა, ნელნელა ცოცხალი შეკითხვებისკენ ვიღებთ გეზს.

**— არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რომანი გაქვთ ქალთან, რომელიც ვლად ლისტევის ცოლი იყო, თქვენი ოთხი შვილი როგორ შეხვდა ამ ამბავს?**

— მშვენიერი შვილები მყავს (უფროსი 19 წლისაა), ისინი ისევე მექცევიან, როგორც მე მათ. ადრე, ბავშვობიდანვე პატივს ვცემდი მათ აზრს, ისინიც მაფასებენ, იციან, რომ ძალიან ბევრს ვშრომობ, მაგრამ მაინც წარვმართავ მათ ცხოვრებას, ვეხმარები. შვილებს ხშირად ვერ ვხედავ, მაგრამ, რეალურ ცხოვრებას უფრო ვაახლოვებ, ვიდრე ამას აკეთებენ მათი დედები. ისე რომ, მათი მხრიდან ბოიკოტზე ლაპარაკი ზედმეტია.

**— საყვარელ ქალს თქვენი ნამუშევრის კომენტირების ნებას თუ აძლევთ?**

— რასაკვირველია, მე მას ვენდობი, იმიტომ, რომ ძალიან კარგი გემოვნება აქვს და არც ჭკუა აკლია.

**— ამბობენ, გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით (მკითხველს, ალბათ, ახსოვს „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული „ვ. ლისტევის მკვლელობაში ახალი ვერსია გაჩნდა"), გაზეთისთვის გინდოდათ გეჩივლათ.**

— ძალიან მინდა, რომ პროვოკატორებსა და თახსირებს საკადრისი მიეზღოთ, მაგრამ ისე უნდა გავაკეთო, რომ თავად არ გავისვარო.

**— ძნელად მოსატყუებელი კაცი ხართ?**

— პროფესიაში ჩემი მოტყუება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ცხოვრებაში კი მაინცდამაინც ძნელი საქმე არ არის, ადვილად ვტყუვდები, ალბათ, ამიტომ დავკარგე ამდენი ფული. მაგალითად, ასეთ რამეს მოგიყვებით: ძალიან მიყვარს ძველი მანქანები. გერმანიაში 50-იანი წლების „ფორდი" შევუკვეთე, ხალხს ღირებულების ნახევარი წინასწარ მივეცი, მერე ისეთი რამე ჩამომიტანეს, ფოტოზე ნანახს ახლოც ვერ მიუდგებოდა. კონტრაქტი დადებული მქონდა, მეტი რაღა დამრჩენოდა, გადავიხადე მეორე ნახევარიც. ცუდზე არასოდეს ვამახვილებ ყურადღებას, რაც მოხდა, მოხდა. არსებობს გაცილებით მნიშვნელოვანი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, ოჯახი, სამსახური. დანარჩენს კი თავისით წაილებს დინება.

*ნედელია №41*

# „მეჭალყთი"



სანდრა გარბი (ფლორიდა, აშშ) 14 წლისა იყო, როცა პირველად კბილებით თევზი დაიჭირა. ეს სულ არ არის ძნელი, — ამბობს იგი, — შარჩევ თუ არა თევზს, უნდა ჩაყვინთო და...

ახლა სანდრა 25 წლისაა და დაახლოებით 200 თევზი ჰყავს დაჭერილი. მათ შორის ყველაზე დიდი 3,2 კგ იწონიდა.

— უფრო დიდის დაჭერაც ვცადე, მაგრამ ძნელია მათი კბილებით შეკავება, — თქვა მან.

*სკანდალი №21*

# ჩადრში გახვეული მშვენიერება



ჩადრით შემოსილი ექვსი ტურფა ასული ტოვებს პოდიუმს... ამ ექსტრავაგანტურმა გამოსვლამ ლონდონის „მოდის კვირეულზე" საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. მისი ავტორი გახლავთ, როგორც მას ლონდონის პრესა უწოდებს, „მოდის" ბიზნესის ამომავალი ვარსკვლავი", ჰუსეინ ჩალაიანი.

კვიპროსელმა თურქმა ლონდონის პოდიუმს აღმოსავლური სურნელი აკმია...

ყველანაირ სანახაობას მიჩვეული ინგლისელი მაყურებელი გულში ხომ მაინც გაივლებდა, — მოეწონება კი ეს ალაჰს?

*ზა რუბეჟომ №45*

# ჯუნგლებში მყეფარი ირემი იპოვნეს

ვიეტნამის ჯუნგლებში მკვლევართა ექსპედიციამ იპოვნა მყეფარი ირემი, ასე რომ, ჯუჯა რქებიანი და ძაღლის ხმიანი ირემი მხოლოდ ზღაპრის გმირი არ არის.

ველური ბუნების მსოფლიო ფონდის ცნობით, ჩვენს საუკუნეში აღმოჩენილი მსხვილფეხა ძუძუმწოვრების 8 ახალი სახეობიდან, 3 ვიეტნამშია ნაპოვნი. ფონდის თანამშრომლების ინფორმაციით, ირემი-მუნჯაკი ჩიუნგშონი ძაღლის ზომისაა, 15კგ-მდე იწონის და 35 სმ. სიმაღლისაა, ამიტომ არ უჭირს ჯუნგლებში ცხოვრება.

მკვლევარებმა კიდევ რამდენიმე განსხვავება აღმოაჩინეს: პატარა რქები არ იტოტება და ფურებს და ხარებს ერთნაირი „ძაღლური კბილები" აქვთ.

ვიეტნამელები მუნჯაკს ულრანი ტყის ირემს ეძახიან და ჯგუფურად ნადირობენ მასზე.

ვიეტნამის გამოუკვლეველმა ჯუნგლებმა მსოფლიოს კიდევ 2 სახეობის ძუძუმწოვარა აჩუქა. 1992 წელს მეცნიერებმა ხარების ოჯახის ახალი სახეობა აღმოაჩინეს, ხოლო 1993 წელს — გიგანტური მუნჯაკი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ველური ბუნების საიდუმლოება დღემდე მთლიანად არ არის გამოკვლეული და მომავალში ახალ აღმოჩენებს უნდა ველოდოთ.

*ნოვოსტი რაზვედკი*
*ი კონტრრაზვედკი №21*

# პრეზიდენტს წასახემსებს ყვარებია...

ქლინთონების ოჯახის თეთრ სახლში მოსვლა ყველაზე უფრო იქაურმა მზარეულმა იგრძნო. ძალიან გაუჭირდა ამ ოჯახის გემოვნების გათვალისწინება. წინამორბედთაგან განსხვავებით, ბილს პროვინციული არკანზასიდან ვულგარული კერძების სიყვარული გამოჰყვა; კერძოდ, წასახემსებელი საჭმელები მოსწონს. ჰილარის არასოდეს ჰყვარებია სამზარეულოში ტრიალი, ამიტომ ოჯახი ყოველთვის ნაყიდი ჰამბურგერებით სადილობდა და სტუმრებსაც ასევე მასპინძლობდა. დღესაც სიამოვნებით მიირთმევენ შემწვარ ქათამსა და კარტოფილს. ჩაროზად ბანანის პუდინგსა და ნიგვზის ტორტს ირჩევენ. ამიტომაც უჭირს თეთრი სახლის დახვეწილ შეფ-მზარეულს, კლასიკურ კერძებზე აღზრდილ, ფრანგ პიერ შამბრის ბილის, ჰილარისა და მათი ახლობლებისთვის იოლი სადილების დამზადება. „მთავარია, — ამბობს პრეზიდენტი, — კერძში ნაკლები მაიონეზი და მეტი ბოსტნეული იყოს". ქლინთონები აბსოლუტურად ყველაფერში ხმარობენ ნიორს, ხახვს, სოკოს და წიწაკას, ქათმისხორციან მექსიკურ მაჭკატებს — „ჰილარი" ჰქვია, პრეზიდენტის მეუღლის პატივსაცემად; მაკარონიან ბოსტნეულის სალათს — „ბილი", ღორის ხორცის კერძს — „პენტაგონი"...

მაგრამ ახალშექმნილმა კერძებმაც ვერ უშველა შეფ-მზარეულს — იგი დაითხოვეს. როგორც თავად თქვა, — სიმსუქნისა და ფრანგული აქცენტის გამო. ამ არადემოკრატიული საქციელის საკომპენსაციოდ 37026 დოლარი მისცეს და სიჩუმის გარანტიისთვის — „სამახსოვრო წერილი", რომლითაც აფრთხილებენ, რომ თუ სამსახურიდან მოხსნის მიზეზს გაამხელდა, ჯილდოს ველარ მიიღებდა.

თვითონ კი ენას კბილს აჭერდა პიერი, მაგრამ „ვაშინგტონ თაიმსმა" მოჰკრა ყური ამ ამბავს და ქვეყანას მოსდო...

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №204*

# მაიმუნის თვალები წითლად ანათებდა



ალასკის ქედის ერთ-ერთ მიწისქვეშა გამოქვაბულში სამეცნიერო ექსპედიცია წააწყდა ვეებერთელა სკულპტურას (4 მ. 83 სმ), იგი ძალზე მიაგავდა მაიმუნს. ანალიზით გაირკვა, რომ სკულპტურა ხისგან იყო გაკეთებული და დროთა განმავლობაში გაქვავებულიყო. მეცნიერთა ვარაუდით, მისი ასაკი 2-2,5 ათასი წელია. საყურადღებოა, რომ იგი ფორმით ძალზე მიაგავს პატარა ანალოგიურ სუვენირებს, რომლებსაც დღესაც აკეთებენ ცეილონზე.

ეს ვეებერთელა ფიგურა რაღაც საკულტო-რელიგიური დანიშნულებისა უნდა იყოს. მისი გამოტანა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან იგი შეზრდილი იყო მიწასთან (იგი უკანა თათებზე იჯდა). როცა მცირე აფეთქება მოინდომეს, გამოქვაბული ჩამოიქცა და მასთან ყველა მისასვლელი ჩაკეტა. აფეთქების დროს მაიმუნის თვალები გაიხსნა და წითელი ცეცხლით განათდა, — ამტკიცებს ექსპედიციის მონაწილე სტივ მეზონი.

*სკანდალი №21*

# ორთავა ბავშვის დაბადების მიზეზი ლუდაა

ქალაქ ტვერის სამშობიარო სახლში ქვეყანას ბუნების საოცარი ნიმუში მოევლინა — ორთავიანი გოგონა, რომელსაც უმტევნებო კიდურები და გულის მანკი აქვს. ახალშობილი დედასაც კი არ აჩვენეს, ვინაიდან შემაძრწუნებელი სანახავი იყო. მას მხრებზე რვიანის ფორმის თავი ედგა. ექიმებს, თავდაპირველად, გენეტიკური მუტანტი ეგონათ, მაგრამ დაკვირვებით შესწავლის შემდეგ დაასკვნეს, რომ გოგონას ტვინის თიაქარის უმძიმესი ფორმა ჰქონდა. მათი თქმით, ძნელია, ამ პათოლოგიის გამომწვევი მიზეზების დადგენა. ბავშვის 16 წლის დედა ფეხმძიმობის პირველ კვირებში მუცლის მოსაშლელად სხვადასხვა მედიკამენტებს იღებდა, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, მსგავსი წამლებით სარგებლობას არ შეეძლო ასეთი მძიმე ფორმის დაავადების გამოწვევა. მედიცინა ძირითად მიზეზად ალკოჰოლს მიიჩნევს. ამჟამად, ბავშვი ინკუბატორშია, მშობლებმა უარი თქვეს მის წამოყვანაზე. მომავალში გოგოს ბავშვთა სახლში გაგზავნიან. ექიმების თქმით, ასეთი ბავშვები 5 წელზე მეტს არ ცოცხლობენ.

*კომსომოლსკაია პრავდა №209*

შ.პ.ს. „აზია"-ში გაიხსნა სამთვიანი კურსები, რომელიც მის ქსელში არსებული სასტუმროებისთვის (თბილისში, ბათუმში, შოვში, ბორჯომში, ურეკში) მოამზადებს თანამშრომლებს: ადმინისტრატორი (20 ადგილი); რესტორნის მენეჯერი (10 ადგილი); ტექნიკური პერსონალის მენეჯერი (10 ადგილი); მზარეული (10 ადგილი); მზარეულის დამხმარე (10 ადგილი); მიმტანი (20 ადგილი); ბარმენი (10 ადგილი); შვეიცარი (10 ადგილი). მსმენელები შეისწავლიან: ინგლისურ ენას, ფსიქოლოგიას, სპეციალობას. კურსდამთავრებულები მიიღებენ სპეციალურ სერთიფიკატს და უზრუნველყოფილნი იქნებიან სამსახურით (მაღალი ანაზღაურებით) შ.პ.ს. „აზია"-ს ქსელში ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებში არსებულ სასტუმროებში.
სწავლების საფასურია 300 ლარი
ცნობებისათვის მიმართეთ შ.პ.ს. „აზია"-ს ოფისს, კიევის ქ. №3
ტელ: 95-73-28, 96-45-42

ვამზადებთ და ვყიდით



რკინის კარებს, გისოსებს, ჟალუზებს და სხვა რკინის ნაკეთობებს შეღავათიან ფასებში
ალ. ყაზბეგის გამზ. №34ა, საშენმასალათა ინსტიტუტის უკან. ტელ: 39-79-46

ფირმა „იმერი"
დაგეხმარებით ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებაში
მის: ფალიაშვილის 43
ტ: 29-15-00; 22-82-64 (საღამოს)

ყველაზე იაფად
თუნუქის სახურავების შეკეთება, შეცვლა, შეღებვა
მყარი გარანტიით
ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით
ტ: 37-35-90; 35-15-88
(ყოველდღე 8-23 სთ-დე)

## ფარულ სიყვარულს ფარდა აეხადა



ერთი ევროპელი კოლექციონერი ძველი წიგნის თვალიერებისას, ნახატზე წარწერას წააწყდა. იგი გამოდგა ანა ბოლეინის მიერ თავისი ფარული სიყვარულის, მეფე ჰენრი VIII-ადმი მიწერილი საიდუმლო ბარათი — იესო ქრისტეს ფერხთით, ცისარტყელაზე ეწერა — „LE TEMPAS VIENDRA " — „დრო მალე დადგება". ქრისტის აუქციონის ექსპერტის თქმით, ნაწერი მართლაც ბოლეინს ეკუთვნის და 1520-იანი წლებით თარიღდება, ანუ იმ დროით, როდესაც მას ურთიერთობა ჰქონდა მონარქთან, — ეს უკანასკნელი კი, დედოფალ ეკატერინე არაგონელთან ცდილობდა განქორწინებას. 1536 წელს ბოლეინს ბრალი დასდეს მრუშობაში და თავი მოკვეთეს. უცნობია, მიიღო თუ არა ჰენრი VIII-მ ეს წიგნი-ბარათი. ერთი ცხადია, წიგნის ამჟამინდელმა მეპატრონემ ამ ბოლეინისეული ერთი ფრაზით დიდი მოგება ნახა, — წიგნი აუქციონზე 26 ნოემბერს გაიყიდა, მისი საწყისი ფასი 500.000 დოლარია.

*ნიუზუიქ, 10 ნოემბერი*

## რა ქნას მარტოხელა როტვეილერმა...

ახალგაზრდა მამაკაცებს, ჩვეულებრივ, დროსტარება უყვართ ისეთ ადგილებში, სადაც მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ხშირად შეხვდებით. ამისთვის არსებობს კაფე, სტადიონი, დისკოთეკა. სად წავიდეს მარტოხელა, ენერგიული, ახალგაზრდა როტვეილერი?

მიპასუხებთ, — ამისთვის არსებობს სპეციალური კლუბი, სადაც ხვადს გააცნობენ მისი ჯიშის შესაფერის „მანდილოსანს". მაგრამ სად არის სიყვარული? ურთიერთსიმპათია?

ოთხფეხა მეგობრების ცხოვრებაში სასიყვარულო ტრაგედიები ისევე ხშირია, როგორც ადამიანებში, — ამტკიცებს ევა იანოვსკაია, რომელმაც გახსნა ცხოველთა პირველი „საქორწინო ბიურო", სადაც მათ ეხმარებიან, იპოვონ თავიანთი „ძაღლური ბედნიერება" და არა მარტო ძაღლური, არამედ „ლორული" და „კატური".

*ნედელია №39*

## ნოსტრადამუსის ოქროს საუკუნე

გავაგრძელოთ თხრობა ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების შესახებ. ჩვენ გავჩერდით იქ, რომ მან იწინასწარმეტყველა ფრანგული მონარქიის დაცემა (1792 წ). დღემდე კამათობენ, ახსენა თუ არა ნოსტრადამუსმა თავის წინასწარმეტყველებაში რუსეთი. ყველასათვის ცნობილია მისი ნათქვამი, რომ საბჭოთა ხელისუფლება იარსებებს მხოლოდ 73 წელი და 7 თვე. სხვა ფაქტები კი, იმდენად დახლართულია, დაუჯერებელია, რომ ლაპარაკია რუსეთზე.

დაახლოებით 2 წლის წინ, ფრანგმა მეცნიერმა ჟან-შარლ დე ფონბრიუმ განაცხადა, რომ მან მოახერხა ნოსტრადამუსის შემოქმედების გაშიფრვა.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებამ დააინტერესა ჟან-შარლი. 1934 წელს მან გაშიფრა ერთ-ერთი ხელნაწერი და ყველას გასაკვირად შემდეგი რამ გამოაცხადა: „ახლო მომავალში, ესპანეთში დიქტატორის რეჟიმი დამყარდება და სათავეში მოვა ფრანკო". ნაცნობები დასცინოდნენ შარლს, 2 წლის შემდეგ კი, მათ პირველებმა მოუხადეს ბოდიში. ჟან-შარლმა კატრენების გაშიფრვა 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო.



მან ლექსები 2 ჯგუფად გაჰყო — უკვე ახდენილი წინასწარმეტყველება და ასახდენი. აღმოჩნდა, რომ კატრენების უმრავლესობა (დაახლოებით 23) XX საუკუნეს მიეკუთვნება. ნავარაუდევია, რომ ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება 1999 წელს მთავრდება.

რა გველის ჩვენ?! სამწუხაროდ, არაფერი დამამშვიდებელი. საუკუნის ბოლო ომს მოგვიტანს, ალბათ, მე-3 მსოფლიო ომს. 1999 წლის ბოლოს აპოკალიფსი დადგება. მათ, ვინც გადარჩება, ელოდება საოცარი ერა — ოქროს საუკუნე.

რა თქმა უნდა, ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, დაუჯეროს ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებას თუ არა. რაც იბეჭდება, ეს გახლავთ მთარგმნელებისა და მეცნიერების ვერსია, ხოლო კატრენების ნამდვილი აზრი ჩვენთვის მიუწვდომელი რჩება.

*კალეიდოსკოპი №45*

## პარიზის მეტროს ჰანგები

პარიზის მეტროს მგზავრებს მობეზრდათ მჩხავანა მელოდიების მოსმენა. თუკი ვინმე შემოსავლის წყაროდ მუსიკას და მეტროს ირჩევს, უნდა ჩააბაროს მეტად მკაცრი გამოცდა პარიზის სამგზავრო ორგანიზაციის საზოგადოებას, მხოლოდ მათ შეუძლიათ მისცენ მეტროში დაკვრის ნებართვა მუსიკოსებს. უუფლებო მუსიკოსებს მეტროდან დევნიან.



ამის გამო, 2 კვირის განმავლობაში, 500-ზე მეტი სტუდენტი, პენსიონერი და პროფესიონალი ცდილობდა სამგზავრო საზოგადოების წინაშე ნიჭის გამოჩენას. შემრჩევმა კომისიამ ნახევარზე მეტი დაიწუნა. მათ უფლება ეძლევათ, გაისად ჩააბარონ გამოცდები. მანამდე კი, თავად უნდა იზრუნონ კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სამგზავრო კომისიის თავმჯდომარის, ანრი ნუნისის განმარტებით, — „მგზავრებზე უნდა ვიზრუნოთ და მათი სამართლიანი მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ. მართლაც მოსაბეზრებელია, ყოველ ნაბიჯზე გამაყრუებელი რახარუხის მოსმენა, ამიტომაც მივიღეთ ასეთი მკაცრი ზომები. თუ ვინმეს მუსიკოსობაზე პრეტენზია აქვს, კეთილ ინებოს და ისე მაინც დაოსტატდეს, რომ გამვლელებს ნერვები არ მოუშალოს".

*ფოკუსი №188*

## რა ფერისაა თქვენი მანქანა

ღია ფერის მანქანის მფლობელები 8-ჯერ უფრო მეტად დეპრესიულები არიან, ვიდრე ხალისიანი ფერის ავტომობილების პატრონები. გზის ბატონ-პატრონობას ესწრაფის წითელი ან შავი მანქანის მძღოლი, თეთრი ფერის მანქანის მფლობელი — სნობი და ჩაკეტილი ადამიანია, — ასეთია დიდი ბრიტანეთის სამეფო საავტომობილო კლუბის მიერ გაკეთებული ზოგიერთი დასკვნა.

კლუბის ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ მანქანის ფერს უფრო მეტის თქმა შეუძლია მის მფლობელზე, ვიდრე ტანსაცმელს, ან ბინას. ფერის არჩევა ადამიანის განცდების ქვეცნობიერი გამოვლინებაა. გზაზე ყველაზე ბედნიერად გრძნობენ თავს ნაცრისფერი ან მტრედისფრად შეღებილი მანქანების მფლობელები. ღილილოსფერი ან მკვახე ლიმონისფერი სუსტი ნერვების პატრონებზე ისე მოქმედებს, როგორც წითელი ფერი ხარზე. მოგზაურობა არ უყვარს თეთრი ფერის მანქანის მძღოლს, — უკმაყოფილების მიზეზი ავტომობილის ხშირი რეცხვის აუცილებლობაა.

*ნოვოსტი რაზვედკი*
*ი კონტრრაზვედკი №21*

## შენ ჩემო ცხვირო ლამაზო, მამშვენებელო სახისა...

რა კონკურსი გინდა, მსოფლიოში რომ არ ტარდებოდეს. ამ საქმეში თურქები სხვებს ხომ არ ჩამორჩებოდნენ. ამიტომ ფრიად ორიგინალური შეჯიბრება მოიგონეს — ცხვირის საერთაშორისო კონკურსი. ეს არაჩვეულებრივი დათვალიერება ქალაქ რიზეს ტელეკომპანიის იდეა გახლდათ.

52 ქვეყნის წარმომადგენელი მამაკაცი ეჭიშპებოდა ერთმანეთს პირველობაში. მასპინძლებმა ყველას აჯობეს. უგრძესი ცხვირის (8,5 სმ) პატრონი გამოდგა მაჰმეთ ოზიურექი და 450 დოლარითაც დაჯილდოვდა, მეორე ადგილი მისმა იზმირელმა თანამემამულემ დაიკავა, ხოლო მესამე — თბილისელმა მებაბ აბდულაკმა.

ასეა, ბატონო, ვის — სიმახინჯედ მიაჩნია გრძელი ცხვირი, ვისთვის ქონების და სახელის მოსახვეჭია. სულცხონებული სირანო რომ ცოცხალი ყოფილიყო, ცოტათი ხომ მოეშვებოდა გულს, — საშინლად რომ განიცდიდა თავის ხორთუმივით სასუნთქ ორგანოს.

რა ხუმარები ყოფილან თურქები!

*მეგაპოლის-ექსპრესი №40*

## სიყვარულმა სიკვდილი აპოვნინა მერილინს...

მერილინ მონროს ბურუსით მოსილ თვითმკვლელობის ისტორიას თითქოს ფარდა აეხადა. გარდაიცვალა პრეზიდენტ ჯონ კენედის პირადი მდივანი ეველინ ლინკოლნი, რომელმაც პრეზიდენტის ტრაგიკული სიკვდილისთანავე თეთრი სახლიდან გაიტანა მისი პირადი მიმოწერა და მთელი სიცოცხლე საგულდაგულოდ მალავდა. ეს არის მერილინ მონროს მიერ ჯონ კენედისთვის მიწერილი წერილები. ჯერ-ჯერობით, ცოტამ თუ იცის, რას სწერდა კინოვარსკვლავი კაცს, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. ამერიკა სულგანაბული ელოდება ახალ დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც ამერიკის სიმბოლოდ აღიარებულ ქალს ვინ იცის, შანტაჟისტად წარმოადგენენ. საქმე ისაა, რომ ახლახან აღმოაჩინეს ხელშეკრულების ხელნაწერი, რომელშიც ჯონ კენედი მილიონ დოლარს უხდიდა მერილინ მონროს და მისგან საიდუმლოს შენახვას ყიდულობდა. ცნობილი გახდა ისიც, რომ მერილინმა უარი თქვა ამგვარ გარიგებაზე — ქალი ისედაც თანახმა იყო, საიდუმლოდ შეენახა ეს სასიყვარულო ამბავი — „იმედი მაქვს, მეგობრებად დავრჩებით, — სწერს ერთ წერილში მერილინ მონრო კენედის, — თუმცა, იმის შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა, ეს ძნელი იქნება".



როგორც ცნობილი ამერიკელი „მერილინოლოგი" ჯეიმს ჰასპელი ამბობს, კენედების კლანმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მონროს და მეთოდურად მიიყვანა იგი სამარის კარამდე. 1962 წლის 5 აგვისტოს, ბრენთვუდის ვილაში მერილინს რობერტ კენედი ეწვია. შესაძლოა, იგი ცდილობდა, დაერწმუნებინა ქალი, რათა მას ხელი მოეწერა ხელშეკრულებისთვის და ფულის გამო ნამუსი შეენახა ამერიკის პრეზიდენტისთვის. ვითარება დაიძაბა — მერილინი უარს აცხადებდა. გამძვინვარებულმა რობერტმა ძირს დაანარცხა იგი და ბალიშით გაგუდა... კენედების კლანმა ამგვარად ამოუქოლა პირი პრეზიდენტის საყვარელს. ჯეიმს ჰასპელი აბსოლუტურად დარწმუნებულია თავის სიმართლეში. როგორც იგი ამტკიცებს, მაფიოზური კლანები თვალს არ აცილებდნენ ვარსკვლავს — პრეზიდენტზე კომპრომატს აგროვებდნენ. მერილინის ბინაში მოსასმენი აპარატურა იყო ჩამონტაჟებული. არსებობს იმღამინდელი ჩანაწერი და — ბობ კენედის ხმა, საუბრის თემა ყოველგვარ სხვა ვერსიას გამორიცხავს.

2012 წელს კი, მერილინ მონროს სიკვდილიდან 50 წლის შემდეგ, მისი მეგობარი ქალი პაოლა სტრასბერგი იმ წერილებსაც გამოამზეურებს, რომლებსაც პრეზიდენტი კენედი უგზავნიდა ჰოლივუდის მშვენებას.

*ჩასტნაია ჟიზნ №21*

• • •

მერილინ მონროს, ჯონ და რობერტ კენედების ისტორია არა მხოლოდ პუბლიკაციებისა და ტელეგადაცემების თემაა, იგი მოქანდაკე ბარბარა კრეგერის შთაგონების წყაროდაც იქცა. ცნობილია ამ ხელოვანის სატირული ქანდაკებები. ნიუ-იორკის მერი ბუნის გალერეამ მისგან ცხრაფუტიანი ქანდაკება შეიძინა, ფაიფურით ნაძერწ ჯონ და რობერტ კენედებს მხრებზე ასევე ფაიფურის მერილინ მონრო ჰყავთ შემოსმული.

*ნიუზუიქ, 10 ნოემბერი*

## ასოციაცია



**თარაზულად:** 7. ვულკანიზაცია, თვალი; 8. დორიანი, სახე; 9. ტოლმა, ყურძენი; 10. თევზი, გველი; 11. დერმატოლოგი, ფესტივალი; 14. გამსახურდია, ფქვილი; 15. ჯავახიშვილი, მრისხანე; 16. თიხა, ოზურგეთი; 17. ნაფტალინი, პეპელა; 18. სისხლი, კრედიტორი; 19. იქსი, ზეტი; 21. კასტეტი, კრივი; 23. ბომჟი, ლიმონათი; 25. შექსპირი, მეფე; 26. მოსწავლე, სამელნე; 27. ფერნანდელი, კუტუნიო; 28. ტოლიატი, ამერიკა; 29. ციცინათელა, თავგადასავალი.

**შვეულად:** 1. უემბლი, ბრაზილია; 2. დირიჟორი, რადიო; 3. დოლიძე, „ტო"; 4. „ლელო", ფიზკულტურა; 5. ნადირ-შაჰი, კრწანისი; 6. „წითელი და შავი", ბეილი; 12. კალკულატორი, დომინო; 13. ნაპოლეონი, პლატინი; 18. დონ კიხოტი, ტობოსი; 20. ღმერთი, პლანეტა; 21. დუმბაძე, არბატი; 22. საქართველო, ბასკეთი; 23. დიონისე, გრადუსი; 24. მყუდროება, „ეროტიკა".

შემდგენელი გოგა ჩანადირი

© თბილისი, 1997

ნინა ასოციაციის პასუხები:

თარაზულად: 1. პლატონი; 6. ებრაელი; 9. ბალეტი; 10. ლორი; 12. ნატო; 13. ერბო; 14. ტონი; 15. იდიოტი; 17. ივნისი; 19. ფინია; 23. გონიო; 25. აპერკოტი; 26. ბურატინო; 28. ისანი; 31. ირემი; 34. სიქულა; 37. ტვიქსი; 39. ზმნა; 40. რუკა; 41. ბადე; 42. იური; 43. მსხალი; 44. პირანია; 45. ჯინორია.

შვეულად: 2. ლიმონათი; 3. ნანგი; 4. კანონი; 5. მტრედი; 7. ბარონი; 8. ლიანდაგი; 11. ილიჩი; 14. ტრიკო; 16. ოლლა; 18. ნავი; 19. ფორდი; 20. ალაფი; 21. მეორე; 22. ლობიო; 23. გრაფი; 24. ოჯახი; 26. ბაბუ; 27. ორბი; 29. სარკმელი; 30. ნისლი; 32. როინი; 33. მაკარონი; 35. ქართლი; 36. აიაქსი; 37. ტაბელი; 38. ქვევრი.

## ხალასი ტალანტი

***ნონა მორდიუკოვა ყუბანელი კაზაკის ოჯახში დაიბადა. ბავშვობაში ქალაბიჭა იყო, სწავლა დიდად არ იტაცებდა, მხოლოდ რუსული ენა და ლიტერატურა უყვარდა. წერდა მშვენიერ თხზულებებს და ყოველთვის „ხუთიანებს" იღებდა. ერთხელ მისი თემა რაიონშიც კი გაგზავნეს, როგორც საუკეთესო საუკეთესოთა შორის.***

მაღალი, ტანსრული, ღონიერი ყველანაირ მძიმე სამუშაოს უმკლავდებოდა: ჩეხავდა შეშას, ეზიდებოდა წყალს, თოხნიდა, აცხობდა პურს, უვლიდა უმცროს და-ძმებს. გერმანელების მიერ ყუბანისა და მისი სტანიცა ოტრადნაიას აღების შემდეგ, ოჯახი გაიხიზნა. სკოლა ქალაქ ეისკში დაამთავრა. გულის სიღრმეში უკვე მოსკოვსა და კინომსახიობობაზე ოცნებობდა. ერთხელ, კინოაფიშაზე წაიკითხა, რომ ფილმში მთავარ როლს გამოჩენილი მსახიობი მორდვინოვი თამაშობდა. მაშინვე წერილი გაუგზავნა მსახიობს. მისდა გასაოცრად, პასუხმაც არ დააგვიანა, მორდვინოვი ურჩევდა, დაემთავრებინა სკოლა და სწავლა კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გაეგრძელებინა. გამოსაშვები საღამოს შემდეგ, ნონამ ძველ ჩაიდანში შენახული ოჯახის დანაზოგიდან ნამალევად 16 მანეთი ამოიღო, სხვენზე ნაგდებ ძველი ხის ჩემოდანს სტაცა ხელი და სატვირთო მატარებლით, უბილეთოდ, მოსკოვს მიაშურა. ძლივს მიაგნო ინსტიტუტის შენობას და გაოცდა, როცა ამდენი აბიტურიენტი დაინახა. ეგონა, პირველი თვითონ იქნებოდა. შეკრთა და გაცვეთილ, დაჭმუჭნულ ჩითის კაბასა და კალოშებში „გამოწყობილი" კუთხეში მიიკუნჭა. ნონამ მხოლოდ გამოცდაზე გაიგო, რომ უნდა წაეკითხა არაკი, ლექსი და ნაწყვეტი პროზიდან... მწარედ ატირდა გამომცდელთა თვალწინ. ყველაზე მეტად უკან დაბრუნებისა რცხვენოდა, — ეგონა, მაშინვე კინოში გადაიღებდნენ... მისი ერთფეროვანი პასუხებით თავგაბეზრებული გამომცდელები გამოცოცხლდნენ, დაამშვიდეს და უთხრეს, შენი ცხოვრებიდან მოგვითხრე რამეო. დაიწყო და აღარ გაჩერდა, ერთმანეთს მიაბა ტყუილი და მართალი... კომისიის წევრები სიცილით იხოცებოდნენ, ხოლო როცა აცრემლებულმა უკრაინული და ყუბანური სიმღერებიც შემოსძახა, კომისიის წევრებმა აღარ იცოდნენ, ეცინათ თუ ეტირათ. ინსტიტუტში ჩარიცხეს. სასცენო მოძრაობაში ყველას სჯობნიდა. „მოახერხა" და 6 ორიანი დააგროვა. პურის წიგნაკი ჩამოართვეს, სტიპენდია 3-4 დღეს ყოფნიდა, საერთო საცხოვრებელში ყინავდა. საჭმლის გარდა, ტანსაცმელიც ჭირდა. მთელი ზამთარი ნონამ ჯარისკაცის მაზარიდან დედამისის გამოკერილი უსარჩულო პალტოთი გაატარა.



ერთხელ ტატიანა ლიოზნოვასთან იყო სტუმრად. დედამისმა თავისი შეკერილი, დაბამბული ქურთუკი გამოუტანა. ნონა ძლივს „გაეხვია" შიგ და გვერდები გაუთბა. ერთხანს ემალებოდა ტატიანას — ქურთუკი არ წამართვასო.

მეორე კურსზე იყო, როცა გერასიმოვმა „ახალგაზრდა გვარდიაში" ულიანა გრომოვას როლი შესთავაზა, რისთვისაც ნონას სტალინური პრემია მიენიჭა. მალე ვიაჩესლავ ტიხონოვს გაჰყვა ცოლად, წლისთავზე ვაჟი შეეძინათ — ვალოდია. უჭირდათ. ერთხანს ბარაკში ცხოვრობდნენ. შემდეგ რეჟისორ პრუდოვკინის ოთხოთახიან ბინაში 11 ოჯახი შეასახლეს. მათ გასავლელი ოთახი ერგოთ, ფირფიტით გამიჯნეს და „მყუდრო" კუთხე გამოუვიდათ.

— ჩემს მეუღლეს არასოდეს ვყვარებივარ. არ ვეცოდებოდი, ვერ წარმოედგინა, თუ ავად გავხდებოდი, რაიმე მეტკინებოდა.

მე კაპიკების საშოვნელად დავრბოდი, გამოვდიოდი კლუბებში (რაც ტიხონოვს ღირსების შელახვად მიაჩნდა), ცას და მიწას ვაწყდებოდი, არ ვიცოდი, პურის ფული საიდან მეშოვნა, მას კი პასპორტში მუდამ თუმნიანი ედო... ვიტყოდი — რამე ილონე, ცოტა მომეხმარე, ბავშვს ჭამა უნდამეთქი. მიპასუხებდა ხოლმე — ეგ შენთვის გააჩინე და არა ჩემთვისო. როცა საავადმყოფოდან უნდა გამოვეყვანეთ მე და ბავშვი, ტანისამოსის წამოღება არ გახსენებია, სამაგიეროდ, არ დავიწყებია ორლიტრიანი სარძევე, რათა გზად სოფლის რძე გამოეყოლებინა, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა. თვითონ მანქანაში დარჩა და რძისთვის მე გამგზავნა. საშინლად ციოდა, გავცივდი და იმ ღამეს 39 გრადუსი სიცხე მომცა...

ნონა სიყვარულით იგონებს ყველას, ვისთანაც მას შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონია: ვასილი შუკშინს, სერგეი მიხალკოვს... ყველას, ყველას...

— უკვირთ, როგორ ვძლებ „მერსედესისა" და კაცის გარეშე...

***1997 წელი. თბილისი. გალა-კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. გამოაცხადეს ნონა მორდიუკოვა. მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. თვალცრემლიანი და დაბნეული შეჰყურებდა ნონა დარბაზს. ქართველი ხომ მხოლოდ დედის, მამის ან მოხუცის პატივსაცემად დგება ფეხზე. აქ კი ყველა ფეხზე იდგა და ტაშით აჯილდოებდა მას — საუკუნის მსახიობს.***

**ეს უდიდესი აღიარება იყო...**

*ნედელია №40*

## „მე პალომა პიკასო ვარ, და არ მჭირდება სარკეები"

პალომა 4 წლისა იყო, პაბლო პიკასომ რომ დედამისი, მხატვარი ფრანსუაზ ჟილო მიატოვა. ისინი ოფიციალური ცოლ-ქმარი არ ყოფილან.

პალომა 19 წლისა იყო, მუშაობა რომ დაიწყო. ჯერ დიზაინერად მუშაობდა ივ სენ ლორანთან, 10 წლის შემდეგ ტიფანისთან (ნიუ-იორკში), საიუველირო საქმემ გაიტაცა. მის ნამუშევრებს დიდი წარმატება ხვდა. 1984 წელს გამოუშვა სუნამო „პალომა", შემდეგ კოსმეტიკის ნაწარმი, ფაიფური.



15 წელი გათხოვილი იყო. ბოლო 3 წელია, მისი საყვარელია პარიზელი ექიმი ერიკ ტევენე. ისინი ერთად ცხოვრობენ ლონდონში.

— **ყოველთვის სისხლისფერი პომადითა და შავი კაბით გხედავენ, თქვენთვის აქვს მნიშვნელობა ფერებს?**

— წითელი და შავი ჩემი საყვარელი ფერებია. ერთხელ, პარიზში, ბარში, ფოტოგრაფმა „პოლაროიდით" გადამიღო სურათი და ფოტო ძალიან კონტრასტული გამოვიდა, რაც მე ძალიან საინტერესოდ მომეჩვენა.

— **წითელი ფერი ვნების ასოციაციას იწვევს, ვნებიანი ქალი ბრძანდებით?**

— მადლობა ღმერთს, კი. თუ გინდა, რომ ცხოვრება საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს, საკუთარი თავი მთლიანად უნდა მოახმარო მას. ეს ეხება სამსახურსაც და სიყვარულსაც. შეუძლებელია რაიმეს სერიოზულად გაკეთება, თუ მთლიანად არ ჩაეფლობი საქმეში.

— **შავი ფერი გლოვის, სიკვდილის სიმბოლოა. სიკვდილისა გეშინიათ?**

— არა, მე აწმყოთი ვცხოვრობ.

— **ხომ არ გიშლით ხელს მამის, პაბლო პიკასოს დიდება?**

— მე ყოველთვის ვიყავი პიკასოს ქალიშვილი. დიზაინერი როცა გავხდი, მინდოდა ვყოფილიყავი მარტო პალომა, პიკასოს გარეშე, მაგრამ არ გამოვიდა. გვარი ჩემი რაღაც ნაწილიც არის. მე პალომა პიკასო ვარ!

— **ჩემი აზრით, თქვენ ახლა განსაკუთრებულად კარგად გამოიყურებით. ძალიან ბედნიერი ხართ, არა?**

— ბოლო დროს ხშირად მესმის, რომ თვალები მიბრწყინავს. თქვენც შეამჩნიეთ... ეს უთუოდ ერიკ ტევენეს „ბრალია". მისმა სიყვარულმა უდიდესი ბედნიერება და სიხარული მომანიჭა. თუ ადამიანს უყვარს, მას ცხოვრების ძალა ემატება.

— **ძალიან ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებთ, უნებურად, ერთი კითხვა დამებადა, შეგიძლიათ ტირილი?**

— დიახ, საკმაოდ ხშირად. ძალიან ვნებიანი და ემოციური ვარ და, ალბათ, არის მიზეზი. ადვილად მწყინს რაიმე. ხმით ვერ ვტირი, მარტო ცრემლები ჩამომდის. ამბობენ, ეს ძლიერი პიროვნების დამახასიათებელი ნიშანიაო. ვინც არ ტირის, ის არ არის ადამიანი.

— **ხშირად იხედებით სარკეში?**

— ჩემი პასუხი გაგაკვირვებთ: მე არ მაქვს სარკე, ჩემს სახლში არც ერთი სარკე არ არის. ისედაც კარგად ვიცი, როგორი ვარ. მე პალომა პიკასო ვარ და სულაც არ მჭირდება ამაში ყოველდღე დარწმუნება.

*კალეიდოსკოპი №45*

## დიდი მსახიობი



უკვე ათი წელია, რაც გულის შეტევით გარდაიცვალა დიდი მსახიობი. 19 ოქტომბერს, საფრანგეთის ტელევიზიის ყველა არხით გადაიცა მისი უმცროსი ქალიშვილის, კლელიას მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმი „ვენტურა, სახელად ლინო", რომელიც 2,5 მილიონმა ადამიანმა ნახა.

კლელიასა და მაყურებლისთვისაც, გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგაც, ლინო ვენტურა ფრანგული კინოს ყველაზე დიდ მსახიობად რჩება.

ლინო ვენტურას იცნობდნენ, როგორც გულუხვსა და გულითად ადამიანს. მისი საყვარელი საქმიანობა კერძების კეთება ყოფილა. მეგობრობაზე მაღლა სუფრის კულტს აყენებდა და ისიც — თავისი მეგობრების გასამასპინძლებლად. მეგობრებს თუ ელოდა, დილის 8 საათიდან იწყებდა სამზარეულოში ტრიალს.

ვენტურამ 60-იან წლებში შეიძინა ანჟერის მახლობლად ულამაზესი მამული ლაკური. ჯერ კიდევ ომის დროს, რვა თვე იმალებოდა ამ ადგილებში, შემდგომში ლა კურში ყოველ დღესასწაულზე მთელი ოჯახი იყრიდა თავს. აქეთ სიხარულით მოისწრაფოდნენ ლინოს მეგობრები, კინომოღვაწენი თუ სპორტსმენები. ლხინს ყოველთვის ლინო თავკაცობდა და ყველას უნაწილებდა ბუნებისაგან უხვად ბოძებულ სიკეთეს...

*პატი მატჩი №280*

## ბრძოლა პირველობისთვის

„თუკი მეტოქის დამარცხებას ვერ მოახერხებ, უმჯობესია, მასთან იმეგობრო". ალბათ, ამ სიბრძნით ხელმძღვანელობდა ბარბრა სტრეიზანდი, როდესაც კელი დიონს წარმატება თავად მიულოცა, — კელიმ წელს, ოსკარის განაწილებისას, ბრწყინვალედ შეასრულა სტრეიზანდის რჩეული სიმღერა „I FINALY FOUND SOMEONE", რამაც სტრეიზანდის პოპულარობა, ცოტა არ იყოს, დაჩრდილა.



ცხადია, ბარბრას გულში არ სიამოვნებს, მის პარტიას ერთ-ერთი უძლიერესი მეტოქე რომ ასრულებს. მათი პაექრობა პოპ-ოლიმპიადაზე გაგრძელდა, — ერთობლივად შეასრულეს ბალადა „TELL HIM". ახალი სიმღერა მაშინვე გაჩნდა როგორც სტრეიზანდის, ასევე დიონის ალბომში. ბრძოლა პირველობისთვის გრძელდება, სიტუაცია კი კვლავ დაძაბული რჩება.

*ფოკუსი №44*

## ვუპი გოლდბერგის ახალი ამპლუა



ცნობილმა ჰოლივუდის მსახიობმა ვუპი გოლდბერგმა დაწერა წიგნი, რომელსაც ასე ჰქვია, — „წიგნი". იგი ნახევარმილიონიანი ტირაჟით მაშინვე ბესტსელერად იქცა. არც არის გასაკვირი, ვუპი გოლდბერგი ცნობილია თავისი „მახვილგონიერებითა და ჭკუით". თავის „წიგნშიც" ჩვეული იუმორით, სხვადასხვა ცხოვრებისეულ პრობლემას ეხება, დაწყებული სოციალური რეფორმებიდან თუ საპრეზიდენტო ინსტიტუტიდან და დამთავრებული რომის პაპის მოღვაწეობითა და ორალური სექსით.

*ექსლიბრისი №18*

## კუბრიკის ახირებანი

სტენლი კუბრიკი, „მექანიკური ფორთოხლის" რეჟისორი, ჯადოსნურ წრეში ტრიალებს. უკვე ათი თვეა, ლონდონში ფილმს იღებს. გადამღები ჯგუფი გაწვალდა. პარვი კეიტელმა ფსიქოსექსუალური თრილერის გადასაღები მოედანი მიატოვა. მეტრის კაპრიზების მიუხედავად, ტომ კრუზსა და ნიკოლ კიდმანს თავი ყოჩაღად უჭირავთ. რეჟისორი ჯიუტად ითხოვს ერთი და იმავე ეპიზოდის სხვადასხვა დეკორაციებში გადაღებას. ბოლო ახირება სადილის სცენის გადასაღებად სამი რესტორნის დაქირავება იყო.



*ნუველ ობსერვატორი №22*

## ეულად დარჩენილი გუშინდელ დღესთან

პოლ მაკარტნის პატივმოყვრული გეგმა ჩაიფუშა. საოცარია პირდაპირ, 55 წლის კაცმა როგორ დაწერა კლასიკური სიმფონია, როცა მან ნოტების კითხვაც კი არ იცის. და ამ „STANOLING STONE"-ის პრემიერა ლონდონის ალბერტ-ჰოლში შედგა, მაგრამ განა მართლა დასაჯერებელია, რომ ექს-ბითლზი შეიძლება ექს-ბითლზის გარდა, სხვა ვინმედ იქცეს?



ამის იმედი პოლ მაკარტნის არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ უფრო მეტიც მოინდომა. „მსოფლიომ, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიტყოს, ვინ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ბითლზი."

მაკარტნიმ თავის ბიოგრაფს, ბითლზებთან დაახლოებულ პირს, ბერი მაილსს, წინასიტყვაობაში დააწერინა: „სამწუხაროდ, „ბითლზებში" ჯონ ლენონის როლის ობიექტურად შეფასების ყველა მცდელობა — მისთვის ძეგლის დადგმის სურვილია". და მაინც, 600 გვერდზე კერპად აღიარებული ჯონის წინააღმდეგ თამამად ილაშქრებენ.

ლენონი ბითლზების ინტელექტუალური მეთაური იყო?

სისულელეა, ამბობს მაკარტნი: „მიუხედავად ჯონისადმი დიდი პატივისცემისა, ეს არ არის მართალი. ის, რომ მე ყოველთვის „საყვარელი" ბიჭი ვიყავი და ის ინტელექტუალი, ეს მხოლოდ პრესის აღმოჩენა იყო, რადგანაც ფანებს უნდოდათ, რომ ასეთები ვყოფილიყავით. ჯონი იოკო ონოსთან შეხვედრამდე არ იყო თავზე ხელაღებული ავანგარდისტი, არამედ ოჯახის მამა გახლდათ, ეჭვიანი და დათრგუნული, რადგანაც თავის პირველ ცოლთან სინთიასთან ერთად ცოლქმრული ცხოვრების მძიმე უღელი უნდა ეთრია".

მაკარტნი ბიოგრაფიაში იმასაც წერს: „ჯონი არასოდეს ამბობდა უარს, რომ ბითლზების ორი დიდი სიმღერა „გუშინ" და „მაიკლი" პოლის შექმნილი იყო და იგი ამიტომ არ მონაწილეობდა ამ სიმღერების შესრულებაში".

მაკარტნი იმ ინტიმსაც აღწერს, რომელიც ამ ორ მამაკაცს შორის მყარდებოდა: „სამწუხაროდ, სიმღერების წერა ჩემთვის იგივეა, რაც სექსი. მე ველარ ვწერ სხვების თანდასწრებით", — ამბობს იმ სიმღერებზე, რომლებსაც ისინი ერთად წერდნენ ლენონის მანსარდაში, — „ჩვენ ერთმანეთს მონუსხულებივით ვუყურებდით. უყურებ ადამიანს თვალებში, გინდა მზერა სხვა საგანზე გადაიტანო, მაგრამ ამას ვერ ახერხებ".

წიგნის ფინალში მაკარტნი ლენონის საწოლზე წევს ხილვებით გარშემოჯარული: „გამომეცხადა ჯონი, ვითარცა მეფე, აბსოლუტური ხელმწიფე მარადიულობისა".

პოლ მაკარტნი, ეტყობა, ამ ჯოჯოხეთს თავს ვერასოდეს დააღწევს, თუმცა, მაინც ცდილობს გათავისუფლებას ჯონ ლენონის პიროვნებისაგან: ხატვით, უნივერსიტეტის რექტორობით, სიმფონიებით.

*შტერნი №43*

## ნაგორნიაკს 2000 წლამდე დისკვალიფიკაცია მისცეს

უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია ფიფამ კინაღამ თავისი რიგებიდან გარიცხა. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი სერგეი ნაგორნიაკი დოპინგის ხმარებაში ამხილეს ხორვატია-უკრაინის მატჩის შემდეგ. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ სასწრაფოდ მიიღო ზომები. ჯერ იყო და, ფედერაციამ განაცხადა, რომ ნაკრების ხელმძღვანელობას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ამ საქმესთან და ნაგორნიაკს დოპინგის მიღება მისი გუნდის ექიმმა ლევჩენკომ შესთავაზა. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ლევჩენკო სამუდამოდ ჩამოაშორა ფეხბურთს. როგორც აღვნიშნეთ, უკრაინის ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ძალზე ოპერატიულად იმოქმედეს და სანამ ფიფა ფედერაციას დისკვალიფიკაციას გამოუტანდა, თავად დასაჯა დოპინგის მომხმარებელი — ნაგორნიაკს 2000 წლამდე მისცა დისკვალიფიკაცია. ამან, გარკვეულწილად, მოალბო ფიფა და ეტყობა, უკრაინის ფედერაციას აღარ დასჯიან. უკრაინა დისკვალიფიკაციას კიდევ იმიტომ გადაურჩა, რომ სწორედ ამ ქვეყნის ფედერაციამ დააარსა სემინარები, სადაც ფეხბურთელები, მწვრთნელები და ექიმები დოპინგის მოხმარებასთან ბრძოლის წესებს შეისწავლიან.

## აცალეთ ამ კაცს თამაში



ამ დღეებში ბრიტანულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გერმანიის ნაკრების კაპიტანი იურგენ კლინსმანი შესაძლოა, „ტოტენჰემს“ დაუბრუნდეს, ოღონდ მწვრთნელის რანგში. საქმე იმაშია, რომ ლონდონელთა ამჟამინდელ მწვრთნელს გარი ფრენსისს საშინლად აკრიტიკებენ გუნდის წარუმატებელი გამოსვლის გამო. ისიც ითქვა, რომ კლინსმანი შესაძლოა, კლუბის ტექნიკური დირექტორის პოსტზე დაბრუნდეს და ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა დაევალოს. თუმცა ამ პოსტზე „უიმბლდონის“ მწვრთნელ ჯო კინიერსაც ასახელებენ. თავად კლინსმანმა კი განაცხადა: „კლუბში არსებულ სიტუაციას ზედმიწევნით კარგად ვიცნობ. მე მიყვარს „ტოტენჰემი“ და ყოველთვის მაწუხებს გუნდის წარუმატებლობანი. ვიცნობ ფეხბურთელებს და ვიცი, რომ თუკი გუნდი შეიკვრება, ისინი მშვენივრად ითამაშებენ. სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის და ეს კლუბის გამოსვლაზეც აისახება“. გერმანელმა ერთი წელი გაატარა ალბიონზე, ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. ხოლო „ტოტენჰემის“ გულშემატკივრებისათვის კი, საერთოდ სალოცავ ხატად იქცა. ჩვენ კი ვლაპარაკობთ კლინსმანის დაბრუნებაზე, მაგრამ გარი ფრენსისი კლუბის მიტოვებას სულაც არ აპირებს. „ამის თაობაზე არც მიფიქრია, მაგრამ გამორიცხული არაფერია. ამ დღეებში „ტოტენჰემის“ პრეზიდენტს ალან შუგარს შევხვდები და მაშინ გაირკვევა ბევრი რამ. თუმცა იმის თქმაც მინდა, რომ ძალიან მაინტერესებს, სწორადაა წარმართული ჩემი საქმიანობა თუ არა“. ვნახოთ, რომ იტყვიან, ყველაფერს მომავალი გაარკვევს.

## NBA – ჯორდანი კი ცდილობს, მაგრამ...



ასე უღბლოდ „ხარებს“ კარგა ხანია, არ უთამაშიათ — მეშვიდე მატჩში მესამედ დამარცხდნენ, ამჯერად, „კლივლენდთან“ 80:101. „ჩიკაგოს“ სახელგანთქმული ვარსკვლავი მაიკლ ჯორდანი ახლაც საუკეთესო იყო მოედანზე, 19 ქულაც დააგროვა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. დენის როდმანმა, რომელიც პირველი მეოთხედის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე დასვეს, მატჩის შემდეგ განაცხადა... „თუკი თამაშს არ დამაცდიან, ჯობს, საერთოდ აღარ გამომიყვანონ. სიმართლე გითხრათ, გუნდში დარჩენაც აღარ მსურს. იმედია, ეს კოშმარული სეზონი მალე ჩაივლის და სხვაგან გავაგრძელებ თამაშს. ბიჭებს აღარაფრის ინტერესი აქვთ. რაღაც უგერგილოდ თამაშობენ. ერთადერთი, ვინც საქმის კეთებას განაგრძობს, ჯორდანია“.

• • •

**ყოველწლიურად ზღვისპირა ქალაქ დარვინში** (ავსტრალია) მსოფლიოს პირველობა ტარდება ძრავიან ნავებს შორის, რომლებიც ლუდის ცარიელი ქილებისგანაა აწყობილი. ნავების სიგრძე 3,5 მეტრამდეა, თითოეულის ასაგებად ორი ათასამდე ცარიელი ქილა იხარჯება, ნავებზე არანაკლებ 100 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავას ამაგრებენ. ზოგჯერ, დიდი სიჩქარის განვითარების დროს, ნავები დაშლას იწყებს და მაშინ უღბლო „სპორტსმენის“ დასახმარებლად ჩვეულებრივი მაშველი კატერი მიიჩქარის, რომელიც უფრო ტრადიციული მასალებისგანაა აგებული.

• • •

**ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ** დისკვალიფიკაციით დასაჯა არბიტრი იან პეტერ კრემერი, რომელმაც ერთ-ერთი მატჩის სჯისას რეკლამიანი მაისური ჩაიცვა. თურმე კრემერი აღშფოთებულა, ფეხბურთელებს თუ აქვთ შემოსავალი იმ სპონსორთაგან, რომელთა სახელწოდებაც მაისურზე აწერიათ, მსაჯებმა რაღა დავაშავეთო. „ფეხბურთელები სხვა საქმეა, მსაჯები კი ყოველმხრივ ნეიტრალურნი უნდა იყვნენ“, — განაცხადა ფედერაციის პრესმდივანმა.

## რატომ არ სტკივა თავი კოდალას...

რატომ არ სტკივა თავი კოდალას, რომელიც დიდხანს უკაკუნებს ვაშლის ხეს?.. იმიტომ, რომ ვაშლი თავის ტკივილის მკურნალია. ვაშლის ყველა სამკურნალო თვისებამ, კონცენტრირებული სახით, თავი მოიყარა ვაშლის ძმარში. ისე რომ, თუკი თავი აგტკივდათ, ქაღალდის ხელსახოცი ძმარში დაასველეთ, შუბლზე დაიდეთ და თავშალი შემოიკარით. 15 წუთში ტკივილი გაგივლით. კიდევ უფრო სწრაფად მოქმედებს ინჰალაცია. თანაბარი რაოდენობის ვაშლის ძმარი და წყალი ერთად წამოადუღეთ, ფინჯანში გადმოასხით, თავზე პირსახოცი გადაიფარეთ და 5 წუთს ისუნთქეთ. სხვათა შორის, გაციებასაც შველის.

*კალეიდოსკოპი №44*

## გვიანი მშობიარობა — ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია

თუ ქალი 40 და 50 წლის ასაკში მშობიარობს, დიდხანს იცოცხლებს.

ერთ-ერთი ექსპერტი ამ დასკვნამდე 130 გარდაცვლილი ქალის სამედიცინო რუკის შესწავლამ მიიყვანა. ერთ ჯგუფში გააერთიანა ის, ვინც 100 წლამდე იცოცხლა, მეორეში კი — 73 წლამდე. სტილისტიკური ანალიზით გამოვლინდა, რომ 40-50 წლებში ნამშობიარებ ქალს 100 წლამდე სიცოცხლის შანსი უფრო მეტი აქვს.

საუბარი იმაზე კი არ არის, რომ ამ ასაკში მშობიარობა ხანგრძლივი სიცოცხლის გარანტიაა. თუ ხნიერ ქალს შეუძლია ბავშვის გაჩენა, ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმი ნელა ბერდება და შენელებული ბიოლოგიური საათის სვლა მთელ ორგანიზმზე ვრცელდება.

*ზდოროვიე №11*

## აშვეთია «ალანიიდან» წამოვიდა, — კობიაშვილი კი «სიტიში» არ წავა

ქუთაისელ ფორვარდ მიხეილ აშვეთიას, რომელიც 6 თვით იყო „ნათხოვარი“ ვლადიკავკაზის „ალანიისათვის“, კონტრაქტის ვადა გაუვიდა, გაზაევის მცდელობის მიუხედავად, — დაეტოვებინა ფეხბურთელი კიდევ ერთი წლით, მიხომ ოსეთის დედაქალაქი დატოვა და ახლა სხვა, უფრო სერიოზულ წინადადებას ელის. ცნობილია, რომ მისი შეძენით მოსკოვის „სპარტაკი“ და ვოლგოგრადის „როტორი“ არიან დაინტერესებულნი.

რაც შეეხება „ალანიიდან“ წამოსულ მეორე ქართველს, ლევან კობიაშვილს, ხმები, თითქოს ისიც „მანჩესტერ სიტიში“ მიდიოდეს, ჭორია და ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ლევანით ევროპის რამდენიმე ძლიერი კლუბია დაინტერესებული და ფეხბურთელი საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ტრავმის მოშუშების შემდეგ მიიღებს.

• • •

**ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროს“** მწვრთნელი, ქვეყნის ეროვნული გუნდის ყოფილი მეკარე ემერსონ ლეაო განრისხებულია. მას არგენტინაში „ლანუსთან“ კონმებოლის თასის შეხვედრის დროს ამტყდარ განევ-გამოწევაში ყბა გაუტეხეს. „ეს ყველაფერი „ლანუსს“ ძვირად დაუჯდება, სასამართლოშიც ვიჩივლებ და ფიფაშიც“ — უთხრა ლეაომ ტელეჟურნალისტებს. თვალჩალურჯებულმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ ჩხუბის შემდეგ დაზიანებული ყბა საოპერაციო გაუხდა და ექიმებმა 14 ნაკერი დაადეს. ექიმებმავე ურჩიეს ლეაოს, დაშავებული ადგილი მზისთვის არ მიეშვირა, რის გამოც, ოთხშაბათს, „ატლეტიკოს“ ვარჯიშზე იგი სომბრეროთი და ქოლგით გამოცხადდა. რაც შეეხება ზემოხსენებულ აყალმაყალს, იგი ბუენოს-აირესში, ფინალის პირველ შეხვედრაში ატყდა. ბრაზილიურმა გუნდმა გაიმარჯვა 4:1, მაგრამ თამაშის მიწურულს, მოედნის კიდესთან, გუნდი-გუნდზე საშინელი ჩხუბი გაჩაღდა, რასაც ტრიბუნიდან საგნების სროლაც მოჰყვა. ლეაომ განაცხადა, იმ საშინელების ჩანაწერი არ მინახავს, რადგან რომ მენახა, უარესად გავხდებოდიო. „ატლეტიკოსა“ და „ლანუსის“ საპასუხო შეხვედრა 26 ნოემბერს გაიმართება.

## ვაჭრობა დასასრულს უახლოვდება

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ხელახლა გაუგზავნა არგენტინულ „რივერ პლეიტს“ წერილი, — თქვენთან მოთამაშე ჩილელი თავდამსხმელის, მარსელო სალასის შეძენა გვსურს და მასში 30 მილიონ დოლარს გადაგიხდითო.

როგორც ყოველდღიური გაზეთი „კლარინი“ იუწყება, ამჯერად საქმეს შედეგიანი პირი უჩანს და მანჩესტერელთა თავმჯდომარე მარტინ ედვარდსი, მომავალ კვირაში, ალბათ გაემგზავრება კიდეც ბუენოს-აირესში, საიდანაც სალასთან ერთად დაბრუნდება.

როგორც ცნობილია, ინგლისის ჩემპიონი აგერ უკვე მერამდენე თვეა, ჩილელი ფორვარდის ხელში ჩაგდებას ცდილობს, მაგრამ მოლაპარაკება მუდამ ჩიხს აწყდებოდა. ახლა კი, მას მერე, რაც „რივერ პლეიტის“ პრეზიდენტმა ალფრედო დავიცემ განაცხადა, ინგლისელთა ადრინდელი წინადადება, 15 მილიონი დოლარი უარვყავით, თუმცა, სალასის მიყიდვაზე უარს არ ვეუბნებითო, ბრიტანელებს იმედი გაუძლიერდათ. „მანჩესტერ იუნაიტედს“ სალასის ყიდვაში ეჯიბრებოდნენ ესპანური „დეპორტივო“, იტალიური „ლაციო“ და „ინტერი“. თუმცა, ამ სამეულიდან ცნობილი მხოლოდ ის თანხა იყო, რომელსაც „დეპორტივო“ იხდიდა — 23 მილიონი დოლარი.

22 წლის სალასი მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს ახალგაზრდადაა მიჩნეული, რომელმაც, როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში თამაშით ერთობ გაითქვა სახელი.

## ჩივაძე ახალკაცის პოსტზე



რამდენადაც ცნობილი გახდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გერმანიაში გაემგზავრა სამედიცინო შემოწმების გასავლელად. ფედერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ახალკაცს ესაჭიროება სტაციონარული მკურნალობა დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნულის გამო, სფფ-მ გამოსცა ბრძანება ასეთი შინაარსით: „იმასთან დაკავშირებით, რომ სფფ-ს პრეზიდენტი გერმანიაში გადის მკურნალობის კურსს, რომელიც დიდ დროს მოითხოვს, ნოდარ ახალკაცის დავალებით, მის გამოჯანმრთელებამდე და სამსახურში გამოსვლამდე, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება, თანახმად სფფ-ის წესდებისა, დროებით ეკისრება ვიცე-პრეზიდენტს, ალექსანდრე ჩივაძეს.“ ბუნებრივად იბადება კითხვა: გააგრძელებს თუ არა სპორტის დეპარტამენტი ფედერაციის წინააღმდეგ „ლაშქრობას“ თუ თავს შეიკავებს.

## რუსული ფეხბურთი ერთი საუკუნით უკან დარჩა

FRANCE 98

შაბათს გაიმართა ევროპის ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდების ურთიერთშორის შეხვედრების მეორე რაუნდი. ყველაზე დიდ ინტერესს ნეაპოლში გამართული მატჩი იწვევდა. იტალიის ნაკრებს მოსკოვში ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ შინ ნულოვანი ფრეც აძლევდა ხელს. მიუხედავად ამისა, რუსები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და გამარჯვების იმედიც ჰქონდათ. იმედი იმედად დარჩა. მთელი თამაში იტალიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და გოლი, რომელიც მეორე ტაიმის მე-9 წუთზე კაზირაგიმ გაიტანა, ლოგიკური იყო. აპენინელებმა 1:0 მოიგეს და პლანეტის მილიონობით გულშემატკივარს სიხარული მოგვარეს. დაგვეთანხმებით, იტალიის გარეშე ჩემპიონატი ხიბლს დაკარგავდა, და ამას რუსების გარდა ყველა აღიარებდა.



რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, გადამწყვეტ თამაშში მათ ერთი საგოლე მომენტიც ვერ შექმნეს და საფრანგეთის საგზურსაც გამოეთხოვნენ. რუსებისთვის ეს მით უფრო საწყენია, რომ ახლა რუსული ფეხბურთი აღმავლობას განიცდის, გარკვეულ დონეს მიაღწია იქაურმა ჩემპიონატმაც, რუსული ფეხბურთის განვითარებისათვის უდიდესი თანხები იხარჯება და მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე დარჩენა თავისთავად უკან დახევს საფეხბურთო მოძრაობას. „სპორტ-ექსპრესმა“ ეს რამდენიმე თვის წინ იწინასწარმეტყველა, კვიპროსთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ გაზეთი წერდა, რომ თუ გუნდი საფრანგეთში ვერ მოხვდებოდა, დაარსებიდან მეასე წელს, ე.ი. 1997 წელს, რუსული ფეხბურთი 100 წლით უკან გადაინაცვლებდა. დსთ-ის კიდევ ერთ ქვეყანას — უკრაინას ჰქონდა შანსი ჩემპიონატის საგზურის მოპოვებისა. კიევის „დინამოს“ ამასწინანდელმა წარმატებებმა სტუმრად 0:2 დამარცხების მიუხედავად, ფავორიტად ხორვატებთან მატჩში უკრაინელები აქცია.



თამაშის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა ხორვატებს, შევჩენკომ სწრაფი გოლი გაიტანა, შემდეგ რამდენიმე მომენტიც შექმნა, მაგრამ ბოკშიჩის საპასუხო გოლმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. თამაში ფრედ 1:1 დასრულდა და უკრაინაც რუსეთის კომპანიას შეუერთდა.




სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), თავის ტკივილები, ყურებში შუილი, თავბრუსხვევა, მეწალისებური და ქათმისებური გულ-მკერდი.

**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.**

მობრძანდით 15სთ- დან 19 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, კატასტროფების საავადმყოფოში, 1 სართ. ტელ: 95-46-47, 72-06-14. მკურნალობის ანაზღაურება შესაძლებელია გადარიცხვითაც.

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით“. პროსტატის ტრანსურეთრული სტიმულაცია ევროპის კლინიკებში დანერგილი და აპრობირებული თანამედროვე მკურნალობის მეთოდია, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არა აქვს. პროცედურები უმტკივნეულოა, ხელმისაწვდომი. გამოკვლევები და კონსულტაციები უფასოა.

მეცნიერებათა აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №21-ე (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ-მდე

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მიერ შექმნილი და გამოცდილი საგვარეულო წამლებით, მცენარეული მალამოებით მკურნალობს:

- თმის ძირების გამაგრებას საპნითა და მცენარეებით
- კანის სოკოვან დაავადებებს
- ფეხის თითების ქავილს
- ფრჩხილების სოკოს
- ქავილს კანის სხვადასხვა ადგილებში

ეფექტი გარანტირებულია პირველივე დღიდან. კურსი 10-დღიანია

მ „მარჯანიშვილი“, ალმაშენებლის პროსპ. №115 აფთიაქი „ფანასკერტელი“. იკითხეთ პირადად ლომთათიძე

## თეთრი ზღვის ისტორიაში — მორიგი შავი ფურცელი გაჩნდა

ჩვენს მკითხველს გაზეთის რამდენიმე ნომერში უამბეთ ბერმუდის სამკუთხედთან დაკავშირებულ მოვლენებზე, ახლა კი გვინდა გიამბოთ, რა მოხდა ახლახან თეთრ ზღვაში.

ბერმუდის სამკუთხედთან შედარებით, ჩვენთან ახლომდებარე თეთრი ზღვის მკვლევრებმა ასეთი კანონზომიერება დააფიქსირეს: ორ წელიწადში ერთხელ, აქ საოცარი ამბავი ხდება — 1995 წლის შემოდგომაზე უკვალოდ გაქრა კატარღა „ტომაზი" — ექსპედიციის ეკიპაჟით. იგი დიდხანს ეძებეს, მაგრამ კვალსაც კი ვერ მიაგნეს — 40 ტონის წყალწყვის გემისაგან არაფერი დარჩა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ თეთრი ზღვა — შიდა ზღვაა და კატასტროფის შედეგები, ადრე თუ გვიან, ნაპირზე უნდა გამოირიყოს.

წელულს, 24 სექტემბერს, ზელენოგრადელი იახტსმენების ახლობლებმა განაცხადეს, აფრიან-მოტორიანი იახტა „გრუმანტი" დიდი ხნის დაბრუნებული უნდა იყოს, მაგრამ არ ჩანსო. დაიწყო ძებნა. „გრუმანტი" 1 სექტემბერს ზღვაში გავიდა, ბორტზე 3 ადამიანი იმყოფებოდა: ო. პიტცელინი, ე. ჩვალოვი და ი. მაიოროვი. თავიდანვე არ გაუმართლათ. გასვლისთანავე, უამინდობამ იახტა გააჩერა. იახტას ნაწილი დაუზიანდა და ბელომორსკში შეიყვანეს. რემონტის შემდეგ, 13 სექტემბერს, ზღვაში გავიდნენ. 16 სექტემბერს კი, თეთრ ზღვაში საშინელი შტორმი ატყდა...

ძებნის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, შვეულმფრენმა ნაპირთან ახლოს შეამჩნია ნახევრადჩაძირული იახტა. ეკიპაჟის პირადი ნივთები და საბუთები ნაპირზე იპოვეს, თავად იახტსმენები კი, ვერ მიაგნეს. მაშველთა რაზმმა მხოლოდ 3 ჟილეტი იპოვა, როცა იახტაზე მათი რაოდენობა მეტი იყო. რა თქმა უნდა, შეიძლება ზღვაში მყოფთ ჟილეტი ეცვათ და ნაპირზე მიეღწიათ. მაგრამ დახრჩობა გამორიცხული არ არის. ეკიპაჟის წევრების ცხედრების პოვნის იმედიც კი აღარავის აქვს, თეთრმა ზღვამ კიდევ ერთი შავი ამოცანა ნამოჭრა.

*ნა გრანი ნევოზმოჟნოგო №13*

## ამო პუტჩს აკონტროლებდა?

ერთხელ, ცნობილმა ფიზიკოსმა და უფოლოგმა ა. კუზოვკინმა თავისი არქივის ნაწილი გაანადგურა და ეს იმით ახსნა, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ძალიან საშიში რამაა და, მასთან დაკავშირებით, დიდი სიფრთხილეა საჭირო. საზოგადოდ, დისკუსიები თემაზე — ახდენენ თუ არა ამოუცნობი ობიექტები გავლენას სხვადასხვა კატაკლიზმაზე, ემყარება იმ ფაქტს, რომ, როგორც წესი, დიდი პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების დროს, მათი მნახველების თქმით, უამრავი **ამო** ჩნდება. ასე იყო 1991 წლის პუტჩის დროსაც.

...6 აგვისტოს საღამოს, ტურისტები მინავლებულ კოცონთან ისხდნენ და, ის იყო, დაშლას აპირებდნენ, რომ ვიღაცამ თქვა, — შეხედეთ, ვარსკვლავთცვენააო. უცებ ცის კამარა თეთრ-ცისფერმა ნათებამ გააშუქა. მას მეორე მოჰყვა. თითქოს ერთმანეთს დასდევენო, ცეცხლოვანი წერტილები ჩაშავებულ ცის კაბადონზე დაქროდნენ. ამ დროს კოცონთან შეშინებულმა გოგონებმა, ანიამ და ოლიამ მიირბინეს. ტბასთან რაღაც საოცრება ხდება, რაღაც ძალა წყლისკენ გვიბიძგებდაო. ტბისკენ წასულმა ტურისტებმა დაინახეს, უახლოეს კუნძულს როგორ გადაუარა მფრინავმა თეფშმა. მის ბორტზე სინათლე ენთო.

დაახლოებით იმავე დროს, პეტერბურგის მახლობლად, პაველ გერმუნენკო ოჯახთან ერთად ისვენებდა. მისი ყურადღება უცნაურმა ნათებამ მიიპყრო, რომელიც ტბის მეორე ნაპირიდან მოიწევდა. პაველს სურდა, კარგად გაერჩია, რა იყო და გულში იფიქრა, — ნეტა, მომიახლოვდებოდესო. უცებ ეს ობიექტები, თითქოს სურვილს მიუხვდნენო, პირდაპირ მისკენ დაიძრნენ. გზაში როგორღაც გადიდდნენ, პაველს უნებური შიში მოერია, არა, არ მინდიხართო, — გონებაში გაუელვა და ობიექტებიც გაბრუნდნენ, ქალაქისკენ იქციეს პირი.

პუტჩის ღამეს კი — 19 აგვისტოს, კარავში მყოფი ოლეგ კრიჩევსკი ძლიერმა შუქმა გამოაღვიძა, იფიქრა, ალბათ, ტბაზე ვინმე მოტორიანი ნავით დაცურავს და პროჟექტორით ანათებს კუნძულსო. კარვიდან გავარდა და მეგობრები გააღვიძა. ლადოგის ტბაზე უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი ეკიდა. სულ ფერს იცვლიდა, ხან ვერცხლისფერი იყო, ხან ყვითელი. ეს ყველაფერი 2-3 წუთს გრძელდებოდა, მერე კი ჩაქრა და თვალთახედვიდან გაქრა. იგივე ცეცხლოვანი ბურთი ნახა მწერთნელმა გ. სმირნოვამ. ბურთი ლადოგის ტბის მხრიდან მოფრინავდა. საინტერესოა, რომ სპეციალისტმა უფოლოგებმა შეამჩნიეს — 1991 წლის პუტჩის შემდეგ, პეტერბურგის მიდამოებში გამოჩნდნენ არამარტო მფრინავი, არამედ მოცურავე ობიექტებიც (თუმცა, ამის მაგალითი, ჯერჯერობით, ცოტაა).

**ამო** მართლა მოქმედებდა თუ არა ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციაზე, ჯერჯერობით, არავინ იცის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ პოლიტიკური არასტაბილურობისა და საგანგებო შემთხვევების დროს, **ამოს** რიცხვი გაცილებით დიდდება ხოლმე.

*კალეიდოსკოპი №44*

## ჩემს შვილს სიკვდილი მდინარესთან ელოდა...



„რამდენიმე წლის წინ, სიზმარში დიდი, შავი ყვავი ვნახე, რომელიც ჩემს ვაჟს სადღაც მიათრევდა. ვყვიროდი და საშველად ვიწევდი, მაგრამ ადგილიდან დაძვრასაც ვერ ვახერხებდი, რაღაც ძალამ ერთ ადგილზე გამაშეშა. ამ სიზმრის შემდეგ მოსვენება დავკარგე. დღეში რამდენჯერმე გავრბოდი სამსახურიდან შინ, რომ დავრწმუნებულიყავი, ჩემი შვილი ცოცხალი იყო თუ არა...

ერთხელაც, კარი რომ შევაღე, იქვე გავქვავდი, თავიდან ფეხებამდე სიცივემ დამიარა. გვერდით ვგრძნობდი „რაღაც" საშინელს, შემაძრწუნებელს. მხოლოდ ერთი აზრი ამეკვიატა, „უნდა ვუშველო თავს!" და მე, მოუნათლავმა, წამოვიძახე, — ღმერთო, მიშველე-მეთქი და ის „რაღაც" თუ „ვიღაც" მომცილდა. ჩემსა და „მას" შორის რეალური ზღვარი ვიგრძენი. პირჯვარი გადავიწერე და ნაბიჯი წინ წავდგი. თითქოს იმ „რაღაცას" ვაწვებოდი და ასე ნელ-ნელა გარეთ გავედით.

საღამოს, შინდაბრუნებულმა, მეუღლეს ვუამბე ყველაფერი — არ დამიჯერა.

ერთი კვირის შემდეგ შინ მარტო ვიყავი, რაღაცაზე შვილის ოთახში შევედი და გარკვევით დავინახე, ოთახის შუაგულში, ჰაერში, კუბოს კონტური. მას შემდეგ მოსვენება დავკარგე. ვგრძნობდი, რომ ჩემს ოჯახში რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო. კერძოდ, ჩემი შვილის სიცოცხლისა მეშინოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემმა ვაჟმა სიზმარი ნახა. ძილში ყვიროდა. მისი გაღვიძება ვერ მოვახერხე, ვიდრე ლოგინიდან იატაკზე არ გადმოვათრიე. გაბრუებული ბავშვი შიშით ჩურჩულებდა, — „სიზმარი, დედა, საშინელი სიზმარი ვნახე, მეშინია!" ამ შემთხვევის შემდეგ გულჩათხრობილი გახდა, ეკლესიაში ჯვარი შეიძინა, ლოცვების კითხვა დაიწყო.

იმ საბედისწერო დღეს, ბიჭმა ჯვარი თავისი სურათის ახლოს დადო, გვერდით ბეჭედი მიუდო, რომელიც ყოველთვის ხელზე ეკეთა. მერე თანაკლასელმა, რომელიც მე რატომღაც არ მიყვარდა, ენისეიზე წაიყვანა... ბიჭები (ოთხნი იყვნენ) მდინარის პირას ისხდნენ. ამ დროს, ყინულის დიდი ლოდი მდინარეში ჩავარდა, სამნი გვერდზე მოისროლა, ჩემი შვილი კი გაჭყლიტა... ეს 6 წლის წინ მოხდა.

ჩემი ბიჭი 14 წლის იყო."

*ტაინაია ვლასტ №20*

## ალტერნატიული მახსოვს

ჯოდი რობერტსი ახლა 39 წლისაა. 12 წლის წინათ, იგი ვაშინგტონის შტატის ქალაქ ტაკომას გაზეთში მუშაობდა რეპორტიორად. იმ დღეს ვიღაცას საქმიანი პაემანი დაუნიშნა, მაგრამ არ მივიდა, არც შინ მისულა. ახლობლები და კოლეგები ეძებდნენ, პოლიციაშიც განაცხადეს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ჯოდი კოლორადოს შტატ დენვერში, თავისი ქალაქიდან 2 ათასი კილომეტრის დაშორებით აღმოჩნდა.

— წარმოდგენა არა მაქვს, აქ საიდან გავჩნდი. საკუთარი სახელიც კი აღარ მახსოვდა, მეხსიერებიდან ყველაფერი ამოიშალა, — ამობობს ჯოდი. ქალი დენვერში დარჩა, ჯეინი დაირქვა და ჭურჭლის მრეცხავად დაიწყო მუშაობა. ცოტა ხანში გათხოვდა კიდეც, ტყუპი გოგონა შეეძინა.

ამას წინათ, ჯოდის ამხანაგმა გაზეთში წაიკითხა დაკარგული ქალის ამბავი და კინაღამ გული გაუსკდა, როცა ფოტოზე ჯოდი შეიცნო. მაისში ჯეინ-ჯოდი მშობლებთან იყო ტაკომაში, შინ დაბრუნებულმა ქმარ-შვილს უთხრა — ძალიან სათნო ხალხია, მაგრამ ჩემთვის სრულიად უცხოები არიანო. მედიკოსები ამ მოვლენას ფსიქოგენურ ამნეზიას უწოდებენ. მეხსიერების მოულოდნელ და სრულ დაკარგვას სტრესი და ძლიერი ფსიქოლოგიური დატვირთვა იწვევს.

*კალეიდოსკოპი №42*

## გრაფოლოგია

გრაფოლოგია ადამიანის ხასიათს განსაზღვრავს წერის მანერის მიხედვით.

თუ: **სტრიქონები მიდის ზევით** — ადამიანი მღელვარეა, ენერგიული, ძალაუფლების მოყვარული; **ხაზები ეშვება დაბლა** — ფიზიკური და მორალური სისუსტე, სევდა და უიღბლობაა დამახასიათებელი; **თანაბარი სტრიქონები** — გაწონასწორებული, მშვიდი პიროვნების კალიგრაფიაა.

რაზე მიგვანიშნებს ასოები? **მრგვალი** — თვინიერი, რბილი, ცნობისმოყვარე; **კუთხოვანი** — ძლიერი ბუნების; **დახრილი** — მგრძნობიარე და მით უფრო მეტად, რაც მეტად ხრის ასოებს; **ვერტიკალური** — მშვიდი, ცივგონებიანი; **მარცხნივ დახრილი** — უგრძნობელი, პირმოთნე; **შემჭიდროებული ხელწერა** — მომჭირნე, ეკონომიური; **გაშლილი წერა** — ხელგაშლილი, მფლანგველი; **ხუჭუჭა, გადაპრანჭული ასოებით** პრეტენზიული პიროვნებები წერენ. **ასოების გამოტოვება** — მერყევი, ფარული აზრების მატარებლებს ახასიათებთ.

*ჟენსკიე დელა*

## თვალი არ მეცეთ...



— დიდი თანხის პოვნა ცხადშიც და სიზმარშიც — მომავალ კეთილდღეობას მოგიტანთ;

— მარჯვენა ფეხით ადგომა მთელი დღის წარმატების გარანტია;

— მოულოდნელად ჩაის დაღვრა — მოულოდნელი, უმეტესად, კეთილი საქმისკენ წაგმართავთ;

— ბინიდან გასვლისას ნუ გაკერავთ რამეს — წარუმატებელი დღე გექნებათ.

— შინიდან გასვლისას, თუ რაღაც ძალიან გიშლით ხელს, წინ გელობებათ (მანქანები, წვიმა, მეზობელი), დაფიქრდით, რაიმე ხომ არ დაგრჩათ ბინაში მოუწესრიგებელი (უთო ან გაზი ჩართული, კარი დაუკეტავი).

— თუ შინიდან გასვლისას გასაღები გაგივარდათ — არ გექნებათ წარმატება;

— თუ წინ წყლით სავსე ვედროთი გადაგიარათ ვინმემ, გზა დაუთმეთ, თორემ საკუთარ ბედნიერებას გადაურბენთ წინ.

## მელოტი უცხოპლანეტელები

1989 წელს, ვლადივოსტოკის სანაპირო პლაჟზე გამოჩნდა ორი, ერთი მეტრის სიმაღლის უთმო, უკბილო „ბავშვი". ყველა გამოკითხული ამბობდა, რომ მათი გარეგნობა შიშსა და ზიზღს იწვევდა. ისინი კრეფდნენ კენჭებს, ათვალიერებდნენ და ისროდნენ.

გავიდა 4 წელი. 1966 წელს ვლადივოსტოკელი უფოლოგების დახმარებით, მოიძებნა მათი 12 მხილველი.

აღმოჩნდა: მათგან 3 დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1993 წ. ხუთს — თავის ტვინის სიმსივნე აღმოაჩნდა, 3 ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა, ორი — 10-10 წლისანი — 1993 წელს უგზო-უკვლოდ გაქრა.

*ნლო №11*

## რას გვეტყვით, ვარსკვლავებო..

### 17-23 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი




### ვერძი

მოგბეზრდათ მუდამ არსობის პურსა და სხვებზე ზრუნვა. ცოტა დაისვენეთ, დაწყებული საქმეები დაამთავრეთ. მალე რომანტიკული განცდების ზღვაში გადაეშვებით და მზად იყავით.

### კურო




გიხაროდეთ. ახალი ნაცნობები დიდ სარგებელს მოგიტანენ და კარგ რჩევებსაც მოგცემენ. მაგრამ ძველ მეგობრებს ნუ ჰკრავთ ხელს, ისინი ერთგულნი და სანდონი არიან. შესაძლოა, კონკურენტებმა გუნება გაგიფუჭონ, არ იდარდოთ, ყველაფერი მოგვარდება.




### მარჩბივი

ეს „დავის"კვირაა. არავის არაფერში არ ეთანხმებით, ყოველი საუბარი კამათად იქცევა, მაგრამ ეს საინტერესოც კია. უქმე დღეები ბუნების წიაღში გაატარეთ, ოღონდ, მარტოდმარტო!

### კირჩხიბი




მეცხრე ცაზე გიდგათ ფეხი. ყველა საქმეს კეთილად მოაგვარებთ. რომანტიკული განცდები გელით, თუმცა, კოლეგებთან და მეგობრებთან ცოტათი გაგიფუჭდებათ ურთიერთობა, ამიტომ სამსახურის გამოცვლაზეც იფიქრებთ. ეს დროებითი ფხუკიანობაა.




### ლომი

სამუშაო გელით, მოგბეზრდათ ერთფეროვნება. დიდი ხანია, მძაფრ შეგრძნებებზე ოცნებობთ. გაჭირვებამ შეიძლება გაგალიზიანოთ, მაგრამ თავი შეიკავეთ და ყველაფერი მოგვარდება.

### ქალწული




თუ ვინმესთან განშორება მოგიწევთ, ეცადეთ, ამას მშვიდად შეხვდეთ. სიცარიელეს უმალ შეივსებთ, ახალ მეგობარსაც გაიჩენთ.




### სასწორი

გამდიდრდებით და იცით კიდეც, რა გზებით. მოაგვარებთ ქონებისა და მემკვიდრეობის საქმეებს. უქმე დღეები შინაურებთან გაატარეთ, თქვენ ერთმანეთს სჭირდებით.

### ღრიანკალი




უკან დარჩა თქვენი წუხილი და დარდი. საქმეები ნელ-ნელა მოგიწესრიგდებათ, ოჯახში სიმშვიდე გელით.




### მშვილდოსანი

დიდი სიამოვნება გელით, ძველ მეგობრებს შეხვდებით, სიყვარული და ფული — წინა გაქვთ. ოღონდ, ნუ დაგავიწყდებათ, დააფასოთ ის, რაცა გაქვთ, ნუ გაანაწყენებთ ახლობლებს, ისინი ხომ გაჭირვებაში მუდამ თქვენს გვერდით დგანან.

### თხის რქა




სწორი გზით მიდიხართ. მიზანს მიუახლოვდით. უფროსობაც და კოლეგებიც თქვენთან არიან. სამსახურში წინსვლა გელით. მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებით. წადით სამოგზაუროდ.




### მერწყული

თუ ნათლად არ იცით, რა გინდათ, დაფიქრდით, დინჯად განსაჯეთ ყოველივე და ნურც გაღიზიანდებით და გაბრაზდებით. თავშეუკავებლობამ და უხეშობამ შესაძლოა, ცუდი სამსახური გაგიწიოთ.

### თევზები




ბოლო ხანს აფორიაქებული ხართ. ნელ-ნელა გამოსწორდება საქმე, დამშვიდდებით. ოჯახი თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ცხვირს ნუ ჩამოუშვებთ, ეცადეთ, გონივრულად გაართვათ თავი სირთულეს და დასახული მიზნისკენ იაროთ. ჯანმრთელობას მიხედეთ. განა ყოველგვარი დიეტა სასარგებლოა?

**გისურვებთ წარმატებებს!**

## №58 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემა იყო **„საუკუნის სიმბოლო"**. მონაწილეობა მიიღო 405-მა მკითხველმა. ორ მათგანს ბარათი არასწორად ჰქონდა შევსებული.

შემოთავაზებულ 8 სიმბოლოს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი არათუ მხოლოდ დოლარის, არამედ, საერთოდ, ბიზნესის, ეკონომიკის სიმბოლომ — **$** დაიკავა. საშუალო ქულაა **6,55**.

მისი გამარჯვება შემთხვევითი სულაც არ არის, რადგანაც მეოცე საუკუნე უფრო მეტად სწორედ ბიზნესის, ეკონომიკისა და წარმოების განვითარების საუკუნეა, ვიდრე, თუნდაც ომების.

რეიტინგში „მშვიდობის მტრედის" მაღალი საფეხური, ალბათ, ჩვენი მკითხველის სურვილი უფროა, ვიდრე XX საუკუნის რეალობა (ამდენი ომებისა და კონფლიქტების ფონზე).

აღსანიშნავია, რომ მას ყველაზე მეტი მაქსიმალური ქულა აქვს დაწერილი.

მიუხედავად ამ საუკუნის მეორე ნახევარში მომძლავრებული მუსულმანური ფანატიზმისა (ირანის ისლამური რევოლუცია, თალიბთა მოძრაობა და სხვა), მკითხველი „ნახევარმთვარეს" საუკუნის სიმბოლოდ არ მიიჩნევს და მას ბოლო ადგილს აკუთვნებს.

საერთოდ კი, ყველაზე მეტი მინიმალური ქულა სვასტიკას დაეწერა (29%), რითაც მკითხველი, ალბათ, ომისა და ფაშიზმისადმი უარყოფით დამოკიდებულებასაც გამოხატავს.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. გაიმარჯვეს და პრიზს — 80 ლარს თანაბრად გაინაწილებენ 40 წლის, პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი **გია ინალიშვილი** და 74 წლის, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე **ლევან ბარბაძაძე**. იგი საპრიზო რეიტინგების მუდმივი მონაწილე და ახლა უკვე რეკორდსმენია. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს რეიტინგებში მან ყველაზე მეტჯერ — სამჯერ გაიმარჯვა.

პრიზიორებს ველით რედაქციაში 18 ნოემბერს, 17 საათზე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

არანაკლებ საინტერესო კითხვა იყო დასმული „მკითხველის რეიტინგში" — რესპონდენტებს ის პიროვნება უნდა დაესახელებინათ, რომელიც მათი აზრით, მომავალ არჩევნებში ე. შევარდნაძის რეალური კონკურენტი იქნება.

დასახელებულ კანდიდატთა რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შევარდნაძეს საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ აქვს, რადგან ისინი ოცდაათამდე არიან. თუმცა, ნახევარზე მეტი მხოლოდ ერთხელ არის დასახელებული.

უმრავლესობის აზრით, შევარდნაძის კონკურენტი **ვახტანგ რჩეულიშვილია**. მეორე ადგილზეა პასუხი **„არავინ"**, მესამეზე კი **ჯუმბერ პატიაშვილი**. ხუთეულში არიან აგრეთვე, **ირინა სარიშვილი-ჭანტურია** და **ასლან აბაშიძე**.

არიან ისეთი გამოკითხულებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ახლანდელი ჩვენი პრეზიდენტის მომავალი მეტოქე შეიძლება იყოს არძინბა, მიქელ-გაბრიელი და სხვ. ერთი საკუთარ თავსაც კი ასახელებს.

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვ.რჩეულიშვილი | 26.5% |
| 2 | არავინ (ვერავინ) | 16.3% |
| 3 | ჯ.პატიაშვილი | 12.8% |
| 4 | ი.სარიშვილი-ჭანტურია | 10.5% |
| 5 | ა.აბაშიძე | 10% |
| 6 | ზ.ჟვანია | 5% |
| 7 | შ.ნათელაშვილი | 3.1% |
| 8 | თ.შაშიაშვილი | 2.9% |
| 9 | მ.სააკაშვილი | 1.4% |
| 10 | მ.არჩვაძე-გამსახურდია | 1.1% |
| 10 | პ.გიორგაძე | 1.1,% |


„გეოკორი"
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
ტექნიკური
და სასმელი
წყლის მისაღებად. წინასწარ
კონსულტაციებს
გაგიწევენ უმაღლესი პროფესიული კადრები.
მისამართი: აკურის ქ. №8
გამოთვლითი მათემატიკის
ინსტიტუტი (სპორტის
სასახლის უკან) ოთახი 208.
33-26-75 38-24-02

ფირმა „ტაო"-ს
საბითუმო აფთიაქი
გთავაზობთ
მედიკამენტების
ფართო ასორტიმენტს
შეღავათიან ფასებში
მის: წერეთლის გამზ. №12ა, მეტრო
„წერეთლის" გვერდით
ტელ: 34-30-01
10-19 სთ-მდე, ყოველ დღე, გარდა
კვირისა

## რედაქცია აგრძელებს კურიოზების კონკურსს

### სოკოთი მოწამლული

ბებიაჩემი და ბაბუაჩემი ფარმაცევტები არიან, სოფელ ასურეთში აფთიაქში მუშაობენ. ერთ დღეს, ბაბუამ ბებიას პურ-მარილი გაამზადებინა, — ტყეში შეშის საჭრელად კაცები მომყვებიან, თან — არყის გატანებაც არ დაგავიწყდესო, სთხოვა.

წავიდნენ ტყეში. იქაურობა სოკოთი იყო მოფენილი. რა გული გაუძლებდათ — დაკრიფეს, შეწვეს, სუფრაზე, რა თქმა უნდა, არაყიც ჩამოდგეს. ჩვენს შრომას გაუმარჯოსო, — თქვა შოთამ და ლუკმას პირველი სადღეგრძელო დააყოლა. უცებ გაშეშდა, ფეთიანივით წამოხტა და სოფლისკენ მოკურცხლა. შოთა გაიქცაო... დანარჩენებიც თავპირისმტვრევით დაედევნენ. სოფლის თავში ერთ-ერთი მოსახლისას შევარდნენ, დიასახლისს წყალი გაათბობინეს და კუჭი ამოირეცხეს. როგორც იქნა, ჩაწყნარდნენ. თქვენ რაღა წაგეკიდათო, — მოიცალა შოთამ მამაკაცებისთვის.

სოკომ არ მოგწამლაო? — გაიკვირვეს.

## №59 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავის მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**80 ლარი**

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

© თბილისი, 1997

**თემა№59—თავდაცვის მინისტრი**

ვინ იქნებოდა თქვენი აზრით, საქართველოს საუკეთესო თავდაცვის მინისტრი (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — **7** და ა.შ. **1**-მდე.

№59 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | სამხედრო პირი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გია ყარყარაშვილი | |
| 2 | ლოთი ქობალია | |
| 3 | ჯონ შალიკაშვილი | |
| 4 | თენგიზ კიტოვანი | |
| 5 | ვარდიკო ნადიბაიძე | |
| 6 | რეზო ადამია | |
| 7 | ანატოლი კამკამიძე | |
| 8 | ჯაბა იოსელიანი | |

**მკითხველის რეიტინგი***

რომელია თქვენი საყვარელი კერძი (დაასახელეთ ორი)?

✓ ______

✓ ______

______

თქვენი სახელი, გვარი

______ ასაკი    ______ ტელეფონი

* **„მკითხველის რეიტინგში"** თქვენი პასუხების შეჯამებით მივიღებთ შედეგებს, რომლებიც პალიტრის მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება. აქ საპრიზო რეიტინგისაგან განსხვავებით ყველაფერი თქვენს შეხედულებებზეა დამოკიდებული, ჩვენ პასუხების შესაძლო ვარიანტებს წინასწარ არ შემოგთავაზებთ.

№59 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი ძალაშია 17 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ 20 ნოემბრის (ხუთშაბათი) 17 საათამდე (მათი ადგილმდებარეობის შესახებ იხილეთ გვ. 24).


გთავაზობთ მკურნალობას: 1) ლოცვითი სეანსებით: უძილობა, აგრესიულობა, უიმედობა, თვითმკვლელობის სურვილი, ჩაკეტილი მამაკაცობა და ბედი, დეპრესია, აკვიატებები, ეჭვიანობა, გაუმართლებლობა, უბარაქობა, ჯადოს მოქმედება. ავადმყოფს, რომელსაც არ სურს მკურნალობა, ვმკურნალობ ფოტოსურათით.
მის: მ. „ვარკეთილი", აეროდრომის დასახლება, მე-7 ქუჩა, 21ა, 16-19 სთ-მდე ყოველდღე
2) ფუტკრის პროდუქტებით: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ეროზია, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ელენთა, ბუასილი, თირკმელები, შარდის ბუშტი, პირის ღრუ, წვრილი ჭია, სასქესო ასოს თავის და ჩუჩის ანთება, დაუეჟილობა, დამწვრობა, წითელი ქარი და კანის სხვა დაავადებები.
მის: რუსთაველის 28, ოპერის პირდაპირ, მე-13 პოლიკლინიკა, ოთახი 25. მიღება: 11-15 სთ-მდე გარდა შაბათ-კვირის გარდა
ხალხური მკურნალი ნანა ქიბროწაშვილი. საქართველოს ხალხური მედიცინის ასოციაციის წევრი, ლიცენზია №01/12-088

მაღაზია
„DAEWOO"
„DAEWOO-ELECTRONICS"-ის
ოფიციალური დისტრიბიუტორი საქართველოში
საყოფაცხოვრებო ელექტრო საქონელი.
(აუდიო ვიდეო ტექნიკა, მაცივრები, სარეცხი მანქანები,
ელექტროღუმელები, მანქანის მაგნიტოფონები, ჭურჭლის
სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები და ა. შ.)
უმაღლესი ხარისხი. სერვისი. გარანტია.
ყველაზე ხელმისაწვდომი ფასები
საქართველოში.
მისამართი: გამსახურდიას გამზირი №11

ბინების,
ოფისების
ყიდვა-გაყიდვა-
დაქირავება-
დაგირავება
სწრაფი გაფორმება
ფირმა
«გეგა»
ლესელიძის 4, №1
ნოტარიუსის შენობა,
III სართ.
☎ 99-94-18

სოკომ კი არა, არაყმა!.. მგონი, აფთიაქში შხამში შეეშალათ! — გაბრაზდა შოთა.

თურმე, ბებიაჩემს უფიქრია, ესენი რომ ტყეში არაყს მიუსხდნენ, შეშას ველარ მოჭრიანო და არყის მაგიერ 10%-იანი კალცი გაუტანებია ბაბუასთვის...

*ნიკა ფირცხალაიშვილი*

### დედამთილი

ქუჩაში შევესწარი ასეთ საუბარს, რა თქმა უნდა, ჩემდაუნებურად, თელაველები იყვნენ, დედა-შვილი. დედა იქნებოდა ასე 55-60 წლისა, შვილი — 30-35 წლის, ჯმუხი, ჯაგარა ვაჟკაცი.

შვილი: — ჩემ ცოლს, ახლა რომ რალაცეებს გავყიდით, დუბლიონკა უნდა ვუყიდო, საპოშკებიც, მეორე ჩამოსვლაზე, რომ ჩამოვალთ კიდევა, კაბაც უნდა ვუყიდო და სვიტრებიც, ხელით სატარებელი პატარა ჩანთაც საყიდელი მაქვს, შენ გამახსენე ფრანგული დუხიც და ჟაკეტიც. მერე კი, აი ის, ერთად რო იყიდება, ნაბორი....

დედამ უსმინა, უსმინა და ერთადერთი შეკითხვა დაუსვა:

— შენა, შვილო, შენი ცოლი ხო არ უნდა გაათხოვო?!

*ირაკლი მღვდლიშვილი*

### ახალგაზრდა ექიმის შეცდომა

გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი თათბირს ატარებდა. უცებ ახალი ათონის საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ჭოჭუა ცუდად გახდა და მდივნის მოსასვენებელ ოთახში დააწვინეს.

მოვიდა სასწრაფო დახმარების ექიმი, ახალგაზრდა კაცი. პირველ რიგში პულსი გაუსინჯა ავადმყოფს, თავი გადააქნია და იქვე მდგომთ მიუბრუნდა, — კაცი მომკვდარა, პულსი სრულებით არ უცემს და რალაზე გამომიძახეთო. ამასობაში, ავადმყოფი გონზე მოვიდა. აიღო მარჯვენა ხელი ექიმს ლეწა — რომელი ინსტიტუტი დაამთავრე, შე ოჯახდაქცეულო, პროთეზსა და ხელს ერთმანეთისგან რომ ვერ არჩევო.

*გიული ხართანია*

## რუსული კინოს მეტრი 70 წლისაა



ელდარ რიაზანოვმა პირველი მამაკაცური საქციელი 7 წლის ასაკში ჩაიდინა: „დედამ ჯიბეში სიგარეტი მიპოვა. და სკოლის დირექტორთან წამიყვანა. დედას ყველა პატივს სცემდა — სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ. მე, საწყალმა პირველკლასელმა, რა ვიცოდი, როგორ მონსტრთან მიმიყვანეს! შტერივით ვიჯექი და ერთი სული მქონდა, როდის გავშვებოდი აქედან და სიგარეტს გავაბოლებდი... 42 წლამდე ვეწეოდი, დღეში 60 ღერს, სიგარეტს რომ გავანებე თავი, მერე გავსუქდი".

გულითა და სულით ვულოცავთ უნიჭიერეს რეჟისორს 70 წლის იუბილეს.

## ჯონ კენედი-უმცროსი – XXI საუკუნის ამერიკის პრეზიდენტია?



ერთი ამერიკელი გამოტყდა — კენედების საოჯახო ალბომი გაცილებით ხშირად დამითვალიერებია, ვიდრე საკუთარი ოჯახისაო. დღესდღეობით, მთელ მსოფლიოში ცხოვრობს მე-3 თაობის 28 კენედი, 24-დან 46 წლამდე ასაკისა, რომ აღარაფერი ვთქვათ, შვილთაშვილებზე, რომელთა რიცხვი მალე 50-ს მიაღწევს. ამერიკამ ისინი სამეფო ოჯახად აღიარა.

ერთმა პოლიტიკოსმა აღნიშნა: „ახლა ამერიკაში სამი პარტიაა: დემოკრატების, რესპუბლიკელების და კენედისა".

ჯონ კენედი-უმცროსი ბევრი ამერიკელის თვალში, XXI საუკუნის პრეზიდენტია.

## ფოტო განწყობისათვის




## სასტუმრო... ციხეში

ამიერიდან შვედებს ციხის საკანში მოსახვედრად სულაც არ სჭირდებათ კანონის დარღვევა. რატომ? იმიტომ, რომ სტოკჰოლმის ციხე ლანგოლემი საპატიმროს ეგზოტიკის მოყვარულთათვის სასტუმროდ აქციეს. საკნები ახლა ნომრებად იქცა. ყოველი წვრილმანი ტუსაღის ცხოვრების ამსახველია — ზოლიანი პიჟამო, სარკე-გილიოტინა, ზოგჯერ აქ გადაცმული ჟანდარმები და ქურდებიც ჩნდებიან ხოლმე. სასტუმროს პატრონი კმაყოფილია, მსურველებს ველარ აუდის და მომავალი თვეების შეკვეთებს ღებულობს.

• • •

ბიჭი მთელ დროს გიტარის დაკვრასა და სიმღერაში ატარებდა.



— რა კარგი იქნებოდა, ტელევიზორში რომ გამოგიყვანდნენ, — უთხრა დამ.

— აი, ხედავ! — წამოიძახა ბიჭმა, — აქამდე კი სულ ბუზღუნებდი...

— მაშინ გამოგრთავდი მაინც, — მიუგო დამ.



## კოლხეთის ერთ-ერთი სასწაული

სალხინო

პრეპარატი სალხინო, რომელიც რეკომენდირებულია თბილისის, მოსკოვის და სანკტ-პეტერბურგის ათეულობით ჯანდაცვის სპეციალური სამკურნალო და ლაბორატორიული დაწესებულებების მიერ მიწოდებულია მასტიტის, მასტოპატიის და სხვა რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების საწინააღმდეგოდ. მაგალითად, პროსტატიტი, რომელიც ვითარდება წინამდებარე ჯირკვლის ქსოვილში ჩირქმბადი ინფექციის შეჭრის შედეგად. ხშირად გამომწვევი მიზეზია სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, გონოკოკი,ნაწლავის ჩხირი,უფრო ხშირად შერეული ინფექცია. ყურადღებას იპყრობს შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს შეიმჩნევა წვა, შარდსადენი ხვრელი ბაგეთა მიწებება, სუნი, ტკივილი წელის გავის ძვლისა და თირკმელების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდვის დროს შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს ადგილი აქვს თესლის ნაადრევ გამოყოფას, ზოგჯერ კი, პირიქით, შესუსტებას და სრულ იმპოტენციას. მეტწილად ვითარდება სექსუალური მოშლილობა. ქალები უჩივიან იგივე მოვლენებს: ტკივილს, გამონადენს, საერთო სისუსტეს, ტკივილს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში, ხშირად ჯირკვლები მკერდში და ისეთი დაავადებები, როგორიცაა: მასტოპათია, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, გასტრიტი, კოლიტი, ხშირი ფაღარათი ან, პირიქით, ნეფრიტი, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება, ღრძილების დაჩირქება და სისხლის დენა, უსიამოვნო სუნი, ბრონქიტი, კანის ჩირქოვანი დაავადებები, ალერგიულიგამონაყარი, ქავილი და სხვა პათოლოგიური დაავადებები. პრეპარატს მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები საქართველოში, რუსეთის ფედერაციაში და სხვა ქვეყნებში.

წამლის შეძენა შეგიძლიათ აფთიაქებშიც. ჩვენი მისამართია: აღმაშენებლის №115

რეკლამა 987-444

„კვირის პალიტრაში"



**სხვადასხვა შინაარსის განცხადებებს უფასოდ ვაქვეყნებთ „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში "სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).**

**„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება განცხადებები მხოლოდ ბინების გაყიდვა-გაქირავების შესახებ, დანარჩენი სახის განცხადებები გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ფასიანი განცხადების ქვითრებით, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 1,5 ლარი).**

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში 20 ნოემბრის (ხუთშაბათი) 17 სთ-მდე. ყუთები განთავსებულია მეტროების — „მარჯანიშვილი", „ვაგზლის მოედანი", „თავისუფლების მოედანი", „რუსთაველი", „ახმეტელი", „ვარკეთილი", „ახმეტელის თეატრი" „პოლიტექნიკური", — მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გაზეთების ჯიხურებზე, მეტრო „გოცირიძესთან" — სანტექნიკის მაღაზიის წინ, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან), დოლიძის ქუჩის კუთხეში, დიდუბის ავტოსადგურთან, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ.. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან, დიდუბეში — „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან, ალმაშენებელზე, მუსკომედიის წინ, გაჩერებაზე, თამარ მეფისა და ალმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე (შემნახველი სალაროს წინ).

სხვა სახით (გარდა „კვირის პალიტრის" ბოლო ნომრიდან ამოჭრილი „უფასო განცხადების ქვითრისა") შემოსული განცხადება არ გამოქვეყნდება.

**(46) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

________________________________________________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 20 (მისამართის გარდა)*

P.S . №46-ის ქვითარი ძალაშია 17-დან 20 ნოემბრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 20 ნოემბრის (ხუთშაბათი) 17.00 სთ-მდე

## კროსვორდი



**თარაზულად:** 7. სოფელი დუშეთის რაიონში; 8. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიში; 11. ჰიტლერის მეუღლე; 12. საღამოს ბინდი, შეღამება (ძველქართული სიტყვა); 13. სომხური წარმოშობის ფრანგი მომღერალი: 14. „საპატიმრო საკანი" ფრინველის ან ცხოველისთვის; 16. ქინქლა ანუ... 17. ზურაბ (ზურიკელა) ვაშალომიძის ბებია; 18. აქ (იმერულ კილოზე); 19. შექსპირის პიესის პერსონაჟი; 22. მდიდრული აგარაკი; 25. ღონე, ქანცი; 26. გამოიცანით გამოტოვებული სიტყვა გივი ბერიკაშვილის პოპულარული სცენური პერსონაჟის ფრაზაში: „თუ მაინც უნდა ...., შენც ადექი და შეირთე, კაცო!" 27. ერთ-ერთი მეცნიერება; 29. მდინარე ჩინეთში; 30. რადიოლოკატორის შემოკლებული სახელწოდება; 31. რისამე ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა; 32. წამწამთა ძირების ანთება; 33. სამგლოვიარო სამოსელი; 35. საბჯენი ჯოხი; 36. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი (თავდასხმა), 60-70-იანი წლები; 37. ნაწილაკი იმის აღსანიშნავად, რაც სინამდვილეში არ არის, მაგრამ ჰგავს, მოგვაგონებს რასმე.

**შვეულად:** 1. სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდება; 2. წმინდა, შეურეველი (ოქროზე იტყვიან); 3. ენამჟრალი, ყიამჟრალი; 4. ქ. სოხუმის ადრინდელი ქართული სახელწოდება; 5. უწესრიგო, უსუფთაო ადამიანი; 6. პერსონაჟი ფილმისა „ჩარი-რამა"; 9. სახელმწიფო საზღვარზე ფარულად გადატანილი საქონელი; 10. მმართველობის სისტემა, როცა ქვეყანას მართავენ ხალხს მოწყვეტილი და გაბატონებული ფენის ინტერესის დამცველი მოხელეები; 15. ადგილი, სადაც ინახება ძველი საბუთები, დოკუმენტები... 16. გადასატანი მოედანი ბავშვებისთვის, რომლებიც ფეხს იდგამენ; 20. ზოგი მცენარის საკვებადვარგისი ძირი; 21. ვინმესთვის ან რამესთვის შეხედვა, ვინმესთან საქმის დაჭერა, თითქოსდა იმის მიზეზით, რომ საქმე ცუდად წავიდა ან ჩაიშალა; 23. სანთლისმაგვარი ნივთიერება; 24. ადგილი საბრძოლო იარაღის გამოსაცდელად, ჯარის ნაწილების სავარჯიშოდ; 27. მომხიბლავი ანჟელიკას სახის შემქმნელი ფილმებში: „ანჟელიკა და ხელმწიფე" და „ანჟელიკა — ანგელოზების მარკიზა"; 28. სიგრძის ძველებური რუსული საზომი; 33. მდგომარეობა, როცა ცნობიერება მოდუნებულია და ორგანიზმი ისვენებს; 34. ფულის ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ატაშე; 6. აგასი; 7. ბასტურმა; 10. სარკაზმი; 12. ქოლგა; 13. ილორი; 14. კლავესინი; 18. კომუნიკე; 19. მონოლოგი; 20. ცანცარა; 21. დიდრონი; 24. აპლიკაცია; 28. მხარე; 30. პალტო; 31. ბაიადერა; 33. ოკლაჰომა; 35. ნაიდორფი; 36. კრეისერი;

**შვეულად:** 1. ლამბაქი; 2. ბელურა; 3. შანკრი; 4. მილიცია; 8. სოლომონი; 9. „აბბა"; 10. სეტი; 11. ზოოლოგია; 14. კონვენცია; 15. ვიენტიანი; 16. სამტრედია; 17. იზომეტრია; 20. ცუნამი; 22. იყალთო; 23. ომობანა; 25. ლაშა; 26. „ციცო"; 27. ქობალია; 29. ენდრო; 30. პრასი; 32. რაფა; 34. კირი.

• • •



რამდენი უნდა მოგართვათ, ექიმო, კბილის ამოღებისათვის?

— ექვსი ლარი.

— მაგრამ თქვენ ხომ მითხარით, ორი ლარი ეღირებაო?

— თქვენ ისე ღრიალებდით, რომ მისაღებიდან ორი პაციენტი გაიქცა.

• • •



კაფეში მიმტანმა მაგიდასთან მჯდომ ქალს ტორტი მიუტანა და ჰკითხა:

— ექვს ნაწილად დავჭრა თუ თორმეტად?

— ექვსად სჯობია, თორმეტის შეჭმა გამიძნელდება.

• • •

— ხომ არ გქონიათ შემთხვევა, რომ გესმით ხმა, მაგრამ არ იცით საიდან? — ეკითხება ნევროპათოლოგი პაციენტს.

— ძალზე ხშირად, ექიმო.

— მძიმე შემთხვევაა! როდის გემართებათ ხოლმე?

— როცა ტელეფონით ვლაპარაკობ.

• • •



— დიდი უბედურებაა, როცა შავი კატა წინ შემოგხვდება?

— გააჩნია, კაცი ხარ თუ თაგვი.

• • •



— ძვირფასო მამიკო, გამომიგზავნე 10 ლარი, ჩემს საცოლესთან სურათს გადავიღებ და გამოგიგზავნი.

— გიგზავნი ხუთ ლარს, გამომიგზავნე ქალიშვილის სურათი, შენ ისედაც კარგად გიცნობ.


სამუშაოდ ვიწვევთ ახალგაზრდა, ნიჭიერ, ერუდირებულ ჟურნალისტებს.

დაგვირეკეთ: ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს 11.00 სთ-დან 21 სთ-მდე

ბომონდი

ტელ.: 33-44-91



დაიჯესტის რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების სიზუსტეზე. პუბლიკაციათა სტილი დაცულია. რიგ შემთხვევაში, მასალა შემოკლებით იბეჭდება.

შესაძლოა, რედაქციის აზრი არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

სარედაქციო კოლეგია

მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან) ტელ. 33-39-54

palitra@access.sanet.ge

სარეგისტრაციო № 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".